

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
ИМ. ШОТА РУСТАВЕЛИ

ფოლკლორის პრობლემური საბჭო
ПРОБЛЕМНЫЙ СОВЕТ ФОЛЬКЛОРА



1974

ქართული ფოლკლორი

მასალები და გამოკვლევები

IV

ГРУЗИНСКИЙ ФОЛЬКЛОР

Материалы и исследования

Словарь грузинского фольклора:

I

(А — Л)

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

1974

ქართული ფოლკლორის
ლექსიკონი

I

(ა — ლ)

„ქართული ფოლკლორის“ მეოთხე ტომში მოკლე საცნობარო ხასიათის ნაშრომია წარმოდგენილი. მასში შესულია ეროვნული ზეპირსიტყვიერების ტრადიციის, თეორიის, ეანრობრივი შედგენილობის, მხატვრული სახეების, მთქმელ-შემსრულებლების, შემკრებთა და მკვლევართა შესახებ პირველადი ცნობები. სპეციალისტების გარდა წიგნი ნავარაუდევია ხალხური შემოქმედების საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

რედაქტორი პროფ. მ. ჩიქოვანი

წინასიტყვაობა

ლექსიკონი სხვადასხვა დანიშნულებისა და ხასიათის შეიძლება იყოს. ზოგი მხოლოდ ერთი ენის ან მისი რომელიმე დარგის ლექსიკონს წარმოდგენას ისახავს მიზნად, ზოგი კიდევ ზოგადთეორიულ ამოცანას ემსახურება და ენციკლოპედიური დანიშნულება აქვს. უკანასკნელი არ ისაზღვრება ეროვნული ფარგლებით, იგი თანაბრად იყენებს ყველა ცნებას, ფაქტს, ტერმინს, რომელიც კი სამეცნიერო ბრუნვაშია შესული და აღიარებული. „ქართული ფოლკლორის ლექსიკონი“ დარგობრივთა წყებას მიეკუთვნება. ბოლო დროს დარგობრივი ლექსიკონების რიცხვი სწრაფად იზრდება როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზე. ბუნებრივად, ეს შედეგია მეცნიერების განვითარებისა და იმ დიდი მოთხოვნების, რასაც თანამედროვე მკითხველი საერთოდ იჩენს კონკრეტული ცოდნის მიმართ.

სალექსიკონო შიმშილს ხშირად განიცდის როგორც რიგითი მკითხველი, ცოდნის ამა თუ იმ სფეროს მოყვარული, ისე სპეციალისტი, საგნის მკვლევარი. არაიშვიათად მკვლევარიცა და მკითხველიც ერთნაირ ვითარებაში აღმოჩნდებიან, რადგან პირველს თავისი დარგის ტერმინოლოგიური უნიფიკაცია და გამდიდრება აქვს მიზნად, ხოლო გათვითცნობიერებული მკითხველი მისთვის საინტერესო ცნების, ფაქტის, ტერმინის მისაღებ განმარტებას ეძებს. ორივე მხარის დაკმაყოფილების აუცილებლობა მით უფრო მწვავედ იგრძნობა, რამდენადაც დიფერენცირებული და გაღრმავებულია ამა თუ იმ დარგში კვლევა-ძიება და დიდი რაოდენობით მიილტვიან შესაბამისი ცოდნის მისაღებად.

XX საუკუნე უაღრესად ფართო მასშტაბის აღმოჩენებით აღინიშნა. არა მხოლოდ სრულიად უცნობი სფეროები გადაიშალა ადამიანის წინაშე, არამედ ამ უცნობთა შემსწავლელი ათეულობით დისციპლინაც წარმოიშვა. აშკარაა, თითოეულ დარგს მისთვის სპეციფიკური ტერმინები და ცნებები უგროვდება. მთელი

ეს მარაგი გარკვეულ სისტემატიზაციასა და გაგების ერთიანობას საჭიროებს. ამგვარი ამოცანის შესრულებას ვერ დაეკისრებთ ვერც სახელმძღვანელოების და ვერც საცნობარო კომპენდიუმების ავტორებს; ისინი თვითონ საჭიროებენ მტკიცედ შემუშავებულ ტერმინოლოგიას, დაზუსტებულ ცნებებს, სპეციფიკურ ენას. ამის გამო ეს ფუნქცია ლექსიკონებზე გადმოდის და მათ შემდგენელთა მოვალეობას წარმოადგენს.

ამჟამად საქართველოში, და რამდენადაც ვიცით, არც მეზობელ რესპუბლიკებში, ფოლკლორის ლექსიკონი ან მსგავსი საცნობარო ნაშრომი არ მოიპოვება. ამით გაძნელებულია როგორც ტერმინოლოგიური უნიფიკაცია, ისე ცნებათა განსაზღვრის ერთიანობა. ძალიან ხშირად ყოველდღიურად გამოსაყენებელი ცნება მოწოდებულია სხვადასხვანაირად; ზოგჯერ ერთი და იგივე ფაქტი, მოვლენა აღინიშნება დაუზუსტებელი სინონიმური გამოთქმებით, რომელთა მეშვეობით ავტორები გულისხმობენ არა იმას, რის რეალურ აღმნიშვნელად ხალხური სიტყვა გვევლინება, არამედ სხვა რამეს ცხადია, ყოველივე ეს აფერხებს ურთიერთგაგებას და პრობლემათა შესაფერის დამუშავებას.

ტერმინოლოგიურ განმარტებებზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს ფოლკლორული ფაქტების ზუსტ ფიქსაციას და უცვლელად შენახვას. ჩვენში სავალდებულოა სიძველეთა დაცვა; ამგვარი ძეგლების ხელშეუხებლობა გარანტირებულია სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. ფოლკლორული ძეგლების დაცვა-შენახვასაც სწორედ ასეთი ყურადღება შეეფერება. ამით უზრუნველყოფილი იქნება საუკუნეებიდან მომდინარე დიდი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და საუკეთესო ეროვნულ ტრადიციათა ათვისება.

წინასწარი ჩანაფიქრის მიხედვით წინამდებარე მოკლე ლექსიკონი მოიცავს როგორც ძირითად საერთაშორისო და ეროვნულ ტერმინოლოგიას, ისე ხალხური შემოქმედების ფაქტებს, ტრადიციისა და ჟანრების დამახასიათებელ მოვლენებს. იგი საცნობარო დანიშნულებისაა და მასში ყველამ უნდა იპოვოს პასუხი მისთვის საინტერესო კითხვაზე; სულ ერთია ვინ იქნება მომხმარებელი — სტუდენტი თუ მკვლევარი, კოლექტიური შემოქმედების მოყვარული თუ შემსრულებელი, თვითმოქმედებითი წრის წევრი თუ პროფესიული ხელოვნების წარმომადგენელი. ანბანის რიგზე განლაგებული სტატიები მკითხველს დაეხმარება მონახოს საძიებელი საგანი და მისი მოკლე განმარტება.

ფოლკლორისტიკა, შესასწავლი ობიექტის კვალობაზე, მრავალდარგოვანი მეცნიერებაა. მასში ერთიანდება სიტყვიერი, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, სანახაობრივი და გამომსახველობითი ხელოვნების სხვა სფეროთა გამომკვლევით დისციპლინები. ამის მიხედვით ლექსიკონი შეიძლება თითოეულ დარგში ცალცალკე შედგეს. მაგალითად: სიტყვიერი, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური-სანახაობრივი და გამომსახველობითი ფოლკლორის ლექსიკონები, თუმცა მსგავსი დაწერილერთეულება მთლად მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ლექსიკონის პუბლიკაცია, როგორც ვხედავთ, სიტყვიერი ფოლკლორით იწყება. პირველი ცდის სახით აქ მოცემულია კოლექტიური შემოქმედების პრაქტიკა უმთავრესი სახელწოდებების, ტრადიციის, ქანრების, საშემსრულებლო ხელოვნებისა და გამომსახველობითი საშუალებების სახით. ფოლკლორულ ფაქტებთან ერთად ლექსიკონში თვალსაჩინო ადგილს იჭერს ზოგადთეორიული და ისტორიოგრაფიული წერილები, ბიბლიოგრაფიული და წყარომცოდნეობითი ცნობები. თითოეული სტატია ისეა შედგენილი, რომ იგი რჩება განმარტების ფარგლებში და არ იღებს უნივერსალურ, ენციკლოპედიურ ხასიათს, სადაც ამა თუ იმ საგნის ახსნასთან ერთად მოცემულია მისი ისტორია, გენეზისი, განვითარების ეტაპები და ძირითადი ლიტერატურა.

საბჭოთა ხალხების ფოლკლორის ენციკლოპედიის შედგენაზე მუშაობა ცენტრში უკვე დაწყებულია და ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ მას. ამ საქმეში სხვებს ამერიკელებმა, გერმანელებმა და პოლონელებმა დაასწრეს. ჩვენ სათანადო ნაშრომებს ვიცნობთ და გარკვეული წარმოდგენაც გვაქვს მათზე. 1950 წელს ნიუ-იორკში გამოქვეყნდა ორტომიანი „ფოლკლორის, მითოლოგიისა და ლეგენდების ლექსიკონი“, რომელიც თემებისადმი ფართო მიდგომით გამოირჩევა, მაგრამ მასალის თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდული არის. მაგალითად, მასში ქართული, კავკასიური, საერთოდ კი საბჭოთა კავშირის ხალხების ფოლკლორის შესახებ ცნობებს ვერ იპოვით. უფრო გვიან, 1962 წელს იმავე ქალაქში გამოიცა ჯობის ორტომიანი „მითოლოგიის, ფოლკლორისა და სიმბოლოების ლექსიკონი“. ნაშრომი უფრო ძველ წერილობით წყაროებს ემყარება, ვიდრე წმინდა ფოლკლორულ სინამდვილეს და შემცველობის თვალსაზრისით ისიც მეტად განსაზღვრულია. გერმანული ლექსიკონი კი სხვებთან შედარებით მკრთა-

ლად გამოიყურება, მოცულობითაც და შედგენილობითაც მცირეა.

დასახელებული ლექსიკონებისგან განსხვავებით ქართული უფრო ეროვნული და ფოლკლორისტული იქნება. ამჟამად ჩვენი მიზანი არაა მითოლოგია სპეციალურად წარმოდგინოთ. ქართული მითოლოგია ლექსიკონში გარკვეულ ადგილს დაიჭერს იმისდა მიხედვით, თუ თვითონ იგი როგორაა წარმოდგენილი ხალხის მხატვრულ პრაქტიკაში, პოეტურ ძეგლებში. თუ მითოლოგიური ფაქტი ან ტერმინი ასახავს არ პოულობს მხატვრულ სინამდვილეში და მხოლოდ რწმენის სფეროს განეკუთვნება, მას „ქართული ფოლკლორის ლექსიკონში“ ადგილი არ ეთმობა. მაშასადამე, ყურადღების ცენტრშია ხალხური მხატვრული შემოქმედება და მთელი სალექსიკონო მასალა მისგან მიმდინარეობს ან მას შეეხება.

როგორც ვხედავთ, საგანგებოდ ყურადღებას ვაპაზვილებთ ფოლკლორულ სინამდვილეზე, მის ტრადიციასა და მიმდინარე პროცესებზე. ახლა საკითხი დგება, თუ როგორ მოვექცეთ იმ წერილობით ძეგლებს, რომლებშიც თავს იჩენს ფოლკლორის კვალი ადაპტირებული თუ პოეტურად დამუშავებული სახით. ვფიქრობთ; ასეთ ძეგლებსა და მათ ავტორებს ლექსიკონებმა უნდა დაუთმონ ადგილი. მაშასადამე, თავისებური კუთხით აქაც შემოვა ცნობები უმთავრესი ლიტერატურული ძეგლების თაობაზე.

ახლა ზემოთქმულის მიხედვით მიახლოებით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ნაშრომის შედგენილობა და საკითხთა წრე, რომელიც ასახავს პოულობს ქართულ და ქართველურ ხალხთა მასალების საფუძველზე. ამრიგად, ქართული ფოლკლორის ცნობარ-ლექსიკონში ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი თემატიკა:

1. ზოგადთეორიული ცნებები (ფოლკლორი, ფოლკლორისტიკა, ხალხური სიტყვიერება, ხალხური პოეზია, კოლექტიური და ინდივიდუალური საწყისები, ტრადიცია, სინკრეტიზმი, მეთოდური თეორიები, ფოლკლორული პროცესი, სესხება, გავლენა და სხვა).

2. ფოლკლორული შემოქმედების სახეები (სიტყვიერი, მუსიკალური, ქორეოგრაფიული; თეატრალური-სანახაობრივი; გამომსახველობითი).

3. ფოლკლორის ისტორია (წარმოშობა, განვითარება, საფეხურები, თანამედროვე მდგომარეობა). ტომობრივი (სვანური, მეგრული, ლაზური) და ეროვნული. ფოლკლორი, ისტორიული ცნობები და სხვა.

4. ჟანრობრივი შედგენილობა (პოეზია, პროზა, დრამა და მათი დანაყოფები).

5. პოპულარული პერსონაჟები (ამირანი, ბადრი, უსიპი, არამხუტუ, ნაცარქექია, სამი ძმა, სამი და, ხელმწიფე, მოჯამაგირე, დევი, გველეშაპი, ფასკუნჯი, რაში, ჯადოსნური ქომაგები და საგნები და სხვ.).

6. უმთავრესი სიუჟეტები (მიჯაჭვული გმირის, დალისა და მონადირეების, გერ-დედინაცვლის, მამა-შვილის ბრძოლის, აბესალომ და ეთერის, უკვდავების მაძიებელი ჭაბუკისა და სხვანი).

7. დიდი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნაწარმოებები (ამირანიანი, ეთერიანი, ტარიელიანი, როსტომიანი, ქალვაჟიანი, ისტორიული ციკლები, არსენას ლექსი, ფირალის ეპოსი, გიგა და გიორგი, ვეფხი და მოყმე, თაფარაველი ჭაბუკი, შემოწეყარა ყიფჩალი, ია მთაზედა და სხვ.).

8. გამოსახვის კომპოზიციური საშუალებანი (მისამღერი, დასაწყისი, რეტარდაცია, გამეორება, კლიშისმაგვარი ადგილები, კონტამინაცია, სახეთა საფეხურებრივი განვითარება და ა. შ.).

9. პოეტიკა და მხატვრული წარმოსახვის ხალხური საშუალებანი (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, ჰიპერბოლა და სხვ.).

10. ლექსწყობის თავისებურებანი (რიტმა, რიტმი, საზომი, სტროფიკა და სხვ.).

11. ფოლკლორის სინკრეტულობა. სიტყვის, მელოდიისა და მოძრაობის ურთიერთობანი, საგაზაფხულო და საკულტო დღეობები, ფერხულები.

12. ფოლკლორში წარმოდგენილი წესჩვეულებები, რწმენა, მითოლოგია და სხვა, რომლებსაც ამავე დროს ხალხური შემოქმედების გაგებაში შეაქვთ სინათლე.

13. ფოლკლორის როლი პროფესიული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში (დამახასიათებელი ძეგლები და შემოქმედნი).

14. ფოლკლორისტიკის მეთოდები, თეორიები, სკოლები (ჩვენში და სხვაგან).

15. სამეცნიერო ფოლკლორისტული ცენტრები და არქივები რესპუბლიკაში.

16. ტექსტოლოგიის პრობლემები.

17. ბიბლიოგრაფიული წყაროები.

18. ქართული ფოლკლორის შემკრებნი და მკვლევარნი (ადგილობრივნი და უცხოელები).

19. მთქმელები, შემსრულებლები, გამოჩენილი ოსტატები.

20. თვითმოქმედი ხელოვნება, ხალხური შემოქმედების სახელები, ფესტივალები და ოლიმპიადები.

ამგვარი ფართო და სრული ლექსიკონის შედგენა ხანგრძლივ შრომასა და კვლევა-ძიებას მოითხოვდა. პირველ რიგში საჭირო იყო სიტყვარის შედგენა, კვალიფიციურ ავტორთა შემოკრება, სტატიების მოცულობის განსაზღვრა, ინსტრუქციის შემუშავება და წერილების შეკვეთა, საბოლოოდ კი შემოსული მასალების დასაბეჭდად მომზადება და წიგნის რედაქცია. რადგან ჩვენში ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არ არსებობს, მსგავსად, ვთქვათ, უკრაინის, ბელორუსიის, რუმინეთის ან იუგოსლავიისა, ამ საქმის მეთაურობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭომ იკისრა, თავისი დასაყრდენი ინსტიტუტის — რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის და მისი ფოლკლორის განყოფილების მეშვეობით. დაწყებული ფართო მუშაობის შედეგები პირველ ნაკვეთად სიტყვიერი ფოლკლორის მცირე ლექსიკონის სახით ქვეყნდება.

ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ნაციონალური და ტომობრივი ფოლკლორის პრობლემაზე. საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ხალხური შემოქმედების ნაირსახეობებთან გვაქვს საქმე. პირველყოვლისა ჩვენში არსებობს ეროვნული, საერთოქართული ნაციონალური ფოლკლორი, რომელიც მშობლიურია ყველა ქართულ და ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის. მისი ძირები შორეულ ისტორიულ წარსულში იკარგება. ეროვნულ მარაგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველურ ენებზე არსებულ იმ ადრინდელ ფოლკლორს, რომელიც ამ ენების ერთობის, ე. ი. გამოცალკევებამდელ პერიოდში იყო შექმნილი ჩვენს წინაპართა მიერ. სავარაუდოთ, ეს არის პირველდაწყებითი მთლიანი მითოლოგიური შეხედულებები და ნაკლებად დიფერენცირებული ჟანრობრივი მასალა, სამეურნეო მოღვაწეობასთან მჭიდრო კავშირში წარმოშობილი, სამონადირეო, სამესაქონლეო და სამიწათმოქმედო რიტუალებით გამრავალფეროვნებული. ძველთაძველ მარაგთან ერთად, ეროვნულ ფოლკლორში დიდი კულტურული საუნჯეა დაგროვილი მრალამხატვრული პოეზიისა და პროზის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის, სანახაობრივი ხელოვნებისა.

წების სახით. ეროვნული ფოლკლორი მთელ ქართველ ერს ემსახურება თავისი რაფინირებული პოეტური კულტურითა და საკაცობრიო იდეებით, მარადიული გმირებითა და სიუჟეტებით. იგი, სულიერი ცხოვრების სხვა კომპონენტებთან ერთად, აერთიანებს მრავალმილიონიან მასებს და ერთიანი ეროვნული ორგანიზმის შექმნასა და დაცვას ემსახურება ზეპირი შემოქმედების ამოუწურავი შესაძლებლობებით.

ცხადია, ჩვენი ფოლკლორი ათასეული წლების მანძილზე იქმნებოდა თანმიმდევრულად და საყოველთაო სახალხო საფეხურს იმ პერიოდში მიაღწია, როცა თვითონ მისი წარმომქმნელი და მატარებელი ხალხი ჩამოყალიბდა ეროვნებად. ქართულ ხალხურ შემოქმედებას, მეგრულ-ქანურისა და სვანურის ჩათვლით, თავისი არსებობის გზაზე წყვეტილი არ ჰქონია, ე. ი. ის არასოდეს არ ჩამქრალა და მერე ხელახლა არ აღორძინებულა. უწყვეტელობის ამ პროცესში ქართულ ფოლკლორს მხოლოდ უღელტეხილები და ეტაპობრივი განვითარება ახასიათებდა ხალხის ისტორიასთან შეფარდებით. წარმართულ და ქრისტიანულ დიდ პერიოდებთან ერთად მასში გამოიყოფა პირველყოფილი თემური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური ფორმაციების წარმონაქმნი ღირებულებანი, რომელთა შესწავლას სიტემატური ხასიათი აქვს დღეს.

ეროვნული ფოლკლორის ჩამოყალიბება ყოველთვის რთულ შინაგან და გარეგან პროცესებთანაა დაკავშირებული. საქართველო მოფენილია სხვადასხვა დიალექტებზე და ენებზე მოლაპარაკე ტომებითა და ჯგუფებით. თითოეულს მისთვის ჩვეული მხატვრული პოტენცია ახასიათებდა და ახასიათებს. იგი ამავე დროს გულგრილი არ იყო საერთოქართულის მიმართ. ყოველი კუთხის, მაგალითად, ქართლ-კახეთის, ფშავ-ხევსურეთის, მესხეთ-ჯავახეთის, აჭარის, გურია-იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და საინგილო-თუშეთის მხატვრული შემოქმედება თანდათან ამდიდრებდა დედაქართულ ფოლკლორულ სალაროს და თანაც ერთგვარ დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებდა. ტერიტორიული ანუ ტომობრივი ფოლკლორი, საერთო ენის მეოხებით, ადვილად იკაფავდა გზას მეზობელი მხარეებისაკენ და ზეპირბრუნვაში მოქცევის შემდეგ საერთო ფონდში მკვიდრდებოდა მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებების კვალობაზე. მაშასადამე, თანდათან იქმნებოდა ზოგადქართული მარაგი, რომელიც დაბოლოს ეროვნულ კატეგორიაში ამაღლდა და მთელი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობად იქცა.

საერთოდ გავრცელებულისა და აღიარებულის გარდა ქართული. ენის ტერიტორიულ დიალექტებზე კიდევ არსებობს წმინდა ადგილობრივი ზეპირშემოქმედება, რომელსაც მხატვრული დონის თუ რომელიღაც ტრადიციის მიზეზით გზა ვერ გაუკვლევია ფართო ასპარეზზე გასასვლელად და კვლავ რჩება ზევსურულ, ფშაურ, ქართლურ, კახურ, იმერულ, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ, რაჭულ თუ სხვა კუთხურ მოვლენად. „მიჯაჭველი ამირანის“ შესავალში ამგვარ გმირებსა და ნაწარმოებებს ტომობრივი ვუწოდეთ და ეს კვალიფიკაცია ახლაც შეიძლება ძალაში დაეცოვით. ამასთანავე აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ტომობრივი და ეროვნულის ურთიერთობის მრავალნაირობა, ინტეგრაციის პროცესი და საერთო მოვლენათა გახშირება. ამიტომ მოცემულ მომენტში ამა თუ იმ სახალხო გმირის ან თხზულების გავრცელების არეალის სიფართოვე ან სივიწროვე არ წყვეტს საკითხს კოლექტიური ნაწარმოების კატეგორიის შესახებ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეროვნული ფოლკლორი მხოლოდ ტომობრივ საფუძველზე არ შენდება.

აქამდე ტერიტორიულ დიალექტებში მოქცეულ ზეპირშემოქმედებაზე ვლაპარაკობდი, მაგრამ როგორ უნდა განვიხილოთ საკითხი თვითმყოფი სვანური, მეგრული და ჭანურ-ლაზური ფოლკლორის შესახებ. სამივე ფოლკლორი ქართული ენის ღვიძლ ნათესავ სამ ენაზე არსებობს. საკითხავია, ენობრივი ნათესაობა ქმნის თუ არა ფოლკლორულ ნათესაობასა და მთლიანობას? ენობრივი და ფოლკლორული მასალა საფუძველს გვაძლევს დაბეჭითებით ვთქვათ, რომ ქართველურ ხალხებს შორის უმჭიდროესი ფოლკლორული ნათესაობა და მთლიანობა არსებობს. ტიპოლოგიურად და გენეტიკურად საკუთრივ ქართული, სვანური, მეგრული და ჭანურ-ლაზური ხალხური შემოქმედებანი მთლიანია და ერთ უმდიდრეს და უმშვენიერეს ფოლკლორს ჰქმნიან. ამრიგად, ქართულ ფოლკლორზე მსჯელობისას ვგულისხმობთ აგრეთვე ქართველურ ენებზე არსებულ ფოლკლორსაც, რადგან ერთის თვისება მეორის თვისებაცაა, მცირე ვარიაციულობისდა მიუხედავად. ერთიანობა და ნათესაობა მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმას არ ნიშნავს. სვანურ, მეგრულ და ჭანურ-ლაზურ ფოლკლორს სპეციფიკური თავისებურებანიც ახასიათებს განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, რომელთა გაუთვალისწინებლობა თვითონ ფოლკლორულ-შემოქმედებით პროცესზე შეგვიქმნიდა მრუდე წარმოდგენას. სპეციფიკურობას ტომობრივსა (ტერიტორიულ-დიალექ-

ტურ) და ენობრივ (როცა მონათესავე ენასთან გვაქვს საქმე) ფოლკლორთა შორის სხვადასხვა გარემოება იწვევს. პირველყოვლისა ამას ადგილობრივი ყოფა და კულტურული გარემოცვა ჰქმნის. სვანები, მეგრელები და ლაზები კოლხეთის ბუნებრივ და საზოგადოებრივ გარემოცვაში იმყოფებოდნენ. მათთვის ისტორიული კოლხეთის სოციალ-ეკონომიური პირობები იყო ნიშნული, რომელიც ბევრ რამეში განირჩეოდა იბერიულისგან. ამიტომ, დასავლეთ-ქართ-ველურ ჯგუფებს მხატვრულ აზროვნებაშიც ზოგ ისეთ საგანზე უნდა გაეცათ პასუხი, რაც იბერიელისთვის აუცილებელი არ იყო, და პირიქით. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ვითონ ყოველდღიური საურთიერთო ენა არ თამაშობდა უმნიშვნელო როლს მხატვრულ-ფოლკლორული თავისებურებების ჩამოყალიბებაში. ავიღოთ, თუნდაც ლექსის კულტურა. ლექსის ბუნებას, მის წყობასა და ბგერწერას აპირობებს სასაუბრო მეტყველების ფონეტიკური თავისებურებანი. სვანური ენის გრძელი და მოკლე ხმოვნები, განსხვავებული მახვილებით, ლექსისა და სიმღერის ერთიანობა, უძველესი თავიდანვე განასხვავებდა სვანურს სხვა კუთხეების ლექსისაგან. ამის გამო სვანურმა ლექსმა ნაწილობრივ ქართული ზალხური პროსოდიისგან განსხვავებული გზები და საშუალებებიც გამოიყენა.

სვანურ-მეგრულ-ლაზურთან შედარებით დღევანდელ ქართულ პოეზიასთან უფრო ახლო დგას, ვთქვათ, ფშავ-ხევსურული პოეზია, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც იმდენი თავისებურება გააჩნია, რომ საერთო ქართული ისტორიული პოეტიკა სპეციფიკურ ფშავ-ხევსურულ მონაცემთა გაუთვალისწინებლად ძნელად წარმოსადგენია. სახელდახელოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ლექსის შექმნისა და გავრცელების ტრადიციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ისე მდიდრად საქართველოს არცერთ კუთხეში არაა დამუშავებული, როგორც ხევსურეთში. აქ ლექსს ამბობენ, იტყვიან ან მისი თქმა იციან; ლექსის შემქმნელს მათქვამი, ან მოთქომი, მათქომი, მოთქვამი ჰქვია, ან კიდევ მთქმელი, მაუბარი, მალექსებელი, მალექსარი, მელექსე, მოლექსე, მეზაირე, მოზაირე, პოეტი, პოეტი-მათქვამი; ლექსს გამოთქვამენ, იციან მისი ჩამოთვლა, დათვლა, არსებობს გალექსება, მილექსება, თავისპირის ლექსი და სხვ. ზეპირად გავრცელების მიზნით სიმღერა შეიძლება დაუბარონ, ბოლო დროს მიწერაც არაიშვიათი გახდა წერა-კითხვის დაუფლების კვალობაზე.

ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება პოეტური ტრადიციის-
ნიმტიცესა და აქტიურობას მოწმობს, რაც ლექსიკონის შედგე-
ნისას არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ. ფოლკლორი არ
იქმნება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. მის ჩამოყალიბე-
ბაში დიდ როლს თამაშობს მთქმელ-შემსრულებელთა პროფესიუ-
ლი, წოდებრივი და კლასობრივი მდგომარეობა, მხატვრული შე-
საძლებლობანი, პოტენცია.

ცნობილია აგრეთვე სოფლისა და ქალაქის შემოქმედებითი
თავისებურებანი. ქალაქებში თავს იყრიან სხვადასხვა ტერიტო-
რიული დიალექტის ან ენის წარმომადგენლები, რომელთა შორის
გარკვეული ფოლკლორული ურთიერთობა მყარდება. სხვადასხვა
წარმოშობისა და გზებით მიმდინარე შემოქმედება აქ მოქალაქეთა
რეპერტუარში თანდათან მკვიდრდება, ერთმანეთს ერწყმის და
ნიველირდება. ადმინისტრაციულ, სავაჭრო და სამრეწველო ცენტ-
რებში (თბილისი, მცხეთა, გორი, ახალციხე, ცხინვალი; თელავი,
ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, სოხუმი, რუსთავი) ისტორი-
ულად თავისებური სიტყვიერება ყალიბდებოდა. ქალაქურ, შე-
დარებით კულტურულ, წრეებში წარმოქმნილი ნიმუშები შეერ-
თოდა ეროვნულ საუნჯეს, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომ რაი-
მე საგრძნობი კვალი დაემჩნია მასზე და მიმართულება შეეცვლე-
ვინებინა. მაგალითად, თბილისის ხელოსნობას, აშუღობასა და
ჯარაჩოხელობას, სპეციფიკური რეპერტუარისდა მიუხედავად,
რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ხალხურ ლექსზე
და სიმღერაზე, თუმცა აშუღურმა პოეზიამ ლიტერატურაში ერთ-
გვარი მიმბაძველობა წარმოშვა.

საერთოეროვნულ ფოლკლორზე მსჯელობისას მხედველობაში
უნდა მივიღოთ აგრეთვე განსხვავებულ სოციალურ ფენებში გავრ-
ცელებული ზეპირი ტრადიცია. გარკვევით შეიძლება ლაპარაკი მო-
წაფეთა, სტუდენტთა და მათ აღმზრდელთა ფოლკლორზე, ფაბრი-
კა-ქარხნებისა და მშენებლობათა მუშების სიტყვიერ და მუსიკა-
ლურ შემოქმედებაზე, თუმცა ამგვარი პროფესიული წვლილი არ
არის მაინც ხელშესახები, მაგრამ ფაქტზე მითითება კი აუცილე-
ბელია.

ზემოთ აღძრული კითხვები ფოლკლორის ლექსიკონის შედგე-
ნის საქმეს მეტნაკლებად ეხება და ამიტომაც, მათი გათვალისწი-
ნება წინდაწინვე სჯობია.

ფოლკლორისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული პროფილის ლექსიკონის შედგენის შესაძლებლობა არსებობს ჩვენში. თუ როგორ იქნა გამოყენებული პირველადი ჩანაფიქრი, ეს წინამდებარე კოლექტიური ნაშრომის გულწრფელმა მკითხველმა განსაჯოს.

მ ი ხ ე ი ლ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ო

აარნე, ანტი ამატუს (1867—1925) — ფინელი ფოლკლორისტი, ისტორიულ-გეოგრაფიული სკოლის (ნ.) ერთ-ერთი წარმომადგენელი. იულიუს და კარლ კრონების (ნ.) მოწაფე. შეადგინა და გამოსცა „ზლაპართა ტიპების საძიებელი“ (1910), რომელშიც პირველად იყო მოცემული ევროპული, ძირითადად სკანდინავური ზღაპრის სიუჟეტების, თემებისა და მოტივების კლასიფიკაციის ცდა. ა. ზლაპრები ოთხ ძირითად ჯგუფად გაყო: 1. ზლაპრები ცხოველების შესახებ, 2. საკუთრივ ზლაპრები, რომლებიც ჯადოსნური, ნოველისტური და ლეგენდარული ზლაპრების ქვეჯგუფებისგან შედგება, 3. ანეგდოტები, 4. ზლაპრები სულელი ე. შაკის შესახებ. მიუხედავად კლასიფიკაციის პირობითი ხასიათისა ეს შრომა საფუძვლად დაედო ზლაპრის საერთაშორისო კლასიფიკაციას. ამ მიმართულებით განაგრძეს მუშაობა ამერიკის (ვ. ტილ-ლე), სკანდინავიის ქვეყნების (რ. დ. ქრისტიანსენი, ვ. ანდერსონი), — რუსეთის (ნ. პ. ანდრეევი) (ნ.), ჩეხეთის (ბოლტე და პოლიეკა) (ნ.), საქართველოს (ელ. ვირსალაძე) და სხვა ქვეყნების მეცნიერებმა. ა.-ს მუშაობა განაგრძო და ფოლკლორის მოტივთა საერთაშორისო ინდექსი შეადგინა ამერიკელმა მკვლევარმა სტიტ ტომპსონმა. ა.-ს კალამს ეკუთვნის გამოკვლევები: „ზლაპრების შედარებითი შესწავლის საფუძველი“ (1913), „გამოცანების შედარებითი კვლევა“ (1918).

ლიტ.: A. Aarne, Verzeichnis des Märchentipen. 1910; The Types of The Folktale di A. Aarne, frad compl. da Stith Tompson. Folklore Fellows Communications, № 74. Helsinki, 1928; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946; გვ. 359; ელ. ვირსალაძე, ქართული ზღაპრების სიუჟეტების საძიებელი აარნე-ანდრეევის სისტემის მიხედვით. ნაკვ. I, ლიტ. ძიებანი, XIII, 1961.

ელ. ვირსალაძე

აბელი — ბიბლიური გადმოცემის მიხედვით ადამიანთა თავდაპირველი წინაპრების ადამისა და ევას უმცროსი შვილი. მისდევდა მესაქონლეობას. მისი უფროსი ძმა კაენი მიწათმოქმედი იყო. შურის ნიადაგზე კაენმა აბელი მოკლა, რითაც დასაბამი მიეცა სიკვდილსა და ბოროტებას.

აბესალომი — აბესალომისა და ეთერის თქმულების (ნ.) ანუ ეთერიანის მთავარი გმირი. ა. უმაღლესი ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელია, რაინდი და რჩეულთა შორის რჩეული, ტახტის მემკვიდრე. ა. მოხიბლულია ეთერის სიტურფით. მურმანს არ ძალუძს შეაძულოს მას ეთერი, ვერც მეფე ახერხებს ხელი ააღებინოს განზრახვაზე — გლეხის მშვენიერი ასული მოიყვანოს სადედოფლოდ. უსაზღვროდ გამიჯნურებული ა. იღუპება, მაგრამ სიკვდილსაც არ შეუძლია სიყვარულის მოსპობა. თუ მიჯნურობის გრძნობის მატარებელ გმირთა შორის ლიტერატურიდან პირველად „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელს დავასახელებთ, ხალხურ ეპოსში ა. გარეშე სიყვარულის თემაზე საუბარი შეუძლებელია.

ლიტ.: ვ. ბარნოვი, თხზ., X ტ. 1964; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956. მ. ჩიქოვანი.

აბესალომისა და ეთერის თქმულება — ქართული სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსის კლასიკური ნიმუში, რომელსაც შემოკლებით „ეთერიანს“ უწოდებენ. აბესალომისა და ეთერის თქმულებას ჩვენს ეროვნულ ეპოსში მეორე ადგილი უჭირავს ამირანიანის შემდეგ. თქმულება ფართო ეპიკურ ტილოს წარმოადგენს, რომელშიც მაღალი ხელოვნებითაა ასახული მარადიული სიყვარულით გამსჭვალული ქალ-ვაჟის ტრაგიკული ბედი, სოციალურ ძალთა ჭიდილი და ხალხის კოლექტიური შემოქმედების ესთეტიკური იდეალი, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. თქმულების პირველი გამოცემა 1875 წელს დაიბეჭდა. ეს შერწყმული, ე. ი. სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი ვარიანტების შეერთების საფუძველზე მიღებული რედაქციაა. ეპიკურ ლექს-სიმღერათა ამგვარ გამოთიანებას, შერწყმულ რედაქციათა შექმნის მეთოდს მე-19 საუკუნეში, და უფრო ადრეც, ხშირად მიმართავდნენ ევროპაში (მაგ., „კალევალა“). პ. უმიკაშვილი ამ შემთხვევაში მის დროს გავრცელებული ფოლკლორისტული შეხედულებებითა და მეთოდებით სარგებლობდა. შემკრებისა და შემდგენელის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ეს ეთერიანი შედგენილია სახალხო ლექსებისა და პირად ნათქვამისაგან, რომელნიც დარჩენილან დღევანდლამდე საქართველოს ყველა ნაწილებში. ზემომოხსენებული ლექსები და პირადნათქვამობანი (რიცხვით ცამეტი) ეკუთვნის შემდეგ ადგილებს: ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამცხეს (ახალციხის მაზრა), ხევსურეთს, ხევს (თერგის ხეობა) და ქალაქ მოზდოკს 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა პირველი წმინდა: ხალხუ-

რი ტექსტი ფშაური ვარიანტის სახით. „ივერიის“ რადაქცია საგანგებოდ იტყობინებოდა: „აბესალომ და ეთერის“ ამბავი ქართველი ხალხის მრავალ თაობაშია გავრცელებული... დღევანდლამდე საკუთრად რომელსაღმე თემის განსაკუთრებით გამოხატვითა. დუხელოვნოდ, ხელშეუხებლად ჩაწერილი არ დაბეჭდილა. ეხლა ეს ფშაური ეთერის ამბავი პირველი ნიმუშია შექლებისამებრ ხელშეუხებლად ჩაწერილი“ (ივ., № 274, 1888). ამ განცხადებებით ნათლად ჩანს, რა მდგომარეობაში იყო ა. და ე. თქმულების შეკრებისა და გამოცემის საქმე მე-19 საუკუნეში. დიდხანს, 1954 წლამდე, ეთერიანის სრული კორპუსი არ არსებობდა. ახლამკვლევრის განკარგულებაში 60-ზე მეტი ვარიანტია, შეკრებილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დას. და სამხ. საქართველოში. დაზუსტებულია სიუჟეტის გავრცელების არეალი; ქართული ენის გარდა იგი გვხვდება სვანურ, მეგრულ და ლაზურ ენებზე. ა. და ე. თქმულებაში ფართოდ არის წარმოსახული პატრონყმური ურთიერთობა, ფეოდალური იერარქია. მურმანს, აბესალომის ყმას, საკუთარი სამფლობელო და შეუვალი ციხე-კოშკი აქვს, რომელშიც შესვლა პატრონის სურვილის გარეშე მეფისშვილ აბესალომსაც არ შეუძლია.

შენც გინახავს ბროლის ციხე როვორ ცამდი მაღალია,
შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია...

თქმულება დიდი ხნით წინ უსწრებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და მისი იდეალური გმირი ქალების სახეთა შთამაგონებლის როლსაც თამაშობს. დღევანდელი ხალხური რედაქცია ძირითადად მე-10-11 საუკუნეებშია ჩამოყალიბებული. თავის მხრივ ა. და ე. თქმულება უფრო ძველი სიუჟეტის გადამუშავების გზითაა შექმნილი; მას საფუძვლად უდევს ზღაპრულ ეპოსში ფართოდ გავრცელებული გერ-დედინაცვლის თავგადასავალი, რომელმაც შემდეგში სამიჯნურო ეპოსის ყველა თვისება შეიძინა.

ა. თქმულებაში დაუფიწყარ გმირთა პლეადა მოქმედებს. ამათგან სამი უთუოდ საკაცობრიო მნიშვნელობის სახეა: მარადიული სიყვარულით შეპყრობილი მეფის შვილი აბესალომი (ნ.), იდეალური მშრომელი ქალი მზეთუნახავი ეთერი (ნ.) და ეშმაკზე სულის მიმყიდველი მურმანი (ნ.), რომლის ჩარევითაც სამიჯნურო თავგადასავალს ტრაგიკული ფორმა ეძლევა. ამათ გარდა კოლორიტულადაა დახატული ეთერის მშობლები, ავი დედინაცვალი, აბესალომის მშობლები და დები, კეთილი დედაბერი და ავსული — მურ-

მანის გულის მესაიდუმლე. მძაფრი სიუჟეტური ამბავი, დახვეწილი ეპიკური სახეები და მდიდარი პოეტური ენა — აი რა ახასიათებს ამ მრავალსაუკუნოვან ხალხურ რომანს.

ა. და ე. თქმულებაში ქართველმა ხალხმა ფართოდ გადმოშალა თავისი ესთეტიკური შეხედულებანი. სიყვარული უკვდავიც მას სამეფო ციხე-სიმაგრეთა დაპყრობაც შეუძლია. გლეხის მშვენიერ ასულზე გამიჯნურებულმა აბესალომმა დაარღვია სამეფო კარის მტკიცე ტრადიცია და სადედოფლოდ მწყემსი ქალი მოიყვანა, ხოლო მიჯნურის უკიდურეს განსაცდელში ყოფნის გამო ეთერმა დასტოვა მურმანის ბროლის კოშკი, მომაკვდავ აბესალომს ეწვია და სულთმობრძაეის გვერდით გული განიგმირა. აბესალომი და ეთერი ერთად დამარხეს; მათ საფლავზე ია და ვარდი ამოვიდა და ერთმანეთისკენ იხრებოდნენ. ბოროტმა მურმანმა აქაც დაარღვია მათი მყუდროება. მიჯნურთა შორის სამარე გაითხარა და ცოცხლად დაიმარხა. მურმანის საფლავზე ნარი ამოვიდა, იასა და ვარდს შუა ჩადგა. კოლექტიურმა შემოქმედმა ამ უმძაფრეს ფინალს თავისი ჰუმანური განაჩენი გამოუტანა. ქართლურ ერთ პროზაულ ვარიანტში ვკითხულობთ: „მეორე დღე რო გათენდა, გამოსულან მეძროხეები და უნახავთ, რო აბესალომს და ეთერს შუა დიდი ნარია ამოსული. მისულან და სკრიან: ვერა და ვერ მოუშორებიათ, შაუტყობინებიათ უბნისათვის... გასულა ხალხი ბლომათა. ამოუწევნიათ ამ ნარისათვის. ამოუგდიათ მურმანი, დაუჭრიათ, დაუკუწვიათ, გადაუყრიათ ძაღლებისათვის. აბესალომის და ეთერის სასაფლაო დარჩენილა თავისუფლათა, ოქროს წყლითა, გადაფურჩქვნილი ვარდითა“. ამნაირად გადმოსცა მხატვრულ სახეებში ხალხმა ის ფილოსოფიური სიბრძნე, რომელიც შოთა რუსთველს ასე აქვს ჩამოყალიბებული: ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია.

ა. და ე. თქმულება მსოფლიო ნაწარმოებთა წყებას მიეკუთვნება. მას სიუჟეტური ახლოგიები მოეპოვება შუა საუკუნეების ფილოსოფიისა და ლიტერატურაში. ამ მხრივ დასავლეთიდან ყურადღებას იქცევს კელტურ ფოლკლორულ თქმულებებზე აღმოცენებული ფრანგული „ტრისტან და იზოლდას“ რაინდული რომანი, ხოლო აღმოსავლეთიდან — ასევე ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებული სამიჯნურო ნაწარმოები „ვის ო რამინ“, ქართულად რომ „ვისრამიანის“ სახელით არის ცნობილი. ირკვევა, ქართული ხალხური რომანი მეტ სიუჟეტურ და დედურ სიახლოვეს იჩენს შო-

რეულ ფრანგულ თხზულებასთან, ვიდრე უფრო ახლო და კულტურულად ნაცნობი ქვეყნის — ირანის ლიტერატურულ ძეგლთან, ქართულ ენაზე მე-12 საუკუნიდან რომაა მოღწეული ზედმიწევნითი თარგმანის სახით. ამ შეხვედრებს ტიპოლოგიურ-სტადიური ხასიათი აქვს.

ეთერიანის ძირითადი ფორმა პროზაულია, გვხვდება ლექსნარევი და ლექსითი ვარიანტებიც. ა. და ე. ლექსი შაირის ზომისაა, ხშირად იმღერება და დიალოგური ფორმით სრულდება.

აბესალომისა და ეთერის თქმულებამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ახალი ქართული ხელოვნების განვითარებას. პოეზიაში გამოჩნდა ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“, მუსიკაში — ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ფერწერაში — ლ. გუდიანშვილისა და ი. თოიძის ნახატები, ხოლო ეკრანზე რომანტიკული კინოსურათები.

ლიტ.: ეთერიანი, შედგენილი პ. უმიკაშვილის მიერ, 1875; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1964; ეთერიანი, მ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით. ხალხური სიტყვიერება, ტ. 4, 1954; ქ. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956; მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966; თ. ქურდოვანიძე, ეთერიანის ეპოსის მხატვრული სახეები, მაგნე, № 1, 1967; M. Chikovani, On the Problem of Typological Similarities between Three Mediaeval Novels «Tristram and Isolde», «Abessalom and Eteri» and «Vis and Ramin». M., 1968; იგივე, Proceedings VIII-th International Congress of Anthropological and Ethnological Sciences, II, 1968, Tokyo and Kyoto.

მ. ჩიქოვანი

აბრაში — 1. მამა მრავალთა, ბიბლიურ-მითიური პერსონაჟი. ცხოვრობდა ქანაანში. ღრმად მოხუცებულობაში შეეძინა ვაჟი. დაარქვეს ისაკი (ებრ. სიცილი). ღმერთმა შვილის მსხვერპლად შეწირვა მოითხოვა. ა. პირობა შეასრულა. მსხვერპლის შეწირვის ჟამს ციდან ჩამოეშვა ბატკანი, რომელიც ისაკის ნაცვლად იქნა დაკლული. ა. დიდხანს იცოცხლა და განდა მრავალრიცხოვანი ოჯახის მამამთავარი.

2. ხალხური სასულიერო ლექსის „აბრამიანის“ პერსონაჟი.

ლიტ.: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, 1964.

ვ. მაკაბერიძე

აბრამიანი — 1. ბიბლიურ სიუჟეტზე აღმოცენებული ხალხური ლექსი. ა. დიდი ადგილი ეკირა მესტვირეთა რეპერტუარში. ვარიანტების უმრავლესობა შეიცავს ორ ძირითად ეპიზოდს: აბრამის უშვილობასა და ისაკის მსხვერპლად შეწირვას. ა. უძველესი

ხელნაწერი დათარიღებულია 1831 წ. პირველად გამოიცა 1874 წ., უფრო სრულია 1898 წ. გამოცემა. 2. საახალწლო ტაბლა, თავ-ლითა და შაქრით შეზავებული, ღვინოში ჩამბალი პური.

ლიტ.: მერკვილაძე ს., ხალხური აბრამისა და იობის ლექსი. თბ., 1898; ხა-ხანაშვილი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან XVIII სა-უკ. გააუღამდე), თბ., 1904, 1913, 1919; ცანავა ა., სასულიერო ლექსები. ქართუ-ლი ხალხური პოეტური შემოქმედება, 11, თბ., 1968.

ვ. მაყაბერიძე.

აბრსკილი — ამირანიანის აფხაზური ვერსიის ძირითადი გმი-რი. გადმოცემით, ა. მიჯაჭვეულია ჭილოუს გამოქვაბულში, რომე-ლიც დღევანდელ ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს. ა. ებრძვის სამშობლოს მტრებს, ავი თვალის ადამიანებსა და მავნე მცენარეებს (გვიმრა). ღმერთს ქედს არ უხრის. ორ ხეს შორის გახლართული ვაზის ქვეშ გავლას ერიდება, თუ თავის დახრაა საჭირო: ღმერთს ეგონება, თაყვანს მცემსო. ღმერთმა, ანგელოზების მეშვეობით, ა. გამოქვაბულში რკინის პალოზე დააბა. ა. პალოს არხევს, მაგ-რამ ბოლოქანქარა ჩიტი ატყუილებს; ა. უროს დარტყმით რკინის კეტს კვლავ მიწაში არკობს. ა. ცოდვებს არ ინანიებს, რის გამო მარად მიჯაჭვეული რჩება.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვეული ამირანი, 1947; მისივე, ქართული ეპოსი, I, II; თბ., 1959—65; III. Салакая, Абхазский нар. героич. эпос, Тб., 1966; X. Бгажба, Об абхазском гер. эпосе. Сб. «Вопросы изучения эпоса народов СССР». 1958.

მ. ჩიქოვანი.

აბუღელაურის ტბა — მთის ტბა, მდებარეობს ხევსურეთში, ქმოსტ-როშკის თემში 2100 მეტრის სიმაღლეზე. ივსება ჭაუხის მყინვარებიდან ჩამონადენი წყლით. წლის დროთა მიხედვით ფერს იცვლის და ადგილობრივი მცხოვრებლები ა. ტ. მითიურ-ჯადოს-ნურ ამბებს მოუთხრობენ.

ა. ტბა განსაკუთრებით მჭიდროდაა დაკავშირებული იაქსარის მითთან. გადმოცემით ა. ტბას თავი შეაფარა იაქსარის მიერ დამარ-ცხებულმა დევმა. იაქსარი დევს თან ჩაჰყვა, მაგრამ დევის სისხლ-მა წყალი შეადედა და იაქსარმა ტბიდან ამოსვლა პის შემდეგ შეძლო, რაც ა. ტბაში ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი ჩაქლეს.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეზია, I, მ. ჩიქოვანის რედ., 1972; თ. ოჩაიური, მითოლოგიური გადმოცემები, 1967.

დ. გოგოჭური

აგუნა — მევენახეობა-მელვინეობის მფარველი ღვთაება ქართულ წარმართულ პანთეონში. ა. კვალი ხალხურ წეს-წვეულებებში გვიანობამდე შემორჩა. გურულები საახალწლოდ აცხობდნენ კვერებს, რომლებსაც „აგუნას პური“ ეწოდებოდა. ოჯახის უფროსი ახალი წლის დილას გადიოდა ზვარში, ვენახს კალანდას მიულოცავდა, აგუნას პურს გატეხდა და ვაზის რქაზე ჩამოკიდებდა.

ახალი წლის მეკვლეს ნასადილევს ვენახში მიჰქონდა აგუნას პური და საკალანდო ღორის მოხარშული თავი. იგი ღორის თავზე ჯოხს უბაგუნებდა და იძახდა: „აგუნა, აგუნა, შემეიარე; ბახუას კარებთან გეიარე! ჩვენს ვენახში ასეთი (ხელში ბავშვს აიყვანდა) მტევანი, სხვის მამულში ნაფოტი და ფურცელი“. რაჭასა და ლეჩხუმში აგუნა ანგურად იწოდებოდა.

ლიტ.: ე. ბარდაველიძე, „აგუნა-ანგურა“, ძეგლის მეგობარი, № 16, 1969; Т. Мамаладзе, Народные обычаи и поверья гурнийцев, СМОМПК, вып. XVII, отд. II, გვ. 33; ი. მეგრელიძე, ე. Bedi Kartlisa, Revue de kartvelologie, ტ. XIX—XX (№ 48—49), პარიზი, 1965, გვ. 108.

ნ. შამანაძე

აღამი — ბიბლიური ლეგენდით ადამიანთა მოდგმის პირველი წინაპარი. ა. ღმერთმა თიხისაგან შექმნა, „ხატად და მსგავსად თვისად“. ედემის ბაღში დააბინავა და შემდეგნაირად აკურთხა: აღორძინდით და გამრავლდით, აღავსეთ დედამიწა და დაეუფლენით მას. დაე მბრძანებლობდეთ და ბატონობდეთ ზღვისა და ცის ბინადრებზე, ყოველ პირუტყვზე და ქვეწარმავალზე. ადამის ლეგენდამ ასახვა ჰპოვა ქართულ ფოლკლორში.

ლიტ.: პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., 1, 1964; З. Косидовский, Библейские сказания, 1968, გვ. 25.

ნ. შამანაძე

ადგილის დედა — წარმართული პანთეონის მითოლოგიური პერსონაჟი, გარკვეული ადგილის, გეოგრაფიული გარემოს, უპირატესად, სამეურნეოდ სავარგული ფართობის მფარველი. ა. დ. ადგილის პატრონია. იგი მეურვეობს სოფელსა და მის მიდამოს, საქონელსა და მოსავალს. ა. დ. კეთილი და ადამიანთა შემწეა, მაგრამ ზოგჯერ მრისხანეცაა ადამიანთა მიმართ, თუ ისინი რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ზუსტად ვერ იცავენ. ასეთ შემთხვევაში ა. დ. ადამიანისათვის ზოანი მოაქვს: ასნეულებს საქონელს, მოსავალს აჩანაგებს. ა. დ. უახლოვდება მინდვრისა და ყვავილების მფარველის მინდორთ ქალოს სახესაც. ზოგჯერ მას სახლის ფუძის ან-

გელოზად მიიჩნევენ. ა. დ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში) თაყვანს სცემენ, სანთლებს უნთებენ. სოფ. ბუჩუკურთაში დაცულია ა. დ. ხატიც, მას გარკვეულ დღეებში დღესასწაულს უმართავენ, კვერებით, აშალით უმასპინძლებიან.

ლიტ.: ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1928; ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941.

ფ. ზანდუელი

აფი — ძველ ბერძენთა სახალხო მომღერალი. აედები მღეროდნენ სიმებიანი საკრავის (ლირის) აკომპანემენტზე. მათ რეპერტუარში დიდი ადგილი ეკირა იმპროვიზაციას, ადიდებდნენ უმთავრესად ღმერთებსა და გმირებს. აედები მოხსენიებულია ჰომეროსის პოემებში. ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება აედონი ოქროპირის მნიშვნელობით: „ხოლო ოქრო(ა) აედონი ეკლესიისა[ჲ] პავლე კმობს“.

ლიტ.: ს. ყუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, 1946.

გ. ბარნოვი

ავგაროზი — გულზე ჩამოსაკიდი რაიმე ნივთი ან შელოცვებით (ნ.) დაწერილი ქალაღი; ცრუმორწმუნეთა წარმოდგენით ადამიანებს იცავდა ავი სულებისა და ბოროტი ძალებისგან. საგმირო ეპოსის პერსონაჟები ა. ატარებენ როგორც გამოსაცნობი-შანს (როსტომი).

ვ. მაყაბერიძე

„ავთანდილ გადინადირა“ — გავრცელებული საფერხულო სიმღერა, რომელსაც დასრულებული ბალადის სახე აქვს. მოეპოება პარალელი რუსთაველთან, მაგრამ მწიგნობრული გზით არაა შექმნილი. უძველესი ჩანაწერი გვხვდება „ე—ტ“ 1688 წლის წიგნში, შემდეგ „კალმასობაში“; 13 ვარიანტი დაცულია პ. უმიკაშვილის კოლექციაში (ფ. არქ. უ. 490).

ლიტ.: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1964, გვ. 271, 330, 361; შ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966, გვ. 74—78; ქს. სიხარულიძე, ვეფხისტყაოსანი და ქართ. ხალხ. საგმ. პოეზია. „შოთა რუსთაველს“. საიუბ. კრ., 1966, გვ. 184—87. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1, 1970, გვ. 159—160.

მ. ჩიქოვანი

ავთანდილის 'საქანი — ტოპონიმი, ადგილი, რომელიც ფშავის არაგვის ხეობაში არსებობს „კოპალას ქვის“ მოპირდაპირე მხა-

რეზე. ავთანდილი იმ დღევის ძმა იყო, ვინც კოპალას ქვა მოიპარა; კოპალამ ნადირობიდან დაბრუნებული ავთანდილი მოკლა. მთიდან დაგორებულმა უზარმაზარმა დევმა ღრმა ხევი ჩამოკვალაო. ასე დაერქვა ამ ადგილს. „ავთანდილის საქანი“, გასაქანებული, დასაგორებელი.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ. IX, 1964, გვ. 78; ქართული ხალხური პოეზია, 1, მითოლოგიური ლექსები, 1972.

მ. ჩიქოვანი

ავტორმთქმელი — ქართულ ფოლკლორისტიკაში შემოღებული ტერმინი. აღნიშნავს ფოლკლორულ ნაწარმოებთა შემსრულებელს, მთქმელს, რომელსაც ამავე დროს საკუთარი ინდივიდუალური რეპერტუარი გააჩნია. ა. მიერ გამოთქმული ტექსტი ანონიმური არ არის, მაგრამ შექმნილია ფოლკლორული ტრადიციის საფუძველზე და განსაზღვრულია ზეპირსიტყვიერების სპეციფიკით. ა. ინდივიდუალური პოეტის უშუალო წინამორბედი.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი. ქართული ფოლკლორი, 1946; ელ. ვირსალაძე. დიდ სამამულო ომის ასახვა ქართულ საბჭოთა ფოლკლორში, ლიტ. ძიებანი. VI, 1950, თბ., გვ. 80—81.

ელ. ვირსალაძე

აიეტი. — „არგონავტების თქმულების“ (ნ.) პერსონაჟი. ძველი ბერძნული გადმოცემების მიხედვით აიეტი იყო კოლხეთის მეფე, მითიურ მედეას (ნ.) მამა.

ლიტ.: ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964.

მ. ჩიქოვანი

„აკაკის კრებული“ — ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი. რედაქტორ-გამომცემელი აკაკი წერეთელი, 1897—1900 წლები, ტფილისი-ქუთაისი. პირველი ნომერი 1897 წლის სექტემბერში გამოვიდა, უკანასკნელი — 1900 წლის აპრილში. პირველსავე კრებულში გამოქვეყნდა წერილი „ზეპირსიტყვიერების გამო“, სადაც აკაკი აღნიშნავს, რომ არც ერთი საქმე ისე საშური არ არის; როგორც „ზეპირგადმოცემების შეკრება-შეგროვება“. ამავე წერილში აკაკი იმედოვნებს: „შემდეგში კი, თუ საქმე კარგად წავიდა... ყოველ მაზრაში გვეყოლება თითო კაცი. ახლა კი ჭერჭერობით ყველას ვთხოვთ, რომ ვინც რითაც შეიძლოს, ამ დიდ საქმეში დახმარებას და შემწეობას ნუ მოგვაკლებს“. ფოლკლორულ ნიმუშებს გარდა „კრებულში“ იბეჭდებოდა წერილები ხალხური სიტყვიერების შესახებ. „კრებულისათვის“ ხალ-

ხური მასალების მიწოდებაში მონაწილეობდნენ კ. გვარამაძე, ნ. ჯანაშია, ზ. ჭიჭინაძე, ს. მერკვილაძე, ს. ქვარიაანი, გრ. აფშინაშვილი, ნ. მაღალდაძე, ალ. მაჩაბელი, გ. შატბერაშვილი, ვ. ლალიაშვილი, ვიქ. ებანოიძე, ბ. როსტომაშვილი, ნ. სტურუა, ზ. ჩხიკვაძე, ნ. ქავთარაძე, ნ. მაჟავარიანი, ს. გაჩეჩილაძე, ივ. ჭიჭინაძე.

გ. ბარნოვი

აკაკის ნაკვესები — აკაკი წერეთლის მახვილსიტყვაობის ნიმუშები. მოკლე მოცულობის ამბებია. მაჩვენებელია დიდი მგოსნის იუმორის საოცარი გრძნობისა. ა. ნ. ანეგლოტის ხასიათის და ფორმისაა. ა. ნ. გარკვეული ნაწილი მომხდარი ფაქტის გადმოცენაა. ერთი ნაწილი მგოსნის ნათქვამებია, მეორე ნაწილი კი მგოსანზე ხალხის მიერ შექმნილი ამბები. ცალკე წიგნადაც რამდენჯერმე გამოიცა. ა. ნ. სახით ხშირად იბეჭდება მგოსნის მიერ ხალხში გაგონილი იუმორული ამბები და ანეგლოტები.

ლიტ.: აკაკი, ნაკვესები, თბილისი, 1960.

ქ. სიხარულიძე

აკვნის სიმღერა — ბავშვის დასაძინებელი ლექსი-სიმღერა, აკვანთან შესასრულებელი დედის ან ძიძის მიერ. მისი ძირითადი დანიშნულებაა აკვნის რწვევის რიტმსაყოლებულმა ნაზმა და მონოტონურმა მელოდიათა ბავშვს მოჰგვაროს ძილი და სიმშვიდე. ასეთი სიმღერებისათვის ნიშნეულია პოეტური ტექსტისა და მუსიკალური ენის ერთობლიობა. ა. ს. „ნანას“ ან „ნანიანას“ უწოდებენ. იგი კარგად გადმოსცემს დედის შინაგან სამყაროს, მდიდარ ფანტაზიას, დაკავშირებულს ბავშვის მომავალთან. „ნანას“ ანუ „ნანიანას“ ხშირად „იავნანასთან“ (ნ.) აიგივებენ, რაც ორივესთვის დამახასიათებელი ზოგიერთი საერთო ნიშნის არსებობითაა გამოწვეული. „ნანაც“ და „იავნანაც“ ბავშვისათვისაა გამიზნული, ორივე სიმღერით სრულდება, ორივე მხოლოდ ქალთა რეპერტუარის ნიმუშია და, ხშირ შემთხვევებში, მათი რეფრენებიც ერთნაირია. ა. ს. მკვეთრად ემიჯნებიან საწესო სიმღერა-საგალობელ „იავნანას“, რომლის ფუნქცია, მელოდიაური მხარე და სიტყვიერი მასალა დასაძინებელ ლექს-სიმღერებისგან განსხვავებულია.

ყრმათა დასაძინებელი სიმღერები ორ ნაწილად იყოფა. პირველში გამოხატულია ძირითადად დედის საერთო განცდები, გრძნობები, სურვილები და მისწრაფებები, დაქვემდებარებული ბავშვის ინტერესებისადმი. მეორე, უფრო მცირე ნაწილი, მო-

ზარდთა სამყაროს გამოხატავს. ამ უკანასკნელთა საყვარელი სახე-
ებია ცხოველები და ფრინველები.

ა. სიმღერები ფორმა-შინაარსის მრავალფეროვნებით ხასიათ-
დება, საისტორიო თემატიკაზე აგებულ დასაძინებელ ლექსებში
პატრიოტიზმის ძლიერი გრძნობა იჩენს თავს:

ნანა, შვილო, შამოგველე,
მტრის გულზე ფეხით შემდგარო,
ნანა, ნანა, ნანინანა,
დედის ლულუნა ქედანო,
ნანა, ნანა, შვილო, ნანა.

დედა შვილს აკვანშივე მოუწოდებდა ვაჟაკობისა და გმირო-
ბისაკენ:

ეს აკვანი ვაზისაო, ნანინა,
შიგა მწოლი ვარდისაო, ნანინა,
ეს აკვანი ხაჩატული, ნანინა,
შიგა მწოლი ჩახატული, ნანინა,
გაიზრდეზი, გაეთდეზი, ნანინა,
მკლავი გაგიმავრდეზაო, ნანინა,
საშობლოს მტერს დაამარცხებ. ნანინა,
ვერვინ გავიმკლავდეზაო, ნანინა.

საგმირო-საუაჯაკო მოტივზე აგებული სააკვნო ლექსებიდან
ზაყურადღებოა „ინგილოური ნანინა“. საინტერესოა აგრეთვე მეგ-
რული „ნანინა“, რომელშიც ლირიკული ფერებითაა გამოხატუ-
ლი გლახისა და თავადის ურთიერთობა.

მოგვიანო პერიოდში შექმნილ სააკვნო ლექსებში იგრძნობა
ზავშვის დამშვიდებელი სუნთქვა და გულისცემა, რაც პოეტურად,
აწმყო ცხოვრების მშვიდობიანი მდგომარეობით არის განსაზღვ-
რული. აქ დედები ბავშვებს იმედიანად ესაუბრებიან:

... ახლა დროი შეიცვალა,
სხვა დროი დადგაო,
მამ, გულმშვიდად დაიძინე,
ნანა, ნანინაო.

სააკვნო პოეზიაში ხშირად იჩენს თავს ლირიკული, საყოფაცხოვ-
რებო, სატრფიალო მოტივები. გვხვდება როგორც ორტაეპიანი,
ისე ოთხტაეპიანი და უფრო დიდი მოცულობის ლექსები ჩამოყა-
ლიბებული რითმით, გამოკვეთილი რეფრენით და სხვა მხატვრუ-
ლი კომპონენტებით. მაღალმხატვრული პოეტური ხერხები (შედა-

რება, ეპითეტი, გაპიროვნება, პარაფრაზი...) შინაარსობლივად მდიდარ აკენის სიმღერებს ფორმის მხრივაც სრულქმნილს ხდიან.

არსებობს როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული ა. სიმღერები. ხშირია იმპროვიზაცია. ნანას ლექსი უმთავრესად რვა მარცვლიანია.

ლიტ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, 1936; ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, 1939; შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, 1954; ა. ლენინაშვილი, ნარკვევები საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, 1962; ფ. ზანდუკელი, ქართული აკენის ლექს-სიმღერები, „მაცნე“, № 2, 1964; თ. შამალაძე, ქართული აკენის ნანა, საქ. ეთნოგრაფიის საკითხები, 1968.

ფ. ზანდუკელი

აკინი — სახალხო მომღერალ-იმპროვიზატორი ყაზახეთსა და ყირგიზეთში. ა. სიმებიანი საკრავის აკომპანემენტის თანხლებით ასრულებს ხალხურ სიმღერებს. ახასიათებთ იშვიათი მენსიერება, იმპროვიზაცია, მანვილგონიერება და არტისტიზმი. ამჟამად აკინთა სიმღერების მთავარი თემა დღევანდლობა, სოციალისტური შშენებლობაა. აკინების პოპულარული წარმომადგენელი იყო ჯამბული (1846—1945), რომელმაც გულმხურვალედ უმღერა საბჭოთა ეპოქას.

ლიტ.: М. Ауэзов, Л. Соболев, Эпос и фольклор казахского народа, 1939; М. Симченко, Н. Смирнов, Акын, 1946.

გ. ბარნოვი

აკომპანემენტი — (თანხლება) — სასიმღერო ნაწარმოების შესრულების ერთ-ერთი კომპონენტი. ა. ფოლკლორში ფართოდაა გავრცელებული. ხორციელდება როგორც ინსტრუმენტების, ასევე მომღერალთა ხმის აყოლების საშუალებით. ა.-თვის გამოიყენება ფანდური, ჩონგური, სტვირი და სხვა საკრავი.

ა. ამდღებს ფოლკლორული ნაწარმოების მხატვრულ დონეს, ემოციურობას, აღრმავენს მის შინაარსს.

ქ. ბარდაველიძე

ალბუთაშვილი გიორგი (ბუთლა) გიორგის ძე (1861—1958) — ფშაური ლექსის ოსტატი და ავტორმთქმელი. დაბადებულია თიანეთის რაიონის სოფ. ჩაბანოში. ახალგაზრდობაში დაახლოებული იყო და ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მოლექსეებთან: დიმიტრი ქსნელიშვილთან, ნადირა ქუმსიაშვილთან, ვაჟიკა ხიზანიშვილთან და სხვ. პირადად იცნობდა ვაჟა-ფშაველასა და რ. ერისთავს. მის მრავალფეროვან რეპერტუარში ტრადიციულ ლექს-სიმ-

ღერებთან ერთად დიდი ადგილი უჭირავს საკუთარ ლექსებსა და კაფიებს, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული.

ლიტ.: სახალხო მთქმელები, I, 1956, გვ. 140—153.

ვ. მაცაბერიძე

ალექსიანი — ანუ „ცხოვრება ალექსისა, კაცი ღმერთისა“, გავრცელებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია. ქართულ ენაზე უთარგმნიათ არა უგვიანეს X საუკ. ა. ქართული რედაქცია გაულექსავს იოსებ თბილელს (სააკაძეს). გადამუშავებული ა. ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით. XIX საუკ. 70-იანი წლებიდან შევიდა სახალხო წიგნების სერიაში. პირველი გამოცემა განხორციელდა 1873 წ., რამაც ხელი შეუწყო ზეპირსიტყვიერებაში მის გადასვლას.

ლიტ.: ალექსიანი, თბ., 1873; უმიკაშვილი პ., შენიშვნა ალექსიანზე, „ხალხური სიტყვიერება“, IV, თბ., 1964.

ვ. მაცაბერიძე

ალილო — ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებული სიმღერა-წარმოშობით უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ახალწლის კალენდარულ ჩვეულებათა წრისა. მეალილოენი კარდაკარ დადიან, თითოეულ ოჯახს მიულოცავენ და საჩუქრებს კრეფენ ფულის ან ნატურის სახით. საალილოო ლექსები არც თუ ბევრია, მათ შორის ყველაზე პოპულარული არის:

ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო, ალილო!

ღმერთმა ყველას გაგითენოს. შობა-ახალწელიწადი, ალილო!

ჩიტი ღობეზე შემოჭდა, იძახდა ქიშმამობასა, ალილო!

ღმერთმა მრავალ დღეს დაგასწროთ ახალ წელს, ქრისტეს შობასა, ალილო!

მეალილოენი (ნ.) ადგილობრივნიც იყვნენ და მოსულნიც. ზოგჯერ ქართლ-კახეთში იმერეთიდან გადმოდიოდნენ ა. მომღერლები.

ლიტ.: ალ. ორბელიანი, ნაწერი, 1879, გვ. 225; მ. ჩიქოვანი, ქართული-ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 263; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960, გვ. 238; ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, ქს. სიხარულიძის შედგენილი, I, 1956, გვ. 54.

მ. ჩიქოვანი

ალილოობა — ალილოს ჩვეულების შესრულება, საალილოოდ წასვლის დრო, შობის წინაღღე — 24 დეკემბერი (ძვ. სტ.).

ქ. სიხარულიძე

ალიტერაცია — ერთნაირი თანხმოვნების განმეორება სიტყვაში, ფრაზაში, სტრიქონში, სტროფში. განსაკუთრებით გავ-

ზეცელებულია 'ხალხურ ლექსებში, ანდაზებში, გამოცანებში, ე. წ. „ენის გასატეხში“.

„შავს კლდესა შავი ყორანი

ჩავა და ჩაეჟანება. . .“

„არზრუმს არ ეყოფილვარ, აზრით კი ვიცი“;

„აჭიჯარი, ბაჭიჯარი, ოთხი ფეხით მამიჯარი“. . .

ჭ. ბარდაველიძე

ალი ფაშა — გურიასა და აჭარაში გავრცელებული ლექს-სიმღერის „ალი ფაშამ გვიღალატა“–ს პერსონაჟი. ა. ფ. თავდგირიძე რუსეთ-თურქეთის ომამდე (1887—1888) განაგებდა ჩაქე-ქობულეთის მხარეს. ომის დაწყებისას თურქეთის ორიენტაციისა იყო, შემდეგ დაუკავშირდა რუსეთს. ამის გამო თურქებმა შეიპყრეს. ა. ფ. რუსეთზე მიმხრობა ღალატად ჩაეთვალა და შეიქმნა ლექს-სიმღერა, რომელიც სალაშქროდაც იყო გამოყენებული.

ლიტ.: ჰიქინაძე ზ., თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე, ახალენაკი, 1896; ახელდინი ხ., სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956; სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, III, თბ., 1967.

ვ. მაკაბერიძე

ალო — დღიური ნახნავი მიწა. ხვნა-თესვაში გუთნეულის თითოეული მონაწილის (გუთნისდედის, მეხრის და სხვათა) სარგო. ა. განაწილება ხდებოდა გაწეული შრომის შესაბამისად. გუთნურ ლექს-სიმღერებში ხშირად გვხვდება ალოს ხსენება; „ამალამ გუთანს გავყვები, გამოვანხვნიებ ალოსა“; „მაშინ ვაქებ ალოსაო, როცა გავლევ კალოსაო“.

ვ. მაკაბერიძე

ალხაზიშვილი ილია (1853—1921) — ხალხოსნური იდეებით გატაცებული მწერალი-პუბლიცისტი. 80-იანი წლებიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჯავახეთში (ქ. ახალქალაქი). აქვეყნებდა წერილებს ჯავახთა ყოფა-ცხოვრებაზე, სიძველეებზე. აღსანიშნავია მისი წიგნი „ბუნება და ცხოვრება“, სადაც ჯავახური ყოფის დასახასიათებლად მიმართავს ხალხურ ლექსებს, თქმულებას-გადმოცემებს. აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს.

ლიტ.: კახაბერი, სამწერლო ასპარეზზე მოღვაწე ილია ალხაზიშვილი, განათლება, № 1, 1916.

ილ. მაისურაძე

ამარანტა — ამ ბერძნულ ტოპონიმურ სახელში მკვლევრები „ამირანის მთას“ გულისხმობენ. აპ. როდოსელის მიხედვით

ა. კოლხიდაში ფასისის სათავეშია; სადაც ხალხური ტრადიციით მიჯაჭვული ამირანი იმყოფება.

ლიტ.: ა. როდოსელი, არგონექცია, ა. ურუშაძის თარგმანითა და განმარტებით, 1948, გვ. 219; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 11, 1965, გვ. 129.

მ. ჩიქოვანი

ამბავა. (ანბავა) — ფშავსა და ხევსურეთში ზღაპრის აღმნიშვნელი ტერმინი. „მეცხვარის ამბავა“, „ამბავანი იციან მჩეჩელჩი და მწყყემლობაჩი“ (ხალხური). ა-ს მხატვრული გამონაგონით უპირისპირებენ ანდრეზს — საისტორიო მხატვრულ პროზას (ნ. ანდრეზი). „ამბავა ტიყუილი ას, ანდრეზ — მართალი“ (ხალხური).

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 9—10.; მისივე, ნარკვევები, 1, 1958, გვ. 373; მისივე, ქართ. ხალხ. სიტყვ., ქრესტომათია, 1, 1956, გვ. 283.

ქს. სიხარულიძე

ამბავი — ძველი ფოლკლორული ყანრი, რეალისტური შინაარსის მოთხრობა, რომელიც ახლა თქმულების სახელს ატარებს. ხალხში დღესაც ამირანისა და ტარიელის თქმულებებს ამბავს უწოდებენ. ამირანიანის ფშავურ ვარიანტში ნათქვამია: „ბადრის, უსუფის ამბავი მალი-მალ მოგეგონებათ“ (მიჯაჭვული ამირანი, 1947, 312). სამეგრელოში პოპულარულია „არამ ხუტუს ამბავი“ (იქვე, 386). ქართლსა და ლეჩხუმში ტარიელის თავგადასავალს „ტარიელის ამბავი“ ჰქვია (ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, 157, 348). ა. ჟანრს კარგად იცნობს ძველი ქ. ლიტერატურა, განსაკუთრებით „ამირან-დარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“. ა. ადრე რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა: 1. ცნობა, სიახლე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „ჰამბავი და ყოველი მანვე მოსე მოგახსენოს“. 2. სამოქალაქო შინაარსის თავგადასავალი, „სოფლიოთა საქმეთა უბნობაჲ“. „იოანე და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ წერია: თორნიკეს „ამას ესევითართა პირთათვის უბნობაჲ და ჰამბავი უყუარდა“. მაგრამ იოანემ ამხილა თორნიკე: და აუკრძალა სამოქალაქო-საგმირო ამბების მოსმენა, თანაც გაბრიელ ხუცესი მიუჩინა მოსაუბრეთ. „ხოლო ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა სოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ და სულიერი“. 3. ზღაპრისაგან განსხვავებული რეალისტური შინაარსის მხატვრული მოთხრობა, თქმულება. ა. და ზღაპრის ყანრების დიფერენცირებაში იოანე ოქროპირის თხზულებების თარგმანი გვეხმარება: „არა-

უწყია, ვითარ რომელიმე იქადიედ პირველთა მეფეთა ცხორებასა თხრობად და რომელიმე ჰამბაეთა და ზღაპართა მთავართასა ზედა ზუაობენ და იქადიედ“ („მოთმინებისათვის და ამა სოფლის აღსასრულისათვის“).

ამბავის, როგორც ჟანრის, მხატვრული ფორმის გარკვევაში კლასიკური პერიოდის მწერლობა გვეხმარება. „ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ ეპიკური ნაწარმოების ამბავებად დაყოფის პრინციპს ემყარება. შოთა რუსთაველმა იცის, ა. შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე, მართალი და ზღაპრული, საამო, ზოგჯერ შესაკრთობი და ამაღლევებელი. ა. ზეპირად ისმენენ, მის საჯარო თხრობას მისდევენ, ე. ი. ამბის გადმოცემა-შესრულებას გარკვეული ტრადიცია ახასიათებს. არსებობენ ა. მბობელნი, შემკრებელნი, მკრეფავნი, მცნობელ-გამგებელნი და მისი დაწყება, შეწყვეტა, გაგრძელება, დასრულება და განმეორებაც შეიძლება. მოსე ხონელის კვალობაზე სულხან-საბა ამბის სპეციფიკად „ნაქმართ თხრობას“ მიიჩნევს.

მცირე მოთხრობას, უმთავრესად სათავგადასავლო, სავაჟაკო-სავამიროს, ომგადახდილობისას — ხალხურ პოეზიაში ახლაც ა. ეწოდება. „დედას უამბეთ ამბავი ჩვენის — ქისტების ცდისაო“, ნათქვამია ხევსურულ ლექსში. ჩვეულებრივ ა. ფორმა პროზაულია, მაგრამ ლექსადაც გადმოიცემა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ძველი ქართული წერილობითი ცნობები ზეპირსიტყვიერი ჟანრების შესახებ. ლიტ. ძიებანი, VIII, 1953; მისივე, ამბავის ჟანრობრივი ტრადიცია ქართულ ეპოსში. „ქართული ეპოსი“, II, 1965.

მ. ჩიქოვანი

ამბაი — ამბავი. ლაზურში ხშირად იხმარება აგრეთვე არაკისა თუ ზღაპრის მნიშვნელობით. მაგ., „მთუთიშ ამბაი“ — „დათვის ამბავი“ ანუ დათვის არაკი, დათვის ზღაპარი (ს. ჟღენტი, ჟანური ტექსტები, თბ., 1938, გვ. 61).

ზ. თანდილავა

ამბის დასასრული — ნ. ზღაპრის დასასრული.

ამბის დასაწყისი — ნ. ზღაპრის დასაწყისი.

ამბალალი — შესრულების წესითა და ფუნქციით „ლაზარობას“ (აჭ. „ლაზარისა||ლაზარიკოს“ — ნ.) ემთხვევა. ა. დიდ აჭარაში ფიქსირებულია ორენოვანი ტექსტით:

ამბალალი, ბოლი — ბოლი,
ხამბალალი ტოლი — ტოლი,

ქეფჩახათუნ, ნე ისტიერ,
ალლაქდანაღალმურ ისტიერ
(ან — გუნეშ ისტიერ)
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
შეგვინახე მზისა თვალი!

ამინი

ან: ღმერთო მოგვე მზისა თვალი,
აღარ გვინდა წვიმა-წყალი!

ამინი

ნ. ცქიტაშვილი

ამბის კითხვა — ტრადიციული ხევსურული მოკითხვის წესი, რომლის მიხედვით ჯერ მოიკითხავდნენ მასპინძელსა და მის ოჯახს, შემდეგ საქონელს და ბოლოს კი მეზობელ-მახლობლებს.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935.

დ. გოგოქური

ამბრი — ამირანის თქმულების პერსონაჟი. უზარმაზარია, 12 უღელი ხარ-კამეჩი ძლივს მიეზიდება სასაფლაოსკენ, ამირანის შეუთრეგებელი მოწინააღმდეგე. ა. სახე შექმნილია მიწათმოქმედთა შორის. ამაზე უნდა მიუთითებდეს მიწის მლარავი მისი მძიმე ფეხი. ხალხურ ვარიანტებში ა. ანდრერობი ან ა. არაბი ცვლის.

ლიტ.: ვ. ბარნოვი, თხზ., X, 1964; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959; ალ. ბარამიძე, ამირანდარეჯანიანის ორიგინალობის საკითხისათვის. აკად. შობაძე, ტ. IV, № 6, 1943.

მ. ჩიქოვანი

ამირანდარეჯანიანი — XII საუკუნ. საგმირო-სარაინდო თხზულება, რომლის ავტორი მოსე ხონელი პირველად მოხსენებულია ვეფხისტყაოსანში. შედგება 12 კარისაგან, ზოგი მათგანი დამოუკიდებელ სიუჟეტს წარმოადგენს და ზეპირსიტყვიერებაში იღებს სათავეს. ასეთია: ამირანის, ზღვათა მეფის ასულის, ამბრი არაბის, ინდო ჭაბუკის, სეფედავლე დარისპანიძის, მზეჭაბუკის, სისხლის ძებნის, მნათობთა და თილისმათა ამბავნი. მ. ხონელმა გამოიყენა ხალხში გავრცელებული საგმირო და მითოლოგიური მოთხრობები, გადაამუშავა ისინი, შეუფარდა ფეოდალური ყოფის მოთხოვნილებებს და შექმნა ორიგინალური ნაწარმოები. სხვადასხვა ამბავთა გამაერთიანებელ ღერძს ამირანის თავდადასავალი წარმოადგენს. ფოლკლორის კვალი ა. გავრცელებებშიც შემიმჩნევა. ეს უძველესი საერო-საგმირო თხზულება პოპულარული

იყო და გარკვეული გავლენა მოახდინა ფოლკლორულ შემოქმედებაზე.

ლიტ.: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, ჩვენი საუნჯე, II, 1960; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1958; ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, 1965.

მ. ჩიქოვანი

ამირანი — უძველესი ქართული ეპოსის „ამირანიანის“ (ნ.) უმთავრესი გმირი. ა. მარადიული მხატვრული სახეა. მასში გაერთიანებულია ბუნებასთან ბრძოლისა და სოციალური ბოროტების აღმოფხვრის საკაცობრიო იდეები. კეთილი ა. ებრძვის ადამიანთა მჩაგვრელ ძალებს, სობს მოძალადე მითიურ დევებსა და გველეშაპებს, ასწავლის თვისტომთ მკედლობას, საფუძველს უყრის ოჯახს და იტაცებს ციურ ცეცხლს, ათავისუფლებს ადამიანებს რელიგიური მორჩილებისაგან, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს უზენაეს ღვთაებას. ა-ნს ღმერთი სასტიკად სჯის, კავკასიონის ქედზე აჯაპვავს, ანდა ბნელ მღვიმეში ათავსებს და ზედ უზარმაზარ მთას ახურავს. მიჯაჭვული ა. გათავისუფლებას მოელის: ერთგული გოშია გამუდმებით ლოკავს ჯაქვს; წელიწადში ერთხელ გაწყვეტამდე მიიყვანს, მაგრამ წყეული მკედლები დიდხუთშაბათს უბრად ჩაქუჩს გრდემლზე სცემენ და მტანჯველი ჯაქვი კვლავ მაგრდება. შვიდ წელიწადში ერთჯერ იხსნება ამირანის მღვიმის კარი და მაშინ შეიძლება დასჯილი გმირის ხილვა. ამირანს მომავლის ჩაუქრობელი იმედი ასულდგმულებს. ამიტომ ტირანიას ქედს არ უხრის და მძიმე ხვედრზე არ ჩივის. ხალხს სჯერა, ა. ადრე თუ გვიან თავს აიშვებს და ადამიანებს უსისხლო ჯურს მოუტანს.

ა. მხატვრული სახე უცბად არ შექმნილა. იგი სათავეს იღებს ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის პირველ საფეხურზე, როცა ქართველური ენები ჯერ უდიფერენციო მთლიანობას წარმოადგენდნენ და მათი დამოუკიდებელი განვითარების გზები ის-ის იყო ისახებოდა. პირობითად ა. სახის შემქმნელ თავდაპირველ ხალხს „ამირანის ტომს“ ვუწოდებთ. ამნაირად, თავიდანვე ა. საერთო გმირად გვევლინება: მას განვითარების ლოკალური საფეხური არ გაუვლია, მსგავსად ქართული ფოლკლორის სხვა მრავალი სახელოვანი გმირისა. ამირანის ტომი მოსაქმეობით მონადირეობას მისდევდა, მის მიერ წარმოქმნილი იდეალური გმირიც ნადირობას მისდევს; მამა უცნობი მონადირეა, დედა — ნადირობის

ულამაზესი ქალღმერთი დალი. ღვთაებრივი ჩამომავლობის ტიტანს დედის ნიშნეულობანი ახასიათებს; მხრებზე მზისა და მთვარის გამოხატულებანი აქვს, კბილი ოქროსი. გარეგნობითაც ამირანი სწორუბოვარი ბუმბერაზია: შესწევს 12 უღელი ხარ-კამეჩის ღონე, მგლის მუხლი. საცრის ოდენა თვალებს აბრიალებს და შესახედობით საწვიმრად გამზადებულ ღრუბელს ემსგავსება. ასეთი ძლიერი არსების დაოკება მხოლოდ უზენაეს ღვთაებას თუ შეეძლო და მანაც ეს სასწაულებრივი ხერხიანობით მოიმოქმედა (ქვის ტყორცნა, მაგიური ჯოხის დარქობა, აბრეშუმის ძაფის შე-
მოქსელვა და სხვ.).

ამირანს უფროსი ძმები ჰყავს, ბადრი და უსიპი. მისი სიუ-
ყეტური თავგადასავალი პარალელს პოულობს მსოფლიო ფოლკ-
ლორსა და ლიტერატურაში. ა. ორეულები გვხვდება ძვ. ბერძნულ
მითოლოგიასა და ლიტერატურაში, ინდონეზიელთა, ფილიპინელ-
თა, ტიბეტელთა ზეპირსიტყვიერებაში. ანტიკური წერილობითი
წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ა. თქმულება საქართველოში
(კოლხეთსა და იბერიაში) ჩვენს ერამდე მე-5 საუკ-შიც არსებობ-
და. გარდა ამისა, ადგილობრივი არქეოლოგიური ძეგლები უჩვენ-
ებს, რომ ამირანის სახემ ბრინჯაოს ხანაში ჰპოვა ასახვა ხე-
ლოვნების ნიმუშებზე (მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს ქამარი, ყაზ-
ბეგის განძი, თრიალეთური ვერცხლის თასი), რომელთა ხნოვა-
ნება ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასეულის დასაწყისამდე
აღწევს.

ქართულ მწერლობაში ა. სახე შუასაუკუნეებიდან აისახა.
ამის ნიმუშებია მე-12 საუკ-ნის საგმირო-სარაინდო მოთხრობა
„ამირანდარეჯანიანი“ (ნ.) და შოთა რუსთაველის გენიალური „ვე-
ფხისტყაოსანი“ (ნ). მე-19 საუკ-ში ამირანი ეროვნულ-გამათავი-
სუფლებელი მოძრაობის სიმბოლოდ იქცა. „კავკასიის მაღალ ქედ-
ზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო და მტრები კი
ყვავ-ყორანი“ (აკაკი). საბჭოთა პოეტები განთავისუფლებულ ამი-
რანს უმღერიან.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947; მისივე, ქართული ეპოსი
I—II ტტ. თბ., 1959—65; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ.
1956; ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964; ამირანის
თქმულება, თბ., 1961.

მ. ჩიქოვანი

ამირანიანი — ამირანის ხალხური თქმულების პირობითი სა-
ხელწოდება, ლიტერატურული ტერმინი. ზეპირსიტყვიერებაში ამ

შესანიშნავ ძეგლს ხან „ამირანის ამბავი“ ჰქვია, ხან „ამირანის ზღაპარი“, „ამირანის თქმულება“; ზოგჯერ ძირითადი გმირების სახელებითაც აღინიშნება: „ამირანი“, „ამირანი და ამბარი“, „ამირანი და ჩრდილოელი“, „ამირანი და მეცხვარე“... უანრობრივად ა. კლასიკურ თქმულებას წარმოადგენს, რომელსაც თანამედროვე საფეხურზეც თქმულების (ნ.) ფორმა აქვს. ძველი ტრადიციის კვალი დღემდე შემონახული ზეპირსიტყვიერებაში, ფშავეში, მაგალითად, ამბობენ: „ამბავი ბადრისა, უსიპისა და ამირანისა“. იგივე ლექსად ითქმის: „გიაშობთ ამირანისასა თუ ზღაპრად მოგეწონებათ; ბადრის, უსიპის ამბავი მალი-მალ მოგეგორებათ“. ამრიგად, „ამბავი“ (ნ.) ადრინდელი ფოლკლორული უანრია, რომელმაც ასახვა შუასაუკუნების ქართულ მწერლობაში ჰპოვა შესაბამის სიუჟეტებთან ერთად.

დიდი ხნის განმავლობაში ა. ზეპირად ვრცელდებოდა და მისი წმინდა ფოლკლორული ჩანაწერები არ მოიპოვებოდა. მდგომარეობა შეიცვალა XIX საუკ. დასაწყისში. ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი ამ საუკუნის ათიან წლებში მონასმენის მიხედვით შესულია თ. ბაგრატიონის (ნ.) წიგნში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“; 1846 წელს გაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნდა ი. ცისკაძის შვილისეული თუშური ვარიანტი და ა. შ. ამჟამად. ა. ვარიანტების რიცხვი 150 აქარბებს. ა. ძირითადი სიუჟეტური ვარიანტები დაბეჭდილია ან ცალკე ჩანაწერის ანდა სრული კორპუსის სახით (1947 წ.). ამირანის თქმულების შეკრებასა და პუბლიკაციაში ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს მიუღია მონაწილეობა საქართველოში და მის გარეთ. შემკრებთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევს. მათ შორის არიან მწერლები და მეცნიერები — ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ეკ. გაბაშვილი, პ. უმიკაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ვ. მილერი, ა. ხახანაშვილი, ვ. კოტეტიშვილი და სხვ. ხალხური თქმულებების ჩანაწერების ზრდასთან ერთად დგინდებოდა ა. სიუჟეტის გავრცელების არეალი. ყველაზე მასობრივი ვარიანტები მოპოვებულია ქართულ ენაზე. ათეულობით ჩანაწერები შესრულებულია ქართლსა და კახეთში, ფშავე-ხევსურეთში, მესხეთ-ჯავახეთში, გურია-იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და სვანეთში, ჩრ. კავკასიაში. დროთა განმავლობაში ა. გავრცელების არე თანდათან გასცილდა ქართული და ქართველური ენების არეალს. ახლა სიუჟეტი ფიქსირებულია აფხაზურ, ოსურ, ლაქურ, ჩერქეზულ, უბიხურ, სომხურ ენებზე. ა. გავრცელების

არის გაფართოება მისი პირველი ბირთვის შემქმნელი ხალხის კულტურულ მსოფლიობასა და თვალსაჩინო ისტორიულ როლზე მიუთითებს კავკასიის მკვიდრთა შორის.

მიჯაჭვული ამირანის სიუჟეტის ვარიანტების შექმნა საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. თავდაპირველად ჩამოყალიბდა ა. იბერიული და კოლხური ვერსიები, რაც უძველეს „ამირანის ტომის“ ნაანდერძვე მთლიან სიუჟეტს ემყარებოდა. ამ ვერსიების ჯაფორმება საუკუნეებით წინ უსწრებდა ანტიკურ ხანას. შემდეგში, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ენთოგენეზისის პროცესების გართულებასთან ერთად, თვითონ ა. ეპოსიც გამრავალფეროვნდა და გაფართოვდა. თავდაპირველ ბირთვსა და მის ვარიანტებს კვლავ ახალი ვარიანტები და ვერსიები გაუჩნდა. ასე წარმოიშვა დასავლეთ საქართველოში კოლხური ვერსიის გერული, იმერული, რაჭა-ლეჩხუმური, სვანური, მეგრული და აფხაზური ვარიანტები, ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში იბერიული ვერსიის ქართლური, კახური, ფერეიდნული, ფშავ-ხევსურული, მესხეთ-ჯავახური, მთიულურ-მოხეური, სიმხური, ოსური, ჩერქეზული, ლაკური, უბიხური და სხვა ვარიანტები. დამახასიათებელია, არაქართველურ ენებზე ჩაწერილი ვარიანტები უშუალოდ იმ ქართული ვარიანტებიდან და ვერსიებიდან იღებენ სათავეს, რომლებიც გავრცელებულია ამ ენების ტერიტორიულად მომიჯნავე საქართველოს რაიონებში. ასე, მაგალითად, ოსური დარეძანტო ამირანისეული ვარიანტები უფრო მეტ სიუჟეტურ და ფორმისეულ ნათესაობას ამქდავნიებენ ქართლში გავრცელებულ ვარიანტებთან. მაშასადამე, ა. სხვადასხვა ენაზე გავრცელებას სათანადო ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის უშუალო კონტაქტი უდევს საფუძვლად.

ამირანის თქმულება შინარსობრივად ორ ნაწილად იყოფა: ერთია „მიჯაჭვული ამირანი“, მეორე „განთავისუფლების ცდები“. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ მეორე ნაწილში გადმოცემულია კეთილი გმირის გამოხსნის ეპიზოდები, რომელიც უცნობ მონადირეს, მწყემსს ან გუთნისდელას მიეწერება და ლოგიკურ დასასრულამდე ვერ აღწევს ადამიანთა შემბოქველი ბნელი ძალების წყალობით. ა. მონადირეთა წრეში ჩამოყალიბდა მატრიარქატის ეპოქაში. მასში ასახულია მომდევნო საზოგადოებრივი ფორმაციების დამახასიათებელი ყოფაც. ა. რამდენიმე პლასტისაგან შედგება. იდეოლოგიურად მასში მკვეთრად წარმოდგენილია

წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლა. ძველი დარგობრივი ღვთაებანი ქართლის მოქცევის შემდეგ მე-4—5 სს ახალი სარწმუნოებრივი პერსონაჟებით შეიცვალა: მიმჭაქველი პირიმზის ფუნქციამ ქრისტეზე გადაინაცვლა, ინიციატივის ეპიზოდი მონათვლად იქცა და სხვ. ა. ეპოსის ქრისტიანიზაცია შორს წავიდა, მაგრამ ხალხში მის გარეშე მდგომი ვარიანტებიცაა შემორჩენილი.

ა. გვხვდება პროზის, ლექსნარევი პროზისა და ლექსის ფორმით. მათ შორის უძველესია პროზაული სახე. საუკუნეებში შესრულების ტრადიციის კვალობაზე ა. გალექსვა მიმდინარეობდა; პირველად რიტმული პროზა ჩამოყალიბდა, ბოლოს იგი ლექსში გადაიზარდა, თუმცა მთელი სიუჟეტის გალექსვა არ დასრულებულა. სიუჟეტურად ა. მრავალი მსგავსი ეპიზოდი აკავშირებს მსოფლიო ფოლკლორსა და ლიტერატურასთან. ღვთისურჩი და მიჩაქველი გმირის სახეები გვხვდება როგორც ევროპაში (ძვ. საბერძნეთი, ბალკანეთი), ისე აზიაში (კავკასია, ტიბეტი, ინდონეზია, ფილიპინები). ერთსა და იმავე სიუჟეტზე დამყარებული მსგავსი მარადიული სახეები ფოლკლორში ორეულებს ქმნიან. ამირანის ყველაზე პოპულარულ ორეულს პრომეთე (ნ.) წარმოადგენს. ქართლური თქმულების თავდაპირველი ბირთვი ძველი წ/ადრ. მე-სამე ათასეულის დასასრულსა და მეორე ათასეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ამგვარი დათარიღების მტკიცე საფუძველს საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური (მცხეთა-სამთავრო, ყაზბეგი, თრიალეთი) და ბერძნული წერილობითი წყაროები წარმოადგენს.

ა. ცენტრალური პერსონაჟი ამირანია, რომლის სახელი ელინურ და რომაულ წყაროებში იჩენს თავს ქრისტიანობის უწინარე: (:მარანტოს, ამარანუს). ამირანს მხარს უმშვენიებს უფროსი ძმები ბადრი და უსიპი. სამეულს შეუწელებელი ბრძოლა აქვს მითიურ დევებთან და გველუშაპებთან (ბაყბაყ-ღევი, თეთრი, წითელი და შავი გველუშაპები, პირცეცხლა ვეშაპი), ღვთაებრივ ძალებთან (ღრუბელთ უფალი, პირიმზე, ქრისტე, წმ. გიორგი), ბოროტ სულებთან (ეშმაკი, მეგზური, როკაპი), სოციალურ მჩაგვრელებთან (იგრი ბატონი, ამბრი)... ა.-ში სადევგმირო თავგადასავალთან ორგანულად შერწყმულია სამიჯნურო სიუჟეტი, რომელიც მზეთუნახავ ყამარქალის ძებნის სახითაა გადმოცემული. ამირანი და ყამარი წყვილთა ოჯახის შექმნის უძველეს სოციალურ იდეას ემსახურებიან. როგორც ჩანს, საგმირო ეპოსი ამ მხრივ ნიადაგს ამზად

დებს რომანტიკული ეპოსისათვის, რომლის შესანიშნავი ნიმუში ებერია (ნ.).

ამირანის სახის შესწავლა დიდი ხანია მსოფლიო პრობლემად იქცა. მეტად საყურადღებო დასკვნები და მოსაზრებები გვხვდება ამირანის თაობაზე ისეთ უცხოელ მკვლევართა შრომებში, როგორც არიან: ერმანი, ჰიუბშმანი, პრელერი, კრონი. კარსტი, ოლრიკი, დირი, ბლაიხშტაინერი, ანპოლმი, იედლიჩკა, იშტვა-ნოვიჩი, ტრენჩენი-ვალდაფელი, ლენგი, მერედიტ-ოუენსი, ნაზარი, სალია და სხვ. თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ამირანოლოგიაში (ნ.) ვს. მილერმა (ნ.), ალექ. ვესელოვსკიმ, ვ. პოტანინმა, ვ. აბაევმა, ელ. მელეტინსკიმ, ვ. სიდელნიკოვმა, ნუსინოვმა და სხვ. რუსმა მკვლევარებმა. განსაკუთრებით ამაგი ამირანის მარადიული სახის შესწავლას ქართველმა მოღვაწეებმა დასდევს. მათ დამსახურებას შეადგენს ამირანოლოგიის შექმნა (თ. ბაგრატიონი, ა. ხახანაშვილი, ნ. მარი, ი. ჭავჭავაძე, ვ. ბარნოვი, კ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, შ. ნუცუბიძე, ს. ჯანაშია, ა. ბარამიძე, გ. მეღვინე, კ. სიხარულიძე, ე. ვირსალაძე, ა. ლლონტი, ს. ყაუხჩიშვილი, დ. შენგელია, ი. შენგელია, თ. ბეგიაშვილი, ა. ხინთიბიძე, ე. არჯევანიძე, მ. ჩიქოვანი).

ა. ქართველი ხალხის ეროვნული ნაწარმოებია. მასში მარადიულ მხატვრულ სახეებთან ერთად წარმოდგენილია მისი შემქმნელი ხალხის ფილოსოფიური შეხედულებანი და ინტელექტუალური წყდომის ფართო პორიზონტი. ამირანის ქართულ ფოლკლორში ისეთივე მოვლენაა, როგორც ვეფხისტყაოსანი ლიტერატურაში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947; მისივე, ქართული ეპოსი, I-II, თბ., 1959—65; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956; ამირანი, მითოლოგ. პოემა, შ. ნუცუბიძის დამუშავებული, თბ., 1945; ელ. ვირსალაძე, ქართ. სამონადირო ეპოსი, თბ.; 1964; დ. შენგელია, წერილები, თბ., 1955; ე. კოტეტიშვილი, რჩ. ნაწერები, 1967.

А. Хаханашвили, Очерки, I, М., 1895; М. Чиковани, Амირаниани, Тб. 1960; Его же, Нар. груз. эпос. о прикованном Амირани, М., 1966; К. Сухару лядзе, К вопросу о груз. эпосе, сб. Вопросы изучен. эпоса народов СССР, М. 1958; Е. Мелетинский, Происхождение героического эпоса, М., 1963; Сказания и легенды, под ред. М. Чиковани, Тб., 1963; Тренчени-Вальдапфель И., Мифология, М., 1959.

მ. ჩიქოვანი

ამირანის მთა — მთა, სადაც, გადმოცემით გმირი ამირანი იქნა მიჯაჭვული. ამგვარი ტოპონიმები საქართველოს ყველა მხარე-

ში მოიპოვება. ასეთებია: მთა საყორნე, საყორნია (კახეთი), მყინვარწვერი, გერგეტი, იალბუზი, ამირანის გორა (ჯავახეთი), ზვამლი, დიცი, ფასის მთა. ძველ ბერძნულ წყაროებში (როდოსელი) მას ამარანტოს ეწოდება და დღევანდელი ფასის მთის შესატყვისია.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ამირანის თქმულებაში შესული გეოგრაფიული სახელები. ქართული ეპოსი, II, 1965.

მ. ჩიქოვანი

ამირანოლოგია — ქართული ფოლკლორისტიკის შემადგენელი დარგი, რომელიც კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის თქმულებას სწავლობს ისტორიულ განვითარებაში. ამირანის პრობლემას დიდი ხნის ისტორია აქვს მეცნიერებასა და მხატვრულ შემოქმედებაში, მაგრამ ა-ას ასე ხანგრძლივი წარსული არ გააჩნია.

ამჟამად ამირანოლოგია საერთაშორისო ფოლკლორისტიკის ორბიტშია მოქცეული და მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევები იბეჭდება ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, უნგრულ, ჩეხურ, ხორვატულ და სხვ. ენებზე. ამირანოლოგია ქართველთმცოდნეობისა და კავკასიოლოგიის ისეთივე განუყრელი თანამგზავრია, როგორც თვითონ ამირანიანია (ნ.) ამ ხალხთა კულტურის შემადგენელი ნაწილი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორისტიკა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთაზე. საიუბ. კრ.: „ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები“, თბ., მეცნიერება. 1967.

მ. ჩიქოვანი

ამირამ — ამირანის სახელი სვანეთში (ნ. ამირანი).

ამოცანა — ნ. გამოცანა.

ამპლიტუდა — ფოლკლორული სიუჟეტები, ჟანრები, მხატვრული გამოსახვის ფორმები ხშირად თანხვედნილია სხვადასხვა ხალხებს შორის. მიზეზი მრავალი გარემოება შეიძლება იყოს. მსგავსება ყოველთვის სესხება-გავლენის შედეგი არაა. ამის გამოდგება პრობლემა ნაციონალური ფოლკლორის სპეციფიკისა, რომლის გამორკვევა შედარებითი ფოლკლორისტიკის საგანს წარმოადგენს. მსგავსება და განსხვავება ისტორიულ სანაქდელიღება დამოკიდებული. ხშირად ერთი ერის გავლილი გზა არა ჰგავს მეორისას და ა. შ. განვითარების ამპლიტუდის მერყეობა სიუჟეტებისა და ჟანრების თავისებურებებში ვლინდება. ამიტომ ამბობენ, ეროვნული ფოლკლორის თავისებურება დამოკიდებულია მისი შემ-

ქმნელი ხალხის ისტორიული განვითარების ამპლიტუდის მერყეობის სიდიდეზეო.

ლიტ.: ქართული ხალხური ზღაპრები, I, შესავალი, თბ., 1938.
მ. ჩიქოვანი

ამოთქმა — ლექსის თხზვა, გამოთქმა. ა. სახალხო მელექსის მიერ საკუთარი სულიერი განცდების გადმოცემას გულისხმობს. ამის გამო მასზე მითითება ლირიკულ, უფრო მეტად კი ელეგიურ ნაწარმოებებში გვხვდება: „ლექსო ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, გვ. 29.

დ. გოგოჭური

ამომღები — ლექსის ავტორი, ავტორ-შემსრულებელი (ნ. ამოღება ლექსისა).

ამოღება ლექსისა — ლექსის შექმნა. ზოგ კუთხეში ა. ლ. შექმნა-შესრულებას, ნაწარმოების ხალხში გატანას გულისხმობს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, გვ. 29.

დ. გოგოჭური

ამრანი — ოსურ დარეჯანიანთა ეპოსის ცენტრალური გმირი. თვით დარეჯანიანთა სიუჟეტები, მკვლევართა აზრით (ვ. მილერი, ნ. მარი, ვ. აბაევი, ა. თიბილოვი, მ. ჩიქოვანი). ჩრ. კავკასიაში საქართველოდანაა შესული სამხრეთ ოსეთის მეშვეობით. ამრანი თავგადასავლით და მხატვრული სახით იგივეა, რაც ამირანი. ოსურ ფოლკლორში მიჯაჭვულ ა. რამდენიმე ნართული ეპიზოდი დაუკავშირდა. ა. პოპულარობით სარგებლობს, გმირობისა და თავდაღების სიმბოლოა.

ლიტ.: Амран, 1932; В. Абаев, Проблема народного эпоса. კრ. «Нартский эпос», 1957; А. Калосев, Осетины, 1966; მ. ჩიქოვანი, ამირანის სიუჟეტი კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ქართული ეპოსი, II, 1965.

მ. ჩიქოვანი

ამქრული პოეზია — ძველი თბილისის ქალაქურ პოეზიაში, რომელიც უმეტესად სიმღერით ვრცელდებოდა, თვალსაჩინო ადგილი ეკავა ა. პ. მის წარმომადგენლებად უნდა მივიჩნიოთ მუშახელოსნები: გ. სკანდაროვა, დ. გივიშვილი და სხვანი, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ ხელოსანთა საამქროებში. მათ ლექსებს მღეროდნენ როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

ლიტ.: უზიკაშვილი პ., სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება. „დროება“, 1871, № 22; გრიშაშვილი ი. ღველი თბილისის ლიტერატურული ბოქეა. 1928.

ვ. მაცაბერიძე

ანა-ბაჯი — ამავე სახელწოდების ნაწარმოების გმირი ქალი. ა. საპატოო ადგილი დაიმკვიდრა ხალხურ პოეზიაში. ვინაობა ზუსტად დადგენილი არ არის. იყო ერეკლე II თანამედროვე. ებრძოდა უსამართლო მებატონეებსა და გარეშე მტრებს. ზეპირი გადმოცემების მიხედვით, ი. დაბლიშვილმა „არსენას ლექსის“ მიზაძვით შექმნა პოემა „გმირი ანა-ბაჯის ლექსი“ (1909). ანა-ბაჯის ლექსს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ხალხურ მთქმელთა რეპერტუარში.

ლიტ.: ი. დაბლიშვილი, გმირი ანა-ბაჯის ლექსი, ტფ., 1909; ქორიძე დ., სახელოვანი ქართველი ქალები, თბ., 1965.

ვ. მაცაბერიძე

ანაფორა — მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელებული სტილისტური ხერხი. წარმოშობით ფოლკლორულია. გვხვდება როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში. ა. გულისხმობს მსგავსი სიტყვების ან მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციების განმეორებას უმთავრესად სტრიქონების დასაწყისში. მაგ.:

ვ ი ს ი ა მწვანე კარავი,

კარებში არ ერეოდა?

ვ ი ს ი ა ქალი ლამაზი,

ქალებში არ ერეოდა?

ჯ. ბარდაველიძე

ანბანზე გათვლა — საბავშვო თამაშობა ანბანის თანამიმდევრობაზე დაფუძნებული (ნ. გათვლა).

ანბანთქება — პოეტური ენარი, რომელსაც უმთავრესად სააღმზრდელი-დიდაქტიკური ხასიათი ჰქონდა. ანბანთქებაში მთავარი ყურადღება ეთმობა ბგერათა თანამიმდევრობასა და თითოეული მათგანის აღწერა-დახასიათებას წერა-კითხვის შესწავლის მიზნით. ა.-ქ. ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ხალხურ პოეზიაში, ისე მწერლობაში. ხალხურია:

ანა, ბანა, ვანა, ღონა —

უცოდრობამ დამაღონა.

ენა, ვინა, ზენა, თანა —

კობტა გოგომ წამიყვანა . . .

მწერლობაში ა. ქ.-ებს ქმნიდნენ არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ

ილ და სხვ. კომპოზიციისა და ვერსიფიკაციის მიხედვით ა.-ქ. ნა-
ირფეროვანია. ა.-ქ. დამწერლობის შემოღების შემდეგ შექმნილი
ქანრია.

დ. გოგოჭური

ანდაზა — ფოლკლორის მცირე ფორმის ნაწარმოებია, აზრის
ღრმად და მოკლედ გამომხატველი ფორმულა. მსგავსად არაკი-
სა, სემანტიკური ორმაგობა-ნართაულობა ანუ გადატანითი მნიშვნე-
ლობა ახასიათებს. ა. ერთ მოტივზეა აგებული. ა-ს გადატანითი
მნიშვნელობა ცხოვრების მრავალ მხარეს ახასიათებს. ა-ს შესრუ-
ლების გარკვეული წესი არა აქვს. ა. სასაუბრო მეტყველებაშია
დამკვიდრებული. ტერმინი ა. წარმოშობით ქართული არაა. სპარ-
სული ანდაზე და ანდაზ გამოყენებულია ნიუანსებით. ანდაზე
ნიშნავს საზომს, მაგალითს; ანდაზ — მიხვედრას. მაგალითს,
საზომს, მიხვედრის აღმნიშვნელი ტერმინი ა. ქართულში მე-17
საუკუნის შემდეგ უნდა იყოს დამკვიდრებული. ა. ძველი ქარ-
თული დამწერლობის მიხედვით აღინიშნება ტერმინებით — არაკი,
იგავი (ნ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, მაგალითი, იგა-
ვი) ბერძნულად არის პარემია. ა-ს შემსწავლელ მეცნიერებას
პარემიოლოგია ეწოდება, ქართული ხალხური ტერმინოლოგიით
ა-ს ეწოდება „აზრის ქობი“, „სიტყვის მუხლი“, „სიტყვის ძალა“,
„გლეხის იარაღი“. ა-ს მნიშვნელობა მუდამ დიდი იყო ხალხის
პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ა. მახვილ პოლიტი-
კურ იარაღს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა
ოხზულებებში. ა-ს მაღალი შეფასება მისცეს ალექსანდრე პუშ-
კინმა, ნიკოლოზ გოგოლმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა
და სხვებმა.

ედ. ტეილორმა მართებულად უარყო პოეტური ფოლკლორის
ამ ქანრის არსებობა ველურობის დაბალ საფეხურზე. ა-ში გან-
ზოგადებულია ცხოვრებაზე ხალხის დაკვირვება. ა. შექმნილია სხვა-
დასხვა დროს, სხვადასხვა გარემოში. ა. ერთი ჯგუფი ცხოვრე-
ბაზე დაკვირვების უშუალო შედეგია. ქართული ა-ს ამგვარ
ჯგუფში დიდი რაოდენობითაა სოფლის მეურნეობასთან დაკავში-
რებული ნათქვამები, „ამინდი მუშაობდა, კაცი თავისას იკვებ-
დაო“; „ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. ა-
ში ასახულია წარსულში სოციალური დიფერენციაცია („მდიდრი-
სას კატას ტიროდნენ, ღარიბისას კაცსაც არაო“).

ა-ის დიდი ჯგუფი ისტორიული სინამდვილის გამოძახილია.

ა. მრავლადაა შესული ლიტერატურულ ძეგლებში, მას უხვად იყენებდნენ შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვ. ა. მეტწილად ტროზია. ა. შედგება ორი ნაწილისაგან, ნაწილები ხშირად ერთმანეთთან რითმითაა დაკავშირებული („ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“, „ვერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა სოფლისა ბოლოსა“). ა-ს ახასიათებს ალიტერაცია („აზრუმს არ ვყოფილვარ, აზრით კი ვიცი“). ქართული ანდაზების ერთ-ერთი პირველი კოლექციონერთაგანი დიმიტრი ბაგრატიონია. დ. ჩუბინაშვილმა ანდაზები შეიტანა თავის „ქართულ ქრესტომათიაში“ (1846). თარგმნილია ისინი უცხო ენებზეც.

ლიტ.: პ. უმიაშვილი, ქართული ანდაზები, 1876; ხალხური სიტყვიერება, I, ექვთ. თაყაიშვილის რედ, 1916; ქართული ხალხური ანდაზები შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემ. გაბრიჩიძის მიერ, 1935; თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, 1940; ლ. მეტრეველი, ანდაზები, 1941; ანდაზები შედგენილი ნანო ნაკაშიძის მიერ, 1953; ალ. ლონტი რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები, 1957; მისივე ნარკვევები, 1955; ანდაზები პ. წერეთლის შედგენილი, 1951; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 295—301; ნ. ჯადაგიძე და ქ. დეკანოზიშვილი, გერმანული ანდაზები ქართული შესატყვისით, 1951; ინგლისური და ქართული ანდაზები და ხატოვანი თქმები, ი. გვარჯალაძისა და მ. ქარჩავასი, 1951; ფ. ერათელიშვილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის, „მნათობი“, 1957; ქს. სიხარულიძე, ანდაზები, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება 1, 1960, გვ. 311—127; ფ. ზანდუკელი ანდაზების გენეზისის საკითხისათვის, მნათობი, 1958 წ. № 2, მისივე, ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის, მაცნე, 1962, № 8.

ქ. სიხარულიძე

ანდრეევი, ნიკოლოზ პეტრეს ძე (1893—1942) — გამოჩენილი რუსი საბჭოთა ფოლკლორისტი, პროფესორი. თავის პირველ ნაშრომებში ფინური სკოლის მიმდევარმა შემდეგ თვით გააკრიტიკა ამ თეორიის მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციები. სწავლობდა რუსულ და უკრაინულ ფოლკლორს, ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობას, ზღაპარს. კითხულობდა რუსული ფოლკლორის კურსს გერცენის სახ. პედ. ინსტიტუტში. ერთ-ერთმა პირველმა ამ კურსის არა ქანრობრივ, არამედ ისტორიულ პრინციპებზე აგება სცადა.

ლიტ.: Н. П. Андреев, Указатель сказочных сюжетов по системе Аарне, Л., 1929, მისივე, Литература и фольклор, 1938.

ელ. ვირსალაძე

ანდრეჟი — 1. საისტორიო პროზაული ქანრის ნაწარმოები-გადმოცემა, თქმულება, ლეგენდა-ნათქვამი სინამდვილის პრეტენ-

ზიით. მთქმელთა განმარტებით „ამბავი (ახალ მოვლენაზე ნათქვამი) რომ დაძველდების, ანდრეზ იქნების“. „მოლექსია“ თორღვას „ძველების“ „ანდრეზები“ და სიტყვა-პასუხი დიაკვნის „მამაო ჩვენოსავით“ აქვს გაზეპირებული (გაჟა-ფშაველა). ა. ზღაპრის საპირისპირო ცნებაა. „ამბავა (ზღაპარი) ტიყუილ ას, ანდრეზ მართალი“ (ხალხური). 2. მკირე ჟანრის ნაწარმოები-ანდაზა, ძველთაგან მოდის ანდერძი: „ბევრ ცოცხალსა სჯობს ზოგ მკედარი“ (ხალხური). 3. ხალხური სჯულის კანონი, წესი „ანდერძად არ მადიოდა, თოფთან ომობდას ხანჯარი“ (ხალხური). სამივე მნიშვნელობით ა. ახლოსაა სიტყვებთან „ანდერძი“ და „ანდრაზ“ (სპარსული).

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, რაზე-რუმე მთისა, თხზულებანი, V, 1961, გვ. 130; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, № 229, გვ. 106—107; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო საისტორიო სიტყვიერება, 1949 წ. გვ. 9—10; მისივე, ხევსურეთში სამეცნიერო მივლინება. ნარკვევები, I, 1958, გვ. 375—376; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, რედაქცია, შესავალი, შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, ტ. II, 1964, № 100, გვ. 130; რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი, როგორც ხალხური სამართლის წყარო, ანალები, 1947.

ქს. სიხარულიძე

ანთროპოლოგიური თეორია — ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიაში. წარმოიშვა ინგლისში მითოლოგიური და სესხების ანუ მიგრაციის თეორიების საწინააღმდეგოდ. მისი დამფუძნებელია ედუარდ ბერნეტ ტეილორი (1832—1917) — პირველყოფილი კულტურისა და რელიგიის მკვლევარი. ამ თეორიით მსოფლიოს ხალხთა კულტურის მსგავსება ახსნილია პირველყოფილ ადამიანთა ფსიქიკის იგივეობით. ამ თეორიას ხშირად თვითჩასახვის თეორიასაც უწოდებენ. ანთროპოლოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მოძღვრებას ადამიანის შესახებ (antropos — ადამიანი, logos — მოძღვრება). ტეილორი მიზნად ისახავდა გაერკვია კაცობრიობის კულტურის განვითარების საფეხურები. მისი ძირითადი ნაშრომების ნაწილი, სადაც მითისა და პოეზის გენეზისის და ისტორიის საკითხები დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ წანამძღვრებთან თარგმნილია რუსულ ენაზე. ასეთებია: (1871 წ. ლონდონში გამოცემული „პირველყოფილი კულტურა“ Primitive Culture — რუსული გამოც., 1939). ილია ჭავჭავაძის ნაქონი ტეილორის ნაშრომები დაცულია საქ. საჯარო წიგნსაცავში. არშიებზე ი. ჭავჭავაძის მინაწერები ახლავს. ანთროპოლოგიური თეორიის თვალსაზრისით ხასიათდება ნაშრომე-

ბი ინგლისელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და სოციოლოგის ჰერბერტ სპენსერისა (1820—1903). ტეილორისაგან განსხვავებით, სპენსერმა უარყო პირველყოფილი ადამიანის ფანტაზია და აღიარა მისი დაკვირვების უნარი. მითის, რელიგიისა და შემოქმედების წყაროდ მიიჩნია სიზმარი, გულისყრა, ექსტაზი და ა. შ.

მოდღვრებას მითების წარმოშობისა საერთო ფსიქოლოგიურ საფუძველზე მთლიანად იზიარებდა და ტეილორთან ერთად ანვითარებდა შოტლანდიელი ისტორიკოსი და ფილოლოგი ენდრიუ ლანგი (1844—1912). ა. თ-ს პრინციპებზეა აგებული მისი ნაშრომები: „მითოლოგია“ (რუსული თარგმანი ნ. და ვ. ხარუზინების, 1901); „წესჩვევები და მითი“ (Custom and Myth, 1884); „მითი, რიტუალი და რელიგია“ (Myth, Ritual and Religion, 1887).

ა. თ-ს მრავალი მიმდევარი და თანამგრძნობი გამოუჩნდა ევროპაში; გერმანიაში ა. თ-ს გავლენა განიცადა ადრე მითოლოგიური სკოლის წარმომადგენელმა ვილჰელმ მანჰარდტმა (1831—1880). ამ პრინციპებითაა აგებული მისი „მინდვრისა და ტყის კულტები“ (Wald und feldkulte, 1875 — 1877). გერმანიაში ანთროპოლოგიურ მოძღვრებას თავისებური სახე მისცა ვილჰელმ მაქს ვუნდტმა (1832—1920). ნაშრომში „ხალხთა ფსიქოლოგია“ (Völker psychologie) ვუნდტმა ენა და ფოლკლორი მოწყვიტა სოციალურ საფუძველებს, მთლიანად ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მოვლენებამდე დაიყვანა. ვუნდტის „ფსიქოლოგიურმა სკოლამ“ ვერ მოიპოვა პოპულარობა. ვუნდტის იდეალისტური შეხედულებანი გაკრიტიკებულია ვ. ი. ლენინის ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. კიდევ უფრო ცალმხრივი და ნაკლებ პოპულარული იყო „ფსიქოლოგიური სკოლის“ ავსტრიული ვარიანტი, რომელიც წარმოდგენილია ფროიდის ნაშრომებში „სიზმრის ახსნა“ (Die Traumdeutung, 1900), „პოეტი და ფანტაზია“ (რუსული თარგმანი—1912). ფროიდმა რელიგიური შეხედულებანი და პოეტური ფანტაზია დაიყვანა სექსუალურ მომენტებამდე.

საფრანგეთში უოზუფ ბედიეს „ზღაპართა პოლიგენეზისის“ თეორია არ არის თავისუფალი ა. თ-ს გავლენისაგან.

უფრო გვიან ა. თ-ს პრინციპები გაიზიარა ინგლისელმა მეცნიერმა ჯემს ჯორჯ ფრეზერმა (1854—1941). ფრეზერმა, ტეილორის მსგავსად, რელიგიის წარმოშობა და განვითარება დაუკავშირა ადამიანთა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას. ფრეზერის შეხედუ-

ლებით პირველყოფილ ადამიანთა ფსიქიკის იგივეობა მსოფლიოს ხალხთა კულტურის მსგავსების მიზეზია. ფრეზერი ადამიანის ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მაგიას. მისი დასკვნით, მაგიზმი ანიმიზმის საფუძველია. მარქსისტული მოძღვრებით კი მაგიზმი ანიმიზმის საფუძველზეა შექმნილი. ფრეზერის ნაშრომები „ფოლკლორი ძველ აღთქმაში“ (The Folklore in the Testament) და „ოქროს შტო“ (The Golden bouge) თარგმნილია რუსულ ენაზე (Фольклор в ветхом завете, I — IV, 1928; 1931). ფრეზერის ნაშრომები შეიცავენ მდიდარ მასალას პირველყოფილ ადამიანთა წესჩვეულებების შესახებ.

რუსეთში ა. თ-ს პრინციპები გაიზიარა ა. ნ. ვესელოვსკიმ (1870—1906). ვესელოვსკიმ განიცადა დარვინის მოძღვრების ერთგვარი გავლენაც. ისტორიული პოეტიკის შემუშავებისას იგი ეყრდნობა ევოლუციურ თეორიას.

ა. თ-მ გადალახა ეთნიკური ნათესაობისა და კულტურული ურთიერთობის საზღვრები. გაამდიდრა მეცნიერება პირველყოფილი კულტურის მასალების ანალიზით. ა. თ-ს სუსტი მხარე იმაშია, რომ ვერ ახსნა საკაცობრიო კულტურის განვითარების კანონზომიერებანი.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, 1967, გვ. 374—375; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 129—33; Ю. Соколов, Русский фольклор, 1938, გვ. 75—86. Дж. Коккьяра, История фольклористики в Европе, 1960.

ქს. სიხარულიძე

ანთარი — წარმართული ღვთაება სამეგრელოში. დიდმარხვის წინა დღეს იმართებოდა რიტუალი სათანადო ტექსტით: „უინი ანთარი პატენი გომორძგვილი! ჩქიმი ორინჯი სი ამიშინი“. ვარაუდობენ, მსგავსად ხევს. ანატორის, აფხაზ. აფითარისა, იგი პირუტყვის (შინაური საქონლისა და ნადირის) მფარველი ღვთაება უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია I, 1960, გვ. 82; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 329.

დ. გოგოჭური

ანთროპომორფიზმი — უძველესი შეხედულება, რომლის მიხედვით ბუნებაში საგნებსა და მოვლენებს ადამიანის თვისებები გააჩნია. ა. ანიმიზმის (ნ.) ერთ-ერთი ფორმაა. ა-ის კვალი შემორჩენილია ფოლკლორში, განსაკუთრებით, მითიურ თქმულებებსა და

ზღაპრებში. დიდი როლი ითამაშა ხალხური პოეზიის მხატვრული გამომსახველობითი ხერხების გამდიდრებაში. მაგ., „მელა ჰივირდანიგელთან და უთხრა:...“ (ზღაპ.).

„სახნისმა ოქვა: ქვეყნელს დავაღ.“

მზისა შუქი მენატრება;

საკვეთელმა გაიგონა:

ჩემზე მეტი შენ რა გხედება?“ და სხვ.

ჯ. ბარდაველიძე

ანიმიზმი — პირველყოფილ საზოგადოებაში, ე. წ. ბარბაროსობის ხანაში, ჩამოყალიბებული რწმენა იმის შესახებ, რომ ბუნების ყოველ მოვლენასა და საგანს, ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს, განაგებენ ზებუნებრივი არსებანი — სულები. განასხვავებენ სულის ორ სახეობას. ერთი, რომელიც დაკავშირებულია რომელიღაც საგანთან ან მოვლენასთან, ხოლო მეორე — ავიან კეთილი სულები, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობენ და ქვეყანას განაგებენ. ანიმისტური რწმენით, სიზმრის, ეპილეპსიის, გულის წასვლის და მსგავს შემთხვევებში, ადამიანის სხეულს დროებით ტოვებს სული. მიცვალებულთა სულები უკვდავნი არიან და ისინი კვლავ უბრუნდებიან ქვეყანას ახალდაბადებულთა სახით.

პირველყოფილი ხალხის შეხედულებით, არა მარტო ადამიანი, არამედ ყოველი საგანი და მოვლენა ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი — სხეული, რომელსაც ვხედავთ, და მეორე — სული, რომელიც უხილავია. სული არის კეთილიც და ავიც (ბოროტი). ზევსურებში უკანასკნელ დრომდე იყო შემორჩენილი ჩვეულება, რომ ქალი მოსამშობიარებლად ბოსელში წაეყვანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავი სულები მშობიარეს ადვილად იპოვიდნენ და უხედურებას შეამთხვევდნენ. ა.-თან იყო დაკავშირებული მძიმე სენით დაავადებულების სახელის შეცვლა, რათა ავ სულებს ვერ ეცნოთ ავადმყოფი და სხვ.

ა. ჩაისახა პირველყოფილ-თემურ წყობილებაში. ლენინის თქმით, იგი გამოხატავდა „ველურის უძღურებას ბუნებასთან ბრძოლაში“. ანიმიზმი ყოველგვარ რელიგიის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა და ხელს უშლიდა ადამიანს რეალურად შეემეცნებინა ბუნების საიდუმლოებანი. სამაგიეროდ, ანიმისტ. შეხედულებებმა დიდი კვალი დაამჩნია ხალხურ პოეტურ აზროვნებას და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის განვითარებას. განსაკუთრე-

ბული გავლენა მოახდინა ტროპის ცალკეული სახეების — მეტაფორის, განპიროვნების და სხვ. ჩამოყალიბებაზე. ა. შეხედულებათა ანარეკლი ეტყობა ხალხურ პოეზიაში გავრცელებულ განმოსახველობით ხერხს პარალელიზმს (ნ.). ა. შეხედულებების გადანაშთი კარგად ჩანს, როგორც ჩვეულებრივ მეტყველებაში, ასევე მითიურ თქმულებებში, ჯადოსნურ ზღაპრებსა და შელოცვებში.

ლიტ.: В. И. Ленин, Философские тетради, конспект книги Фейербаха «Лекции о сущности религии»; Францев Ю. П., Фетишизм и проблемы происхождения религии, М., 1940; Веселовский А. Н. Историческая поэтика, Л., 1940; Э. Тейлор, Первобытная культура, 1939.

ჯ. ბარდაველიძე

ანტიფონური შესრულება — ხალხური ნაწარმოების გუნდური შესრულების ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული სახე. სრული სახით აღწერილი აქვს ალექსანდრე ორბელიანს (1881): „ქალნი და კაცნი ორ დასად გაყოფილი, ერთმანეთის პირდაპირ კარგა მოშორებით, ხელიხელ გაბმულები (იდგნენ) მწყკრივად; ჯერ ერთი გაბმული დასი წამოვიდოდა თავის პირისპირ დასისა, წყანარად მომავალნი და ამას მღეროდნენ: „სამაია სამთავანა, რა ტურფა რამ ხარო“... მერე „ის მეორე დასი ჩამოაროგედა სიმღერას პირველ დასს, თან პირველის დასის რიგით წამოვიდოდა და იმათის რიგით შეასრულებდა იმ წესსა. ეს ორი გაყოფილი დასი ხან ერთი მივიდოდა მეორესთან, ხან მეორე პირველთან, მაგრამ თანდათან კი აჩქარებდნენ სიმღერას თავის შეწყობილის ლექსებით“. შესრულების ასეთი წესი ყველაზე სრული ფორმით შემოინახა შრომის იმ სიმღერებმა, რომლებიც „ნადურის“ (ნ.) სახელწოდებითაა ცნობილი. ანტიფონურ შესრულებას დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი ტერმინი — „ორბუნი“ (ნ.) გააჩნია.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

ჯ. ბარდაველიძე

აპოკრიფი — (ბერძ. დაფარული, საიდუმლო). ბიბლიური ხასიათის თხზულება, რომლის შინაარსიც ოფიციალურ სარწმუნოებრივ მოძღვრებას არ შეესაბამება. ამის გამო იგი რელიგიის მესვეურთაგან იკრძალება, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში არ შედის და ეკლესიისგან მალულად ვრცელდება. აპოკრიფული თხზულების გარჩევა ნამდვილისაგან არ იყო იოლი საქმე. ამიტომ ეკლესია დროდადრო აქვეყნებდა აპოკრიფული წიგნების

ნუსხას. ქართველებს აპოკრიფების თარგმნა ადრე დაუწყიათ და მეთე საუკუნეში ამ დარგის მდიდარი მწერლობა გვქონია. საქართველოში აპოკრიფული ლიტერატურის გავრცელებამ ხელი შეუწყო ქართული ქრისტიანული ლეგენდებისა და ფოლკლორის საინტერესო უნარის — სასულიერო-რელიგიური ლექსების ჩამოყალიბებას.

ლიტ.: А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, 1895, გვ. 319; ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941, გვ. 391; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 350.

6. შამანაძე

არაკი, არეკი, არიკი, არკალ — დიდაქტიკური ხასიათის მოკლე ზეპირი მოთხრობა, ამბავი. ქართულ ზეპირტრადიციისაში ხშირად ზღაპრის, უმეტესად კი იგავის (იგავ-არაკი) სინონიმად იხმარება. მთიულეთში არეკი ეწოდება ყოველგვარ ზეპირ თხრობას (პროზაულს თუ გალექსილს), საწინააღმდეგოდ „ლექსისა“, რომელიც სიმღერით წარმოითქმის. სამეგრელოში „არიკი“ ეწოდება ზღაპარს, სვანეთში „არკალ“ — ამბავის, არაკის სინონიმია. ტერმინი ნ. მარს უძველეს, ზოგად კავკასიურ მოვლენად მიაჩნდა, რასაც მოწმობს ამ ტერმინის გავრცელება ფართო ტერიტორიაზე, მესოპოტამიიდან — კავკასიამდე, მისი არსებობა კავკასიის უმწერლობო ხალხებში და დიალექტური სხვაობებით ასახვა მთელი კავკასიის ზეპირსიტყვიერებაში. ეს კი გამორიცხავს მის გვიანდელ, რომელიმე მწერლობის გავლენით, გაჩენას. მისგან უნდა იყოს ნაწარმოები აფხაზური „ალაკუ“.

ლიტ.: Н. Я. Марр. Кавказская поэзия и ее технические основы в освещении лингвистической палеонтологии. ლიტერატურული ძიებანი, III, 1946, გვ. 325; მ. ჩიქოვანი, ხალხური ზღაპრები, I, 1938, გვ. 15—16; ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთი — გუდამაყარი, 1958, გვ. 90—94.

ელ. ვირსალაძე

არამ ხუტუ — ამირანიანის (ნ.) მეგრული ვარიანტის უმთავრესი პერსონაჟი. ა. სამეგრელოში, ჭვარის მიდამოებში მოქმედებს. არაჩვეულებრივი ძალისაა და ღმერთს ეურჩება. ღმერთმა მას ძაფი შემოაქსელა, ჯაქვად აქცია და ასე მოხერხებით ასფუთიან პალოზე დააბა. ა. პალოს მოთხრას ცდილობს, მაგრამ მასაქვლა ჩიტი უშლის ხელს გათავისუფლებაში. ფიქრობენ, ა. სახელს ხურიტულ ონომასტიკასთან აქვს კავშირი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭველი ამირანი, 1947; გ. უორდანი, მეხურელნი, 1956.

ბ. ჩიქოვანი

არაუიშვილი დიმიტრი ეგნატეს ძე (1873—1953) — გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი. ა. დიდი ამაგი დასდო ქართული მუსიკალური ფოლკლორის შეკრება-შესწავლის საქმეს. 1901—1908 წლებში ოთხი ექსპედიცია ჩაატარა და 500-მდე ხალხური სიმღერა შეკრიბა. 1897 წელს გაზ. „ივერიაში“ პირველად დაიბეჭდა ა. წერილები ზუსიკალური ფოლკლორის შესახებ. მასვე ეკუთვნის ნაშრომები: „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“ (1916), „ქართული მუსიკა“ (1925), „სვანური ხალხური სიმღერები“ (1950), „დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა“ (1954).

ლიტ.: გ. ჩხიკვაძე, საქართველოს კომპოზიტორები, 1956.

გ. ბარნოვი

არგონავტების ლაშქრობა — ძველი ბერძნული თქმულების მიხედვით, არგონავტებმა იასონის მეთაურობით მოაწყვეს ლაშქრობა კოლხიდაში (დასავლეთ საქართველოში) ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. მითიური თქმულებების გადამუშავების საფუძველზე ძვ. წ. III საუკუნეში ბერძენმა პოეტმა აპოლონიოს როდოსელმა შექმნა ვრცელი პოემა „არგონავტიკა“. არგონავტების საბელწოლების შესახებ არსებობს ორი მოსაზრება: 1. რომ ის წარმოსდგა ზომილად „არგო“-ს სახელიდან, 2. სიტყვის ძირი „არგ“ აღნიშნავს ქვეყანას, კერძოდ სა-მარგ-ელოს (სამეგრელოს), საითაც მიემგზავრებოდნენ ბერძენი მეზღვაურები. მიუხედავად მითოლოგიური შინაარსისა, თქმულებას არგონავტების შესახებ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ძველი საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს.

ლიტ.: აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის თარგმანი; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956.

ჟ. ბარაღველიძე

არეშიძეთა ამოწყვეტა — მთის რაქაში ბოლო დრომდე გავრცელებული საფერხულო ლექს-სიმღერა. მასში ასახულია ძმები არეშიძეებისა და ლებში მცხოვრებ გლეხთა ურთიერთობა. ზვიანდა ლობჯანიძის მეთაურობით ლებელებმა არეშიძეთა ამოსაწყვეტად შეთქმულება მოაწყვეს და მიზანსაც მიაღწიეს. „არეშიძეთა

ამოწვევტა“ წინ უსწრებს „არსენას ლექსს“ და თვალსაჩინო ფოლკლორული ძეგლია.

ლიტ.: Л. Майсурадзе, Гибское сельское общество. Собр. мат., вып. XXII, გვ. 214 — 215. ს. მაკალათია, მთის რაქა, 1930, გვ. 20—24; ქართული სახალხო გმირები, 1952, გვ. 21—22.

ქ. სიხარულიძე

„არილი“ — თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ივ. ჭავჭავაძისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის-თავზე (1900—1925) მიძღვნილი კრებული. შინაარსობრივად მრავალფეროვან წერილთა შორის კრებულში დაბეჭდილია ფოლკლორული თვალსაზრისით საინტერესო მასალები. მაგალითად. არნ. ჩიქობავას წერილში „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“ გამოქვეყნებულია ხალხური ზღაპრები (გვ. 81—88); ვ. თოფურიას ნაშრომში „ქართლური“ გამოყენებულია ხალხური შემოქმედების ნიმუშები: ანდაზები, გამოცანები, ნაკვესები, ლექსები, პროზაული ტექსტები (გვ. 150—152).

ლიტ.: არილი, 1925.

ფ. ზანდუკელი

არსენას ლექსი — მასობრივად გავრცელებული თექვსმეტ-მარცვლიანი მესტვირული პოემა, რეალისტური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში. ა. ლ. გადმოცემულია მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციები XIX საუკუნის 30-იანი წლებისა. პოემის ადრესატია სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი (ნ.). ხალხურ ლექსში გადმოცემულია გლეხობის სიყვარული მშრომელთა ქომაგა გმირის მიმართ და პროტესტი ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მხატვრული სახეები ნაჩვენებია უშუალო მოქმედებაში. მასის საყვარელ გმირებთან ერთად რეალისტურადაა წარმოსახული უარყოფითი პერსონაჟები — ზაალ ბარათაშვილი, ფარსადან ბოდბისხეველი, კუჭატელი და სხვ. ა. ლ.-ში დიდი ხელოვნებითაა შერწყმული ტრაგიკული და კომიკური სიტუაციები. დრამატიზმს აძლიერებს არსენას ვაჟკაცური საყვედური. მოლაღატეების — ფარსადანისა და კუჭატელის მიზართ. დაუვიწყარ სცენებს ქმნის არსენას შეხვედრა ვაჟართან, უფროსის ტანსაცმლით გამოსვლა აბანოდან და სხვ. ხალხური ლექსი შექმნილია მესტვირეთა შორის. ავტორობას ზოგი რაჭველ მესტვირე ანდრია ნადირაძეს მიაწერს, ზოგი კი ქართლელ გიორგი ქებაძეს.

არსენას ლექსმა თავისი ასახვა პოვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა — ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, მიხეილ ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და სხვათა შემოქმედებაში. მისი გავლენა ატყვია ქართული პოეტური ფოლკლორის რამდენიმე საყურადღებო ნიმუშს („მიხას ლექსი“, „ნიკოლოზ მეხუზლას ლექსი“). ხალხური ლექსის მიხედვით მ. ქიაურელმა შექმნა კინოფილმი „არსენა“, ა. ლ. რუსულ ენაზე თარგმნეს — 1937 წ. ა. ჩაჩიკოვა, 1958 წ. — ვ. დერჯავინმა.

ლიტ.: პ. უმიკაშვილი, არსენა, კრებული, 1872, 5—7; ს. მესხი, ნაწერები, 1904, გვ. 58—66; ვ. ბარნოვი, ქართული სიტყვიერებას გაკვეთილები, რე. 1, 1919, გვ. 40—50; არსენას ლექსი პ. კეშელავას რედ., 1939; აბ. ცანავა, ქართული მეტყვიერი პოეზია, 1953, გვ. 156—177; გრ. კაკიაშვილი, არსენა ქართულ ლიტერატურაში, 1955; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I, 1961, გვ. 36; ტ. III, 1967, გვ. 24—39; 303—322.

ქს. სიხარულიძე

არსენას ლექსის გამოცემანი — ა. ლ. პირველი და მეორე გამოცემები განახორციელა ნ. ყიფიანმა 1872 წ.; მესამე გამოცემა, შედგენილი 17 ხელნაწერი ვარიანტის საფუძველზე, დაბეჭდა პ. უმიკაშვილმა 1874 წ. ამ გამოცემებში გამოყენებული ვარიანტები ჩაწერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, უმთავრესად თბილისსა და კახეთში. პ. უმიკაშვილისეული შერწყმული ტექსტი არაერთხელ გამოცემულა. ამავე ტექსტით სარგებლობდნენ ზ. ჭიჭინაძე, ს. მელიქიშვილი და სხვანი. ა. ლ. მრავალჯერაა დაბეჭდილი. 1966 წ. ილუსტრირებულმა გამოცემამ მაღალი შეფასება დაიმსახურა ლაიპციგის წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე.

ლიტ.: არსენას ლექსი მესტიერთაგან თქმული. სახალხო პოემა, თბ., 1872; არსენას ლექსი მესტიერთაგან თქმული. შედგენილი პ. უმიკაშვილისაგან, 1874; ქართული წიგნი, I—IV ტტ., 1941—1945; ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიოსი ტყვიერება, III, 1967.

ე. მაცაბერიძე

არსენა ოძელაშვილი — სახალხო გმირი, ცხოვრობდა XIX ს. 30—40-იან წლებში. ა. ო. იყო ყმა-გლეხის მოსარჩლე, იბრძოდა ბატონყმობის, ჩარჩ-ვაჭრებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ა. ო. 1842 წელს მოკლეს. დასაფლავებულია მცხეთაში, მტკვრის მარცხენა ნაპირას. ა. ო. შექმნილია ციკლი პოეტური ფოლკლორის ნიმუშებისა (ნ. „არსენას ლექსი“).

ლიტ.: ს. მესხი, ნაწერები, 1904 წ., გვ. 58—66; А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, I, 1895, გვ. 56, 57; პ. უმიკაშვილი, ხალხური
52

სიტყვიერება, IV, 1964; ვ. ბარნოვი, ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, 1919, გვ. 46—50; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1938, გვ. 17—21; აპ. ცანავა, ქართული მესტიური პოეზია, 1953, გვ. 165, 1969; გრ. კაკიაშვილი, არსენა ქართულ ლიტერატურაში, 1955.

ქ. სიხარულიძე

არსენა ჯორჯიაშვილი (1881—1900) — სახალხო გმირი. რევოლუციონერი. დაიბადა თბილისის მაზრის სოფ. დიდენაგეთში (ბოგვი). 14 წლის ასაკიდან დაიწყო მუშაობა თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. 1895 წლიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1906 წლის 16 იანვარს ყოფილ ბარიატინსკის (ამჟამად ჯორჯიაშვილის) ქუჩაზე, ამხანაგებთან ერთად, ა. თავს დაესხა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს გენერალ გრიზნოვს და ყუმბარით მოკლა. ა. დააპატიმრეს და თბილისის საგუბერნიო ციხეში ჩამოახრჩეს 1906 წლის 1 მარტს. ხალხმა ა. შესახებ შექმნა ლექსები და სიმღერები. ზოგი მათგანის დაბეჭდა მოხერხდა კიდევ 1906 წელს. არსენასადმი მიძღვნილ პოპულარულ ლექსში ნათქვამია:

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
თაისუფლებას შევწირე თავი...

ლიტ.: რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეები საქართველოში, 1961., გვ. 684; ელენე ჯორჯიაშვილი, არსენა ჯორჯიაშვილი, 1967 წ.

გ. ბარნოვი

არქივი ფოლკლორული — ხალხური პოეტური შემოქმედების ნიმუშების დაცვის ადგილი. ფ. ა. არსებობს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებასთან, ხელნაწერთა ინსტიტუტში, უნივერსიტეტში, სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში.

ფ. ა. ძირითადი ბირთვი შექმნილია 1932 წ. სახ. მუზეუმის ფოლკლორის განყოფილებასთან. 1936 წ. შეუერთდა შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ფოლკლორის განყოფილებას. აქ ფ. ა.-ს ყოველწლიურად ემატება როგორც საექსპედიციო მასალები, ასევე კერძო პირთა კოლექციები. ამჟამად იგი ყველაზე მრავალფეროვანია რესპუბლიკაში. ფ. ა. დაცულია 500 ათასზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ტექსტი. საექსპედიციო მასალებიდან ფ. ა. დიდი ადგილი უჭირავს კახეთისა და ქართლის მასალებს. არა ნაკლებია საქართველოს მთიანეთის (ფშავი, ხევსურე-

თი, მთიულეთი, თუშეთი და მთის რაჭა). კერძო პირთა კოლექციებიდან მნიშვნელოვანია გასული საუკუნის საზოგადო მოღვაწის პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ზეპირსიტყვიერების მასალები, აგრეთვე საბჭოთა ფოლკლორისტიკის — ვ. კოტეტიშვილის (ნ.) კოლექცია. თავის მნიშვნელობით საყურადღებოა ნ. ბაკურაძის (ნ.), მ. კელენჯერიძისა (ნ.) და სხვათა მიერ შეკრებილი მასალები.

ფ. ა. დლიდან მისი დაარსებისა წარმოებს შემოსული მასალის მეცნიერული დამუშავება და კატალოგიზაცია. ამჟამად მიმდინარეობს ფ. ა. ხელნაწერთა ანოტირებული აღწერილობის შედგენა. უკანასკნელ ათეულ წლებში ფ. ა. შეემატება ფოტოტექისა და ფონოტექის ფონდები. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია საექსპედიციო მუშაობის ძირითადი მომენტები. ფონოტექაში დაცულია საუკეთესო სახალხო მთქმელთა და შემსრულებელთა ხმის ჩანაწერები მაგნიტოფონის ფირზე.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ფოლკლორული ექსპედიციები საბჭოთა საქართველოში „საისტორიო წერილები“, 1968, გვ. 56—70.

ვ. მაიაბერიძე

არქეტიპი — ერთი და იგივე სიუჟეტის ურთიერთ ახლო მონათესავე ტექსტების უძველესი წინამძღვარი, ამოსავალი ტექსტი. ამირანის თქმულების კოლხური ვერსიის საფუძველზე გარკვეულ გუთხეების ვარიანტები განვითარდა, მაგრამ თვითონ ამ ვერსიის სიტყვიერი სახე ამჟამად საძიებელია. სწორედ ის ტექსტი, რომელიც თავის დროზე მთლიან კოლხურ ვერსიას წარმოადგენდა და საფუძვლად დაედო იმერულ, გურულ, რაჭა-ლეჩხუმურ, სვანურ, მეგრულ, აფხაზურ ვარიანტებს და ერთი არქაული მთლიანი ტექსტის სახით ჩვენამდე არაა მოღწეული — ამირანის თქმულების კოლხური ვერსიის არქეტიპია. მრავალი ვარიანტის შემკველი სიუჟეტების არქეტიპები ყოველთვის საძიებელია, როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ისე ხელნაწერ ფონდებში. ჩანაწერის ქრონოლოგიური სიძველე არ ნიშნავს, რომ მისი ტექსტი არქეტიპთან ახლო მდგომია. მოსალოდნელია ზეპირტრადიციამ ნაწარმოების უფრო ძველი სიტყვიერი ქსოვილი შემოინახა, ვიდრე იმავე ნაწარმოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე შესრულებულმა ჩანაწერმა. კონკრეტულად ტექსტობრივი სიახლოვე თუ სიშორე დამოკიდებულია შემთხვევაზე — პირველ ფიქსატორს ჩაუვარდა თუ არა ხელში საძიებელი ძეგლის ყველაზე არქაული ტექსტი. იქნებ მას საქმე ჰქონდა მოდერნიზებულ და გადასხვაფერებულ

ვარიანტთან! არქეტები მუდამ საძიებელია და მისი აღდგენა ყოველთვის როდი მთავრდება წარმატებით.

ლიტ.: Д. Лихачев, Текстология, 1962; Принципы текст. изучения фольклора, 1966; М. Чиковани, Нар. груз. эпос о прикованном Амраши, 1966.

მ. ჩიქოვანი

არჩილი (1647—1713) — ჯერ იმერეთის, შემდეგ კი კახეთის მეფე. 1699 წელს გაემგზავრა მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში. დაემკვიდრა მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსენსკი-ატსკოეში. დასაფლავებულია მოსკოვში, დონის როსტოვის მონასტერში.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში არჩილი ცნობილია როგორც სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის წინააღმდეგ ანტიური მებრძოლი. ენერგიულად იცავდა ქართული ენის სიწმინდეს, უარყოფდა ბარბარიზმებს და ცდილობდა ლიტერატურაში ეროვნული თემატიკის დამკვიდრებას. არჩილის ზოგიერთ ნაწარმოებში იგრძნობა გარკვეული სიახლოვე ხალხურ პოეზიასთან. გარდა ხალხური სალექსო ზომისა, რომელიც არჩილმა, უეჭველად, „ვეფხისტყაოსნიდან“ გადაიღო, მისი ზოგიერთი ნაწარმოებები სხვა მხრივაც ეხმაურებიან ზეპირსიტყვიერებას. ასე, მაგალითად, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, კომპოზიციური და იდეური თვალსაზრისით, უახლოვდება სიკვდილისა და სიცოცხლის გაბაასების ცნობილ ხალხურ ციკლს, ხოლო „ლექსნი ასეულნი“ დიდაქტიკურ-ფილოსოფიური გააზრებითა და რიტმულ-ინტონაციური სტრუქტურით ენათესავება ხალხურ პოეზიაში გავრცელებულ აფორისტული ხასიათის სტროფებს. შეინიშნება აშკარა პარალელებიც. მაგალითად:

ზოგს ამდენს მისცემ, სოფლო, რიცხესა არ შეაგებიანებ,
ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცურცლს მოაძებნიანებ.

(არჩილი)

სოფლო ნიეთ-მოეთო, საზრუნავისა მახეო,
ზოგსა ცათამდის აიყვან, ზოგსა უუღლმა დაჰხეო.

(ხალხური)

ლიტ.: არჩილიანი, I, 1936; არჩილიანი, II, 1937, აღ. ბარამიძისა და ნ. პერძენიშვილის რედაქციით; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969 წ., გვ. 341—362.

ჯ. ბარდაუელიძე

არწივი — ფრთოსანთა მეფედ წოდებული, დიდი და ღონიერი მტაცებელი ფრინველი, რომელიც უმთავრესად მთებში ბინადრობს. საგმირო ლექსებში ვაჟაკობისა და შეუპოვრობის სიმბოლოდაა მიჩნეული. გვხვდება ზღაპრის პერსონაჟადაც.

ნ. შამანაძე

ასათიანი ნიკო გაბრიელის ძე (1858—1942) — ხალხური სიტყვიერების შემკრები, ცხოვრობდა და მუშაობდა ახალციხეში. მოგზაურობდა სამცხე-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთში. ფოლკლორულ-შემკრებლობითი საქმიანობა დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გამაჰმადიანებულ ქართველთა მიერ თურქულ ენაზე შექმნილ ზეპირსიტყვიერებას. „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „ჯეჯილში“ ქვეყნდებოდა მისი ფელეტონები, ნარკვევები და მცირე მოთხრობები, აგებული ხალხურ სიტყვებზე. გაზეთ „მესხეთში“ დაბეჭდა ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ახალციხური ვარიანტი. რამდენიმე ხალხური ნაწარმოები ჩაწერილი აქვს თავისი მეუღლის ნინოს თქმით, რომელიც წარმოშობით გორის რაიონის ს. ხიდისთავიდან იყო.

ნ. ასათიანის ჩანაწერები ინახება შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში და ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961; ი. მაისურაძე, პატრიოტი მოღვაწე, „წითელი დროშა“, ახალციხე, №№ 21, 17, 11, 1957.

ილ. მაისურაძე

ასახსნელი||სახსნეველი — გამოცანა, იხმარება უმთავრესად ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში. ზემო აჭარაში იმავე მნიშვნელობით გვხვდება საბმურა, იხ. საბა: დასაბმელი.

ნ. ცქიტიშვილი

ასახსნელი სიტყვა — ნ. გამოცანა.

ასონანსი — ერთნაირი ხმოვნების გამეორება ლექსის ცალკეულ სიტყვებში. ა. განსაკუთრებით გავრცელებულია რითმაში. ასონანსურია რითმა, როცა სარიტმო სიტყვებში მხოლოდ ხმოვნები მეორდება, ხოლო თანხმოვნები სხვაა. მაგ.:

მცხეთაში ერთი მღვდელია
ციყანს მიუგავს წყვილია.

ჟ. ბარდაველიძე

ასტროფულობა — ძველი ხალხური ლექსწყობის დამახასიათებელი ნიშანი. ხალხური ლექსების (ნ.) უმრავლესობაში სტროფი (ნ.), როგორც გამოკვეთილი რიტმული ერთეული იშვიათად გვხვდება, თუმცა ისტორიულად სტროფი, ისევე როგორც ლექსის სხვა კომპონენტები (ნ.), ხალხურ პოეზიაში (ნ.) იღებს სათავეს. ალი ლექსის ნიმუშებია: „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი“, „ავთანდილ გადინადირა“ (ნ.), „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ (ნ.), „შემომეყარა ყივჩაღი“ (ნ.) და სხვ.

ჟ. ბარდაველიძე

აფორიზმი — საყურადღებო აზრი გამოთქმული ლაკონურად და მტკიცე პოეტური ფორმით, რომელსაც აქვს დამოუკიდებელად გავრცელების უნარი. ა. შეიძლება ჩართული იყოს სხვადასხვა სახის ნაწარმოებში ან ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ჟანრის სახით. მაგ.: რუსთაველის შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემებში ჩართულია შემდეგი აფორიზმი:

ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
რას არგებს გეარაშვილობა.

დამოუკიდებელი აფორიზმის ნიმუშია:

ვაეკასა — გული რკინისა,
აბჯარი — თუნდა ხისანი,
თვალნი — ქორებულ მხედავნი,
მუხლები — შავარდნასანი.

ჟ. ბარდაველიძე

აფსათი — არამტაცებელი ნადირისა და ფრინველების მწყემსი, გამგებელი ძველი მითოლოგიური წარმოდგენით. სახელი ა. სხვადასხვანაირად გამოითქმის: სვანური ენის ლენტეხურსა და ლახამულურ კილოებში აფსად არის, მულახურში — აფსანსტ, კალურში — აფსატ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ღვთაების სახელი დიდი ხანია ტრიალებს ქართველთა ენობრივ გარემოში. ფუნქციით ა. ნადირობის ქალღვთაებას დასს (ნ.) ემსგავსება. მათ შორის განსხვავებაც არის; ა. მამაკაცღვთაებაა, მაშასადამე, შედარებით ახალი ფორმაციისა, ე. ი. პატრიარქატის დროინდელი.

ა. ოსურ მითოლოგიაშიც გვხვდება და იმავე მოვალეობას ასრულებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959, გვ. 153—55; სიანური პოეზია, I, 1939, გვ. 275; ავ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., I, 1928, გვ. 89.

ბ. ჩიქოვანი

„აღზევანს წავალ მარილზე“ — აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ურმული ლექს-სიმღერა. ა. წ. შინაარსით, წარმოშობითა და ტრადიციით დაკავშირებულია ნატურალური მეურნეობის იმ ხანასთან, როცა საქართველოში მარილი ურმით შემოქონდათ თურქეთის საზღვარზე მდებარე კავზმნიდან — ქართული გამოთქმით აღზევნიდან. ა. წ. ვრცელ ვარიანტებში გადმოცემულია მეურმის ტრაგიკული თავგადასავალი. მკვლევარნი მას ხალხური შემოქმედების სხვადასხვა სახეს მიაკუთვნებენ: დ. არაყიშვილს საყოფაცხოვრებო გუნდურ სიმღერად მიაჩნია, ვ. კოტეტიშვილი კი საგაზაფხულო რიტუალს უკავშირებს. ა. წ. ქართლსა და კახეთში ერთიმეორისაგან განსხვავებული მელოდიები აქვს. იგივე სათაური მისცა რ. ერისთავმა ურმულის ტრადიციაზე შექმნილ საკუთარ ლექსს.

ლიტ.: Д. Аракишвили, Обзор народной песни Восточной Грузии, Тбилиси, 1943, გვ. 20; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 379; ქართული ხალხური სიმღერა, I, რედაქტორ-მემღვანელე გრ. ჩხიკვაძე, 1960, გვ. 118, 278; თ. მამალაძე, შრომის სიმღერა კახეთში, 1962, გვ. 48—52; თ. თქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 139.

ქ. სიხარულიძე

აღმაშენებელი დავით — იხ. დავით აღმაშენებელი.

აღმზრდელი ნინო — გამოჩენილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის გამზრდელი ქალი, რომლის ზეპირმონათხრობთ დიდი გავლენა მოუხდენია მომავალი რომანისტი სულიერ ცხოვრებაზე. ა. ყაზბეგი ნინოს ასე მიმართავს: „ხელის-ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრეები“ და სხვადასხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა“. იქვე მწერლის აღიარებაცაა მოცემული: „შენს გაზრდილში თუ იპოვება რაიმე რიგიანი ბავშვობიდანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობს წარმოუთქმელად“. ჩანს, მოხევე ქალი ნინო შესანიშნავი მთქმელი ყოფილა მსგავსად ღინჯა ხულელისა (ნ.). ღინჯას ა. ყაზბეგი დიდ

პატივს სცემდა. ამ ტიპიური შემსრულებლის პორტრეტი ნა „ელგუჯაში“ დახატა.

ლიტ.: ალ. ყაზბეგი, თხ., V, თბ., 1950; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. 1956.

მ. ჩიქოვანი

აღნიაშვილი ვლადიმერ (ლადო), (დაიბადა შილდაში 1860 წ., გარდაიცვალა თბილისში 1904) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ხალხური მუსიკის პოპულარიზატორი, ზეპირსიტყვიერების შემკრებ-გამომცემი. 1885 წ. „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი „მათდამი, ვინც იკისრებს. პირობანი ჩვენსა და ხალხური ნაწარმოების შემკრებთა შორის“. შეადგინა და 1890 წ. გამოაქვეყნა „ხალხური ზღაპრების“ I წიგნი. კრებულმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. თარგმნა ინგლისურ ენაზე მარჯორი უორდროპმა (ნ.). ფოლკლორის ნიმუშები ა. შეიტანა აგრეთვე სახელმძღვანელოში „ახალი ანბანი“.

ლიტ.: აღნიაშვილი ვ., ხალხური ზღაპრები, I, 1890; ა. ხახანაშვილი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა, „ივერია“, 1891, № 27; მ. ჩიქოვანი, ვლ. აღნიაშვილი ზღაპრების გამომცემელი, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, 1, 1960.

მ. მაცაბერიძე

აყოლება — ხმის შეწყობა ინსტრუმენტის ან პარტნიორისადმი. „ამთვენს ახალ-უხალშია, ერთმ არ იცით აყოლება“, არის ნათქვამი ხევსურულ ლექსში.

დ. გოვოჭერი

აშილი, აშული — აჭარაში შემოსულია თურქული ენიდან, საფიქრებელია, მესხეთის გზით. სახალხო მთქმელებს ზემო აჭარაში აშულებს||აშილებს უწოდებდნენ. ზ/აჭარაში ცნობილი აშულები (ნ.) იყვნენ ქიბარ კახაძე, რეჯებ მყავანაძე და სხვ., რომლებიც ორენოვან ტექსტებს თხზავდნენ და ასრულებდნენ. ნაწილი ამ ლექსებისა დღესაც პოპულარულია.

ლიტ.: ჯ. ნოღაიდელი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, II, 1940.

ნ. ცქიტიშვილი

აშურა — მთვარის დღესასწაული. შემორჩენილია აჭარაში. ამზადებდნენ ერთგვარ წვნიან საჭმელს, რომელშიც უნდა ყოფილიყო თითო ან ორ-ორი მარცვალი ყველა იმ თესლისა, რასაც აღამიანი თესავს და საჭმელად ხმარობს. იმ მთვარეს, რომელზეც აშურას დღესასწაულობენ, აშურას მთვარეს ეძახიან.

ლიტ.: ჯ. ნოლაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აპარელთა ყოფაცხოვრებაში, 1935, გვ. 47.

6. შამანაძე

აშული (არაბ. აშუიკ — შეყვარებული, მიჯნური) — სახალხო მგოსანი, უპირატესად მუსულმანურ ქვეყნებში, რომელიც საჯაროდ მუსიკალურ ინსტრუმენტზე (კიანური, საზი და თარი) დამღერის. საქართველოში ა. თავს იჩენს XVI—XVII სს. აშულობა ჩვენში შემოსულია აღმოსავლეთიდან. აშულობას უფრო მეტად მისდევდნენ აღმ. საქართველოში, თბილისში, მესხეთ-ჯავახეთსა და აპარაში. თბილისში ბევრი უცხო ეროვნების აშული ცხოვრობდა. ისინი ქართულად თხზავდნენ და მღეროდნენ. თბილისისა და ერეკლე მეორის სამეფო კარის აშულთა ტიპური წარმომადგენელია საიათნოვა. თბილისელი ა. შესახებ ცნობები დაცულია „დასტურლამალში“. აშულობის ტრადიციაზე ვრცლად მსჯელობს ე. გრიშაშვილი (ნ.) თავის გამოკვლევებში: „საიათნოვა“ და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. ა. რეპერტუარის მცირე ნაწილი გამოაქვეყნა გ. სკანდაროვამ. ა. ტრადიცია დღემდე შემორჩენილია ახალქალაქის, მარნეულისა და ასპინძის რაიონებში.

ლიტ.: სკანდაროვა ქ., სალხინო საზანდარი, თბ., 1914; გრიშაშვილი ი. თხზ., III, თბ., 1963; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, მისივე, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966.

ვ. მაცაბერიძე

აძრახება — ალაპარაკება, ახმიანება. 1. სამგლოვიარო პერიოდის გასვლის შემდეგ ინსტრუმენტზე (ფანდური, გარმონი და სხვ.) დაკვრა: „აძრახდი, ჩემო ფანდურო, შენის ყერობის ხანია“. 2. ტრადიციული უმძრახობის შემდეგ ორი პირის (მაგ., რკლისა და მამამთილის) ურთიერთდალაპარაკება.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხეესურეთი, 1935, გვ. 215.

დ. გოვოჭური

ახალი წელი — ქართულ სახალხო-რელიგიურ დღესასწაულებში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ძველი წლის გასტუმრებისა და ა. წ. დადგომის ცერემონიალს. ა. წ. შეხვედრის ცერემონიალი წარმართობის დროიდანაა ცნობილი. სარწმუნოებრივ შეხედულებათა ცვალებადობის მიხედვით იცვლებოდა ა. წ. შეხვედრის დრო და რიცხვი. XVII საუკ. დაწესდა 1 იანვარი. ა. წ. შეხვედრას საქართველოში მტკიცე წესები ჰქონდა, მათში გარკვეული ადგილი ეჭირა მაგიურ ელემენტებს: თოფის გასროლა,

ჩიჩილაკი, მეკვლე და საახალწლო ლექს-სიმღერები, რაც მიჩნეული იყო ა. წ. მანძილზე ბედნიერებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებად.

ლიტ.: მაკალათა ს., ახალი წელი საქართველოში, 1927; ყუბანეიშვილი ს., ახალ წელიწადი, 1937; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; სიხარულიძე ქ., საწესო — კალენდარული პოეზია, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, I, 1960.

ვ. მაყაბერიძე

ახალ-უხლობა — ხევსურული ქორწილის მომდევნო დღეებში ნეფე-პატარძალთან მეზობელი და მახლობელი ახალგაზრდების თავმოყრა გართობის მიზნით. შეკრებაში მონაწილეობენ უმეტესად უცოლო და გასათხოვარი ახალ-უხლები. გვიან ღამემდე მღერიან, ლექსობენ და ცეკვავენ. ახალ-უხლური რეპერტუარი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ლიტ.: ს. მაკალათა, ხევსურეთი, 1935, გვ. 180.

დ. გოგოჭური

ახალციხელი შალვა — XII—XVIII სს. სახელმწიფო მოღვაწე და ხალხური ლექსების გმირი. შ. ა. ციკლის სასიმღერო ლექსები („დაიძრა დემურ ყაენი“), „შალვა იყო ვაჟიკაცი“, „შველევ ჩამოღვა“, „შველევ შენი შავი ჩოხა“ * და სხვ.) ასახავენ ქართველი ხალხის ბრძოლას აგრესორთა წინააღმდეგ. მაგალ. ჯალალედინის წინააღმდეგ ახალციხელთა საბედისწერო ბრძოლის ამსახველია საფერხულო „შველევ ჩამოხტა“.

ლიტ.: ისტორიანი და ჯმანი შარავანდედთანი. კ. კეკელიძის რედ., გვ. 109; გ. ლეონიძე, შალვა-შველევო, ვაზ. „კომუნისტი“, 1941, № 260; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 81—88; 140; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედ., I, 1961.

ქს. სიხარულიძე

ახიკარის სიბრძნე ანუ „სწავლანი ახიკარ ბრძნისანი“ — ძველ აღმოსავლეთში (ასურეთი, ეგვიპტე, ბაბილონი, არაბეთი) ფართოდ გავრცელებული აპოთეგმატური მოთხრობა. ცნობილია მრავალ ენაზე. არსებობს ქართული თარგმანიც, შესრულებული არაუადრეს XVIII საუკუნისა. ა. პოპულარობას ხელი შეუწყო სიუჟეტური კომპოზიციისა და მასში ჩართული სენტენციების, გამოცანა-იგავეების ხალხურობამ.

ლიტ.: А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, I, М., 1895, კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული პარალელები, ვაზ. „სახალხო განათლება“, 1946, № 45.

ვ. მაყაბერიძე

ახტალის ლეგენდა — ხალხში დარჩენილი ამბავი კახეთის. კერძოდ, გურჯაანის მიდამოებში არსებული სამკურნალო ტალახის წარმოშობაზე. გადმოცემით, იქ, სადაც ახტალაა, ძველად კალო ყოფილა. ფერიცვალობის დღეს ხუცესს ძნა გაუშლია და ლეწვას შესდგომა. ქრისტეს ჩამოუვლია, გამწყრალა, მღვდელი დაუწყევლია და მისი კალო-კარმიდამო ტალახში ჩაძირულა. მას აქეთ ახტალის ამოდულებულ ტალახს დედამიწის გულიდან ხან ნიჩაბი და ხან ბარი ამოაქვსო.

ა. ლ. უკავშირდება მსოფლიოში გავრცელებულ ჩაძირული ადგილების (ქალაქის, სოფლის) სიუჟეტს. ქართულ ფოლკლორშიც ლეგენდა მრავალსახოვანია. იგი უახლოვდება ხარება-ხარხარების, ბაზალეთისა და პალიასტომის ტბების ანალოგიური შინაარსის ხალხურ ნაწარმოებებს.

ლიტ.: „ივერია“, 1891, № 13; 1897, № 94, 1901, № 178; „ნაკად. (მოზრდ.)“, 1912, № 11; მ. ჩიქოვანი, მართალია თუ არა ხალხური ლეგენდა? „კომუნისტი“, 1969, 7 მარტი.

ფ. ზანდუკელი

აჯია-ბაჯია — ხევს. აზრის დაულაგებლად გადმოცემა. არამსატკრული, უშინაარსო ლექსი. კარგის საპირისპიროდ მდარე ლექსზე ითქმის.

დ. გოგოჭური

აჯაჰაქი, აჯახაკი — გველეშაბი, ავესტის აყიდაჰაკა, ფალ. აყ-დაჰაქ, ურჩხული ირანული ეპოსისა; სამთავიანი, ცეცხლისა და ბოროტების მთესველი, დამარცხებული თრაეტაონას, ფერიდუნის მიერ. გვხვდება „თრითინოს“ ზღაპარში.

ლიტ.: Гулбат, Сборник грузинских легенд, 1899.; გ. ახვლედიანი, მასნა, 9, თარგ. და კომენტარი, ლიტ. ძიებ., II, 1944; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭეული ამირანი, 1947; ს. ყუბანეიშვილი, ლიტ. და ხალხური ზაქიანი. აკად. მოამბე, XIV, № 6, 1953. ალ. ბარამიძე, თრითინოს გარშემო, დროშა, 1971, № 4, გვ. 11.

მ. ჩაჩავა

ბ

ბაბანი — ხევს. დატირება უტექსტოდ, მწუხარების გამომხატვე. შორისდებულთა რიტმული განმეორება მიცვალებულის დატირებისას. ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ი, და-და-და-და-და-ი.

ჩაად ღაბანებ, დედაო,
მამავ, რად ღობოქარობა.

ლიტ.: ქუთაისის მუზეუმი, 6418—39.

დ. გოგოჭური

ბაგრატიონი გრიგოლ იოანეს ძე (1789—1830) — პოეტი და მწიგნობარი. XIX საუკ. დასაწყისში აწარმოებდა ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას. 1819—25 წწ. შეუდგენია კრებული. რომელშიც შეუტანია XVIII საუკ. დასასრულს გავრცელებული მცირე ფორმის ნაწარმოები: ლირიკული სასიმღერო ლექსები, ზმები, მახვილსიტყვაობანი და სხვა ნიმუშები ზეპირსიტყვიერებისა. გ. ბ. კრებულში შესულია აგრეთვე საიათნოვას, ჭაბუა ორბელიანის, ბესიკის და სხვათა ოხუნჯობანი.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., შემკრებლობითი მუშაობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, 1, 1960, გვ. 100—101.

ვ. მაცაბერიძე

ბაგრატიონი ვახუშტი (1676—1770) — ვახტანგ VI შვილი. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გეოგრაფოსი, ისტორიკოსი. მის ნაშრომებში დაცულია ძვირფასი ცნობები ხალხური სიტყვიერების ტრადიციისა და შესრულების შესახებ (საქორწილო, სამგლოვიარო და სხვ.). ზოგჯერ გადმოცემული აქვს შინაარსი ისეთი ნაწარმოებებისა, რომლებიც ზეპირსიტყვიერებაში აღარ დასტურდება. საისტორიო ნაშრომებში იყენებს თქმულებებსა და ლეგენდებს (თამარ მეფე, ლევან კახთა მეფე, პალიასტომის ტბა და სხვ.). გვაწვდის ტოპონიმიკურ გადმოცემებს.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), 1941; ქს. სიხარულიძე, ვახუშტი ბატონიშვილი ხალხური შემოქმედების შესახებ, ნარკვევები, 1, 1958.

ქს. სიხარულიძე

ბაგრატიონი თეიმურაზ (1782—1846) — გამოჩენილი ქართველოლოგი, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი ფოლკლორული ცნობა და ძეგლი შემოგვინახა. იგია ამირანის თქმულების პირველ ჩამწერთაგანი ქართულ ენაზე (დაწყ. ისტ. ივერიისა). მანვე შეკრიბა ხალხში გავრცელებული საიათნოვას ლექსები, სიმღერები, ზღაპრები, მახვილსიტყვაობა. ბ. ეკუთვნის ერთგვარ მეთოდს გლოვის ისტორია და ქიზიყელი მოტირალი ქალის დახასიათება, აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლის აღწერა და ცნობები მომღერალ-შემსრულებელთა მონაწილეობაზე ქალაქის 1795 წ. დაცვაში. აღიარებს რუსთველის კავშირს ხალხურ პოეზიასთან და 16-მარცვლოვან შაირის ფოლკლორიდან მომდინარეობას. თ. ბაგრატიონის (ბატონიშვილის) არქივი დაცულია ლენინგრადში, რომელიც ფოლკლორულადაც საინტერესოა, მაგ., 1819 წელს შედგენილ

ანოლოგიაში წერს: „ესენი შევაკვრევენ, საერო ლექსნი არიან“. ბ. მონაწილეობით პეტერბურგში ქართველოლოგთა თვალსაჩინო ცენტრი შეიქმნა.

ლიტ.: მ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში, პუშკინის ინსტ. შრომები, V, 1948, გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, 1972.

მ. ჩიქოვანი

ბადრი — ამირანიანის თვალსაჩინო პერსონაჟი, უფროსი ძმა. ბ. დამოუკიდებელ სიუჟეტურ ფუნქციას ნაკლებად ასრულებს თქმულებაში, მაგრამ ძმებთან ერთად მუდამ აქტიურად მოქმედებს და მთავარი გმირის ამირანის სახის გამოკვეთას უწყობს ჩელს. ბ. სილამაზის, ახოვანების, ვაჟაკური სიკეკლუციის განსახიერებაა. ამ მხრივ ამირანის ერთგვარ ანტიპოდს წარმოადგენს: თუ ამირანი საწვიმრად შეყრილ შავ ღრუბლებს ემსგავსება, პირიქით, „ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა“, მას სმაც საამო აქვს. „ჩადი ბადრო და ჩასძახე, ხმა შენი მშვენიერია“, ნათქვამია ხალხურ ლექსში. წარმოშობით სახელი ნაეპითეარია და „სავსეს“, „ნათელსახოვანს“, „მთვარეს“ ნიშნავს. სტეფანწმინდური განძის ბრინჯაოს ითიფალურ კომპლექსში ბ. მომღერალ-დამკვრელის სახითაა წარმოდგენილი და გმირის ხალხურ დახასიათებას ემთხვევა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, II, თბ., 1959—65.

მ. ჩიქოვანი

ბაზალეთის ტბა — მდებარეობს ს. ბაზალეთის მახლობლად (ღუშეთის რ-ონი). ხშირად იხსენიება მითოლოგიურ ნაწარმოებებში, მათ შორის იახსარისა და დევის ბრძოლის ვარიანტებში. გვხვდება ძველ საგმირო სიმღერებში („...სასმელად არ ეყოფიან ბაზალეთური ტბანია“). ი. ჭავჭავაძის ლექსს „ბაზალეთის ტბას“, რომლის მიხედვითაც ტბის ფსკერზე ოქროს აკვანია შიგ მწოლიარე ყრმით, ხალხური თქმულება უნდა ედღოს საფუძვლად.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1957, გვ. 71; ა. შანიძე, ხალხ. პოეზია, 1931, გვ. 1.

დ. გოგოჭური

ბაიათი (ბეითი) — მოსაზღვრე რითმებით გაწყობილი ორსტრიქონიანი სტროფების შემცველი ლექსი. წარმოშობით ფოლკლორულია. უმთავრესად გავრცელებულია ირანულ და არაბულ პოეზიაში. ქართულ ფოლკლორში ბ. არ დამკვიდრებულა, თუმ-

ცა საიათნოვას და სხვა არაქართველი აშუღების ბ-ები თბილისისა და სამხრეთ საქართველოს გარკვეულ წრეებში პოპულარობით სარგებლობდა.

დ. გოგოჭერი

ბაკურაძე ნესტორ ნიკოლოზის ძე (1862—1931) — ფსევდონიმით „ქარაველი ოსებში“ 1887—91 წლებში ეწეოდა შემკრებლობით მუშაობას აღმ. საქართველოსა და ჩრდ. ოსეთში. მისი ჩანაწერების უმეტესობა გამოქვეყნებულია „ივერიაში“, „აკაკის კრებულში“, „ჯეჯილში“, „ცნობის ფურცელში“. ბ. კოლექცია დაცულია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.
ვ. მაყაბერიძე

ბალადა — ხალხური პოეზიის პოპულარული ქანრი. ამ ტერმინით შუასაუკუნეების საფრანგეთში, კერძოდ პროვანსში, აღნიშნავდნენ სატრფიალო სიუჟეტის მქონე საცეკვაო სიმღერებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საგაზაფხულო-საწესო ჩვეულებებთან. შემდეგ ბ-ის ცნება გაფართოვდა და გარდა საწესო ხასიათის სატრფიალო ნაწარმოებებისა, მასში გარკვეული ფორმის ლირიკულ-ეპიკური ლექსებიც იგულისხმებოდა. ბ-ის ქანრის აღმოცენებას შუასაუკუნეების ფრანგ ტრუბადურებსა და მენესტრელებს უკავშირებენ. ქართულ ლიტერატურაში ბ. სრულყოფილი სახით მე-19 საუკუნემდე არ გვხვდება. ქართულ ხალხურ პოეზიაში ბ. შორეულ წარსულში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამას ააშკარავენ სვანური, რაჭული, ხევსურული და ბარში შემონახული ბალადების რიტმული სტრუქტურა და გამომსახველობითი ხერხები.

ბ-ის ცნება ყველა მეცნიერს ერთნაირად არ ესმის. ქართულ ფოლკლორისტიკაში (ნ.) ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა გარკვეულად ერთიანი შეხედულება, რომლის მიხედვით ბ. წარმოადგენს ლირიკულ-ეპიკური ფორმის სიუჟეტთან ლექსს, რომელშიც გმირის არაჩვეულებრივი თავგადასავალია გადმოცემული. ბ. შეიძლება შეიცავდეს დიალოგს („ია მთაზედა“), მონოლოგს („შემომეყარა ყვიჩალი“, ნ.), ან ჩვეულებრივ თხრობას („თაფარაენელი ქაბუკი“, ნ.); ამასთან სიუჟეტი ყოველთვის მძაფრი და დრამატულია. პოემისაგან, პირველ ყოვლისა, იმით განსხვავდება,

რომ ბ-ში გმირის ვრცელი თავგადასავალი კი არ არის გადმოცემული, არამედ მისი ცხოვრების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი.

ქართულ პოეზიაში გვხვდება სააწესჩვეულებო, სამონადირეო, საგმირო, სატრფიალო და საყოფაცხოვრებო ბ. ნიმუშები. ბ-ის ნაწილი აგებულია ძველ თქმულებებზე, ნაწილი კი ორიგინალური პოეტური გარდასახვის ნაყოფია.

ლექსწყობის თვალსაზრისით ხალხური ბალადების დიდი უმრავლესობა 16-მარცვლიან რითმიან საზომს — შაირს (ნ.) შეიცავს, გვხვდება ურითმო ბისტიკაურის (ნ.) რამდენიმე ნიმუშიც.

ლიტ.: E. B. Анничков, Весенняя обрядовая песня на западе и у славян, ч. I, 1903, стр. 124; Русская баллада, 1936; ნ. პ. ანდრეევის შესავალი წერილი; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, „ბალადა“, გვ. გვ. 356—372; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957.

ჭ. ბარდაველიძე

ბალავარიანი — საშუალო საუკუნეების პოპულარული სასულიერო რომანი, რომლის ორი რედაქცია მოიპოვება ქართულ ენაზე: ვრცელი და მოკლე. ენობრივი ნიშნების მიხედვით პირველი IX—X სს მიეკუთვნება. ამ უდავოდ მწიგნობრული თხზულების ერთ-ერთ წყაროს ზეპირსიტყვიერება წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს იგრძნობა უშვილო ხელმწიფის სიუჟეტის დამუშავების თვალსაზრისით, რომელსაც საერთო წინამძღვრები მოეპოვება როგორც ინდურ-ბუდისტურ ლეგენდებში, ისე ქრისტიანულ სამყაროში. ბ. ძირითადი თემა უკვდავების მაძიებლობაა. იგივე იდეა და სიუჟეტი ახასიათებს გილგამეშის ეპოსს, ბუდას თავგადასავალს, ქართულ უკვდავების მაძიებელი ქაბუჯის ზღაპარს (XVII ს. ჩანაწერი), ევროპისა და აზიის ხალხების მრავალ ფანტასტიკურ მოთხრობას. ქართულ სინამდვილეში ბ. ფოლკლორული სარჩულის შესწავლა ახალი წამოწყებაა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ბალავარიანი და ქართ. ხალხური ტრადიცია, ეურნ. მნათობი, № 7, 1957; XVII საუკ-ში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, კრ. „მრავალთავი“, თბ., 1964; ბალავარიანის ქართული რედაქციები, 1957.

მ. ჩიქოვანი

ბარათაშვილი (ბარათოვი) ნინო — ზეპირსიტყვიერების მასალებს აგროვებდა ქვემო ქართლის ს. მარაბდაში გასული საუკუნის 70-იან წლებში. ბ. ჩანაწერები დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ 1 ტომში.

ვ. მაცაბერიძე

ბარათაშვილი სულხან გრიგოლის ძე (1821—1866) — ისტორიკოსი. ავტორი რიგი წერილებისა და ნაშრომის „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მონგოლთა შემოსევამდე“ (1865—71). სავარაუდებელია, რომ მასვე ეკუთვნის წერილი: „ქართულ-მეგრული ტომის ხალხთა რელიგიური ყოფის მიმოხილვა საყოველთაო წარმართობის ეპოქაში“, რომელიც გაზ. „კავკაზში“ 1849 წელს დაიბეჭდა. აქ პირველადაა გამოთქმული მოსაზრება აპოლონიოს როდოსელის ამარანტისა და ქართული ამირან-მთის იგივეობის თაობაზე.

ლიტ.: С. Баратов, Краткое изображение религиозного быта грузино-мингрельского племени в эпоху всемирного язычества, Кавказ, 1849, № 33-
ქ. სიხარულიძე

ბარბალობა — წმ. ბარბალეს დღეობა 24 დეკემბერს. ბ. ქრისტიანული წმინდანის ბარბალეს კულტთან დღეობაში შერწყმულია ბარბოლ-ბაბარის მზის ღვთაების დღესასწაული, რომელიც მზის მობრუნებას უკავშირდებოდა. წმ. ბარბარე, რომელმაც მზის ღვთაების ზოგი ფუნქცია შეითვისა, ითვლებოდა ინფექციურ და თვალის სნეულებათა განმკურნებლად.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ. ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარი), თბ., 1941. მისივე, Древнейшие религиозные верования и обрядовые графическое искусство грузинских племен, Т-Б., 1957, გვ. გვ. 194, 195, 220.

ვ. ვირსალაძე

ბარბალუკა — მითოლოგიური პერსონაჟი, უკავშირდება მზის ქალღვთაება ბარბარს და ნათელ მზეს განასახიერებს. ბ. შემორჩენილია უძველეს საბავშვო თამაშობაში „ნიშხა-ნიშხა“ (ნ.).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941; ვ. ვირსალაძე, ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 2, 1955.

ფ. ზანდუკელი

ბარდი — სახალხო მომღერალი კელტურ ხალხებში. ბ. სახელი ცნობილი იყო რომაელებისათვის ჯერ კიდევ ჩ. წ. აღრიცხვამდე მეორე საუკუნეში. შუა საუკუნეებში ბ. პროფესიონალურ პოეტებად იქცნენ. ბევრი მათგანი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა, ხოლო ზოგი ირლანდიის, უელსისა და შოტლანდიის წარჩინებულთა სასახლეებში მოკალათდა. ეს უკანასკნელნი თავიანთი მფარველების ქება-დიდებასათვის დიდ გასამრჯელოს იღებდნენ. ბევრი

მათგანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და გარკვეულ გავლენასაც ახდენდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე. უძველესი დროიდან XVII საუკუნემდე ირლანდიაში სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა ბ. სკოლა, სადაც სწავლის ხანგრძლივობა 9—12 წელს აღწევდა. ბ. რეპერტუარში დიდი ადგილი ეჭირა უძველეს ხალხურ თქმულებებს, გადმოცემებს და სხვ. ხშირად იმართებოდა პოეტური პაექრობები.

ლიტ.: A. A. Смирнов, Ирландские саги, 1933.

გ. ბარნოვი

ბარვის ლექსი — ბარვის დროს სათქმელი ლექს-სიმღერა. ლექსის ყოველ სტრიქონს ერთვის რეფრენი „ჰეო“. ბ. ლექსებში სატრფიალო მოტივი ქარბობს. მაგ.,

გოგოვ, გოგოვ, გენაცვალე — ჰეო,
სანთელივიჲ ნუ დაჰადნე — ჰეო,
თორემ მიწა მომერევა — ჰეო,
ბელტს ჯელარ გადავაბრუნებ — ჰეო. . .

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1963.

გ. ბარნოვი

ბარიალაშვილი ივანე იოსების ძე (1862—1948) — სახალხო მასწავლებელი, პუბლიცისტი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შემკრები. დაიბადა ქ. ახალციხეში. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ს. უდესში, მანავში (ყახეთი), ხერთვისში, ხიზაბავრაში, ბოლო დროს კი ცხოვრობდა და მასწავლებლობდა კავთისხევში. აგროვებდა და სწავლობდა სამკურნალო მცენარეებს. თანამშრომლობდა „ივერიაში“, აქვეყნებდა ქობლიანის ხეობაში ჩაწერილ ზეპირსიტყვაობას, რომლის ნაწილი შესულია პ. უმიკაშვილის კრებულში.

ლიტ.: ი. ბარიალაშვილი, წერილი ქვაბლიანიდან, „ივერია“, № 7, 1894; გ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937; Один из немногих, Тифлисский листок № 35, 13. 11. 1900; ზ. ჭიჭინაძე, ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ, ტფ., 1905, გვ. 50; ი. მაისურაძე, პატრიოტი პედაგოგი, წითელი დროშა, № 6, 13. 1. 1957.

ი. მაისურაძე

ბარნოვი, ვახილ ზაქარაიას ძე (დაიბ. 22. V (3. VI) 1856, გარდ. 4. XI. 1934) — ქართველი მწერალი მისი თხზულებების ათტომეული უხვ მასალას იძლევა მწერლის შემოქმედების ხალხური წყაროებისა და ფოლკლორისტული შეხედულებების საჩვენებლად. ბ. თავისი დროის ფოლკლორისტიკა. მნიშვნელოვანი წვლილი მი-

უძღვის ქართ. ზეპირსიტყვიერებისა და მითოლოგიის შესწავლა-პოპულარიზაციაში. ბ. განსაკუთრებით იზიდავდა ამირანი და როსტომი, ტარიელი და ლერწამ-დარეჯანი, აბესალომი და ეთერი, არსენა. მათზე ბევრი უწერია. არსენა ოძელაშვილის ყველაზე სრული ბიოგრაფია სწორედ მან შეადგინა 1919 წელს. ხალხურ შემოქმედებას გარკვეული ფილოსოფია გააჩნია, ბ. უმთავრესად ამ კუთხით ცდილობდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა განხილვას.

ლიტ.: ვ. ბარნოვი, თბ., X ტ., 1964.

მ. ჩიქოვანი

ბარული — ხევსურული გამოთქმა, რომელიც გულისხმობს ბარის კუთხეებიდან შესულ, ან მისი გავლენით შექმნილ, ლექს-სიმღერებს, მოტივებსა და მელოდიებს. ბ. თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მთიელთა შემოქმედებაში. ასეთი გამოთქმა ხალხურ ლექსებშიც გვხვდება.

ჩვენებს ქალებს უსწავლაის
თამაშობა ბარულად,
წითელ-ყვითელ ქოქოშობებს
აბრუნებენ ჯარულად.

დ. გოგოჭური

ბაყბაყ-ღევი — დარეჯანიანთა გვარის შეურიგებელი მტერი. ბ. პერსონიფიცირებული ბოროტი არსებაა ღევთა სამყაროდან. ღევი ქართულ ფოლკლორში აღმოსავლეთიდანაა შემოსული, რომელმაც, ალბათ, ადგილობრივი ტყისკაცი შეცვალა. V ს. ძეგლის შუშანიკის წამების მიხედვით ღევი ცეცხლთაყვანისმცემლობასთანაა გაიგივებული და ამ სახეში მოსული მოძალადე-დამპყრობელი იგულისხმება. ღევებმა სულკალმახის გარდაცვალებისთანავე მისი ოჯახი აიკლეს; შეშინებული ობლები ჩაბალხეთში გადაიხვეწნენ. დავაქაცებულმა ძმებმა შური იძიეს. ამირანმა ღევთა შორის ყველაზე საშიში და უბოროტესი არსება — ბაყბაყი რაინდული ბრძოლით სძლია. ბ. მრავალთავიანია, მისი ტარება დედანიწას უმძიმს; იგი ადამიანებსაც ჭამს. ბ. შიკრიკები და დამხმარეები ჰყავს, რომლებიც ადამიანებს მტრობენ. თქმულებაში ბაყბაყი ბოროტი საწყისის განსახიერებაა, მას კეთილი გპირი ამარცხებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭველი ამირანი, თბ., 1947.

მ. ჩიქოვანი

ბახტრიონი — ადგილი კახეთში (ახმეტის რ-ნი), ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ზეგანი ილტოს შესართავთან. XVII საუკუნეში სპარსელებს კახეთის დამორჩილების მიზნით აქ მძლავრი ციხე აუშენებიათ და თავისი მხედრობის სიმაგრედ უქცევიათ. 1659 წლის კახეთის აჯანყების დროს ქართველმა მეომრებმა ბახტრიონი აიღეს და გარნიზონი გაანადგურეს. სპარსელების განდევნის შემდეგ ბახტრიონმა სამხედრო მნიშვნელობა დაკარგა. დროთა განმავლობაში ციხე დაინგრა, ახლა მხოლოდ ნაშთებიღა არსებობს.

ბახტრიონის ბრძოლა ფართოდ აისახა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მის გმირებზე (გაფრინდაული, გოგოლაური, ხოშურაული და სხვ.) შექმნილია ბევრი ხალხური ლექსი და სიმღერა. ბახტრიონის თემა შევიდა ქართულ მწერლობაში. ვაჟა-ფშაველამ მას ცნობილი პოემა „ბახტრიონი“ მიუძღვნა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, გვ. 314. 1961; სოლ. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები, 1953.

დ. გოგოჭური

„ბაში-აჩუკი“ — აკაკი წერეთლის ცნობილი მოთხრობა, რომელშიც უხვადაა გამოყენებული ზეპირსიტყვიერება: ზღაპრული სიუჟეტები და მოტივები, აფორიზმები, ანდაზები, საწესჩვეულებო დღესასწაულები და სხვ. ყოველივე ეს ოსტატურადაა ჩაწნული სიუჟეტურ ქარგაში და მისი განვითარების საკვანძო ერთეულებს წარმოადგენს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება, 1958; ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956; კ. კეკელიძე, ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის, „ეტიუდები“, ტ. II.

გ. ბარნოვი

ბახუსი — ღვინისა და მხიარულების ერთ-ერთი ღვთაება. მისი სახელით ძველ რომში თაყვანს სცემდნენ დიონისეს — ბერძენთა ღვთაებას ნაყოფიერების, მევენახეობისა და მეღვინეობისას. ბახუსის კულტი აგრარულ ნიადაგზე წარმოიშვა. განასახიერებდა ბუნებას, რომელიც შემოდგომაზე კვდებოდა, გაზაფხულზე კი ავლავ აღსდგებოდა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ი. მეგრელიძე, Bedi Karlisa, ტ. XIX—XX (№ 48—49), პარიზი, 1965.

6. შამანაძე

ბებური (ბებურიშვილი ბებური) — ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების თარგმნამ რუსულ ენაზე ფართო ხასიათი მიიღო მე-19 საუკ. 80-იან წლებში. თარგმანები იბეჭდებოდა როგორც პერიოდულ გამოცემებში, ასევე ცალკე წიგნებად. ერთი მათგანი, ქართული ზღაპრების კრებული, შედგენილი ბ. მიერ, გამოქვეყნდა პეტერბურგში 1884 წ. კრებულში მოთავსებულია 14 ზღაპარი. დართული აქვს წინასიტყვაობა, სადაც განხილულია ქართული ზღაპრის თავისებურებანი.

ლიტ.: Грузинския народныя сказки. Собраныя Бесур Б.; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ვ. მაცაბერიძე

მელტეილაპია — ქართული ხალხური ფანტასტიკური ზღაპრების ერთ-ერთი პერსონაჟი. იგი სხვებთან ერთად დიდ დახმარებას უწევს ზღაპრის გმირს დაბრკოლებათა დაძლევაში. ბ. განეკუთვნება ქომაგ პერსონაჟთა ჯგუფს.

ვ. მაცაბერიძე

ბებურიშვილი ატატო — მე-19 ს. მეორე ნახევრის გურული მელექსე. მის სახელთან აკავშირებენ გახმაურებულ ლექსებს: „საყვარელი მყავს და მიყვარს“, „აბუნტებულა გურია“, „რად დამტირი“, „ვარდი რომ კიდევ ჰქნებოდეს“. შემონახულია ავტორისეული ხელნაწერები. ბ-ის ნიჰს პატივს სცემდნენ ი. ჰავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ცნობილია აკაკისა და ატატოს პოეტური შესიტყვებანი. აკაკის ერთ-ერთი ლექსის — „ალბომში“ — წყაროდ ქცეულა ა. ბებურიშვილის ექსპრომტი. ბ. იყო გურული ხალხური სცენების ოსტატ-შემსრულებელი, დეკლამატორი. მის შესახებ წერდნენ „ცნობის ფურცელი“, „დროება“ და „ივერია“.

ლიტ.: ვ. პელიძე, აკაკი ხალხურ გადმოცემებსა და ლექსებში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მესამე სამეც. სესიის თეზისები, 1964; გვ. 33; მ. ივე, აკაკი და გურია, გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძე), 1960, № 21; ს. გუგუნავა, მ. გოლიაძე, ატატო ბებურიშვილი, ჟურნ. თეატრალური თბილისი, დამატება, № 8, 1968.

გ. პელიძე

ბეგიაშვილი თედო (თევდორე) მალაქიას ძე (1894—1970) — ცნობილი ფილოლოგი, ფოლკლორისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. თ. ბ. დაიბადა სოფ. ფანიანში (სიღნაღის რაიონი). იურევის (ტარტუს) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში. 1925 წ. საშუა-

ლო სკოლების სახელმძღვანელოდ გამოაქვეყნა „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ 1 წიგნი, რომელიც მიძღვნილია ქართული ფოლკლორისადმი და ყველა უნარს მიმოიხილავს. 1941 წ. გამოვიდა თ. ბ. შედგენილი „ქართული ფოლკლორის“ ქრესტომათია. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „ახალი მოტივები თანამედროვე ფოლკლორში“, „ა. წერეთელი და ქართული ფოლკლორი“ და სხვა. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კითხულობდა ფოლკლორის კურსს უმაღლეს სასწავლებლებში.

ვ. მაცაბერიძე

ბეთქილ, ბეთქენ, მეთქი — მითოლოგიური ეპოსის გმირი. სახელის ეტიმოლოგია ცნობილი არ არის. მოცემულია კინობით ფორმაში. ყოფაში, როგორც მამაკაცის სახელი არ იხმარება, რაც ადასტურებს მის რიტუალურ ხასიათს. ბეთქილის სიმღერა, ანუ დატირება სრულდება, როგორც სოლო თანხლებით, ისე გუნდის მიერ საფერხულო სიმღერად. ადონისის, ატისის, თამუზის მსგავსად ბეთქილი „დედოფალი დალის“ რჩეულია. დალატის გამო ბ. დალის მიერ სასიკვდილოდ არის განწირული. ბეთქილის დატირება სრულდება ე. წ. სამთი ჭიშხამის-წმინდა ფერხულის დროს და უკავშირდებოდა აღბალიდრალის, ანუ მურყვამობის. საგაზაფხულო ნაყოფიერების დღესასწაულს.

ლიტ.: ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 80—81; ელ. ვირსალაძე, ზემო სვანეთში ფოლკლორული მივლინების მოკლე ანგარიში, ლიტ. ძიებანი, VIII, გვ. 383—390. ელ. ვირსალაძე, ქართული საზოგადოებრივი ეპოსი, თბ., 1964; ქართული ხალხური პოეზია, 1, 1972.

ელ. ვირსალაძე

ბენფეი თეოდორ (1809—1881) — გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, სასწავლოლოგი. ლიტერატურათმცოდნეობაში ე. წ. შედარებითი თეორიის ფუძემდებელი. 1859 წ. გამოვიდა პანჩატანტრას (იგივე „ქილილა და დამანა“) ბენფეისეული თარგმანი, რომლის შესავალ წერილში მან ჩამოაყალიბა თავისი ე. წ. „სესხების თეორია“. ძველ ინდურ კრებულში შესული ზღაპრებისა და არაკების მიგრაციების მაგალითზე ბენფეიმ დაარღვია მითოლოგიური სკოლის, ძმ. გრიმების ე. წ. არიული, იგივე მითოლოგიური (ნ.) თეორია, რომელიც ინდურ და ევროპულ ლიტერატურათა (უმეტესად არაკთა და ზღაპართა) საერთო სიუჟეტებს მათი უძველესი ერთიანობით, უძველესი მონათესაობით ხსნიდა. ბ. სიუჟეტების მიგრაციის შესაძლებლობაზე მიუთითებდა და ამისათვის

შესაფერ გზებსაც სახავდა. ბ. აზრით ეს ორი — მშვიდობიანი (სავაჭრო ურთიერთობანი) და სამხედრო (ომები, ტყვედ წაყვანა, დაპყრობა) გზით ხდებოდა. ბ. რამდენიმე პერიოდს სახავდა ამისათვის (ხალხთა დიდი გადასახლება, ჭვაროსანთა ომები). სიუჟეტების ძირითად სამშობლოდ ინდოეთს მიიჩნევდა, საიდანაც სპარსეთისა და საბერძნეთის ან სპარსეთისა და არაბეთის გზით მათ ევროპაში უნდა შეედწიათ. ბ. დამსახურებას სესხების მრავალი ფაქტის დადგენა და მითოლოგიური თეორიის კრიტიკა შეადგენდა.

ლიტ.: Дж. Коккьяра, История фолклористики в Европе, 1968; მ. ჩოქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946.

ელ. ვირსალაძე

ბეჟანიანი — ქართულ ფოლკლორში გავრცელებული თქმულება ბეჟანიისა და მანიყეს შესახებ. ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, საგმირო ამბებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამიჯნურო თავგადასავლებს. ერთი მათგანია ბ., რომლის ქართული თარგმანი შესულია „როსტომიანში“. ბ. გასცილდა ლიტერატურულ გარემოს და ზეპირსიტყვიერებაშიც დამკვიდრდა. ბ. გავრცელებაზე მიგვიჩვენებს მრავალრიცხოვანი ვარიანტები, რომელნიც ხელნაწერების სახით დაცულია სიძველეთსაცავებში, ან გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესასა და კრებულებში. ბ. პირველი ჩანაწერები გვხვდება პ. უმიკაშვილის კოლექციაში. ერთი მათგანი დათარიღებულია 1864 წლით. ბ. მწიგნობრული ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1873 წ., უკანასკნელად 1934 წ., ხოლო ხალხური — 1887 წ. ფოლკლორულ-შემკრებლობითმა მუშაობამ აჩვენა, რომ ბ. კვლავ ჰოპულარულია. მწიგნობრული ბ. ფოლკლორში გასვლა XVII საუკ. იწყება.

ლიტ.: (ფირდოუსი) ბეჟანიანი, 1873; როსტომ-ჰაბუჯი, ივერია, 1887, № 214; ფირდოუსი, შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები. ტ. II, ტფ., 1934; შანიძე, ა., შაჰ-ნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1, თბ., 1935; მაიაბერიძე, ვ., „ბეჟანიანის ხალხური ვერსიები“. „ქართული ფოლკლორი“, I—II, თბ., 1964.

ვ. მაიაბერიძე

ბერა — ძველი საწესჩვეულებო საკულტო დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი. საშემსრულებლო ნიჭით დაჯილდოებული იმპროვიზატორი მამაკაცი. იგი პარტნიორებთან ერთად ნილაბით გამოდიოდა და გონებამახვილობით, ცეკვითა და სიმღერით ართობდა ხალხს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვიერების ისტორია, გვ. 271, 1952; დ. ჯანელიძე, ქართ. თეატრის ხალხური საწყისები, 1948, გვ. 351.

დ. გოგოჭური

ბერიკაობა — საკულტო დღესასწაული ყველიერში. გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში. ბერიკაობის მონაწილენი გამოდიოდნენ ნიღბებით. აწყობდნენ სანახაობებს: ცეკვითა და სიმღერით ჩამოუვლიდნენ ოჯახებს. ბერიკებისათვის დამახასიათებელია იმპროვიზაცია და გონებამახვილობა. რეპერტუარი იცვლებოდა ხალხის იდეურ-პოლიტიკური მრწამსის კვალობაზე.

ლიტ.: დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948.

დ. გოგოჭური

ბერიკაობის ღამე — ბერიკები (ნ.) კარდაკარ ჩამოვლის დროს შეგროვებულ სურსათ-სანოვაგეს საბერიკო სუფრისთვის იყენებდნენ. საღამო ხანს იმართებოდა ღვინო. ნადიმის დროს უხვად გაისმოდა შაირები, სიმღერები; დროსტარება ზოგჯერ მეორე დღესაც გრძელდებოდა. დასასრულს ბერიკაობის მონაწილეები გამწკრივდებოდნენ, პირს აღმოსავლეთისაკენ იზამდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ — მომავალში უკეთეს ბერიკაობას შეგვანვედრეთ.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960; ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, 1960.

გ. ბარნოვი

ბერმუხა — ხატის საკულტო ხე. მთის კუთხეებში (ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი) გავრცელებულია ლეგენდა, რომლის მიხედვით ბ. ხატთან იდგა. „მუხას წვერზე ოქროს შიბი (ჯაჭვი) ება და ერთი წვერი ამ შიბისა ცაში იდიოდა, ზედ ღვთის შვილნი დაბრძანდებოდნენ“. (თ. რაზიკაშვილი). ბ. ცული ვერ სჭრიდა, მტრები კი ხის მოუჭრელად ადგილობრივ მკვიდრთ ვერ იმორჩილებდნენ. ვიღაც მოღალატეს ზურაბ ერისთავისთვის ხის მოჭრის საიდუმლოება უსწავლებია. ბ. მოუჭრიათ. ოქროს ჯაჭვი გაწყვეტილა და ცაში წასულა. ამის გამო ღვთისშვილებს მიწაზე ჩამოსვლა უჭირთ.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. 5, გვ. 50, 1961; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 572; ხალხური სიტყვიერება, 111, თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ხალხური ლექსები, მ. ჩიქოვანის რედ., 1953, გვ. 17.

დ. გოგოჭური

ბერნარდე ნეაპოლედი — კათოლიკე მისიონერი, რომელიც ათი წლის მანძილზე საქართველოში მოღვაწეობდა 1670 წლიდან.

ოტალიაში, ტორრე დელ გრეკოს არქივში, აღმოჩნდა ბ. წაღებული „ქართული ზღაპრების“ კრებული (12 ზღაპარი). ტექსტები ჩაწერილია ხალხურ კილოზე და დიდმნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს როგორც ფოლკლორისტიკის, ისე ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ბერძნულდრეკულ კრებულში შესული სიუჟეტების დიდი უმრავლესობა ახლაც გვხვდება ზეპირბრუნვაში. ამ მხრივ დამახასიათებელია უკვდავების მაძიებელი ქაბუკის ზღაპარი, რომლის 15-ზე მეტი ჩანაწერი მოგვეპოვება XIX—XX სს შესრულებული. ბ. ქართული ენის მცოდნე იყო და ბუნებრივია ვიფიქროთ, ფოლკლორული-შემკრებლობით მუშაობას თვითონ აწარმოებდა აღმ. საქართველოში. ბ. არქივში აღმოჩენილი ზღაპრები სრული სახითაა დაბეჭდილი სათანადო კომენტარებით.

ლიტ.: მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1906; მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, „მრავალთავი“, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1864; ვლ. ვირსალაძე, მასალები ქართ. ფოლკლორის ისტორიისათვის, ლიტ. ძიებანი, IV, 1947; ალ. ლლონტი, ზღაპრები მოგზაურობენ ქვეყნად, „დროშა“, № 1, 1966; შ. ძიძიგური, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მასალები. ქართული ფოლკლორი, III, 1969; ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964.

მ. ჩიქოვანი

ბერ შიშველიშ — სვ., შიშველი მთის ბერი, უფალი. ნადირობის ღვთაებათა უფროსი, გამგებელი. ბ. თანაშემწეების საშუალებით მთელი ქვეყნის ფრინველს, ნადირსა და თევზს მფარველობს. მისი და მისი თანაშემწეების ნებასურვილის გარეშე მონადირე ვერც ერთ სულიერს ვერ მოკლავს. წარმართულ მითოლოგიაში ბ. მთის სულს, მთების ბატონს შეეფარდება.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959, გვ. 112.

მ. ჩიქოვანი

ბერძენიშვილი (ბერძენოვი) ნიკოლოზ გიორგის ძე — ქურნ. „ციცკრის“, გაზ. „კავკაზისა“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ თანამშრომელი. გარდ. 1874 წ. აქვეყნებდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. თავის წერილებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ზეპირსიტყვიერების მასალებს, კერძოდ, ლეგენდებს, თქმულებებსა და ზღაპრებს. მისი ინიციატივით გაზ. „კავკაზში“ ქვეყნდებოდა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები.

ლიტ.: X. რამდენიმე სიტყვა ნიკოლოზ ბერძენოვზე. დროება, 1874, № 444; ა. ჩუკვანიძე ე., ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, 1965.

თ ბ ზ.: Тифлис в этногр. и истор. отношений. Следы прошедшего, Кав., 1852, № 52—53; Очерк деревенских правов Грузии. Кавк., 1854, № 71—72.
ვ. მაკაბერიძე

ბელელა — ზღაპრულ-მითიური პერსონაჟი, დევი. ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ბ. დევ მუზასთან ერთად ბინადრობდა ივრის სათავეებში, ბელელთანას. ისინი ადამიანთა მოდგმის მტრები იყვნენ და სოფლებს იკლებდნენ. კოპალამ (ნ.) ბ., სხვა დევებთან ერთად, გაანადგურა.

ლიტ.: თ. თიაურის, მითოლოგიური გადმოცემები და თქმულებანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 22, 38.

დ. გოგოჭური

ბელლისკრული — ფანდურზე დაკვრისა და სიმღერის თავისებური მოტივი. სრულდებოდა ხევსურების მთავარ ხატში, გუდანის ჯვარში (ბელლისკარი) დღეობების დროს. ბ. გადმოცემით ძველი მოტივი ყოფილა, მასზე საგმირო და ღვთაებათა სადიდებელი როკვა-სიმღერა სრულდებოდა.

დ. გოგოჭური

ბიბლია — ქრისტიანების და იუდეველების ძირითადი საღვთო წიგნების კრებული. იყოფა ორ ნაწილად: ძველ და ახალ აღთქმად. იუდეველნი ცნობენ მხოლოდ ძველ აღთქმას, ქრისტიანები კი ორივეს. ძველი აღთქმა შედგება 22 წიგნისაგან, ახალ აღთქმაში 27 წიგნია. ახალი აღთქმის პირველ ნაწილს წარმოადგენს ოთხი ავტორის თხზულება: მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანესი. როცა ოთხივე ნაწარმოები ერთ წიგნშია მოქცეული, მაშინ თითოეული ცალკე თავად არის მიღებული და მთელ წიგნს „სახარება ოთხთავი“ ეწოდება. ისტორიული წყაროებით მტკიცდება, რომ ბიბლია მეხუთე საუკუნეში უკვე იყო ქართულად თარგმნილი. ბიბლიის გავლენით ბევრი ლეგენდა შეიქმნა როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორში. ქართული ხალხური სასულიერო ლექსების დიდი ნაწილი ბიბლიას ემყარება.

ლიტ.: Дж. Фрэзер, Библейские сказания, 1931; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941, გვ. 376.

ნ. შამანაძე

ბილანიშვილი ზაქარია (ზაქრო) გრიგოლის ძე (1862—1934) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი. თანამშრომლობ-

და „დროებაში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. 80-იანი წლებიდან გარე-კახეთში (პატარძელი) ეწეოდა ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას. მის მიერ შეკრებილი მასალები დაიბეჭდა „ძველი საქართველოს“ III ტომში. 1903 წ. არჩეულ იქნა ქართული ხალხური სიტყვიერების შეგროვების თანამგროვებთან საზოგადოების ხელმძღვანელად.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 200; სახოკია, თ. ჩემი საუკუნის ადამიანები, 1969, გვ. 184. თ ხ ზ.: ბილანოვიჩილი, ზ. ჩვენებური გუთნის წესები. „დროება“, 1884. № 73; Биляншвили З., Обычай грузинских крестьян при пахании. Кавказ, 1884, № 84, 88.

ვ. მაკ ბერიძე

ბილინა — რუსული ეპიკური სიმღერა. ბილინები ასახავენ XI—XVI სს. სინამდვილეს. ძველი სახელწოდებაა სტარინა, სტარინკა, სტარინუჟკა. ტერმინი ბ. შემოიღო XIX ს. 40-იან წლებში სახაროვმა. ამჟამად ტერმინი ბ. საყოველთაოდ გავრცელებულია. ბ. მთავარი მოქმედი ძალა ხალხია და მისი საუკეთესო წარმომადგენელი ბოგატირები — სახალხო გმირები. ბილინის გმირთა შორის ცენტრალური ადგილი ილია მურომეცს — გლეხის შვილს უჭირავს. თათრობის პერიოდში იწყება ბილინების ციკლიზაცია ძირითადი გმირების გარშემო. დობრინია ნიკიტიჩი, ალიოშა პოპოვიჩი, ილია მურომეცი ბ. ძირითადი გმირები არიან. ისინი რუსი ხალხის საუკეთესო თვისებებს განასახიერებენ. XVI საუკუნეში, მოსკოვის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით, ახალ ეროვნულ-პატრიოტულ აღმავლობას აქვს ადგილი. ბ. ზოგად-რუსული ეპოსია. ბილინების მთავარი მარაგი გადარჩენილი და ჩაწერილია ჩრდილოეთში ე. წ. ტბების მხარეს — ონეგის ტბის, პინეგის, მიზენის, პეჩორის ნაპირებზე; ასევე თეთრი ზღვის სანაპიროებზე. ბილინები გავრცელებულია აგრეთვე ციმბირში — ალტაისა და კოლიმაზე და სამხრეთ (კაზაკებით დასახლებულ) რაიონებში.

ბილინების უძველესი ჩანაწერი შესრულებულია ურალზე, დიდი კოლექციები შეკრებილია და გამოცემულია პ. რიბნიკოვის, ა. გილფერდინგის, ვს. მილლერის და სხვ. მიერ. ე. წ. საისტორიო სკოლა თავის ძირითად გამოკვლევებს ბილინების ანალიზზე ამყარებდა. ცნობილია ბ. ოსტატი შემსრულებელნი: ტ. რიაბინინი და მ. კრივოპოლენოვა; ბ. რამდენიმე ძირითადი ციკლი გამოიყოფა: პირველია საგმირო, ე. წ. კიევის ციკლი, რომელიც თავად ვლადიმირისა და მისი ბოგატირების გარშემო ჩამოყალიბდა. სამშობლოს დაცვა მისი ძირითადი იდეაა. ბოგატირები დაპირისპირებუ-

ლია გაუატანელ და ხარბ ვლადიმირთან. მეორე ციკლში ნოველის-ტური ბილინებია გაერთიანებული. ეს ძირითადად რუსეთის ქალაქ ნოვეგოროდის ციკლის ნაწარმოებებია. გმირები აქ ხშირად ვაჰართა სამყაროს ეკუთვნიან (ვასკა ბუსლავევი და სადკო). ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ე. წ. „სკომოროხების ბილინები“. მათთვის დამახასიათებელია მკვეთრი დემოკრატიული ტენდენციები. მეფე, ბოიარები და გლეხები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ბ.-ის ერთ-ერთი მთავარი ხერხი ჰიპერბოლაა. ხშირად გვხვდება კომპოზიციური სამმაგობა, ეპიკური განმეორებანი, მყარი ეპითეტები, შედარებანი, პარალელიზმები. ლექსი ტონიკურია, რითმა დაქტილური. ბ. ტრადიციული საწყისის და დამაბოლოებელი ფორმულები გააჩნია. ახასიათებს ე. წ. *Loci communes* (საერთო ადგილები), ისინი გადადიან ერთი ბილინიდან მეორეში: დაშლის შედეგად ბილინა ზოგჯერ ზღაპრის სახეს იღებს. საბჭოთა ფოლკლორისტიები ბ. ინტენსიურ შეგროვებასა და შესწავლას აწარმოებენ.

ლიტ.: Данилов Кирша. Древние российские стихотворения, М., 1938; Песни, собранные П. Н. Рыбниковым, 1909—10; Гильфердинг А. Ф., Онежские былины, М.-Л., 1949; Марков А., Беломорские былины: Печорские былины; Григорьев А. Д., Архангельские былины и историч. песни, т. I, М., 1901; В. М. Сидельников. Былины Сибири, 1967; რუსული ზღაპრები, ელენე ვირსალაძის მიერ შედგენილი შესავალი წერილით. საგმირო ზღაპრები, მ. ლებანიძის თარგ. თბ., 1966.

ელ. ვირსალაძე

ბირაფა — მღერა, სიმღერა, გალობა, ლექსი. ლაზურის ათინურ კილოკავში ბ. ნიშნავს აგრეთვე თამაშობას, თუმცა, ამ უკანასკნელის აღსანიშნავად დამკვიდრებულია „ოსთერუ||ოსთერამუ||ოსთირამუ||სთირამა“ (ნ. ოსთერამუ). „ბირაფას“. ხშირად ენაცვლება „ობირუ“ (შდრ. მეგრ.: ბირა, ობირეში; სვან.: ლაბრალი, ლიბრალი).

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 48—49; არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 254; Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 53.

ზ. თანდილავა

ბირაფა გამამალუ — ლაზ. ლექსის, სიმღერის გამოთქმა („ლექსის გამოტანა“, „სიმღერის გამოტანა“), შესრულება.

ბირაფა ოთქუმალუ — ლაზ. ლექსის, სიმღერის თქმა, მღერა.

ბისტია (იგივე ფისტია) — პროფესიული ხალხური მომღერალი, რომელსაც მიაწერენ, სალექსო საზომის (ბისტიაურის) (ნ.) დამკვიდრებას ქართულ პოეზიაში. ამ მოსაზრების წყაროს წარმოადგენს „არჩილიანის“ ერთი ადგილი:

„არამც რომ დამკვრელი იყოს სტივისა, ქიანურისა,
ზედან ემღერდეს შაირებს ნათქვამს ბისტიას ცრუსა“.

აქედან პ. ინგოროყვას გამოყავს დასკვნა, რომ ბისტია დაბალი წრიდან გამოსული სახალხო პოეტი ყოფილა, რომლის ლექსებს სტივისა და ქიანურზე დამღეროდნენ აშუღები. მკვლევრის მტკიცებით, ბისტია რუსთველზე ადრინდელი პოეტია, ხოლო შავთელური და ჩახრუხაული სალექსო საზომები ბისტიაურის (ფისტიაურის) შემდგომ განვითარებულ თუ გართულებულ სახეს წარმოადგენს. ბისტიას ეტიმოლოგიაზე მეცნიერებაში ორი მოსაზრებაა გამოთქმული: 1. ბისტი უნდა ნიშნავდეს იმასვე, რასაც ბისტიანი, თვალ-ბისტიანი, ბრმა (პ. ინგოროყვა). 2. პისტია, ბისტია, ფისტია — აღნიშნავს პატარას, პაწაწინას (ა. შანიძე). ორივე მოსაზრების ავტორს მიაჩნია, რომ ბისტია ბისტიაურის შემომღები და გამავრცელებელი ქართველი ხალხური მომღერალია.

ლიტ.: „რუსთაველის კრებული“, 1938; ა. შანიძე, ფისტიაურის ისტორიისათვის, „ლიტ. ძიებანი“, 1945, ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსის საზომები, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964.

ჯ. ბარდაველიძე

ბისტიაური (იგივე ფისტიაური) — 10 ან 20-მარცვლიანი ქორე-დაქტილური სალექსო საზომი. შაირის (ნ.) შემდეგ ყველაზე გავრცელებული მეტრი ქართულ პოეზიაში. განსხვავებით ჩახრუხაულისა და შავთელურისაგან, ბ-ის რითმა მხოლოდ ოცმარცვლიანი სტრიქონის ან ათმარცვლიანი სტრიქონის შემდეგ მოუდის. ხალხურში გვხვდება ბ-ის ურითმო ნიმუშებიც. მამუკა ბარათაშვილს (ნ.) ბ-ის (ფისტიაურის) ნიმუშად შემდეგი ლექსი მოყავს:

ერთი იგავი მახსოვს მოყვრისა!! მცნობილთა ბრძენთა

ტუბილად ნათქმისა:

საქმე ყოველი | არის კაცი:სა!! არა თუ კაცი! ყოელის საქმისა.

ბისტიაურს ყოველი ათმარცვლიანი სტრიქონის შემდეგ ახასიათებს მკვეთრი ცეზურა. მკრთალი ცეზურა იგრძნობა აგრეთვე ხუთმარცვლიანი მონაკვეთების შემდეგ, რაც ტერფის ან ტერფების საფუძველს ქმნის. ბისტიაური გაცილებით უფრო ძველი

ჩანს, ვიდრე მისი მონათესავე ჩახრუხაძეული და შავთელური საზომები. ბ-ის ერთი სტრიქონის ნიმუში შემჩნეულია ჯერ კიდევ პროკოპის მარტილობის ტექსტში (VI—VII სს.):

„არა კეთილ არს მრავალ უფლება, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე“. ანალოგიური სტრიქონი დამოწმებულია აგრეთვე ეფრემ მცირესთან: „ამის ვისიმე დგომა ცხენისა სასმენელ იქმნა ბაგათა ზედა“. რადგან ორივე ეს ნიმუში ჰომეროსის „ილიადას“ თარგმანის ფრაგმენტებს წარმოადგენს, ზოგმა მკვლევარმა, ბისტიკაურისა და, მასთან დაკავშირებით, შავთელური და ჩახრუხაძეული საზომების წარმოშობა ბერძნული დაქტილური საზომის მიბაძვას დაუკავშირა. მოსაზრებას ბ-ის მწიგნობრული წარმოშობის შესახებ საფუძველს აცლის ქართულ ხალხურ პოეზიაში ფართოდ გავრცელებული ათმარცვლიანი აშკარად არქაული საზომები, როგორცაა, მაგალითად:

მალა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი, ორბი ფრთიანი. —

ან:

შაეღვგ ჩამოხტა შიესა გრილოსა,
ომი მოგვიხდა, ომი, რა ომი!
ლეშის ნაკუწი გორათ დეებოლა,
სისხლის საღვარი ზღვას ერეოლა.

ეს საზომი ქართულ ხალხურ წიადშია აღმოცენებული და ისევე როგორც შაირი (ნ.) შემდეგაა გადასული ლიტერატურაში გადამუშავებულ სახით.

ლიტ.: ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსის საზომები, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964.

ჯ. ბარდაველიძე

ბიუხერი კარლ (1874—1930) — გერმანელი ეკონომისტი, პირველყოფილი კულტურის და მუშათა მოძრაობის ისტორიის მკვლევარი. ცნობილია მისი გამოკვლევა „შრომა და რიტმი“ „Arbeit und Rhythmus“ (1896, არსებობს რუსული თარგმანი, 1923). სწავლობდა რა პრიმიტიულ ხალხთა საწარმოო პროცესსა და შრომის ტექნოლოგიას, ბ. მივიდა დასკვნამდე, რომ განვითარების პირველ საფეხურებზე შრომა, მუსიკა და პოეზია ორგანულადაა ურთიერთდაკავშირებული. მუსიკალური და პოეტური რიტმის ფესვები, მისი თვალსაზრისით, მთლიანად შრომის რიტმშია. რიტმი

კი გამომდინარეობს სხეულის შინაგანი წყობისა და შრომის ტექნიკური პირობებისაგან. მუშაობის გადავილების მიზნით კონტაქტის დასამყარებლად ადამიანი მიმართავს წამოძახილს, რომლიდანაც თანდათან წარმოიშობა შრომის სიმღერა. გ. პლეხანოვმა მოგვცა ბ. სერიოზული კრიტიკა. მრავალმნიშვნელოვან დაკვირვებათა მიუხედავად ბ. ძირითადი კონცეპცია მაინც მექანიკური იყო. ბ. თავის შრომაში ფ. გოგიჩაიშვილის მიერ მოწოდებული ქართული მასალაც გამოიყენა.

ლიტ.: К. Bücher, Arbeit und Rhythmus, 1901 გამ. IV; Г. В. Плеханов. Письма без адреса, соч. т. XIV, 1925.

ელ. ვირსალაძე

ბლაიშტიანერი რობერტ (1891—1954) — ავსტრიელი ენათმეცნიერი და ეთნოგრაფი, კავკასიისმცოდნე. 1919 წელს ვენაში ქართულ ენაზე გამოსცა „ქართული ანდაზები, თქმულებები და ზღაპრები“ გერმანული თარგმანით, კომენტარებითა და ლექსიკონით. აღსანიშნავია მისი შემდეგი შრომებიც: „ყვავილბატონების ღვთაებანი და წმინდა ბარბალე ქართველთა ხალხურ წარმოდგენაში“, „კავკასიელ ხალხთა და ენათა მიმოხილვა“, „ქართული ბალადა ამირანის შესახებ“, „კავკასიელი ხალხები“, „ნარკვევები ქართველთა ტომის — გურულების ენასა და ეთნოგრაფიიდან“, „ვეფხისტყაოსანი მე-12 საუკუნის ქართული მინეზანგური პოემა“. გამოსცა ქართველი პოეტების ანთოლოგია გერმანულ ენაზე. თარგმნა, აგრეთვე, რამდენიმე ქართველი მწერლის პროზაული ნაწარმოები.

ლიტ.: ნ. კაკაბეძე, ნ. რუხაძე, კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, 1963, გვ. 131.

ნ. შამანაძე

ბლიაძე — ერეკლე II დროის მესტირე. XIX საუკ. დასაწყისში ბ. იქცა მესტიერეებისა და იმ პოეტების სინონიმად, რომელნიც თავის შემოქმედებით ახლოს იდგნენ ხალხთან.

ლიტ.: ცანავა ა., ქართული მესტირული პოეზია 1953.

ვ. მაცაბერიძე

ბოლტე იოჰანსი (1858—1937) — გერმანელი ფოლკლორისტი. კრებდა და გამოსცა XVI საუკუნის გერმანული ფოლკლორი. ჟურნ. „Folkskunde“-ს (ხალხმცოდნეობის) რედაქტორი. ი. პოლივკასთან ერთად შეადგინა ძმები გრიმების გერმანული საბავშვო და საოჯახო ზღაპრების შენიშვნები ხუთ ტომად. ამ შენიშვნებში თი-

თოეულ ზღაპრისათვის მითითებულთ უმდიდრესი მსოფლოო შე-
დარებითი მასალა, რაც მკვლევრისათვის ძვირფას განძს წარმო-
ადგენს.

ლიტ.: Д. Кокхера, Ист. флклористики в Европе. М., 1960, стр. 333-
ელ. ვირსალაძე

ბოსლობა — საგაზაფხულო დღეობა, რომლის ძირითად და-
ნიშნულებას საქონლისა და ფრინველის გამრავლება შეადგენს.
ბ. რიტუალის განუყრელი ნაწილია დიალოგური ტექსტი, რომე-
ლიც საკულტო დრამის ნიმუშადაა მიჩნეული.

ლიტ.: მაკალათია ს., შთის რაჟა, თბ., 1930; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხუ-
რი სიტყვიერების ისტორია, 1956.

ვ. მაკალათიძე

ბოსტნის შელოცვა — სამეურნეო შინაარსის შელოცვათა უძ-
ველესი ნიმუში, რომლის ტექსტი მე-17 საუკ. კურთხევეანშია შე-
სული და წმინდა პოეტური სახე აქვს. „უცხო პეპელი მოვიდა,
უცხო უცხოსა ფერიო; მან მახუნძველი გვიშობა, წაღმა-უკუღმა
მკრელიო“... ტრადიციულ წესზე ამ მაგიურ ლექსში მატლის
წამლობის საშუალებაცაა დასახელებული — ნაცრის დაყრა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 290; К. Кеке-
лидзе, Литургические груз. памятники, 1908, გვ. 120.

მ. ჩიქოვანი

„ბროწეულის წყარო“ — პოპულარული ზღაპარი დევის მიერ
მოტაცებული დედოფლის შესახებ, რომელსაც შვილები დაუბრუ-
ნებენ მწუხარე მამას (AAN 3121*+302A). პირველად დაიბეჭდა
აკაკის „კრებულში“, 1897 წ. № 1. განყ. III, გვ. 38—44. (შეად-
თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი, თბ.,
1909, № 30; ლ. აღნიაშვილი, ზღაპრები 1890; ძვ. საქ., ტ. 1,
განყ. IV, „თორმეტთავიანი დევი“; ზღაპრები. ქართველ ქალთა
წრის გამოც. № 2, 1902).

ვ. ვირსალაძე

„ბრძენი ვაჟის ზღაპარი“ — საერთაშორისო ფოლკლორისტი-
კაში ცნობილი ზღაპართა ციკლი გულთმისანი ყმაწვილის შესახებ,
რომელიც რჩევა-დარიგებას აძლევს ადამიანებს, წინასწარმეტყვე-
ლებს, ხსნის სიზმრებს და სხვ. სიუჟეტის შედარებითს ანალიზს
მიყვებართ სოლომონ ბრძენის ციკლამდე. ცნობილია ამ ციკლის
მაჰმადიანური, თალმუდური, სლავური და დასავლეთ ევროპული

ვარიანტები, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდება ინდურ ეპოსს „ვიკრამაჩარიტრას“. ბრძენი ვაჟის მოტივი ქართულ ზღაპარშიც გვხვდება („სიზმარა“, „სამი ძმის ზღაპარი“, „სასწაულმოქმედი პერანგი“), მაგრამ საკუთრივ სიუჟეტს ვხვდებით XVII საუკუნის პატრი ბერნარდეს მიერ ჩაწერილ ტექსტებში.

ლიტ.: ელ. ვრსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, XVII საუკუნე. ჩაწ. ორი ზღაპარი, ლიტ. ძეგლები, IV, 1948; პ. ჩიქოვანი, მე-17 საუკუნე. ჩაწერილი ქართული ზღაპრები. მრავალთავი, თბ., 1964, გვ. 72—75.

ე. ვრსალაძე

ბრძოლა ზეპირსიტყვიერებისათვის — ზეპირსიტყვიერება ისე, როგორც მთელი ხალხური შემოქმედება, ხელოვნებას წარმოადგენს და იდეოლოგიურ სფეროს განეკუთვნება. ფოლკლორი შინაარსითაც და ფორმითაც ფართო მასების მსოფლმხედველობის უშუალოდ ანარეკლია. ამის გამო კლასების, წოდებების, ფენების ჭიდილის ასპარეზად იქცევა საზოგადოების სოციალურ დიფერენცირებასთან ერთად. ლიტერატურის შექმნამდე და მის შემდეგაც ხალხურ შემოქმედებაზე გავლენის მოპოვებისათვის თითოეული კლასი გარკვეულ ზომებს იღებდა. ამ დროიდან განუწყვეტლივ მიმდინარეობდა აშკარა თუ შენიღბული ბრძოლა ზეპირსიტყვიერებისათვის, მისი მიმართულებისათვის. ადრინდელი და შუასაუკუნეების ხანის წერილობითი წყაროები თვალწინ გვიშლის ამგვარი ბრძოლის ულმობელობასა და საყოველთაო ხასიათს. განსაკუთრებით რელიეფურადაა ასახული ძველ წყაროებში ქრისტიანობის ბრძოლა წარმართობასთან, ამ უკანასკნელის საფუძველზე შექმნილ კულტურასთან. ბრძოლას განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიეცა IV საუკუნე-დან, მის შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა და ყოველგვარი კერპბორგნეული შეჩვენებულ იქნა.

როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქ-შიც დაიღუპა ბევრი კულტურული ფასეულობა, დაწერილი თუ დაუწერელი ლიტერატურა. ხელოვნების ნიმუში, არჩილ მეფის დროიდან მოყოლებული, „ქართლის ცხოვრებისა“ თუ სხვა ქრონიკების მიხედვით. სწორად არქაულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „ვ^რდ ბრძანებაჲ გამოსროკლ არს ღ^ვთისა მიერ წარმართა ზ^ა და ყ^თა ბოროტად მადიდებელთა. რ^ა გამოოკცხადოს მთავარსა მას ოჩ^ლბაჲ მათი და ყ^ლთა კერპთმსახოვრთა მედგრობაჲ. რ^ა შეკრიბნეს ყ^{ნი} წიგნი მათნი და დაწოკნეს ც^ცხლითა“. ბრძანება მთელი გულმოდ-

გინებით იქნა შესრულებული: და შეკრიბნა ყწნი წიგნნი, მათნი, რლ იყოვნეს ფდ მრავალ, და დაწოვნა იგი შოვა ქლაკსა“.

საქართველოში, როგორც ქრისტიანულ ქვეყანაში, მოქმედებდა წარმართობის შემზღუდავი და აღმომფხვრელი ყველა საერთაშორისო კანონი. „ყწითურთ უკუშ უჯერო არიან და უწესო ქეანეთათვს სიმღერანი და მთვრალობანი, მგოსნობანი და სახიობანი და ესე ვრთა მათ კმათა საეშმაკოთა სმენანი ბარბითებისა და ორლანოებისა, ებანთა და სტვირთა და წინწილათა და მროკვალთა და მომღერალთა ხედვანი. ესე ყწთა ქეანეთათვს უჯერონი არიან, რსაქმენი არიან საწარმართონი“ (წესი და განრიგება და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა). საეკლესიო კანონის თარგმანში ექვთიმე მთაწმინდელმა ადგილობრივი ყოფის, საქართველოს სინამდვილის ამსახველი ცნობები ჩაურთო და მკითხველს მოუწოდა „ესე ყწი საეშმაკოჲ არს და მოისპენ ქეანეთაგანო“. სწორედ ამ სახელმძღვანელო პრინციპებს ემყარებოდა დავით აღმაშენებელი, რომ აღმოეფხვრა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი“, და რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1103 წელს, როცა კრძალავდა ტრადიციულ საერო წესებს და მათ შესრულებას.

იდეოლოგიურ ჭიდილში ცვლილებებს განიცდიდა ხალხური ზეპირსიტყვიერება, მუსიკა, ქორეოგრაფია, თეატრალური და გამოყენებითი ხელოვნება. ძველის საპირისპიროდ თანდათანობით ყალიბდებოდა სხვა რეპერტუარი და შემსრულებელთა შორის ფეხს იკიდებდა მოვლენებისადმი ახლებური დამოკიდებულება.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართ. მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, თბ., 1956.

მ. ჩიქოვანი

ბუბა ქაქუჩელა — სვანური სახუმარო სუფრული სიმღერა. ტექსტი შედგება 6—8 სტრიქონისაგან. მსუბუქად გაკილულია ვინმე ბუბა (ძია) ქაქუჩელა, რომელიც დიდად კმაყოფილი რჩება, თუ მუქთად ერთ-ორ კათხა არაყს გადააკვრევენებენ.

ლიტ.: სვანური პოეზია, I, 1938.

დ. წერელიანი

„ბუნტი გურიაში“ — ასეა დასათაურებული გურიაში ჩაწერილი საისტორიო ბალადის, 1841 წლის აჯანყების ამსახველი, ნიმუშები, აჯანყება 1841 წ. მაისში დაიწყო სოფ. ლანჩხუთში. ლექსებში („გურული ხალხი აყრილა“, „რუსულად წიგნი მისწერა“)

გადმოცემულია აჯანყების მიზანი, ხასიათი, თანდათანობით გავრცელება. ხალხური მგოსნები თავისებურად ხსნიან აჯანყების დამარცხებასაც.

ლიტ.: ალ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, 1937; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედ., 1967.

ქ. სიხარულიძე

ბუჟიერი — ცხვარი. მთიელი მწყემსები ამ სინონიმური სიტყვით ცხვარს საალერსოდ მიმართავენ. უძველეს დროში გამოთქმას ტაბუს დაცვის ფუნქცია ჰქონდა.

ქოჩორბერნი ბევრად იქცენ,
ვაფართობ ფარეხსაო,
ციურ ვარსკვლავებად ჩავთვლი
ბუჟიერნის თვალეხსაო.

ლიტ.: ნ. შამანაძე, მწყემსთა პოეზიის მხატვრული თავისებურებანი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XV, 1963, გვ. 271.

ნ. შამანაძე

ბურნახაშვილი გლახა — სახალხო მთქმელი, რომლისაგან ვაჟა-ფშაველას ჩაუწერია ლექსები: „ჩარგალს მოიდა ლექები“, „აკი გითხარა, ზურაბო“, „ქალმა მითხრა გადმომახურე შენ ნაბადი ქისტურია“... ვაჟას თქმით ბ. „საკვირველი მცოდნე იყო ფშავ-ხევსურეთის ძველი ამბებისა“.

გ. ბარნოვი

ბუსლაევი თედორე ივანეს-ძე (1818—1897) — რუსული ენის, ფოლკლორის, ლიტერატურისა და ხელოვნების მკვლევარი, შედარებითი-ისტორიული სკოლის წარმომადგენელი. იზიარებდა ძმ. გრიმების მითოლოგიურ თეორიას.

ხალხური სიტყვიერების შესახებ გამოირჩევა მისი ნაშრომები: «Исторические очерки русской народной словесности», I—II, 1861; «Народная поэзия» (1887), «Мои досуги» (1886).

ბ. მიუთითებდა ხალხ. შემოქმ. და ლიტერატურის ურთიერთობის მნიშვნელობაზე. ბ. თანდათან დაცილდა მითოლოგიურ სკოლას და სესხების თეორია გაიზიარა.

ლიტ.: Ю. Соколов, Русский фольклор, 1938; ჩიქოვანი მ., ქართული ფოლკლორი, 1946.

ელ. ვირსალაძე

ბუტულაშვილი სოლომონ — დაბადების თარიღი უცნობია, მოკლულ იქნა რუსეთ-ირანის ომის დროს 1826 წ., დაკრძალულია პატარძელში, საგმირო ლექსი ს. ბ. შესახებ გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ს. ბ. პატარძელელი ყოფილა, მონაწილეობა მიუღია ომში და ერთ-ერთი შეტაკების დროს ერევნის ახლოს დაღუპულა. ს. ბ. მთქმელებმა დაუკავშირეს სოლოლას (ნ.) და თურქთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირად მიიჩნიეს. ზეპირ ბრუნვაში მოქცეული ს. ბ. ლექსი თანდათან დაიხვეწა და დამკვიდრდა ფოლკლორულ რეპერტუარში.

ლიტ.: სოლომონ ბუტულაშვილი (მესტიური პოემა), „მესტიურე და ქამანჩა“, თფ., 1893; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. III, თბ., 1967; მაცაბერიძე ვ., ს. ბუტულაშვილის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში, „ქართული ფოლკლორი“, I—II, თბ., 1964.

ვ. მაცაბერიძე

ბუფონი — ფოლკლორულ ნაწარმოებთა შემსრულებელი საფრანგეთში. ბუფონები გაწვრთნილ ცხოველებს დაატარებდნენ და მღეროდნენ უმთავრესად მდაბიო მოსახლეობის წინაშე. იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდათ საქ-ში ცნობილ „დათვით მემღერებს“ (ნ.).

გ. ბარნოვი

ბუქურაული ივანე აღექსის-ძე (1869—1943) — საზოგადო მოღვაწე, თუშური ფოლკლორის შემკრები და პოპულარიზატორი. ტექსტებს აქვეყნებდა „ივერიაში“, „კვალში“, „მოამბეში“, „აკაკის კრებულში“, „ძველ საქართველოში“. „თუშური ლექსები“ შემკრებმა ჯერ 1895—1902 წწ. „ივერიაში“, ხოლო შემდეგ, კომენტარებითა და ლექსიკონით „ძვ. საქართველოს“ II ტომში გამოაქვეყნა. ბ. ისტორიული ხასიათის ნარკვევებიდან აღსანიშნავია „თუშების გადმოცემები მეფე ერეკლეზე („ივერია“), „ლაშარის ჭვარი და თამარ დედოფალი“ („მოამბე“). მდიდარი ფოლკლორული ჩანაწერები ინახება ბ. პირად არქივში. ბ. ეთნოგრაფიულ ნაშრომებსაც აქვეყნებდა. ხალხურ გადმოცემებზეა დამყარებული მისი მოთხრობები „ზურაბის კოშკი“, „მუცალხანი“ და სხვ. ბ. უმთავრესად თუშურ ზეპირსიტყვიერებასა და თუშების ეთნოგრაფიულ მასალას ჰკრებდა.

ლიტ.: ძვ. საქ-ო, ტ. 11; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, ტ. 1, 1953; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ფ. ზანდუკელი

ბუხეო — მუსიკალური ხმა. ხევესურები ორ ხმას გამოყოფენ შესაბამისი ტერმინებით: ბუხეი (ბოხი) და მწკეპრი (წვრილი, წმინდა).

დ. ჯოგოჭური

ბჰარატა — პროფესიონალი მთქმელ-შემსრულებელი, მომღერალი. მსგავსად კობზარისა, აედებისა (ნ.), ბჰარატები ინდოეთში ფოლკლორული ტრადიციების უმნიშვნელოვანეს მატარებლად ჯვევლინებიან. მათი რეპერტუარი მრავალფეროვანია: ასრულებენ საგმირო, საისტორიო და საწესჩვეულებო სიმღერებს. ინდოელთა რწმენით, ბჰარატას ზებუნებრივი ძალა გააჩნია: თუ ბჰარატა ქარავანს მიჰყვება, მეკობრეები თავდასხმას ვერ გაბედავენ, და სხვ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვიერების ისტორია, 1956.

ჭ. ბარდაველიძე

ზ

გაბაასება — ფოლკლორული ჟანრი, რომლის ძირითად მხატვრულ ხერხს გაბაასება, სხვადასხვა პერსონაჟთა კამათი, დიალოგი წარმოადგენს. გ. ჟანრი თემატიკურად ნაირფეროვანია: სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, სასულიერო, ფილოსოფიური. აზრის, ხასიათის, გრძნობის ჩვენება პერსონაჟების გასაუბრებით წარმოებს. გაბაასებაში უფრო ხშირად უსულო საგნები, მცენარეები თუ ბუნების მოვლენები იღებენ მონაწილეობას. მობაასეთა რიცხვი შეზღუდული არაა. გ. ნიმუშებია: ცისა და ქვეყნის, სიკვდილისა და სიცოცხლის, დღისა და ღამის, სულისა და ხორცის, ქალისა და ვაჟის, ორხელასა და გუთნის, ციებისა და გოგონას, წლის დროების, თვეების, შინაური ცხოველების, გუთნის ნაწილების, ზილთა ბაასი და სხვ. ლექსები უმთავრესად ლირიკული ან ლირიკულ-ეპიკური ფორმისაა და გვხვდება ხალხური პოეზიის თითქმის ყველა კრებულში.

გაბაასებას თეატრალური სახე აქვს, თითქოს მაყურებლის წინაშე გამოდის თითოეული მონაწილე და თავს იქებს. ამის გამო ზილთა ბაასს, მაგალითად, ზშირად „ზილთა ქება“ ეწოდება. ეს მომენტი ხალხურ ლექსშიც არის ასახული: „გაგრძელდა დევთა ნადიმი, შეიქმნა უცხო მდივანი; წინდაწინ მარწყვი მოუძღვის, კარგი არის და ნუგბარო; მას თან ტყემალი მოჰყვება, წუწკია თავლაფიანი“. იწყება ზილთა პაექრობა. გ-ში ასახულია უძველესი სამეურნეო და კულტურული ყოფა, ხალხის პოეტური ხელოვნე-

ბა. ყურძნის სიტყვაში ნათლად ჩანს მევენახეობის მნიშვნელობა და ადგილი.

ყურძენმა თქვა: მეც ხილი ვარ ყოველ ხილზედ უკეთესი, ზამთარ ხე ვარ და ხე ფიჩხი, ზაფხულში გავყამაწვილდები, ატლასის კაბას ჩაეიცვამ, ბოლოსა გადმოვეყუყუდები, მოვლენ და ჩამომკრეფავენ, უცეცხლოთ ამოვდულდები.

ფოლკლორიდან გაბაასების უნარი ლიტერატურაში გადავიდა და საკმაო პოპულარობა მოიპოვა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია. 1956, გვ. 324—50; ბ. ჩიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ მწერლობაში, 1952.

მ. ჩიქოვანი

გაბაშვილი ეკატერინე რევაზის ასული (1851—1938) — მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ზეპირსიტყვიერების შემკრები და შემოქმედებითად გამომყენებელი. უმიკაშვილის არქივში (შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება) გ.-ის მიერ ჩაწერილი 40-ზე მეტი ფოლკლორული ნიმუშია. დაცული. მწერალი ხალხური სიტყვიერების მასალებს აქვეყნებდა საბავშვო პერიოდულ გამოცემებში („ჩეჯილი“, „ნაკადული“). გ.-ის ფოლკლორისადმი ინტერესი ჩანს მის საარქივო მასალებშიც (დაცულია საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში). გამოუქვეყნებელი მოთხრობა „ქალი მეფე“ (ხ. № 18335) ემყარება ლეგენდას „გორის ჯვრის“ შესახებ. გ. ყურადღებას აქცევდა სხვა ხალხის ფოლკლორსაც. მან თარგმნა ხორვატული ზღაპარი „ძვირფასი საჩუქარი“ და რუსული „Золушка“.

ლიტ.: ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მე-19 საუკუნე; გ. ბარნოვი, გორის ჯვრის ლეგენდა ვაე-ფშაველასა და ეკ. გაბაშვილის შემოქმედებაში, „ქართ. ფოლკ“. ტ. I—II, 1964; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, III, 1968.

ფ. ზანდუკელი

გაბურთ ეშმა — ხევსურეთში გავრცელებული გადმოცემა, რომელსაც ვარიანტები სხვა კუთხეებშიც მოეპოება. გაბურთების წინაპარს თიბვის დროს ეშმაკი დაუქერია. ეშმაკს გაპარვა მოუხერხებია და დამტყვევებლის გვარი დაუწყევლია.

ლიტ.: წელიწდეული, 1927; გვ. 155; ა. შანიძე, ხალხური პოეზია. 1931, გვ. 594.

დ. გოგოჭური

გაბური ბესარიონ მარტიას ძე (გაბუური აბაისძე) — შემკრები და ინფორმატორი. მოიხსენიება თიყუნებით (ფსევდონიმებით): ბესარიონ, ბალახურის ძე, ჩაგვირილა, არხოტიონი. დაიბადა ს. ჭიმლაში. შეკრება ხევისურული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები. გაბურის ბევრი ლექსი გამოქვეყნებულია ხალხური პოეზიის სხვადასხვა კრებულში. 1953 წელს დასახლდა სამგორში და იქვე გარდაიცვალა.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931.

დ. გოგოჭური

„გაგვიძელ ბერო მინდიაჲ“ — პოპულარული ხალხური ლექსი. ვარიანტები გვხვდება ფშავ-ხევისურეთში, ჭხევში, კახეთსა და სხვ. სრულდებოდა ფანდურზე და იმღერებოდა თასურადაც. გადმოცემით სალაშქრო სიმღერაა და მთქმელები მას ხოგაის მინდიას სახელს უკავშირებენ.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძის ჩანაწერები: კრებული, 1872; № 8; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 79.

დ. გოგოჭური.

გაგლეჯილა — საბავშვო თამაშობა. ხელჩაკიდებულ მონაწილათა ორი მწკრივიდან ერთ-ერთი ბავშვი გარბის მეორე მწკრივისაკენ და ცდილობს მის გარღვევას. გამარჯვების შემთხვევაში წრიდან ერთი მოთამაშე გადადის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ასე გრძელდება თამაში, ვიდრე დამარცხებულთა ბანაკში მხოლოდ ერთი მოთამაშეღა დარჩება.

ფ. ზანდუკელი

გაგონილი ხალხში — გულისხმობს ფოლკლორულ ნაწარმოებს. — ლექსს, ანდაზას, თქმულებას, ზღაპარს და ა. შ., რომლის მთქმელი ან გამომთქმელი აღარ ახსოვთ.

ჯ. ბარდაველიძე

გადაბრუნება ლექსისა — ერთსა და იმავე ლექსში ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა, ძველი ლექსის გადაკეთება-გაერცობა, ახალი მოტივებით შევსება, საზომის ან რითმის გამოცვლა.

დ. გოგოჭური

გადმონაშთი — თანამედროვეობისათვის უცხო, ძველი ეპოქებიდან გადარჩენილი ცალკეული შეხედულება-წარმოდგენები, ჩვენები, ჩვეულებანი და ცრუ რწმენები. ქართულ ფოლკლორში

გადმონაშთს წარმოადგენს, მაგ., ალილოს (ნ.), ჭონას (ნ.) შესრულება, მონადირეობის ინსტიტუტში შერჩენილი დალის (ნ), ალისა (ნ) და ტყაში მათას (ნ.) კულტი და სხვა ამგვარი.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ქართული ხალხური ეპიკური ტრადიციის ზოგიერთი თავისებურება, ლიტ. ძიებანი, ტ. XII, 1959; მ. ჩიქოვანი ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 122.

ე. ვირსალაძე

გადაქცევა ყუვისა — რითმის გამოცვლა, სხვა რითმზე გადასვლა (ნ. ყუვი).

ლექს სხვაზე გადავაქციოთ,
ბან მამეც საიყინაო.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 138.

დ. გოგოჭური

გავრცელება — ფოლკლორული ნაწარმოების შეთვისება ფართო აუდიტორიის მიერ, მისი მასობრივი გადასვლა ერთი მთქმელის თუ კოლექტივის რეპერტუარიდან მეორეში. ფოლკლორული ძეგლის გავრცელებამ შეიძლება მეტად ფართო ხასიათი მიიღოს და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვას.

ე. ვირსალაძე

გათვლა — თამაშობათა (ნ.) ერთ-ერთი სახე. მისი დანიშნულებაა თამაშის დაწყების მოწესრიგება. გ. გართმულ ლექსს წარმოადგენს, მისთვის ძირითადად რიტმულობაა დამახასიათებელი. ვის ტექსტებში თავს იჩენს ტრადიციული, მტკიცედ შეკრული ისტყვიერი ფორმულები („იწილო, ბიწილო“, „ეგლე ღუგლე“, „ყარა, ყურე“, „კომში, კომში კომარა“). ცნობილია აგრეთვე მოძრავი, შედარებით არამყარი ტექსტები („მგელობანას ვთამაშობდი“, „ბრინჯი, ბრინჯი დავითა“), ხშირ შემთხვევაში ისინი იმპროვიზაციული ხასიათისაა. ტრადიციული გათვლები შორეული ეპოქის კვალს ატარებს.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, 1938; ფ. ზანდუკელი, ხალხური საბავშვო პოეზიის ძირითადი სახეები, „ქართ. ფოლკ.“, ტ. III, 1969.

ფ. ზანდუკელი

გაკაფთავება — ექსპრომტული პოეტური შეჯიბრი სახალხო მთქმელთა შორის. (ნ.) კაფთია.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 96—98; ვ. კოტეტიშვილი ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 387; ა. ცანავა, გალექსება-ვაშაირება და ფშაური კაფია, თბ., 1964.

გ. შეთქაური

გალექსება — პოეტური შეჯიბრების სახე. წარმოებს ცალკეულ პირებსა ან ჯგუფებს შორის. გალექსება შეიძლება როგორც პირისპირ 'ზეპირად, ისე ლექსის დაბარების, გაგზავნის ფორმით. გ. უფრო ხშირად სატირული ხასიათისაა.

ლიტ.: ა. ცანავა, გალექსება-ვაშაირება და ფშაური კაფია, თბ., 1964.

გ. შეთქაური

გამათქმა — ლექსის თხზვა. კერძოდ, სატირულ-იუმორული მამხილებელი ლექსის შექმნა და გავრცელება. გ. უფრო მეტად გალექსების ტიპის ნაწარმოებებში გვხვდება.

ორმოცი ლექსი გამათქვი,

კიდევაც ვიტყუე ვითასა.

ან

რას ხფიქრობ, ბესარიონო,

ლექსის გამათქმის ხანია.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, გვ. 29.

დ. გოგოქური

გამგონებელი — მსმენელთა აუდიტორიის (ნ.) წევრი. პირი, რომელიც ხალხურ ნაწარმოებს ისმენს შესრულების დროს. ტერმინი ხალხურია. ხშირადაა მოხსენებული ფოლკლორულ ძეგლებში: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“, „მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გწყალობდეს ყველასა“.

ჯ. ბარდაველიძე

გამეორება (პოეტულში) — ერთი და იგივე სიტყვიერი ელემენტების ორმაგი ან მრავალჯეროვანი გამოყენება. ბგერების (რიტმა, ასონანსი, დისონანსი, ალიტერაცია), ცალკეული სიტყვების ან სიტყვიერი ფორმულების (რეფრენი, მისამღერი, პარალელიზმი), ზოგჯერ კი მთელი პასაჟების გამეორება თხრობასა და ლექსში. გამეორება აძლიერებს მხატვრული სიტყვის გამომსახველობით ძალას, ინტონაციის გაძლიერება-კლებას უსვამს ხაზს, ხოლო თხრობაში მოქმედების რეტარდაციით (ნ.) ხაზგასმას, დაძაბვას უწყობს ხელს. ნ. ეპიკური გამეორებანი.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ზღაპარი. ქართული ხალხ. პოეტ. შემ., I, თბ., 1960 გვ. 394—400; ლირიკა, იქვე, ტ. II, თბ., 1968, გვ. 325—326.

ე. ვირსალაძე

გამოლოცვა (გამოლოცვისაჲ) — საწესჩვეულებო მაგიური მოქმედება ბოროტი სულების განსაღვინად. გ. აქვს სამკურნალო და სამეურნეო ფუნქცია. ტერმინი ძველი ჩანს.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956⁹ გვ. 289.

ვ. მაკაბერიძე

გამომთქმელი — ავტორ-მთქმელის (ნ.) აღმნიშვნელი ხალხური ტერმინი. გულისხმობს ლექსის ან სიმღერის შექმნას („ერთი უბირი ქალი ვარ ამ ლექსის გამომთქმელი“).

ქ. ბარდაველიძე

გამოსაჯავრებელი და საგინგლაო ლექსები — ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი სახე. გ. და ს. ძირითადი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის გაღიზიანება ან დაცინვა-გამოჯავრება. გ. და ს. ლექსები უმთავრესად საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება, ნაწილი მოზრდილთა შემოქმედებიდანაა გადმოსული. ასეთ ლექსში მარტივი სახეებით, ადვილად ჩასაწვდომი ხერხებით დაგმობილია უქნარობა, სიზარმაცე, ჭირვეულობა, სიცრუე და სხვა მანკიერი თვისებები („მტირალა მტირალა...“, „საქმეზე წელი გწყდებაო“... და სხვ.).

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, 1938; ფ. ზანდუკელი, ხალხური საბავშვო პოეზიის ძირითადი სახეები, „ქართ. ფოლკ.“, III, 1969.

ფ. ზანდუკელი

„განდეგილი“ — ბეთლემის მღვიმესთან დაკავშირებული ლეგენდა, რომლის ძირითადი მოტივი, მწყემსი ქალისაგან ბერის ცდუნება, გავრცელებულია როგორც ქართულ ფოლკლორში, ასევე მსოფლიო ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებაში. ლეგენდა ი. ჭავჭავაძემ გამოიყენა ამავე სათაურის პოემის შესაქმნელად.

ლიტ.: კეკელიძე კ., „სამიწნურო ცთუნების“ პრობლემათათვის ქართულ ლიტერატურაში. ეტიუდები II, 1945, გვ. 13—22; ჩიქოვანი მ., მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 82—83; მახათაძე ნ., ი. ჭავჭავაძის „განდეგლის“ ფოლკლორული წყაროები, უნივერსიტეტის სტ. შრ. წ. 3, 1948, გვ. 225—236; სიხარულიძე ქ., ი. ჭავჭავაძის პოემების ხალხური წყაროები, ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1957 გვ. 86—105.

ვ. მაკაბერიძე

განსხვავებული წაკითხვა — ფოლკლორული ტექსტი რამდენიმეჯერ შეიძლება მოვისმინოთ მთქმელისაგან. თუ გამეორება მოკლე ხანში ხდება — ჩანაწერებს შორის განსხვავება მცირე იქნე-

ზ. გ. წ. შეიძლება ეხებოდეს სიტყვას, სიუჟეტს, მხატვრულ სახეს, გეოგრაფიულ გარემოს, ტიპურ ფორმულებს და ა. შ. განსხვავებულ წაკითხვებს ყველა ჩანაწერი იძლევა; აბსოლუტურად იდენტური ხელით ჩაწერილი ტექსტები არ გვხვდება, თუნდაც ერთ მთქმელთან იმავდროულად ორი-სამი შემკრები მუშაობდეს. გ. წ. მეოთხე საფეხურზე დგას ვერსიის შემდეგ, იგი ყველაზე მცირე განსხვავებას გვიჩვენებს ტექსტოლოგიურ შედარებისას.

მ. ჩიქვანი

გაუქმებული — 1. ფანდურის ეპითეტი („იძახნე გაუქმებულ შენს ჟერობის ხანია“), კარგი, საამო ხმის მქონე ფანდური. 2. ზარი.

დ. გოგოჭური

გარესკნელი — გარეთა წრე, გარემო, გარემოცვა; გარეთა. ზოგჯერ შუასკნელს ან შუაცას უწოდებენ. ქართველთა უძველესი წარმოდგენით, სამყაროს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ქვესკნელთან და ზესკნელთან ერთად.

ლიტ.: დ. შენგელა, სამი სკნელი, თხზულებანი, ტ. II, 1960, გვ. 431.

ნ. შამანაძე

გატყუკი ვ. ა. — უფრნალისტი და წიგნების გამომცემელი. თანამშრომლობდა გაზ. „Кавказ“-ში. 1897 წ. „კავკაზში“ მოათავსა ზღაპრის „მიწა თავისას მოითხოვს“ ერთ-ერთი ვარიანტი, 1904—1905 წწ. გამოაქვეყნა წიგნების სერია „კავკასიის ზღაპრები“. პირველი და მეათე წიგნი შეიცავს ქართულ მასალას.

ლიტ.: Земное — земле (грузинская сказка). «Кавказ», 1897, № 93; Сказки Кавказа — Жемчужное ожерелье, собраны и изложены В. А. Гатуцком. Десять выпусков. М. 1904—1905 гг.

ვ. მაკაბერიძე

გაფრინდაული ზეზვა — აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული თქმულებების სახელოვანი გმირი, წარმოშობით თუში, 1659 წლის ბახტრიონის ბრძოლის მონაწილე. დაზარალებულია მთა-თუშეთის სოფ. ვაკისძირში, მე-17 საუკ. 20-იან წლებში. ზეპირი გადმოცემით, ზეზვას მრავალ ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა უცხო დამპყრობელთა და მთიელ მეკობრეთა წინააღმდეგ. „ხმალს აქებს გაფრინდაული: თორმეტი მოვკალ ამითა; ავავსე დიდი მინდორი თათრის ზოჯაის ძვალითა; მგელ-

სა დაეცვიეთ კბილებო. ტურას — ლოყები ჭამითა“: ბახტრიონის აჯანყების შემდეგ ზეზვას სახელი მალე ჰქრება ზეპირსიტყვიერებედან, ეტყობა, დასჯილ ოქნა თათრების მიერ აჯანყების სხვა მონაწილეებთან ერთად. გ. სახე ფართოდ არის ასახული ხალხურ პოეზიასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

ლიტ.: ქართ. ხალხ. საისტორიო სიტყვიერება, I, ქს. სიხარულიძის რედაქციით, 1961, გვ. 129—41; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956, გვ. 28—60.

მ. ჩიქოვანი

„გაქვავებული გამოთქმები“ — ფოლკლორში შემონახული ბევრი ისეთი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლის აზრი ამჟამად გაუგებარია. ასეთი სიტყვები; მეტწილად, რეფრენისა (ნ.) და მისამღერების (ნ.) სახით შემორჩა ხალხურ ლექს-სიმღერებს (ნ.). ასეთია, სვანური „ბაილ ილბა, ილბა ბაილ“; ქართულ სიმღერებში გავრცელებული რეფრენები — „ლისიმ დალოლო“, „დელა ოდელა“, „არი არალე“ და მრ. სხვ. ზოგო მათგანი, შესაძლოა, თავიდანვე ალოგიურ ფრაზას წარმოადგენდა; მაგრამ ნაწილი რომ ნამდვილად ჩვეულებრივი სასაუბრო სიტყვები იყო, ამას ადასტურებს ზოგიერთი რეფრენის გაშიფრვა. ასე, დადასტურდა, რომ ქართულ რეფრენებში არაიშვიათად გვხვდება ურარტული წარმოშობის სიტყვები. „იერი არალე“ ნიშნავს „ღმერთო არალე“-ს, „თარი არალე“ — „დიდო არალე“, „არალე“ აქ ღვთაების სახელია, ასეთივეა რეფრენის „არი არალე“-ს მნიშვნელობა. „არი“, ნიშნავს „მომეც“, მთელი ფრაზა კი ღმერთისადმი მიმართვას წარმოადგენს! „მომეც, (წყალობა) ღმერთო არალე“. სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის დაბუნდოვნებისა და დაჩრდილვის ნიშანადგუნე წარმოშობილი გ. გ. ახლა ერთგვარ პოეტურ სამკაულად გვევლინება ლექსებსა და სიმღერებში.

ლიტ.: გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 144—45; ა. სვანიძე, შესავალი ალაროდელ ტომთა ისტორიისა, უნივერსიტ. შრ., 1936, 111, გვ. 302—304; ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსწყობის საკითხები, 1960.

ჯ. ბარდაველიძე

გაშიარება — ცნობილი ან ექსპრომტული ლექსებით შეჯიბრიორ ან რამდენიმე პიროვნებას შორის. გ. გულისხმობს მეტოქეთა, „ურთიერთ გადაკიდებულთა“ მიერ ერთმანეთისადმი „შიარის

ოქმას“. ასეთი ლექსები ზოგჯერ აშკარად სატირულ-იუმორისტულ-
ლი შინაარსისა და მეტოქეთა ნაკლის მხილებას ისახავს მიზნად.

შაირის თქმითა ვერ დამლი,
ახლოს ნუ მომეკარები. . .

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956,
გვ. 36; ა. ცანავა, გალექსება-გაშაირება და ფშაური კაფია, 1964.

გ. შეთჯაჯური

გებირაფა — ლაზ. დამღერება ვინმეზე, ვინმეს მიმართ ლექს-
სიმღერის თქმა.

გელაჩამუ — ლაზ. დაკვრა („ჩამოკვრა“). ხალხური მუსიკ.
საკრავის აუღერება ჰაერის ჩაბერვით ან სხვა საშუალებით.

გემგარუ — ლაზ. დატირება (მიცვალებულისა). ლაზი მოტი-
რალის რწმენით, ხმაბალა ტირილის დროს წარმოთქმული ყოვე-
ლი სიტყვა ესმის მიცვალებულს, ხედავს კიდევ მის ირგვლივ
მყოფთ. ამის გამო მოტირალი ცდილობს „ელაპარაკოს“ მას, მის
სულს.

ზ. თანდილავა

გერგეტულა — სამების ხატობაში წარმოსათქმელი რიტუალუ-
რი სიმღერა. „დიდია წმინდა სამება ცისკიდურამდე ელავსო,
თავის ყმის გამჯავრებელსა ნაბადივითა სთელავსო“... ხშირად
ტექსტში სამების ადგილას წმ. გიორგი გვხვდება. გ. სოფლის სახე-
ლიდანაა ნაწარმოები: გერგეტი — გერგეტულა; საწესო სადიდებო,
იქვე მაღალ მთაზე მდებარე X—XI ს. ტაძარში შესასრულებელი.
გ. მოხსენებულია ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“; „ერთბამად
ხალხი შეინძრა, გაისმა „გერგეტულას“ სიმღერა და გრგვინვასა-
ვით ბანის მიმცემმა ხალხმა ქულები მოიხადა“. არსებობს მე-14
საუკ. სიგელი, რომლის მიხედვით გერგეტელებს დავალებული
ჰქონიათ სამების დაცვა და სამსახური. მოხევეები მოწიწებით
ეპყრობოდნენ თავიანთ შესანიშნავ ძეგლს და მის სახელზე რი-
ტუალური სიმღერაც შეუქმნიათ.

ლიტ.: ალ. ყაზბეგი, თხზ., 11, 1948, გვ. 275; ს. მაკალათა, ხევი, 1934,
გვ. 227—33; ზ. უშიკაშვილი, IV, 1964.

მ. ჩიქოვანი

გერია — მეგრული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟი, სა-
ხელწოდება წარმომდგარია „გერი“-სგან. (მეგრ. შგლის შვილი).

ლარიბი გლეხი, გამოირჩევა დიდი ღონით; ამარცხებს შავი მეფის მრჩეველ ყვამურიცხამს და ცოლად ირთავს თორმეტი დევის დას.

ლიტ.: Ал. Цагарели, Мингрельские этюды, I, 1880, გვ. 18.

მ. ჩაჩავა

გერი და დედინაცვალი — ხალხური ეპოსის პერსონაჟები. გერი მიმზიდველი, კეთილი პიროვნებაა. მის სახეში თავმოყრილია კეთილშობილური, ადამიანური, დადებითი თვისებები. უმეტეს შემთხვევაში მზეთუნახავია (ნ.). იგი გარეგნული და შინაგანი მიმზიდველობით ხასიათდება. დედინაცვალი გერის საპირისპირო სახეა. იგი ბოროტი, ცბიერი, შურიანი ადამიანია. მის სახეში განზოგადებულია ბოროტი ძალის ყველა თვისება. დ.-ის გარეგნული შესახედობა მის სულიერ სიმახინჯეს შეეფერება. გერ-დედინაცვლის ციკლის ხალხური ნაწარმოებები ძირითადად საოჯახო ტრაგედიას ასახავენ. ტრაგედიას მათ შორის აღმოცენებული კონფლიქტი განსაზღვრავს. კონფლიქტის საბაბს, უმეტეს შემთხვევაში, გერისა და დედინაცვლის საკუთარი შვილის დაპირისპირება წარმოადგენს. გ. დ.-ის ჭიდილში, როგორც წესი, გ. იმარჯვებს. ხალხი გ.-ს უთანაგრძნობს. დ.-ის მიერ მძიმე, უაღრესად ძნელი დავალების შესასრულებლად გაგზავნილ გ.-ს ხალხი გვერდს ამოუყენებს ჭიმაგებს, რომელთა დახმარებით ფიზიკურად სუსტი არსება ყველაფერს ასრულებს და გამარჯვებული რჩება. გ.-ის საპირისპიროდ ხალხი დ.-ს, როგორც ბოროტებისა და შურის საწყისს, სასტიკად გმობს.

გ.-დ.-ის ტრაგედიის ნიმუშს წარმოადგენს ქართული ხალხური ეპიკური ნაწარმოები „ეთერიანი“. გ.-დ.-ის სახეები მსოფლიო ფოლკლორისთვისაა ცნობილი. ანალოგიური ზღაპრები აარნე-ანდრეევის კატალოგში დამოწმებულია №№ 480—510.

ლიტ.: ალ. ლლინტი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1966; Е. Мелетинский, Герой волшебной сказки, 1956.

ფ. ზანდუკელი

გეჯინაშა ბირაფა — „სიმღერა გამარჯვებაზე“, „სიმღერა მოწინააღმდეგის დამარცხებაზე“, პოეტური ტურნირი, რომელიც გულისხმობს ურთიერთ-გალექსებას, გაშიარებას მგოსანთა შორის. ამ გზით შექმნილი ნაწარმოებები სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა და ყოველთვის ექსპრომტულია. ტურნირს ხშირად

„ზირაფას დოდგინუ“ („სიმღერაში დადგომა“, ე. ი. სიმღერით ჯიბრში ჩადგომა) ეწოდება და იგივეა, რაც კაფიობა (ნ. „კაჩიე ოთქუმალუ“).

ზ. თანდილავა

გვარამაძე ივანე პავლეს ძე (1831—1912) — ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ლექსიკური მასალების შემკრები, მკვლევარი. თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ამაგი დასდო თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული მესხეთის მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებას. მის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, ზოგი შევიდა ი. გოგებაშვილის „დედაენასა“ და ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „ძველ საქართველოში“. თავის ისტორიული ხასიათის ნარკვევებში საილუსტრაციოდ იყენებდა ხალხურ ნაწარმოებებს, ტომონიმიკურ რეალიებსა და ისტორიულ გადმოცემებს („დავედრებანი“). ამ მხრივ გამოირჩევა მისი წიგნი „ქართლის ცხოვრება“. ი. გვარამაძის ხელნაწერები დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: ზ. ქიქინაძე, ქართველ კათოლიკეთა მოღვაწე ი. გვარამაძე, 1904; ი. მაისურაძე, ივანე გვარამაძე, ლიტ. და ხელოვნ., № 33, 1945; ი. მაისურაძე, ი. გვარამაძე (ვიწმე მესხი), სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბ., 1968, გვ. 41—43.

ი. მაისურაძე

გვარამაძე კონსტანტინე ივანეს ძე (1867—1943) — მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შემკრებ-შემსწავლელი. აქტიურად მონაწილეობდა 80—90-იანი წლების ქართულ პრესაში. მოღვაწეობდა გურიაშიც (ს. მაკეანეთი), სადაც შეკრიბა და გამოაქვეყნა ფოლკლორული ტექსტები.

ლიტ.: ი. მაისურაძე, მესხეთის მოამაგე, ლიტერ. და ხელოვნება, 8. XII, 1944; ს. ცაიშვილი, კ. გვარამაძე, წიგნში: სახალხო განათლების მოღვაწეები, 1954; გვ. 67—114;

ილ. მაისურაძე

გველეშაპი — გველეშაპი (ავესტის აჟი-ვეშაპი), ქართული ზღაპრის პოპულარული პერსონაჟი, ბოროტი საწყისის განსახიერება. მრავალთავიანი, ცეცხლის მფრქვეველი, ბასრ-კბილებიანი

ურჩხული, რომელიც ბოროტი მისიითა და მავნე ფუნქციით უპირისპირდება კეთილ გმირებს. იხმარება დიდი გველის გაგებითაც-ზღაპრებსა და ლეგენდებში უკავშირდება წყლის სტიქიას. ხშირად გვევლინება სასმელი წყლის მიმტაცებლად. წყალს, მდინარეს დაპატრონებული გველეშაპი წყლის საფასურად ადამიანის მსხვერპლს თხოულობს. როგორც სინათლისა და სიკეთის მტერი, გველეშაპი შთანთქავს მზესა და მზიურ გმირებს. ფერის მიხედვით განირჩევა თეთრი, წითელი და შავი, ეს უკანასკნელი ყველაზე ძლიერია. აქვს ფრენის უნარი. გველეშაპს მავნე ფუნქციაში ხშირად ენაცვლება დევი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947. 109; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები არანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 238; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960, გვ. 153.

მ. ჩაჩავა

გველვაჟი — ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი. ჩვეულებრივ, გველვაჟი დიდი ხნის უშვილო ცოლ-ქმარს, მეფე-დედოფალს უჩნდება ნატვრის შედეგად: „ნეტავ შვილი მყოლოდა, თუგინდ გველის წიწილი ყოფილიყო“. გველვაჟი ადამიანის ხორციით იკვებება. ჯადოსანი ქომაგის მიერ დარიგებული ქალიშვილი ეურჩება მას, გაჯავრებულ გველს სიბრაზით კანი გაუსკდება და გამოჩნდება მშვენიერი ქაბუჯი. ეს სახე „ავესტის აჯაჰაკს“ მოგვაგონებს. იგი აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული ზღაპრებში შეუფერებელი სამოსითა თუ ფორმით დაბადებული ვაჟის სახით, რომელიც მოგვიანებით ტოვებს ნიღაბს. იხ. აგრ. ჯადოსნური მეუღლის მოტივი (ამური და ფსიქე). —ა—, №№ 425,433.

ლიტ.: რჩეული ქართული ზღაპრები, ე. ვირსალაძის რედაქციით, ტ. I, გვ. 129; „სოკერა-გოგრის ზღაპარი“, ტ. II, გვ. 96; „გველქაბუჯი და მზექაბუჯი“. ე. ვირსალაძე

გველისმჭამელი — ხევსურული პოეზიისა და თქმულებების მაღალ-მხატვრული სახე, რომელიც კონკრეტულად მინდიას ან ხოგაის მინდის სახელს ატარებს. მინდია ქაჭებს ტყვედ ჩაუვარდა და როგორც სხვებს, მასაც გასუქება დაუწყეს, დასაკლავად ამზადებდნენ. ამლელ ხევსურს არ უნდოდა სიკვდილი და ცოტას ჰამდა, გასუქებას ერიდებოდა. ქაჭები გველის ხორციით იკვებებოდნენ. ერთხელ ქაჭების დედამ მინდია მთაში წაიყვანა გველების დასაჭერად. შეაგროვეს ქვეწარმავალნი, ერთი ყელმატყლიანი იყო. შინ მშვიერებო დაბრუნდნენ. მინდიას ადამიანის სისწ-

ლი მიაწოდეს, მაგრამ არ დალია. სასოწარკვეთილმა თავის მოკვლის მიზნით გველის სისხლი მიიღო. მოწამელის მაგიერ ხევსური გამეცნიერდა, ფრინველთა და მცენარეთა ენა ისწავლა. ასე გახდა მინდია — გველისმკამელი ბრძენი და ბუნების მესაიდუმლე. გამეცნიერებული მინდია ქაჯებს გაეპარა და გუგულების ქვეყანაში გადავიდა, იქ მკბენარის ავადმყოფობისგანაც გათავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა. მინდია უებრო მკურნალი გახდა; ბალახები და მცენარეები თვითონ კარნახობდნენ რისი წამალიც იყვნენ.

ძველ მითოლოგიურ გმირს, ჩრდ. კავკასიის მომთაბარეთა მეკობრეობის გაძლიერების პერიოდში, რეალისტური ამბავი დაუკავშირდა ქისტებთან მებრძოლი ვაჟკაცის შესახებ, რომელიც შემთხვევით მოსისხლის ციხე-კოშკში მოხვდა და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ხალხური პოეზიის შედეგრი:

ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ქველა, მიწა გრგვინავდა, სული გეიანა ჰხდებოდა;
ჩამოდიოდა მასკვლაეი, მთვარეც უკულმა ღვრიბოდა,
ქორ-შევარდენი, არწივი სუ მხრებით იხოშებოდა . . .

გველისმკამელის მოტივები საერთაშორისოდაა გავრცელებული, მას კარგად იცნობს აზიის და ევროპის ხალხები (ა-ა 679—671—72). გ. ფილოსოფიური სიუჟეტი მრავალმხრივია ასახული როგორც ფოლკლორში, ისე ლიტერატურაში საქართველოსა და მის გარეთ.

ლი ო ტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია. I, 1931, № 146; ე. კოტეტრეილი, ხალხ. პოეზია, 1961, გვ. 141; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956, გვ. 61—94; მისივე, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა, ლიტ. ძიებ., XV, 1964; ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა ხოგაის მინდიაზე, 1959.

მ. ჩიქოვანი

გვრინვა — მთიბლური ლექსის 'სიმღერით შესრულება (ნ. გვრინი).

დ. გოგოჭური

გვრინი — მთიბლური სიმღერის კილო. სრულდება ინდივიდუალურად, თიბვის დროს ცელის ქნევასთან ერთად. საგვრინავ ლექსებად იყენებენ როგორც უშუალოდ თიბვის შრომის პროცესის ამსახველ, ასევე ხმითნატირალ ლექსებს.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931; მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, გ. ჩიტაიას წინასიტყვაობა; თ. ოჩიაური, ხევსურული მთიბლური სიმღერა — გერინი, მიმომხილველი, 1951; ელ. ვირსალაძე, აღმ. საქ. მთიელთა ზეპირსიტყვიერება, 1959.

დ. გოგოჭური

„გიგა და გიორგი“ — ხალხური ბალადა. ასახავს მწყემსთა ბრძოლას თავდამსხმელების წინააღმდეგ. გიგა და გიორგი ძმები იყვნენ, ფლობდნენ საკუთარ ფარებს და შირაქში აძოვებდნენ. წარმოშობით თუშები უნდა ყოფილიყვნენ. ბალადა პატრიოტული ნაწარმოებია და პოეტური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს. გ. და გ. პირველნი შეებრძოლებიან მოძალადეებს და გმირულად იღუპებიან.

როდის უნდა იყოს შექმნილი ეს ბალადა? დავით ბატონი-შვილი ამბობს: „კვალად შეკრბენ ქარელნი, მოვიდნენ და წარიღეს ივრით ცხვარი თუშთა ვიდრე ოცდა ათი ათასამდე“. ჩვენი ბალადა ამ ფაქტის გამოძახილი უნდა იყოს. მართლაც, ბალადის მიხედვით ქარ-ბელაქნელების გატაცებული ცხვრის რიცხვი, დახოცილ მწყემსთა რაოდენობა, მოძალადეებთან თუშების ბრძოლის ხასიათი დიდი მასშტაბითაა მოცემული. ეს არა ჰგავს ლექთა ჩვეულებრივ „განავარდებას“. იგი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად წარმოგვიდგება და თითქმის ემთხვევა ზემოაღნიშნულ ცნობას. საფიქრებელია, რომ „გიგა და გიორგის“ 1802 წელს მომხდარი ფაქტი უდევს საფუძვლად. ლექსი იმავე წელს უნდა იყოს შექმნილი. უძველესი ჩანაწერი 1875 წლითაა დათარიღებული.

„გიგა და გიორგის“ ახასიათებს მძაფრი, უკიდურესობამდე მისული დრამატიზმი. ბალადა ლექსად შეთხზულ მცირე ფორმის ტრაგედიას ჰგავს. ალაგ-ალაგ გამართულია მეტად ლაკონიური, მოსხლეტილი დიალოგებით, რაც ლექსის რიტმს აჩქარებს და მოქმედებას ცოცხლად წარმოგვიდგენს. მასში შესულია უძველესი რწმენის გადანაშთი საიქიო ცხოვრებაზე.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 341; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი I, 1959, გვ. 23; ჟს. სიხარულიძე, ქართველი სახალხო გმირები, 1952, გვ. 19; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონი-შვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმისა' 1905, გვ. 63; ნ. შამანაძე, ერთი ქართული ხალხური ბალადა, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964, გვ. 169.

ნ. შამანაძე

გილგამეშის ეპოსი — შუამდინარეთის ხალხების ეპოსი, აღმო-საველეთის ლიტერატურის უძველესი ძეგლი. მისი სრული სათაუ-

რია: „რომელმან სიღრმე იხილა“. ჩვენამდე მოღწეულ სიმღერათა ჩანაწერები დაშორებულია ერთმანეთისაგან 1500 წლით, რაც საშუალებას გვაძლევს ეპოსის განვითარების მთავარი ეტაპები გავითვალისწინოთ. პოემა ჩაწერილია ლურსმულად თიხის ფირფიტებზე — ძველი აღმოსავლეთის ოთხ ენაზე: შუმერულ, აქადურ, ხურიტულსა და ხეთურ ენებზე. გილგამეშიანის უძველესი ზეპირი სიმღერები შუმერულია. მათი არსებობა ჩვ. წ. ა-დე III ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. პირველი ჩანაწერები შესრულებულია შუმერულ ენაზე ჩვ. წ. ა-დე III ათასწლეულის ბოლოს. ამავე პერიოდს ეკუთვნის პოემის აქადური ვერსია, ხურიტული და ხეთური თარგმანები პოემისა ჩვ. წ. ა-დე II ათასწლეულს ეკუთვნის. ყველაზე დამუშავებული და მხატვრულად სრულყოფილია ნინევიური ვერსია (II ათასწლ. ბოლო და VII—VI სს ჩვ. წ. ა-მდე).

პოემის ჩასახვის ხანა — პატრიარქატის ეპოქა — ქვის ხანის ბოლო, ლითონის ხანის დასაწყისია. ეპოსის მთავარი გმირი ისტორიული პირი, სამხრეთ შუმერის ქალაქ ურუქის მეფე-მთავარი გილგამეშია (2800—2700 წწ. ჩვ. წ. ა-დე). ჩანს გილგამეშის გარშემო მითოლოგიურ გადმოცემათა და ხალხურ საგმირო-საისტორიო სიმღერათა მთელი ციკლი შეიქმნა. ეპოსის ლიტერატურულად დამუშავებულ რედაქციებში მითოლოგიური წარმოდგენები და სახეები მეტად ძლიერია. პოემაში აღწერილია გილგამეშის ძლივამოსილი ბრძოლები ურუქის მტრებთან, ურჩხულებთან, ცეცხლის მფრქვეველ ზეციურ ხართან, ურთიერთობა ღმერთქალ იშტართან, ენქიდუსთან დამძობილება, მეგობრის დაკარგვა და გლოვა, ბოლოს, გილგამეშის გამგზავრება მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების საძებრად. ამ ძეგლში დასმულია პრობლემა ადამიანის არსებობის მიზნისა და დანიშნულების შესახებ. „გილგამეშიანი“ კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შექმნილი ძეგლია. გ. ე. შესული სახეები და მითები გვხვდება ბიბლიაში (მაგ., წარღვნის ლეგენდა). გილგამეშიანს საერთო მოტივები გააჩნია ქართულ ფოლკლორთან, კერძოდ, ამირანის ეპოსთან. უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის თემა, რაც ასე რელიეფურად ჩანს გ ეპოსში, ქართული ფოლკლორის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

გილგამეშიანი ორჯერ არის თარგმნილი ქართულ ენაზე. პირველი თარგმანი შესრულებულია მ. წერეთლის მიერ 1924 წელს.

მეორე აქადური ვერსიის მიხედვით ზ. კიკნაძის მიერ ყველა ცნობილი ვარიანტისა და ფრაგმენტების გათვალისწინებით.

ლიტ.: გილგამეშისანი, ბაბილონური ეპოსი, თარგ. მიხეილ წერეთელმა, კონტანტ., 1924; გილგამეშის ეპოსი, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ, თბ., 1968; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I., თბ., 1956; ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965; მისივე, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971.

ე. ვირსალაძე

გილფერდინგი ალექსანდრე თეოდორეს ძე (1831—1872) — ბილინების გამოჩენილი შემკრები და მკვლევარი, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი, მითოლოგიური სკოლის დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი. განიცდიდა სლავიანოფილურ იდეათა გავლენას. 1871 წელს გაემგზავრა ოლონეცის გუბერნიაში რიბნიკოვის მიერ აღმოჩენილი ბილინების კვლდაკვალ. მის მიერ შედგენილმა კრებულმა და ბილინების ტრადიციაზე დაკვირვებამ უდიდესი როლი თამაშა რუსული ფოლკლორისტიკის განვითარებაში. პირველმა შემკრებთა შორის დასვა საკითხი სოციალ-ეკონომიური გარემოს მნიშვნელობის შესახებ ეპიკური ტრადიციის განვითარებაში, წამოაყენა მთქმელისა და ინდივიდუალური საწყისის პრობლემა.

ლიტ.: А. Ф. Гилфердинг, Онежские былины, М., 1873, II, გამოცემა, 1894, III გამოცემა, 1900, VI გამოცემა, 1949—1951; Н. Пыпин, История русской этнографии, т. I, 1890; В. Миллер, Очерки по истории русской народной словесности I, 1897; М. Азадовский, История русской фолклористики, II, 1963.

ე. ვირსალაძე

გიორგი წმინდა — ერთ-ერთი მთავარი ღვთაება. მასში ერთმანეთშია შერწყმული თვისებები ურჩხულზე გამარჯვებული ბერძენი გმირის პერსევსისა, ეგვიპტელთა ღვთაება გორასი, სპარსელთა მითრასი და სხვა მიწათმოქმედ ხალხთა ღვთაებებისა. საეკლესიო წიგნები მოგვითხრობენ წმ. გ. სასწაულებრივ გმირობაზე (მაგალითად, გველეშაპის მოკვლა). ქართულ აზროვნებაში მას ძველი წარმართობისდროინდელი მთვარის ღვთაების ადგილი უკავია. დღემდე შემორჩენილია წმ. გ. სახელობის ტაძრები და ეკლესიები. ქართულ ფოლკლორში ვხვდებით მრავალ ლეგენდას, რომლებიც

ვეშაპთმებრძოლი გვირის სასწაულებრივ ამბებს მოგვითხრობენ. შასთან დაკავშირებულია აგრეთვე ბევრი რიტუალური ლექსი.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, 1960; გვ. 48; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 279; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972, ნ. შამანაძე

გიორგობა — წმინდა გიორგის სახელობის დღესასწაული (მოდიოდა 23 აპრილს და 10 ნოემბერს ძვ. სტილით).

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, ვ. 48. ნ. შამანაძე

„გლეხური სიმღერები“ — პირველი სახალხო წიგნის სახელწოდება. გამოქვეყნდა 1873 წელს შემდეგი სათაურით: „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძისაგან. წიგნი პირველი“. შეიცავს ო. ჭავჭავაძისა და რ. ერისთავის მიერ შეკრებილს და ეურნ. „კრებულში“ გამოქვეყნებულ ხალხური პოეზიის ნიმუშებს.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ილია ჭავჭავაძე და ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხები, რაფიელ ერისთავის ხალხური სიტყვიერების შემკრები. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ., 1960; სიხარულიძე ქ., ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956.

ვ. მაკაბერიძე

გლოვა — ადამიანის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება, გარდაცვალებული ხსოვნის აღსანიშნავი ჩვეულებების შესრულება. გლოვის თემატიკა ფართოდ არის ასახული ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში.

ღმერთო, რა დიდი ბრალა
სიკვდილი კაი ყმისაო.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 277—278; ხალხური სიბრძნე, IV, 1965, გვ. 124.

გ. შეთევასური

გლოვის მგოსანი — ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ფიქსირებული ტერმინი მიცვალებულთა და მტირებლის, მომთქმელის აღსანიშნავად. გ. მ. ფუნქციას მიცვალებულის დატირება და შექება შეადგენდა. დატირების პროცესში შექმნილი მრავალი ლექსი სამგლოვიარო ფოლკლორის მალალმხატვრულ ნიმუშებს წარმოადგენს.

ვეფხვო, დახყარენ იარაღნიო,
არწივმა დაიჭუქენ მხარნიო,
ჩიხვო, საწოლთით გადმალვარდიო,
ირემო, დაინაყენ რქანიო.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 277—280; კ. კეკელიძე, ეტიუდები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, გვ. 397—415; ხალხური სიბრძნე, IV, 1965, გვ. 300.

გ. შეთქაური

გმირი — 1. მამაცობითა და გამბედაობით სახელგანთქმული, ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, სიძნელეთა ვაჟკაცურად დამცლვეი ადამიანი. გმირი არის ძველი ეპიკური პოემებისა და მითების მთავარი მოქმედი პერსონა, რომელიც ზეკაცური ძალითაა დაჯილდოებული. ამირანი ღმერთს ებრძვის, პრომეთე წინ აღუდგება ზევსს, იაკობი ღმერთს ეჭიდება. ღმერთებისა და ტირანების წინააღმდეგ ამხედრებული გმირი ხალხის იდეალს განასახიერებს. დროთა განმავლობაში მითიური გმირების ადგილს ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი ადამიანები იკავებენ. 2. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟი.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით, თხზ., VII, 1956; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 311.

ნ. შამანაძე

„გობ-საცერი“ — საწესჩვეულებო ფორმულა. დაკავშირებულთა გაზაფხულის პირველ გვრგვინვასთან. დაიგვრგვინებს თუ არა, გაიძახიან: „გობ-საცერიო, გობ-საცერიო!“. ამ შემთხვევაში საცერი, ცხავის მსგავსად, წვიმის სიმბოლოს წარმოადგენს.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 255.

ვ. მაცაბერიძე

გოგბედნიერი — მითიური ფრინველი. სვანების წარმოდგენით, ნადირობის უმაღლეს ღვთაებას, მთის ბატონს ბერშიშვილშხ (ნ.) მოამბე ჰყავს გ. სახით. ღვთაების დავალებით, გ. ნადირთა ადგილსამყოფელსა და საქმე-კეთილობას ატყობინებს მონადირეებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959, გვ. 112.

ბ. ჩიქოვანი

ვოგო-ბიჭის დაწიება — აქარული გამოთქმა: ფიქსირებულია ქედის რ-ნის ს. ბზუბზუში, როგორც ქალ-ვაჟთა სატრფიალო გაშაირების (შეჯიბრის) ამსახველი ტერმინი. დაწიება სასაუბრო მეტყველებაში ნიშნავს მოწევას, მოქაჩვას; გადატანით — ხსენებას, უფრო — აუგად ხსენებას („რას დამეწიეო!“ რად მახსენებ, რას მერჩიო).

ნ. ციტიშვილი

გოგიჩაიშვილი ფილიპე (1888—1947) — გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ეკონომისტი და ფოლკლორისტი. უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში პეტრე უმიკაშვილის დახმარებით. ლაიპციგში სწავლის პერიოდში შრომის პოეზიის ნიმუშებს აწვდიდა თავის ხელმძღვანელს პროფ. კ. ბიუხერს გამოკვლევისათვის „არბაიტ უნდ რიტმუს“ (შრომა და რიტმი, მე-2-3-4 გამოცემები). 1904 წელს პ. უმიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ, გ. ხელში გადავიდა უმიკაშვილის უმდიდრესი კოლექცია, რომლის პოეტური ნაწილი „ხალხური სიტყვიერების“ სახელწოდებით გამოაქვეყნა 1937 წელს. ამ გამოცემაში გ. ეკუთვნის ტექსტების შერჩევა და სისტემატიზაცია, შენიშვნები და შესავალი — უმიკაშვილის ბიოგრაფია. დაწყებულს საქმე დაუმთავრებელი დარჩა. უმიკაშვილის კოლექციის სრულ პუბლიკაცია 1964 წელს განხორციელდა ოთხ ტომად. გ. ქართული ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამომცემელ-ტექსტოლოგია.

ლიტ.: პ. უმიკაშვილი; ხალხური სიტყვიერება, ოთხ ტომად, 1964; მ. ჩიქოვანი, ქართული შრომის სიმღერები გერმანულ ენაზე (კ. ბიუხერი, პ. უმიკაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი); ახალგაზრდა კომუნისტი, №№ 15—18, 1968.

მ. ჩიქოვანი

გომელაური ივანე მიხეილის ძე (1867—1951) — სახალხო მასწავლებელი; ხალხური შემოქმედების შემკრები. გ. პედაგოგიურ მუშაობას უთავსებდა ზეპირსიტყვიერების შეკრებაზე ზრუნვას. ყველგან, სადაც კი უხდებოდა პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ჭიათურაში ჩამოაყალიბა ზეპირსიტყვიერების შემკრებთა სპეციალური წრე, რომლის წევრებიც მასთან ერთად სოფელ-სოფელ აგროვებდნენ ფოლკლორულ ნაწარმოებებს. შემკრებ-კორესპონდენტთაგან გ. იხსენიებს პ. ჩარხოშვილს, დ. პატეშვილს, ევგ. დვალაძეს. გ. ფოლკლორული ჩანაწერებიდან აღსანიშნავია: „აბესალომ და

ეთერი“, ხალხური „დიმიტრი თავდადებული“ (თუშური ვარიანტები), „ვერ გაიგეთა ფშაველნო“ და სხვ. გ. ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს აქვეყნებდა პრესაშიც („ივერია“, „თეატრი“). გ.-ს ფოლკლორული ჩანაწერების რვეული, დათარიღებული 1915 წლით, ინახება ცენტრარქივში (№ 689).

ლიტ.: საქ. სახ. ცენტრარქივი, № 689; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, ტ. 1, 1953.

ფ. ზანდუკელი

გონჯა — ხალხური ჩვეულების ძირითადი პერსონაჟი. გონჯაობა წარმართული ჩვეულებაა, ტაროსის ღვთაებისადმი მიძღვნილი. გონჯაობას კარდაკარ ჩამოვლის ხასიათი ჰქონდა. გონჯას ხელოვნურადაც ამზადებდნენ. ხის ნაპერს ძონძებში გახვევდნენ და აღამიანის სახეს მისცემდნენ. ლაზარობის (ნ) მსგავსად, ცერემონიალს თან ახლდა საწესჩვეულებო სიმღერა: „გონჯა მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა“.

ლიტ.: ჩანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; სიხარულიძე ქ., საწესო კალენდარული პოეზია. „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, 1, 1963.
ვ. მაცაბერიძე

გორგასალი ვახტანგ (V—VI საუკ.) — ქართლის მეფე, ეროვნული გმირი. გ. ვ. დიდი პროგრესული მოღვაწე იყო. იბრძოდა ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად. გ. ვ. ნათელი სახე ღრმად აღიბეჭდა ხალხურ შემოქმედებაში. გ. ვ. შინაგანმა და საგარეო პოლიტიკამ მხატვრული ასახვა პოვა ლექსებში, გადმოცემებსა და თქმულებებში. ხალხის ხსოვნაში ახლაც დაცულია გ. ვ. მიერ თბილისის სატახტო ქალაქად ქცევა („თბილისის აშენება ვახტანგ გორგასალის მიერ“), უჯარმის აშენება („გორგასალის ციხე“), ბრძოლა ალანებთან („როგორ შეიქნა სახელწოდება მეტეხი“), ბრძოლა სპარსელებთან, მეფის ლალატით დაღუპვა („გორგასალის ციხე“, „ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასალზე“). გ. ვ. ლექსებში იგრძნობა ხალხის ღრმა სიყვარული („ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, „ვახტანგ მეფე რომ კვდებოდა“), გ. ვ. ციკლის ნაწარმოებები შეიცავენ საერთაშორისო ხასიათის მოტივებს.

ლიტ.: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, 1958; ქ. სიხარულიძეს ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949; ქართული ხალხური საგმირო-

საისტორიო სიტყვიერება, 1969; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1961; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971,

ქ. სიხარულიძე

გორგაძე სერგი (1876—1929) — საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი. გ. „ქართული ლექსი“ წარმოადგენს ქართული ვერსიფიკაციის ერთ-ერთ პირველ და იმ დროისათვის ყველაზე სრულ კურსს. განხილულია მეტრი, რიტმი, ბგერითი აგებულება და სტროფიკა. ლიტერატურული ლექსის განხილვის დროს გ. დიდ ანგარიშს უწევს ხალხურ პოეზიას (ნ.) და საყურადღებო დაკვირვებებს გვთავაზობს. ფასეულია გ. შეხედულებანი ქართული ხალხური ლექსის აქცენტუაციასთან დაკავშირებით.

ლიტ.: გორგაძე ს., ქართული ლექსი, 1930; ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1952.

ვ. ბარდაველიძე

გოძიაშვილი ალექსი — ხალხური მთქმელი (უსინათლო) დუშეთის რაიონის სოფ. გრემისხევიდან, პ. უმიკაშვილის (ნ.) თანამედროვე და მისი კორესპონდენტი. გ. მიერ თქმული ლექსები დაცულია პ. უმიკაშვილის კოლექციაში. 1878 წ. პ. უმიკაშვილის ინიციატივით დაიბეჭდა გ. ლექსების კრებული.

ლიტ.: ლექსები. თქმული დუშეთის უფლის სოფლის. გრემის-ხევის. მცხოვრების ბრძის ალექსი გოძიაშვილისაგან. ტფ., 1878; უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, I, 1937; იგივე, I—IV, 1964.

ვ. მაცაბერიძე

გოძიაშვილი ეფრემ — ხალხური პოეზიის შემკრები, ახლო ჟრთიერთობაში იყო პ. უმიკაშვილთან, რომლის დავალებით ეწეოდა ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას დუშეთის რაიონში. მისი მასალების უმეტესი ნაწილი დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“.

ლიტ.: უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, I, 1937; იგივე, I—IV, 1964.

ვ. მაცაბერიძე

გრენი ა. ნ. (გარდ. 1934) — პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში და პედაგოგიურს კი უკრაინაში. ავტორი რამდენიმე საყურადღებო წერილისა ქართული ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის დარგში. მისმა წერილმა მეგრული „კაპუნიობის“ თაობაზე პოლემიკა გამოიწვია.

ლიტ.: Грен А. Н., Предание о Моквинской церкви (мингр. легенда) Жавк., 1886, № 333; მისივე, Мингрельские легенды, Кавк., 1887, № 41; მისი-

ვე, «Капуния», как остаток канибализма в Мингрели. Кавк., 1887; № 59; მისივე, Сванетские сказки и песни с русскими переводами, СМОМПК, X, 1903; Проценко Ю. П., По поводу жертвоприношения «Капуния» в Мингрели», Кавк. 1887, № III.

ე. ვირსალაძე

გრიმები, ძმები, იაკობი (1785—1863) და ვილჰელმი (1786—1859) — გერმანელი მეცნიერი-ფილოლოგები, გეტინგენის, შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორები. განათლებით იურისტები იყვნენ, მაგრამ მთელი თავიანთი სიცოცხლე ფილოლოგიასა და გერმანული კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლას შესწირეს.

გრიმები ფოლკლორში ხედავდნენ ხალხის ისტორიას, ამიტომ: ზებირსიტყვიერების შეკრება და შესწავლა ეროვნულ ამოცანად გამოაცხადეს. მათი აზრით, ნაციონალური კულტურის ძირითად ელემენტს წარმოადგენს არა ქრისტიანობა, არა კათოლიკური შუასაუკუნეები, როგორც ამას ასაბუთებდნენ მათი თანამედროვე ბკვლევები, არამედ ხალხური რელიგია და წარმართობა.

1812 წელს ბერლინში გამოქვეყნდა მათ მიერ შედგენილი ზღაპრების კრებული „Kinder-und Hausmärchen („საბავშვო და საოჯახო ზღაპრები“), რომელიც მკითხველთა ფართო წრისთვის იყო გამიზნული, მაგრამ, ამასთანავე, მეცნიერულ კომენტარებსაც; შეიცავდა. ამას მოჰყვა რიგი ფოლკლორული გამოცემები: გერმანული თქმულებების კრებული („Deutsche Sagen“, I—II); ჩრდილოეთის ფოლკლორისადმი მიძღვნილი გამოკვლევები და კრებულები („Alddänische Heldenlieder, Balladen und Märchen“; Lieder der alten Edda“; „Der arme Heinrich von Hartman von der Ane“ და სხვ).

ფოლკლორისტიკის ისტორიაში გრიმები მითოლოგიური სკოლის მამამთავრებად ითვლებიან. მათი მითოლოგიური კონცეპციები ყველაზე რელიეფურად ჩამოყალიბებულია იაკობ გრიმის „გერმანულ მითოლოგიაში“ („Deutsche Mythologie“, Göttingen, 1835). გრიმების ფოლკლორისტიკული შეხედულებების ძირითად იდეას წარმოადგენდა აზრი — ხალხური გადმოცემების მაღალი ეთიკური ღირებულებისა. მათი ღრმა რწმენით, ფოლკლორის საფუძველს ყოველთვის პოეტური და ზნეობრივი სიმართლე წარმოადგენდა. გრიმების მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ

მარქსი და ენგელსი, ამასთან, აღნიშნავენ მათი ზოგიერთი მოსაზრების რეაქციულობას.

გრიმების ზღაპრების ქართულ ენაზე თარგმნას ხანგრძლივი ტრადიცია გაჩნია. ყველაზე ნაყოფიერად ამ მხრივ მუშაობდა მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე, რომელმაც თარგმნა გრიმების რამდენიმე ათეული ზღაპარი.

ლიტ.: ძმები გრიმები, გერმანული ზღაპრები, ნაკადული, 1969; ძმები გრიმები, გულადი თერძი, ნაკადული, 1962; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946; Штейниц В., Изучение народного творчества в ГДР, «Изд. АН СССР. Отд. лит. и языка», 1955, т. 14, 6 5; Азадевский М. К., История русской фолклористики, М., 1958; Zuckmoger K., Die Brüder Grimm, Fr./M., 1948.

ჭ. ბარდაველიძე

გუგულების ქვეყანა — ზღაპრული მხარე, სადაც მაქცია გუგულები ცხოვრობენ. სწეული ხოგაის მინდია გ. ქ-ში განიკურნა, მერე ფრინველებისა და მცენარეების ენის ცოდნაც შეიძინა.

ლიტ.: გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, II, 1939; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956.

მ. ჩიქოვანი

გუდამაყრელი ხვედია — გმირი მეცხვარე, რომელიც თავგანწირულად შეება გადამთიელ თავდამსხმელებს, მოკლა მარბიელი რაზმის წინამძღოლი და ცხვრის ფარა დაღუპვას გადაარჩინა.

ხვედიაე, გუდამაყრელო,
შენ დედამც ცხონდებისაო,
შენ მახკალ თათრი ბელადი,
როგორ დასწონე გმირსაო.

ლიტ.: დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 51; ქს. სიხარულიძე, ქართული სახალხო გმირები, 1952, გვ. 20; ნ. შამანაძე, მეკობრეობის ასახვა მწყემსთა პოეზიაში. ბათუმის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964, გვ. 106.

ნ. შამანაძე

გუდანის ჯვარი (ბერი ბაადური) — ხევსურეთის მთავარი სალოცავი, ლაშქრობის გამგებელი. — აქვს ორი საბძანისი: 1. ბელლის კარი, სათავსოებითა და ნაგებობებით სოფ. გუდანში; 2. სანეს — სოფლის ზემოთ მთაზე. გ. ჯვრის გადმონაშთები გვხვდება მთათუშეთსა და ბარად ჩამოსახლებული ხევსურების სოფლებშიც. გ. ჯვართან დაკავშირებულია მრავალი მითიური და საგმირო ხასიათის ნაწარმოები, ლეგენდა, სალაშქრო-სახოტბო სიმღერა.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935; გვ. 238; თ. ოჩიაური, მიოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 102; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ. გოგოჭური

გუდულაშო — საკულტო ადგილი ცაგერის რაიონში; სოფლების უცხერ-უსახელო-ღვირიშის საზღვარზე. ყოველწლიურად აქ დღეობა იმართებოდა. მასში მთელი ზემო ლეჩხუმი მონაწილეობდა. გუდულაშობას მიყავდათ შესაწირი; ბამბის ძაფით შეამკობდნენ ასწლოვან ხეებს, რომელთა დიდი კორომი დღემდეა შემონახული.

მ. ჩიქოვანი

„გუთნის გამართვა“ — შრომის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი შრომისვე იარაღებს შეეხება. გუთნური ამ მხრივ გამოჩაყლისს არ წარმოადგენს („შენი ჭირიმე გუთანო“, „ორხელა და გუთანო“, „სახნისმა სთქვა“). ცალკე უნდა გამოვყოთ ლექსი „გუთნის გამართვა“. იგი დიდაქტიკურ მიზანს ემსახურება, სახვინელი იარაღის ნაწილების დამზადებასა და აწყობას გვასწავლის.

გუთანი ისე გავმართე, როგორც რომ მართებულა:
პირველ გავთაღე ხის რვილი, სახელდუბული თელისა,
მოუქუერ სახლმე შუაზე, შემოუღღერე ყელიცა,
ყელი კარგა მოუვიდა და შუა წელი სრულია. . .

ამგვარ პოეტურ ნაწარმოებებში თანმიმდევრობითაა დასახელებული რა ნაწილი რის შემდეგ მოდის და რისგან შედგება გუთნეული, როგორც სამიწათმოქმედო ერთეული.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 230; თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 59—60.

მ. ჩიქოვანი

გუთნისდღეა — გუთნეულის მეთაური, ერქუანზე ხელის მომკიდე, ძირითადი მომუშავე. გ. საპატიო პიროვნება იყო ძველ სოფელში, ეკონომიურად შედარებით ძლიერი. მიწათმოქმედების ისტორია ადასტურებს, რომ მიწის დამუშავებას, ხენა-თესვას თავდაპირველად დედაკაცი მისდევდა. ამის გადმონაშთი ქართულ კომპოზიტურ ტერმინშიც ჩანს მისი მეორე ნახევრის სახით (დღეა). ლექსებში გ. მიმართ ზოგჯერ პრეტენზიები ისმის: „გუთნისდღეას რა აცხონებს, რა შეიყვანს საყდარშია“. ეს არა მარტო იმ მიზეზით, რომ მუშა-საქონელს ეპყრობა უდიერად, არამედ იმიტომაც, რომ უსამართლოდ ექცევა მოდგამში გაერთიანებულ დღისა და ღამის მეხრეებს. „შვიდი დღისა თითონა ხნა, არ გამიგლო ერთი კვალი; პარასკევს შემატყობინა: შაბათს შენი ალოარი“. ფოლკლორში რეალისტურადაა დაფასებული გუთნისდღე-

დის როლი და მდგომარეობა: „ვინც შენ მოგყვება გუთანო, პური აქვს ძველისძველია“. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში გ. დიდ პატივს სცემდნენ, მის საფლავის ქვაზე ხშირად გუთნულს ამოკვეთავდნენ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქ. ხალხ. სიტყვ. ისტ. 1956, გვ. 231—32; თ. ოქროშიძე, ქ. ხალხ. შრომის პოეზია, 1963, გვ. 36—38; ი. ჭავჭავაძე, საქ. ეკონ. ისტორია, I, 1939, 167—68.

მ. ჩიქოვანი

გუთნური — შრომის სიმღერა, რომელიც გუთნით მუშაობის დროს სრულდებოდა; გუთნულთან სათქმელ სიმღერას გუთნური ეწოდება. გ. გავრცელებულია აღმ. და სამხ. საქართველოში. დას. საქ. მიწის გუთნით დამუშავების წესს არ იცნობდა და ამის გამო ტრადიციული გ. სიმღერები იქ არც გვხვდება. ქართლ-კახეთში ხენა-თესვის სიმღერას ოროველასაც ეძახიან, იგი ზოგადი სახელიდან მომდინარეობს და გამოყოფით არსებობს „გუთნური ოროველა“, „კალოს ოროველას“ პარალელურად. ჩვენში სახენელი საშუალებების გამოყენების შესახებ პირველი ვრცელი წერილობითი ცნობები ბერძნულ ლიტერატურაში გვხვდება (პინდარი, როდოსელი), ხოლო ქართველი ისტორიკოსი ბასილი ეზოს-მოდღვარი გვაუწყებს, — ველზე კვალის გავლების დროს მიწათმოქმედნი თამარის საქებას ლექსებს მღეროდნენო. „ყმანი მემროწლენი, განაბებასა შინა ორნატასა, თამარის ქებათა მელექსობდიან“. გუთნის ხსენება ქართულ წყაროებში XII ს-ზე ადრე არ გვხვდება, თუმცა, ამგვარ სამეურნეო იარაღს ადრეც იყენებდნენ და სხვა სახელით აღნიშნავდნენ (ერკუანი).

გუთნული რთული ორგანიზაციაა. მასში მოდგამის, ნაცვალ-გადახდას წესით რამდენიმე კომლია გაერთიანებული გუთნისდედის (ნ) ხელმძღვანელობით. შემონატანისა და ფუნქციის მიხედვით მოდგამნი ალოებს ინაწილებდნენ და მორიგეობით იხნავდნენ სავარგულებს. გარეკახეთში (ნორიო), მაგალითად, გუთნულში 8—10 უღელ ხარ-კამეჩს აბამდნენ, გუთნისდელასთან ერთად აქ იყვნენ მეხრეები (მეტი მეხრე, გუთნის თავის მ., სამოზრე მ., წინა მეხრე). ხანგრძლივ კოლექტიურად მომუშავე ჯგუფს საერთო სათქმელი ლექს-სიმღერები ჰქონდა, რომელშიც აისახებოდა მომუშავის ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი ყოფა და მსოფლმხედველობრივი წარმოდგენები.

გუთნურში პირველად გუთნის ქებას წარმოთქვამდნენ: „შენი ჭირიმე გუთანო, გათლილო წმინდა ხისაო; შენ აქმევ პურსა

ცოცხალსა, დამმარხველი ხარ მკვდრისაო“. მართლაც, მიწათმოქმედთა ცხოვრებაში. სახვანელ იარაღს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ღარიბ მოსახლეს 6—10 უღელი გამწვევი ძალის ყოლა არ შეეძლო, ამიტომ შეამხანაგდებოდნენ და ერთად ხნავდნენ. გუთნურის თემატიკა მრავალფეროვანია. მასში ადგილს პოულობს როგორც შრომის იარაღები და გამწვევი ძალა, ისე მომუშავენი. თითოეული რეალისტური ფერებითაა დახატული. გ. სოციალური ისტორიის მადლიან მასალას წარმოადგენს. აქ სენტენცია-შაირებთან ერთად გაბაასებანიც გვხვდება, მასში ძველთაძველი დრამის ნიმუშები იჩენს თავს (სახნისმა თქვა: ქვეშენელს დავალ, მზისა შუქი მენატრება. საკვეთელმა გაიგონა: ჩემზე მეტი შენ რა გვხვდება? და ა. შ.).

გუთნური სიმღერები და ლექსები შრომის პროცესში იქმნებოდა იმპროვიზაციულად. თანდათან დაგროვილმა მარაგმა ტრადიციული ფორმა მიიღო და უმდიდრესი რეპერტუარის სახით მოგვევლინა. გ. ლექსების დიდი უმრავლესობა მაღალბოეტურია, კოლექტიური თანავტორობის მადლიანი ბეჭედი აზის და მელოდიასთანაც მეტად ჰარმონიულად არის შერწყმული.

ლიტ.: შრომის სიმღერები, თ. ოქროშიძის რედ., 1961; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხ. სიტყვ. ისტორია, 1956; მისივე კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია: კრ. „ქართ. ფოლკლორი“, 1964; თ. ოქროშიძე, ქ. ხ. შრომის პოეზია, 1963; თ. მამალაძე, შრომის სიმღერები კახეთში, 1963; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959.

მ. ჩიქოვანი

გულბათი — ოლღა ილიას ასულ გრუზინსკაიას (1846—1912) ლიტერატურული ფსევდონიმი. 1899 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსცა „ქართული ლეგენდების“ კრებული. წიგნში ბევრი საყურადღებო სიუჟეტია შესული, რომელთაგან ზოგი განმეორებით დაიბეჭდა თბილისში 1963 წელს.

ლიტ.: Гульбат, Сборник грузинских легенд, М., 1899; Сказания и легенды, под. ред. М. Я. Чиковани, Тб., 1963.

მ. ჩიქოვანი

გული — ხალხურ პოეზიაში, განსაკუთრებით ლირიკაში (ნ.) გავრცელებული მხატვრული სახე. უმთავრესად დაკავშირებულია მძიმე განწყობილებასთან:

მტრისამც გულია ეგეთი, როგორც გული ჩემიო,
სიმწარით უნდა დავლივა ჩემნი სიცოცხლის დღენიო.

ხალხურ პოეზიაში მკვეთრად გამოიყოფა გულის ორგვარი გა-
აზრება. ერთი, როცა გული (გრძნობა) ძლევს ადამიანს და აუძ-
ლურებს, მეორე, როცა გულის განწყობილება თვით ადამიანის
შემართებაზეა დამოკიდებული.

ეს ჩემი გული ორია, — ერთში წვიმს, ერთში დარია,
ავტირღე — შაყერი ღრუბლებსა. გაგოცინებ და — დარია.

ჭ. ბარდაველიძე

გულთმისანი, გულმეცარი — წინასწარმეტყველი, მისანი,
მკითხავი, გრძნეული, წინასწარ მაუწყებელი. ამგვარი თვისება
ახსიათებს ხალხური პროზის პერსონაჟებს (ადამიანებს, ცხოვე-
ლებს, ფრინველებს).

ვ. მაკაბერიძე

გულედანი სები (იოსებ) (1890—1950) — ხალხური სიტყვიე-
რების შემკრები. ძირითადად იწერდა პოეტურ ნიმუშებს ზემო
სვანეთის ბალსზემოურ სოფლებში. ტექსტების ერთი ნაწილი გა-
მოქვეყნდა „სვანურ პოეზიაში“ (1939 წ.). დანარჩენი ჩანაწერე-
ბი დაცულია ქართ. ლიტ. ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში.

დ. წერედიანი

გულხაღარა — დაღესტნელი ლეკის ზედმეტი სახელი. აღნიშ-
ნავდა „გულმკერდ ღია კაცს“ — „გულღაღარას“, ე. ი. ისე ღა-
რიბს, რომელსაც იმის შესაძლებლობაც არ ჰქონდა, მკერდი დაე-
ფარა.

ლიტ.: მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორია, 1953, გვ. 18;
ნ. შამანაძე, ერთი ქართული ხალხური ბალადა, ქართული ფოლკლორი, 1—11,
1964, გვ. 175.

ნ. შამანაძე

გურამიშვილი დავით (1705—1792) — დიდი ქართველი პოე-
ტი, რომლის შემოქმედებაზე გავლენას ახდენდა ფოლკლორი.
ეროვნულ სიტყვიერებასთან კავშირი გ. არ გაუწყვეტია სიცოცხ-
ლის განმავლობაში, თუმცა თავისი ცხოვრების 63 წელიწადი
სამშობლოს გარეთ გაატარა. ურთიერთობის თვალსაზრისით უპირ-
ველესად საინტერესოა გ. სანაცვლონი და ხმაზე დაწერილი შე-
დევრები. სანაცვლონი შექმნილია ქართული ხალხური პოეზიის მი-
ხედვით. ასეთი „დავითიანში“ ექვსია: „ხარებობის დღის შესხ-
მა: „ახა წმინდა კოპალეს“ „სანაცვლოდ სამღერალი“, „სიტყვა

ესე ღვთისა, სიტყვისა — სიტყვად შეწყობილი... „ეეო, მეო, ქალო, ქალთა-მზეო“-ს სანაცლოდ სათქმელი“, „სიმღერა ფერჯისული, „აგერ მიღმა ახოს“ სანაცლოდ სათქმელი“. . კმაზე დაწერილი წაწარმოებები რუსულ-უკრაინულ-პოლონურ სიმღერებს ემყარება, სადაც გამოყენებულია მხოლოდ ამოსავალი მელოდია, „კმა“. არც ამათი ნიმუშებია მცირე. დღემდე 12 მაგალითია მიკვლეული და შესწავლილი. დავასახელებთ რამდენიმეს: „მეორე დავითის შესხმა“, რომელსაც საფუძვლად უდევს „რუსული კმა: Не дам покою, тождь с тобою“; სიმღერა „ისმინეთ ერნო“, შექმნილი „რუსული სიმღერის კმაზე: Что за причина, всегда кручина“; პოემა „მხიარული ზაფხული“, „რუსულად ამის კმის სიმღერას ეწოდების „Весела весна“ და სხვ. რუსეთსა და უკრაინაში ყოფნის დროს გ-მა ღრმად შეისწავლა სლავი ხალხების შემოქმედება და რამდენიმე ნიმუშის პირველი ფიქსაცია მოახდინა. ამდენად გ. მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია სლავიანური ფოლკლორისტიკის თვალსაზრისითაც.

ლიტ.: დ. გურამიშვილი, დავითანი, 1955; მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955; ქართული ლიტ. ისტორია, II, 1966.

მ. ჩიქოვანი

„გურია აბუნტებულა“ — ბალადის ენარის საისტორიო ლექსი. გ. ა. შექმნილია 1902 წ. გლეხთა მოძრაობაზე გურიაში. ლექსში ასახულია გლეხთა უკმაყოფილება ცარიზმის რეჟიმით, თავადაზნაურთა უსამართლობითა და სამღვდელოების უწყესობით.

ლიტ.: И. Мегрелидзе. Революция в Грузинском фольклоре, «Советский фольклор», I, 1934; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, III, 1967.

ქ. სიხარულიძე

გუსანი — ხალხური მომღერალი სომხეთში. გუსანები ცნობილია უძველესი დროიდანვე. ისინი როგორც აშულები (ნ.), ფრანგი ტრუბადურები (ნ.) და ქართველი მესტვირეები (ნ.) ერთსა და იმავე დროს მელექსეებიც იყვნენ და მომღერლებიც. წარმოშობით გუსანები დაბალ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ და მათი რეპერტუარიც უმთავრესად მშრომელთა ცხოვრებას ეხებოდა. გ. თემატიკურად შეზღუდული არ იყო. ასრულებდა სატრფიალო, საწესჩვეულებო, სუფრულ, სატირალ, საგმირო-ისტორიულ სიმღერებს. გ. ახლაც პოპულარობით სარგებლობს სომხეთში.

ჭ. ბარდაველიძე

გუჯეჯიანი ემზა ალექსანდრეს ძე (1847—1946) — სვანი მთქმელი. მულახის თემის სოფელ ჭოლოშის მკვიდრი, წერა-კითხვის უცოდინარი, ქართული ენის (იმერული დიალექტის) მკოდნე. გ. წლების განმავლობაში ბეჟარბი დაღეშქელიანის კარის მეზლაპრე იყო. გ. რეპერტუარის დიდი ნაწილი მამისაგან ჰქონდა შეთვისებული, მეზლაპრეობაში თავის მოწაფედ შეიღს ლევანს თვლიდა.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვოერება, 1949, გვ. 293—295; სახალხო მთქმელები, I, 1956, გვ. 13—27.

ქ. სიხარულიძე

გუჯეჯიანი მერი (1895—VIII—1969) — სვანური ზეპირსიტყვიერების შემკრები და მთარგმნელი. გ. მოპოვებული და ქართულად თარგმნილი ფოლკლორული ტექსტები, ა. შანიძისა და ვ. თოფურიას შეკრებილ და თარგმნილ მასალებთან ერთად, გამოქვეყნდა ცალკე წიგნად („სვანური პოეზია“, I, 1939).

ლიტ.: ქ. სიხარულიძე, ნარკვევები, I, 1958.

ქს. სიხარულიძე

დ

დაბალი მითოლოგია — ისტორიული მოვლენების მსგავსად, მითოლოგიაც ცვლილებებს განიცდის. წარმართული დროის მითოლოგიის განვითარებაში ახლა ორ უმთავრეს საფეხურს გამოვყოფთ: დაბალი და მაღალი ანუ დარგობრივი მითოლოგიის სტადიები. ტერმინი დ. მ. ახალი არაა, იგი დიდი ხანია იხმარება შედარებით მითოლოგიაში (ვ. შვარცი). უძველესი რწმენა სხვადასხვა მავნე სულების, ტყიურების, სახლის თუ ფუძის მფარველების შესახებ დაბალი მ. ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძველად ქართველები თავყვანს სცემდნენ კლდეებს, მდინარეებს, ხეებს, ადგილის დედას, მნათობებსა და სხვა მრავალ წვრილმან „ღვთაებებს“, რომელთა ფეტიშური გამოხატულებანი დიდხანს არსებობდა ყოფიერებაში.

ქრისტიანობამდელი მითოლოგია პოლითეიზმიდან მონოთეიზმისაკენ მიემართებოდა. ათასეული და ასეული ღვთაებებიდან თანდათან თავისუფლდებოდა პირველყოფილი პანთეონი და მასში ნელი ნაბიჯით, მაგრამ მტკიცედ მკვიდრდებოდა განსაზღვრული დარგების გამგებელთა პლეადა (ტაროსის, ომიანობის, ნაყოფიერების, მესაქონლეობის, ნადირობის და სხვ. ღვთაებანი). ქართული ხალხური შემოქმედება ორივე საფეხურის ასახვას გვაძ-

ლევს. ცხადია, უფრო მდიდრად, ქარობრივ-პოეტური თვალსაზრისით, მეორე საფეხური უკეთაა წარმოდგენილი. ხალხურ პოეზიასა და მუსიკაში დარგობრივ გამგებელთა სახეები პერსონიფიცირებულია, თავისი დროის მხატვრული აზროვნების შედეგობითაა ასახული (დალი, სამძივარი, ბაადური, პირიმზე, თერგაული, კობალა, იახსარი, აფსათი, გიორგი, კვირია, მორიგე). თუ დაბალი მითოლოგიის მატერიალურ გამოხატულებას ფეტიშური და მაგიური საგნები გვაძლევდა, მაღალი ანუ დარგობრივი მითოლოგია კერპების სახით იყო წარმოდგენილი ქართლის მოქცევის წინ (გაცი, გაიმი, არმაზი, ზადენი). დ. მ. მხატვრულ ასახვას უხვად გვაწვდის შელოცეები, ლოკალური მითები და ლეგენდები, წყევლანი და მაგიური ფორმულები.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტ., I, 1950; В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования, 1957; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხება, 1971; მ.-სივე, ქართული ზღაპრები, I, შესავალი, 1938; მ.-სივე, ქართული ფოლკლორი, 1946; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959,

მ. ჩიქოვანი

დაბალი შაირი (იგივე გრძელი შაირი) — შაირის (ნ.) ერთ-ერთი სახეობა, ქორე-დაქტილურ ტერფებზე დამყარებული 8 ან 16-მარცვლიანი სალექსო საზომი. მაღალი შაირისაგან (ნ.) ძირითადად დაქტილური კლაუზულით განსხვავდება. წარმოშობით ფოლკლორულია. გავრცელებულია როგორც ხალხურ პოეზიაში, ასევე ლიტერატურაში. დაბალი შაირის ნიმუში, მისთვის დამახასიათებელი მეტრული სტრუქტურით მწიგნობრულად დამოწმებულია მე-11 საუკუნეში ლეონტი მროველის და ეფრემ მცირის თხზულებებში. დაბალი შაირი რომ გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა ხალხურ პოეზიაში, ამას ადასტურებს მისი ფართე გავრცელება უძველეს საწესჩვეულებო, საგმირო და შრომის ლექს-სიმღერებში. ეს საზომი გამოყენებულია აგრეთვე „ამირანიანის“ (ნ.) უძველეს ფრაგმენტებში. დაბალი შაირი ყველაზე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ პოეზიაში. რვა მარცვლიანი დაბალი შაირის ნიმუში:

აბესალომ და ეთერი
ღმერთმა შეყარა ერთფერი.

16-მარცვლიანი დაბალი შაირის ნიმუშია:

ავთანდილ გაღინადირა ქედი მაღალი ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.

ლიტ.: გაწერელია ა., ქართული კლასიკური ლექსი, 1953; ჯ. ბარდაველიძე ქართული ხალხური ლექსის საზომები, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964.

დაბარება ლექსისა — ხალხური მგოსნის მიერ ლექსის ზეპირ-ბრუნვაში გაშვება ვინმეს მისამართით. „ლექს-სიმღერების უწიგნოდ გავრცელება შორს მანძილზე დაბარებას გულისხმობს“ (ა. შანიძე). დ. ავტორსა და ადრესატს გარდა, ზეპირად გადამცემსაც ვარაუდობს.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 06.

დ. გოგოჭური

დავით აღმაშენებელი (1073—1125) — ბაგრატ IV შვილის გიორგის ძე, გამეფდა 1089 წ. 16 წლის ასაკში. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ინიციატორი და ორგანიზატორი. მოწინავე მოაზროვნე, ეროვნული გმირი. დ. ა. 1103 წ. მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მიზნით შექმნა მუდმივი ლაშქარი და განდევნა დამპყრობლები. 1122 წლიდან თბილისი სატახტო ქალაქად აქცია. შექმნა სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულება — გელათის აკადემია. ქართულ პოეტურ ფოლკლორში წარმოსახულია როგორც დიდი ეროვნული გმირი. დ. ა. შექმნილია ხალხური ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები. მათში ასახულია ბრძოლა ცენტრალიზებული სახელმწიფოსთვის, ანისის აღება, კულტურის კერების შექმნა, მონასტრებისა და ციხე-კოშკების აშენება. განსაკუთრებით მდიდარია და დღემდეა გავრცელებული ზეპირად გელათის ციკლის ნაწარმოებები. ზოგჯერ დ. ა. ზებუნებრივ არსებად არის დასახული სახალხო მთქმელების მიერ.

ლიტ.: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ვ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატანი, საქართველოს ისტორია, I, 1958; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, ქს. სიხარულიძის რედ., 1961.

ქ. სიხარულიძე

„დავითიანი“ — დავით გურამიშვილის (ნ.) თხზულებათა სრული კრებული. პოეტი თვითონვე მიუთითებს ფოლკლორულ წყაროებზე, რომელთა მხატვრული გადამუშავება უცდია. ამ მითითებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბევრი ხალხური ლექსის ადრე არსებობა დოკუმენტურად სწორედ დ-ნით მტკიცდება (ქართული, რუსული, უკრაინული სიმღერები). დ. გურამიშვილი ფოლკლორის შემკრებადაც გვევლინება. ჩვენში მას ეკუთვნის „კამეჩის ამბის“ პირველი ფიქსაცია. პოემა „მხიარულ ზაფხულ-

ში“ ავტორს რამდენიმე ბიბლიური ლეგენდა შეუტანია გალექსილი სახით, მათ შორის „რატომ იძახის კამეჩი ნოეს“. შემდეგში, როცა წყაროები გაუსინჯავს, ბიბლიაში მსგავსი რამ ვერ უპოვნია. ამის გამო 529-ე სტროფისათვის საგანგებო შენიშვნა დაურთავს: „ეს კამეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერცადა ვნახე და ისევ მოვშალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს, ამისათვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი“. მწიგნობრულად ნაგულისხმევი ლეგენდა ფოლკლორული აღმოჩენილა და ბიბლიური მასალის სიწმინდის დაცვის მიზნით თხზულებათა კრებულიდან პოეტს ამოულია, გადაუხაზავს. დ. პირველი ძველი ლიტერატურული ხაწარმოებია, რომელშიც მდიდარი ავტორისეული ცნობები ჯოგვეპოვება ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის თემაზე.

ლიტ.: დ. გურამიშვილი, დავითიანი, აღ. ბარამიძის რედ., 1948; მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955.

მ. ჩიქოვანი

დათვი — ზღაპრის, ძირითადად ცხოველთა ეპოსის, პერსონაჟი. კეთილი და უწყინარი ცხოველი. მელიის (ნ.) საპირისპიროდ დ. უგუნურია და ამიტომ ყოველთვის მოტყუებული, დამარცხებული რჩება. დ. არაკისებურ ზღაპრებში მეტად გულუბრყვილო ცხოველად გამოიყურება. დ.-ის სახე ჯადოსნური ზღაპრებისთვისაცაა ნიშანდობლივი. აქ იგი ადამიანთა მეგობარია, ზოგჯერ დათვი მზეთუნახავსაც იტაცებს და მასთან შვილები უჩნდება. დ.-ის შვილები უძლეველნი არიან. ეს მოტივი დაკავშირებულია დ.-ის ტოტემის შორეულ გამოძახილთან. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დათვის ხორცზე დადებულია ტაბუ, — დათვის ხორცს არ ჰამენ, განსაკუთრებით ბეჭის ხორცს ერიდებიან იმ მოტივით, რომ ადამიანის მხრებს ჰგავსო.

დ.-ის სახე ხალხურ პოეზიაშიც გვხვდება. იგი ხშირად იჩენს თავს საწესჩვეულებო ლექსებში. დ. ხალხური თეატრალური სანახაობების პოპულარული პერსონაჟია.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948.

ფ. ზანდუკელი

დათვით მემღერი — 1. კაცი, რომელსაც კარდაკარ დაჰყავდა დათვი და ხალხის გასართობად ათამაშებდა. 2. დრამატული

შსახიობი, რომელიც სანახაობებში ამ ცხოველის ნიღბით დათვის მოქმედებას განასახიერებდა.

ლიტ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938; დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ფ. ზანდუკელი

დათო — საფერხულო სანახაობა, დათვად შენიღბული ბერიკა ქალთა ფერხულში ჩადგებოდა და დათვის იმ მოქმედებას განასახიერებდა, რაც სიმღერაში იხსენიებოდა. ამ საფერხულო პანტომიმურ სანახაობაში შემორჩენილია მისნური ცეკვის ნაშთი. თამაშმა დროთა ვითარებაში თავდაპირველი ქადოქრული მნიშვნელობა დაკარგა.

ლიტ. : დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948.

ფ. ზანდუკელი

დათუნაობა — ძველი ხალხური გართობა-თამაშობა. ხევსურეთში ახალ-უხლობას (ნ.) თუ სხვა სალადობო-საზეიმო თავშეყრისას ვაჟი გამოეწყობოდა ნადირის ტყავში ან გადმობრუნებულ ტყაბუქში. „დათუნა“ ცდილობდა ისე შენიღბულიყო, რომ ვერავის ეცნო. ტაშფანდურზე აცეკვებდნენ და გამალიზიანებელ სიმღერას უმღეროდნენ. დათუნა ბაჯ-ბაჯებდა, საოხუნჯო სიმღერებს ბურღდუნებდა, ქალებს აცეკვებდა და საკოცნელად იწევდა. თამაშის დასასრულს წუწავდნენ და ზედ ნაცარს აყრიდნენ.

დ. გოგოჭური.

დაინა — ლიტევური ხალხური სიმღერის ტრადიციული სახელწოდება. ტერმინის შინაარსი დადგენილი არაა, ვარაუდობენ, რომ წარმოდგა შეძახილისაგან „დაინა“, რომელიც ზშირად მეორდება ზოგ სიმღერაში. უძველესი დაინის ტექსტებმა შემოინახა პირველყოფილი თემური წყობილების ანარეკლი. ყველაზე ადრინდელი ცნობები დაინის შესახებ მოიპოვება მე-10 საუკუნის ისტორიულ წყაროებში. დაინას ახასიათებს ქანრობრივ-თემეტიკური მრავალფეროვნება. მასში ასახულია ლიტველი ხალხის მდიდარი წარსული, წესჩვეულებანი, ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის. დაინები არსებობს შრომის, მითოლოგიური, საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო, საისტორიო, საგმირო, რევოლუციური, სატრფიალო, საბავშვო, იუმორისტული, სუფრული და სხვ. დაინები პირველად დაიბეჭდა 1745 წელს. მას შემდეგ ჩაწერილი და

გამოქვეყნებულია მრავალი ათასი დაინის ტექსტი და მელოდია. დაინები დღესაც პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა ლიტვაში.

ლიტ.: Lietuiv tautosaka, t. 1—2, Vilnius, 1962—1964; Lietuiv tautosakos apybraiva, Vilnius, 1963.

გ. ბარდაველიძე

დალაჟ — თუშური სამგლოვიარო ლექსი. „დალაჟ, დალაჟ“ რეფრენის სახით მეორდება ყოველი სტრიქონის შემდეგ და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ცნობილია დალაჟ-დალაჟს ვარიანტები, წარმოითქმის როგორც გარდაცვლილი მამაკაცის, ისე ქალის წლის რიგის დროს. შესრულებისას ტექსტში იცვლება მიცვალებულის გვარი და სახელი, სხვა ნაწილში ლექსი თითქმის უცვლელია. გვხვდება დ. რევოლუციამდელი და უახლესი ჩანაწერები. წარმოშობით ძველ მითოლოგიასთან აქვს კავშირი.

ა. სპარსიაშვილი

დალაობა — სამგლოვიარო რიტუალი თუშეთში. იმართება გარდაცვლილის წლის რიგზე. ცხენებზე ამხედრებული ხუთი ან შვიდი (კენტი) მამაკაცი გარდაცვლილის მოსახსენებელი სუფრის წინ განლაგდება. სუფრა გაშლილია ფლასზე (ფარდაგი ან შალის ქსოვილი). ფლასზე დაფენილია მიცვალებულის ტანსაცმელი, ლოგინი, ის, რაც საჩუქრად უნდა გაიცეს დალაობის შემდეგ დღეში გამარჯვებულებზე. დ. ეწყობა სამჯერ ერთი დღის განმავლობაში.

პირველად დადალავებენ დილით გარდაცვალებულის სახლში. შემდეგ მხედრები მოსახსენებლის დედის ძმებთან მიდიან. იქ ეწყობა მეორე დადალავება. მესამედ — კვლავ საკუთარ სახლში, ბოლოს კი იმართება ჯირითი-დოღი. მოდალავეთა გუნდში ერთი მომთქმელი კორიფეს როლს ასრულებს. დალაჟს (ტექსტი) გარკვეული მონაკვეთის წარმოთქმის შემდეგ გუნდი შესაფერისი მუსიკალური მოტივით ორჯერ იმეორებს სიტყვას „დალაჟ“. დალაობას ყველა ოჯახი ვერ მართავს; ახერხებს ის, ვინც ეკონომიურად ძლიერია.

ლიტ.: შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, I, 1956; ს. შაკალათია. თუშეთი, 1933.

ა. სპარსიაშვილი

დალი — დარგობრივი მითოლოგიური პანთეონის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნადირთ მწყემსი, მონადირეობის ქალღმერთი. გარეგნობით დ. მეტად მომხიბლავია, აქვს ოქროს ნაწნავე-

ბი და ცხოვრობს მიუვალ კლდეებში, იქვე მშობიარობს. მატრარქატის ეპოქაში შექმნილი ქალ-ღმერთის კულტი პოეზიასა და მითოლოგიაში ფართოდ აისახა. ქართულ ფოლკლორში, განსაკუთრებით სვანურ სიტყვიერებაში, ბევრი პოეტური მასალაა შემონახული დ. ფუნქციებისა და ბუნების განსაზღვრისათვის. დ. პერსონიფიციკრებულია მითებსა და ბალადებში, ზღაპრებსა და თქმულებებში, საწესჩვეულებო პოეზიაში, ეპოსში. სვანეთში რიტუალური ბალადების დიდი ჯგუფი არსებობს, რომლის გმირებს დალი და მასთან ურთიერთობაში მყოფი სახელოვანი მონადირეები წარმოადგენენ. დალი მაქციაა, შეუძლია ცხოველის ან ფრინველის სახით ეჩვენოს ადამიანს. კლდის დედოფალი მონადირეებთან ინტიმურ კავშირს ამყარებს; ზოგჯერ სიყვარულს ძალით ახვევს თავს ალპიურ ზონაში გამოჩენილ ქაბუქებს. დალმა შურისძიება იცის; ვინც პირობას არ უსრულებს, ის იღუპება, ამიტომაც სვან მონადირეებს დალების დიდი შიში აქვთ. დ. განსაკუთრებით მდიდრადაა ასახული საწესჩვეულებო პოეზიაში, ეპოსსა და უძველეს ხელოვნებაში (თრიალეთური ვერცხლის თასი). იგია მშობელი უკვდავი ამირანისა. დედის გარეგნული ნიშნებიც კი გადაეცა ღმერთებთან მებრძოლ ტიტანს (ოქროს კბილი).

დალის კულტი და მისი ამსახველი სიტყვიერება მონადირეთა შორის ჩამოყალიბდა ოთხიათასი წლის წინათ. დროთა განმავლობაში ამ ღვთაებამ მკვეთრი ცვლილებები განიცადა: კეთილი არსებიდან ბოროტ ალამდე დავიდა. ეს ევოლუცია მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლასა და კაცღვთაებათა ინსტიტუტის შექმნასთან არის დაკავშირებული.

ლიტ.: სვანური პოეზია, I, 1939; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III—IV, 1964; ხალხური სიბრძნე, III, 1964; ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ლენოგრაფიული წერილები, I—II, 1962—64; ი. ჯავახიშვილი, I, 1950; შ. ნუცუბიძე, ქართ. ფილოსოფიის ისტორია, I, 1956; შ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; ელ. ვიკისლაძე, ქ. სამონადირო ეპოსი, 1964; ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, 1972. Ancient Colchic and Iberian mythological characters in Georgian poetic Folklore by M. Chikovani, Chicago, 1973.

ბ. ჩიქოვანი

„დალი კლდეში მშობიარობს“ — უძველესი სვანური საკულტო-საფერხულო სიმღერა, რომელსაც ვრცელი ბალადური ტექსტი ახლავს (დალილ კოჯას ხელღვაქალე). ნადირობის ღვთაება დალი მის საყვარელ თეთრ კლდეში მშობიარობს: მგელმა ჩვილი მოიტაცა, მხეცი მონადირემ მოკლა და ბავშვი მშობელს დაუბ-

რუნა. ქალღმერთმა სამაგიეროდ ნადირობის ბედი, ოქროს რქი-
ანი სექტემბრის ჯიხვი მისცა და მთელი გვარის კეთილმფარველო-
ბა იტვირთა. ზოგ ვარიანტში მონადირე მეფისა ოქროსრქიანი
ჯიხვის შუბლიდან ანასხლეტი ტყვიით იღუპება. ლექსი და სიმ-
ღერა შექმნილია წარმართობის პერიოდში, როცა ნადირთა
მწყემსსა და მონადირეს შორის ინტიმური კავშირიც შეიძლება არ-
სებულიყო მითოლოგიური წარმოდგენით.

ლიტ.: სვანური პოეზია, I, 1939; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959;
ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, 1964; ხალხური სიბრძნე, III, 1964;
ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

დალოცვა — პოეტური სადღეგრძელო, ჩამოყალიბებული რიტ-
მული წყობით, უმთავრესად გართმული ლექსით. ყველაზე
გავრცელებულია საქორწილო დალოცვები, განსაკუთრებით ნეფე-
დედოფლის მისამართით:

ღმერთო ღღეგრძელობა მიე
აქა ბრძანებელსა,
ნეფესა და დედოფალსა
სახე მშვენიერსა...

ძველად პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე მესტიერული
დალოცვები, რომელთა ადრესატი განუსაზღვრელი იყო:

უფალმა ღმერთმა შენ მოგცეს ოჯახი საძირკვლიანი, ხარ-კამეჩი გუთნებითა,
ურმები სავსე, ძნიანი. იმყოფებოდე ხალხმრავლად, დედ-მამა-რძლიან-ძმინი, ლა-
შაზი შემოგეყვანოს — მშვენიერი და ჰკვიანი.

ქ. ბარდაველიძე

დამამღერებელი — პიროვნება, რომელიც რაიმე მუსიკალუ-
რი ინსტრუმენტის აკომპანიმენტზე ასრულებს ხალხურ ნაწარმო-
ებს. ამ ტერმინით, ჩვეულებრივ, მთქმელსაც აღნიშნავენ.

გ. ბარნოვი

დამკვრელი — ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ტერმინი
მთქმელ-მომღერლის აღსანიშნავად. მუსიკალურ ინსტრუმენტებზე
დამკვრელები ხშირად მიმართავენ ტრადიციულ ფოლკლორულ
მარაგს.

გ. ბარნოვი

დამწერი — ჩამწერი, შემკრები ხალხური სიტყვიერების ნი-
მუშებისა. ფოლკლორის შემკრებთათვის გამოცემულ პირველ

(1882) ქართულ პროგრამაში ნათქვამია: „დამწერმა თავის თავს ნება არ უნდა მისცეს მცირეოდენის ცვლილებების მოხდენისა-ცა. ადგილობრივი გამოთქმა, სიტყვები, სიტყვების დალაგება ფრაზებში, ფრაზების ერთმანეთთან დამოკიდებულება — ყველა-ფერი სასტიკად უნდა დაიცვას დამწერმა; ის ადგილიც არ უნდა შესცვალოს, რომელიც უაზროდ ეჩვენება“. ჩამწერმა ტექსტს უნ-და დაურთოს პასპორტი, ე. ი. ზუსტად აღნიშნოს მთქმელის ვი-ვაობა, ჩაწერის დრო და ადგილი.

ლ ი ტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.
გ. ბარნოვი

დამწყალობნება — ტრადიციული სიტყვიერი ტექსტი, რომ-ლითაც მლოცველები ხატობაში ერთიმეორეს მიმართავენ. თი-თოეულ ხატსა თუ ანგელოზს საკუთარი სახელი ჰქვია და ამდენ-ნად დ-ის ტექსტებიც ერთმანეთისაგან ნაწილობრივ განსხვავდებ-იან.

ლ ი ტ.: ს. შაკალათია. ხევსურეთი, 1935, გვ. 237.

დ. ვაგოქური

დარეჯანიანთა ეპოსი ოსეთში — დარეჯანები ანუ, ოსური გა-მთქმით, დარეძანტი, სახელოვანი გმირები არიან და მეორე ად-გილს იჭერენ ოსურ ეროვნულ ფოლკლორში ნართების შემდეგ. პირველი თაობის დარეჯანიანები ამირანი და მისი ძმებია, შემდეგ როსტომი, ბეჟანი, ტარიელი და ბოლათგურდი. „ნართ“, „ნარ-ტონ“, „დარეძანტი“ ეპიტეტის მნიშვნელობითაც იხმარება, და მამაცური საქმის ჩამდენთა მიმართ ითქმის. დროთა განმავლო-ბაში რწმენა შემუშავდა, თითქოს „დარეჯანიანები ისეთი ხალხი იყო, რომ ღმერთისათვის რაც უნდა ეთხოვათ, ის ყველაფერს შე-უსრულებდათ“ („ამირანი, ბადრი და მისირბი“). დარეჯანიანთა ეპოსის გმირები მაღალი მორალური თვისებებით ხასიათდებიან: „დარეჯანებს რა სიტყვასაც ეტყოდით — სჯეროდათ, თითონაც რა სიტყვასაც მოგცემდნენ — პატიოსნად ასრულებდნენ“ („რო-სათის ამბავი“).

დარეჯანიანთა ეპოსი ოსეთში რთული სიუჟეტური შედგენი-ლობისაა. მასში ხუთი ძირითადი ციკლი გამოიყოფა: 1. მიჯაჭვე-ული ამირანის ციკლი, რომელიც წარმოდგენილია ნაწარმოებე-ბით: „ამირან დარეჯანიანის დაბადება“, „ამირანი, ბადრი და მი-სირბი“, „დარეჯანიანთ ამირანი და მზეთუნახავი თამარი“ და სხვ. 2. ვეფხისტყაოსნის ციკლი: „როსათის ამბავი“, „ტარიე-

ლი“. 3. როსტომის ციკლი: „როსტომი და ბეჟანი“, „ამწავთ იმაზე, თუ დარეჯანიანმა როსტომმა როგორ მოკლა თავისი შვილი“... 4. ყარამანის ციკლი: „დარეჯანიანი ყარამანის დაკარგვა“, „თარანელები და თურანელები“, 5. მადლიერი მკვდრის ციკლი: „დარეჯანიანთ ბოლათგურდი“. ხუთივე ჯგუფი ქართულ ფოლკლორში იღებს სათავეს და ზეპირი კონტაქტის მეოხებით გავრცელდა ოსურ ენაზე. დარჯანიანთა ეპოსის გავრცელების ეს გზა ლიტერატურული წყაროებით ადვილად მტკიცდება (ამირანდარეჯანიანი, ვეფხისტყაოსანი, როსტომიანი, ყარამანიანი). სიუჟეტებმა, ამირანის თქმულებამ კერძოდ, ოს ხალხში ცვლილებები განიცადა და ადგილობრივი კოლორიტი შეიძინა.

ლიტ.: მ. ჩიქვანი, ამირანის სიუჟეტი კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ლიტ. ძიებ., XI, 1958; მისივე, ქართ. ეპოსი, II, 1956; Амран, 1932; В. Абаев, Нартский эпос, 1945; М. Чиковани, Нар. груз. эпос о прикованном Амрани, М., 1966; Нартские сюжеты в Грузии: Сб. Сказания о нартах М., 1969.

მ. ჩიქვანი

დარჩია სისონა (სიმონ) (1860—1891) — გურული ფირალი. ესე გურიელის ყოფილი ყმა. 80—90 წლ. რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. დ. ს. თავის ძმასთან ვასილ დარჩიასთან ერთად აქტიურად იბრძოდა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. გადმოცემათა მიხედვით ძმები დარჩიები უნდა გაფირალეულიყვნენ 1886—7 წწ. მათ უთანხმოება ჰქონდათ გურიელებთან. დ. ს.-ს დევნიდა პოლიცია. რამდენჯერმე გაიქცა სატუსალოდან (1888 და 1889 წწ). 1889 წ. თავდასხმისას მოკლეს დ. ს. ძმა ვასილი. გადმოცემათა მიხედვით, დასაფლავების დღეს სისონამ ძმა დაიტირა. პრესის ცნობებითა და თანამედროვეთა მოგონებებით დ. ს. პატარა ტანის, უშიშარი, მოხერხებული და ღონიერი კაცი ყოფილა. ტყვია ვერას ვნებდაო. თავადებსა და პოლიციელებში გავრცელებული ყოფილა წყევლა; „სისონა შეგხვდეს გზაში“. ოფიციალური ცნობებით დ. ს. ჯურყვეთში 1891 წლის 25 თებერვალს მოკლა ლანჩხუთის პოლიციის ბოქაულმა ჯაფარიძემ. ხალხური გადმოცემებით კი დ. ს. ავადმყოფობით გარდაიცვალა, ბოქაულმა და მამასახლისმა მიცვალებულს ხანჯალი დაკრეს, კრილობაში ქათმის სისხლი ჩაასხეს და ფირალი მათ მოკლულად გაასაღეს. გურიაში შექმნილი და დღემდე გავრცელებულია დ. ს. ლექსების ციკლი. გვხვდება თქმულებები და გადმოცემები: საჩონგურო ლექსებში გამოხატულია მშრომელთა სიყვარუ-

ლი უშიშარი გმირისადმი. დ. ს. თემაზე შექმნილი ლექსები ფართოდ ასახავს სოციალური ბოროტების წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლას.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934; ალ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, 1937; ან. ხინთიბიძე, გურული ფირალები, 1938; ქს. სიხარულიძე, კლასთა ბრძოლის ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში, „ნარკვევები“, 1, 1958; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, III, 1967.

ქ. სიხარულიძე

დასაბმელი||საბმურა — გამოცანა, გავრცელებულია ზემო აჭარაში. ტერმინ „გამოცანას“ იქ ნაკლებ იცნობენ. გვხვდება ზმნური ფორმაც — დაბმა, აბამს. დაბმა, როგორც გასართობი და მხარეთა გამოსაცდელი თამაშობა აქ ქორწილის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს.

ლიტ.: ჯ. ნოლაიძე, აჭარული გამოცანები, 1962; გვ. 7; ა. მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, 1969, გვ. 76.

ნ. ცქიტიშვილი

დასტანი — 1. პოეზიის პოპულარული ფორმა. გავრცელებულია ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. გვხვდება როგორც ფოლკლორში, ისე — ლიტერატურაში. დ. შედგება ერთი, ორი და, ზოგჯერ, ათეული ოთხსტრიქონიანი სტროფებისაგან. ფორმით ჩვენს შაირებს (ნ.) ჰგავს, მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ყოველი დასტანის მეოთხე სტრიქონი უსათუოდ ერთი და იგივე სიტყვით ბოლოვდება.

დასტანები სამხრეთ საქართველოს იმ რაიონებში გვხვდება, რომლის მოსახლეობა ისტორიულად მჭიდრო კონტაქტში იყო ირანული მოდგმის ხალხთან.

ლიტ.: БСЭ, Второе изд., т. 13.

ჯ. ბარდაველიძე

2. დესტანი — აჭარულ დიალექტში თურქული ენიდან შემოსული ჟანრობრივი ტერმინი. 1) აღმოსავლური, ლექსნარევი საგმირო და რომანტიკული ეპოსი, რომელიც მესხეთ-იმერხევის მხრიდანაა გავრცელებული აჭარაში („ქოროლი“, „აშილ-ყერიბი“, „ქერეში და ასლი“). 2) ვრცელი, ლირო-ეპიკური, სათავგადასავლო ნაწარმოებები. ამბობენ: „ილიას ფურტიოელის ლექსი“ ან „ილიას ფურტიოელის დესტანი“, „ოდელიოდლის ლექსი“ ან „ოდელიოდლის დესტანი“.

ნ. ცქიტივილი

დასტურლამალი — ვახტანგ VI თხზულება, XVIII საუკ. დასაწყისის თვალსაჩინო ძეგლი, რომელშიც სამეფო კარის მოხელეთა და მოსამსახურეთა ფუნქციებია ჩამოყალიბებული. დ-ში მოხსენებულია ნადარახანის მუსიკოსები, 'დამკვრელ-მომღერალი საზანდრები. ზოგი მათგანი აშუღობას მისდევდა. ძეგლის მიხედვით ირკვევა, რომ მესაზანდრენი ქალაქის გარდა აღმ.საქართველოს სოფლებშიც იყვნენ (მაჩუთი, სახუნდრი, ალი, ბოვნა). დამკვრელ-მომღერლებს თავიანთი თაბუნები ანუ გუნდები ჰქონდათ საზანდარბაშის მეთაურობით. თაბუნში მოქალაქეთა გარდასოფლებიც ერთიანდებოდნენ და საერთო რეპერტუარის დამუშავებაში თანამშრომლობდნენ, ქალაქისა და სოფლის სიტყვიერების სინთეზს ჰქმნიდნენ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები (საქ. სამეფო კარის მკვლევები), ზუშკინის სახ. პედაგოგიკის შრ., VI, 1949; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1959; ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1966, ქართული საზარტლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა, 1970.

მ. ჩიქოვანი

დატირება — გლოვის წესი. დ-თან დაკავშირებულია: მოთქმა, ხმით ტირილი, ძახილით ტირილი, მოხსენება. მოთქმა გარდაცვლილის თვისებების ჩამოთვლაა. ხმით ტირილი და ძახილით ტირილი ხმამაღლა გოდებით ტირილს აღნიშნავს. მოხსენება დ-ის ტექსტში მიცვალბულის დადებით თვისებათა ჩამოთვლას ნიშნავს. დ. შეიძლება იყოს ჭგუფური და ინდივიდუალური. ინდივიდუალურია თუ დამტირებელს, მომთქმელს გუნდი არ აყვება. გუნდურია დ. თუ მას ახლავს ზარი, გვრინი, ბანი თუ ზრუნი. ამ დროს მომთქმელს გუნდი გაბმით ბანს, ე. ი. საბას სიტყვით, „საგლოელ ხმას“ აყოლებს. დ. შემსრულებელს ძველ წერილობით ძეგლებში „გლოვის მგოსანი“ ეწოდება (ნ.). შინაარსით მრავალგვარია. იგი ძირითადად ჭირისუფალთა და მახლობელთა ღრმა მწუხარების გამომხატველია. ვაჟკაცის დ. საგმირო ხასიათისაა. ქალის დ-ში ხაზგასმულია გამრჩეობა და პატიოსნება. დ. შინაარსი განსაზღვრავს პოეზიის ამ ენარის დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას, რაზედაც ა. წერეთელი ამახვილებდა ყურადღებას. (ღროება, 1875, № 85). ალ. ყაზბეგის „ელგუჯაში“ აღწერილი

დ. ახლაც დასტურდება ხევში (ქართ. ხალხ. სიტყვ. ქრესტომათია, I, გვ. 80).

დ.-სთან გენეტიკურ კავშირშია პოეტური ფოლკლორის ყან-რები (საგმირო, სატრფიალო ლექსები, ქებანი და სხვ.). დ. ტექსტები ხშირ შემთხვევაში პატრიოტული ხასიათისაა. დ. გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე. კ. კეკელიძის მოსაზრებით ლიტერატურულ „გოდების“ ყანრს წინ უსწრებდა და თან ახლდა ხალხური „მოთქმა“ (ეტიუდები, I, 1956), დ. გავლენა იგრძნობა თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც (გ. ლეონიძის „არ დაიდარლო დედაო“). დ. ასრულებდნენ ქალებიც და მამაკაცებიც. იყვნენ პროფესიული შემსრულებლები. დ. თავისი პოეტიკა აქვს. დ. იმპროვიზაციულია, თუმცა მასში ხშირად გამოყენებულია ტრადიციული ლექსები ან ფრაგმენტები. დ. მიუხედავად სეველიანი შინაარსისა, დიდი შთაბეჭებითელი ძალა აქვს. გლოვის ეს წესი კვლავ განაგრძობს არსებობას და ვითარდება ფოლკლორსა და ლიტერატურაში.

ლიტ.: აკაკი, მოთქმით ტირალი, „დროება“, 1875, № 85; ნიხ. ჩიქოვანი, რთული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ქს. სიხარულიძე, სამკვლევარო ლექსები, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, I, 1960.

ქს. სიხარულიძე.

დაქტილი — ანტიკური ლექსთწყობის სამმარცვლიანი ტერფი. პირველი მარცვალი გრძელია, ორი დანარჩენი — მოკლე. ქართულ (სილაბურ-ტონურ) ლექსთწყობაში დაქტილს უწოდებენ სამმარცვლიან ტერფს, რომელიც აერთიანებს ერთ მახვილიან და ორ უმახვილო მარცვალს. სქემა ასე გამოისახება — $\cup \cup \cup$ ქართულ ხალხურ ლექსში (ნ.) გვხვდება სხვადასხვანაირი ტერფები, მაგრამ ძირითადია ქორე (ნ.) ან დაქტილი. დაქტილები განსაკუთრებით ქარბად მოიპოვება ათმარცვლიან და 8—16-მარცვლიანი დაბალი შაირის (ნ) ლექსებში:

შაეღუგ ჩ ა მ ო ხ და შავსა გ რ ი ლ ო ს ა,
ომი მო გ ვ ი ხ და, ომი, რ ა ო მი.

ა ე თ ა ნ დ ი ლ ვ ა დ ი ნ ა დ ი რ ა ქ ე დ ი მ ა ლ ი ტ ყ ი ა ნ ი,
ვ ე რ ც ხ ა რ ი მოკლა, ვ ე რ ც ფ ო რ ი, ვ ე რ ც ა ი რ ე მ ი რ ქ ი ა ნ ი.

ღ • ტ.: ს. გორგაძე, ქართული ლექსი, 1930; ა. ვაწარელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1952. პ. ბერაძე, ძველი ბერძნული და ქართული ლექსწყობის საკითხები, 1969.

ჯ. ბარდაველიძე

დაღირება — დაფასება, აღთქმა. გარდაცვლილის სახელზე რაიმე სამახსოვროს შესრულება. მთაში ჩვეულებადაა მიცვალებულის სახელზე რომელიმე წყაროს მოპირკეთება. წყაროსთან ჩვეულებრივ სასმისი (ყანწი) დევს, გამვლელმა წყლის შესმასთან ერთად შენდობა უნდა უთხრას უცნობ მკვდარს. ზოგჯერ წყაროს წარწერაც უკეთდება.

„გზის ძირსაც დაგვაღირებენ,
გზის თავსაც დაგვმარხინა,
წყარონი გადმოსკდება,
შიგ ჯერცხლის თასნიც დგანო,
ამღინარ-ჩამომღინარნი
სწიან და გვლოცაედინა.“

(ეთერიანი)

ე. კირსალაძე

დამშობილება — მეგობრობა-ამხანაგობის ფორმა, ზალხური ეპოსის გავრცელებული მოტივი. დ. გულისხმობს ორი ან რამდენიმე პერსონაჟის დაკავშირებას საგმირო-რომანტიკული საქმისთვის, ვინმეს გასაჭირიდან დახსნის ან რალაცის ძიების მიზნით. ზღაპრებში ნიშანდობლივია დ. მარტოხელა გმირისა სხვადასხვა თვისებების მქონე ბუმბერაზებთან (ბელტიყლაპია, გორიგლეჯია). დ. დამორჩილების ნიადაგზეც შეიძლება („ზღაპარი უხეიროსი“). დამშობილების სახით ეპოსში ასახულია ქართული წესჩვეულების — ძმადგაფიცვის (ნ.) ტრადიციები.

ლიტ.: ს. შაკალათია, ზევი, 1934; მიხ. ჩაქოვანი, საგმირო რომანტიკული მოტივები ქართულ ეპოსში, ლიტ. ძიებანი, ტ. I, 1943; ალ. ლლონტი, ქართულ-ზალხური ნოველა, 1963.

ფ. ზანდუყელი

დახელოვნება — ხატის მოხელედ დანიშვნა დროებით ან მუდმივად. დახელოვნებული პირი (მამაკაცი) ემსახურება ხატს საკულტო წესჩვეულებათა აღსრულების დროს.

დ. გოგოჭური

დე ბაი (1853—1931) — ფრანგი მეცნიერი, საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ევროპას გაააცნო ქრთველი ხალხი და მისი კულტურა. ფრანგულ ენაზე თარგმნა ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“, გამოაქვეყნა სათაურით „მშვენიერება“ (1900).

ლიტ.: ჩიქოვანი მ., მე-17 საუკ. ჩაწერილი ქართული ზღაპრები. კრ. „მრავალთავი“. 1964, გვ. 148—150; ყანჩულიძე, დ., ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, 1969, გვ. 303—308.

დედა — ქალი თავისი შვილების მიმართ, — მშობელი. ქართული პოეტური ფოლკლორი ამადლებული რომანტიკული ფერებით ხატავს დედის სახეს. დედა სიცოცხლის დამამკვიდრებელი მზის სახითაა წარმოდგენილი მითოლოგიურ და საწესჩვეულებო ლექსებში („მზე დედაა ჩემი“... „იავნანა“). დედის კეთილი და ჰუმანური გული ნათლად ჩანს ბალადაში „ვეფხვი და მოყმე“. ხალხურ დრამაში კი გაკიცხულია დედის ამაგის დამეიწყებელი შვილები.

ნ. შამანაძე

დედაბერი — ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი. დ.-ის ორი ტიპია ცნობილი, ერთი განასახიერებს სიკეთეს, არის ჰუმანური, კეთილშობილი, გულჩვილი, კაცთა მოდგმის თანამგრძობელი; ზღაპრის დადებით პერსონაჟებს ექომაგება. კეთილი დ. განსაკუთრებით თავს იჩენს სოციალურად ჩაგრულ გმირებთან ურთიერთობაში (მაგ. გერი). მეორე ტიპი დ.-სა განასახიერებს ბოროტებას. ახასიათებს მითიური ნიშნები, ზოგჯერ განაგებს სტიქიურ მოვლენებს და ტყის ბინადართა პატრონ-მფარველია. შეიარაღებულია ჯადოსნური საგნებით, ბოროტი და კაცთმოძულეა. დ.-ის სახე საერთაშორისო გავრცელებისაა.

ლიტ.: Пропп В. Я., Исторические корни волшебной сказки, 1946; ოქროშიძე თ., ქართული ფანტასტიკური ზღაპრის მხატვრული სახეები (დედაბერი), ქართ. ფოლკლ., I—II, 1964.

ფ. ზანდუკელი

„დედა-ენა“ — საანბანო წიგნი, შედგენილი იაკ. გოგებაშვილის მიერ. პირველად გამოიცა 1876 წ. დ. უხვად შეიცავს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. მათი უმეტესი ნაწილი შემდგენლის მიერაა დაძებნილი და ჩაწერილი. ფოლკლორულ ნაწარმოებთა რიცხვი დ.-ში 200 აღემატება. ისინი ძირითადად გადაშუშავებული სახით შეიტანა იაკ. გოგებაშვილმა საანბანო წიგნში. ფოლკლორი დ.-ის მნიშვნელოვან საკითხავ მასალას წარმოადგენს. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო წიგნის სახალხო სახელმძღვანელოდ გადაქცევას.

ლიტ.: იაკ. გოგებაშვილი, თხზ., ტ. V; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვეთმცოდნეობის ისტორია, 1956.

ფ. ზანდუკელი

დედის გული — ხალხური გადმოცემა. შვილმა დედას გული ამოგლიჯა და სატრფოს წაუღო. გზაში ქვას ფეხი წამოკრა, დაეცა

- და შეყვინა და შევიდა დედა და დედის გულმა ამოთქვენსა შვი-
 ლო, ხომ არაფერი გეტყინათ...
 ხალხური სიმბრე. III, ელ. ვირსლაძის რედაქციით, 1964 წ. გვ.
 221; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 219.

დედოფალ ბავშვის, სან საერთოდ აღადმიანის მიმსგავსებით
 გაკეთებული სათამაშო, ჩვეულებრივ, პატარა გოგონების შესაქ-
 ცევარი. დედოფალებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. თავდაპირველად
 ისინი კლდედები რელიგიური აზროვნების შესაბამისად, თაყვანის-
 ცემის ობიექტებს წარმოადგენდნენ. საქართველოს ეთნოგრაფიულ
 სინამდვილეში ზოგჯერ ასეთ გამოსახულებებს შვილოსნობას და
 გამრავლებას შესთხოვდნენ. მაგ. სოფ. ფხელშელში არსებული
 „ქალების ნატი“, დედოფალს წარმოადგენდა და შემოსილი იყო
 თეთრი ტანსაცმლით, მძივებით, ყელსაბამით, საყურეებითა და
 ბეჭდებით (ს. მაკალათია). ასევე საინტერესოა სოფ. ქორდაში
 „წმ. ბარბარეს“ ეკლესიაზე შეწირული სათამაშო აკვანში ჩაწვე-
 ხილი დედოფალი, რაც ადასტურებს „რწმენას, ბარბარეს შესა-
 ხებ, როგორც სხვადასხვა სენისაგან მკურნალ და ავადმყოფობის
 მფარველ და დამცველ წმინდანზე“ (ვ. ბარდაველიძე). ხევე,
 სოფ. გარბანში, ყველიერის დროს ბავშვები თავისი გაკეთებული
 დედოფალებით კარდაკარ ჩამოუვლიდნენ, სურსათს ითხოვდნენ
 და მღეროდნენ:

ამენაფ, ამენასაო, ჩარკლავ ჩარელისაო...
 დედოფალი, ხელი მოუშარეთ, ცხორ-მწვემთ, გარეთ გასულსაო,
 ამრავლე და გააშენე, ეს ოჯახი...
 დადასტურებულია აგრეთვე დედოფალს გამოყენება გვალვის
 საწინააღმდეგო ცერემონიაში. ასეთი დედოფალები ცნობილია
 სხვადასხვა სახელებით: „ლაზარე“, „გონჯა“, „საწვიმარი გუ-
 გა“, „ძივოუ“ და ა. შ. რაჭაში ბზობის კვირას „დედოფალობა-
 წმ. იმართებოდა. ერთ-ერთი ბავშვი დედოფალს ხელში დაი-
 კერდა, სიმღერითა და ლოცვით ჩამოივლიდნენ. ამოსახლეობაში,
 შეაგროვებდნენ კვერცხებს და განაწილებისას დედოფალს პატ-
 რონს არ ივიწყებდნენ.

დედოფალებს სამეურნეო დანიშნულებაც ქონდათ. ასეთია
 იუკანასკნელ დრომდე შემორჩენილი, ფრინველებსაგან ხილისა
 თუ ბოსტნეულის დახატავად დადგმული „საფრთხობელა“ (ივ. ჯა-
 ...)

ვახიშვილი). ამ მხრივ აღსანიშნავია ქართლში დამოწმებული „ბოსტნის დედოფალა“, კახეთში — „ბოსტნის კუკი“. აღნიშნული მაგალითები აშკარად ადასტურებენ დედოფალთა მაგიურ დანიშნულებას. მათ დიდი ხანია დაკარგეს ამგვარი გაგება. დღეს ისინი მხოლოდ გასართობი, სათამაშო დანიშნულებით გამოიყენებიან.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დედოფალების მდიდარი კოლექციაა დაცული. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ისინი საინტერესო სურათს გვიჩვენებენ. მთის რაიონებში შემონახულია უძველესი ტიპის დედოფალები, ქალაქთან ახლო მყოფ რაიონების ნიმუშებს ქალაქური ჩაცმულობის ელფერი დაკრავს (ნ. ლოღობერიძე). ხალხში დედოფალას დასამზადებლად გამოყენებულია: ჯოხი, ჩხირი, ფიცრის ნაჭერი; ზოგჯერ დ. ტანი ქსოვილისაგანაა შემზადებული. დ. აკეთებენ აგრეთვე მცენარეული მასალისაგანაც (გოგრა, კვახი), ცომისაგან და სხვ. ტანის ნაკეთების ხაზგასმით გამოკვეთის მიზნით იყენებენ მატყლს. ფეხები დედოფალას იშვიათად უჩანს. თავ-პირი ან ჯოხის წვერზე დაბმულ, მატყლით გამოვსებულ ბრტყელ-მომრგვალო ბურთს წარმოადგენს (ფშაური, კახური) ან ქსოვილშემოვლებულ მრგვალსა და ბრტყელ დილს, ლითონის ფულს. სახის ძირითადი ნაკვეთები დაქარგული ან მოხატულია. თმად გამოყენებულია ქალის ნამდვილი თმა, ან მატყლი. ხალხური დედოფალა ყოველთვის ქმნის ადამიანის სახის გარკვეულ ილუზიას.

საქართველოში დედოფალათა გავრცელებული სახელებია: „დედოფალა“ (ქართლი), „ტიკინა“ (კახეთი), „გუგა“ (თუშეთი), „კუკნა“ (ფშავი), „კუკი“, „ძონძი კუკი“ (კახეთი), „კიკო“ (საინგილო), „თოჯინა“ (ქართლი), „თოჯა ბიჭი“ (ქართლი), „თოჯა გოგო“ (ქართლი), „შვილიკა“ ანუ „შვილუკა“ (ხევსურეთი), „ძონძი-ქალა“ (გუდამაყარი), „დალ“, „მოშპარდალ“ (სვანეთი), „ლაზარე“ (ქართლი) და სხვ. ქართული დედოფალების კოლექცია დაცულია ლენინგრადის ეთნოგრაფიული მუზეუმის კავკასიის განყოფილების ფონდშიც.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხეი. 1934; ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძვ. სარწმუნოების ისტორიიდან, 1941; დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948. ნ. ლოღობერიძე, ქართული ხალხური დედოფალის კატალოგი, 1968.

დ. ზანდუკელი

დევი — ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟი. 1. იმ ზღაპრების საწყისი, ეშმაკი, დემონია-2. უხეში ფიზიკური ძალის განსახ-

ერება, გოლიათი. სასწავლო და ლათ. ენებში ღმერთის საერთო სახელწოდება, ირანულში — დემონიური ძალის, მანკიერების სინონიმი. ძვ. ქართ. ძეგლებში დ. ავსულის, ეშმაკის გაგებით იხმარება. ზღაპრული სახე შედარებით გვიან ყალიბდება და ადამიანისათვის მავნე თვისებათა მატარებელია. როგორც ბოროტების განსახიერება, დ. ითავსებს გველშაპის ფუნქციებსა და გარეგნულ ნიშნებს: შთანთქმავს მზეს, იტაცებს და ქვესკნელში მალავს მზეთუნახავს. გარეგნულად დ. ზოომორფული და მრავალთავიანია, გამოირჩევა გიგანტური გარეგნობით, განუზომელი მადით. ცხოვრობს ადამიანური ყოფით როგორც ქვესკნელში, ისე გამოქვაბულებსა და ჩვეულებრივ მიწაზე. ხშირად ფლობს დიდ სიმდიდრეს. გმირს უძნელდება დ. მოკვლა მისი სულის მრავალსაფეხურიანი საფარის გამო. დ.-სთვის დამახასიათებელია კანიბალური თვისებები, ადამიანის სუნის შეგრძნება და მისი შეჭმის სურვილი. ქართ. ზღაპრებში დ. წარმოდგენილია სამი ფერით: თეთრით, შავით და წითლით. ფანტასტიკური ელემენტის დაქვეითებით დ. საზარელი გარეგნობა სატირულ ელფერს იღებს, სიბრძნევითა და უგუნურებით კომიკურ მდგომარეობაში ვარდება. საქ. მთიანეთში აღინიშნება დ. სახელის მიკუთვნება როგორც მჩაგვრელთათვის, ისე უცხო ტომის არასასურველ პირთათვის.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, 101; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966.

მ. ჩაჩავა

დევთ-დედაბერი — ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი, დევის დედა, იშვიათად — და. გარეგნობით ემსგავსება მსოფლიო ფოლკლორის არქაულ დედაბერს. გოლიათურ გარეგნობაზე მიუთითებს სართავი მოწყობილობა: ნაძვის თითისტარი და წისკვილის ქვის კვირისთავი. მამაკაც დევებთან შედარებით ნაკლებ ბოროტი, იგი თავშესაფარსა და ცეცხლს აძლევს გმირს და იფარავს თავისი კაცობა შვილებისაგან. როგორც დედამთავრული ოჯახის მეთაური დ.-დ. პირველ გამოცდას უწყობს გმირს. აქვს მეტამორფოზის უნარი, მრავალთავიანია. ქართ. ზღ. მიხედვით მიეკუთვნება შედარებით ქომაგ დედაბერთა რიცხვს.

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის მხატვრული სახეები (დედაბერი), ქართ. ფოლკლორი, I—II, 1964.

მ. ჩაჩავა

დემონი — მითოლოგიური არსება, რომელსაც, ღმერთთაგან განსხვავებით, ადამიანური სახის მიღება არ შეუძლია, ბოროტი

სული. ბერძნულსა და რომაულ მითოლოგიაში ასე იწოდება ყვე-
ლა გამოუცნობი და საშიში ბუნებრივი მოვლენა: ზვავი, წყალ-
დიდობა და ა. შ. დ. და ღმერთის განმასხვავებელი ნიშნები კონკ-
რეტული არ არის, რის გამოც ბევრი დ. ღმერთად იქცა და პირი-
ქით. ქრისტიანობამ წარმართულ დ.-ს საკუთარი დ. დაუპირისპირა
წმინდანთა და ანგელოზთა სახით. ამ უკანასკნელთ ძველ დემონ-
თა ფუნქციები მიეკუთვნა.

ლიტ.: БСЭ, 257; Мифологический словарь, 1967.

მ. ჩაჩავა

დემონოლოგია — ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც შე-
ისწავლის ბოროტი საწყისის გამოვლინებას ბუნებაში. რელიგიათა
მიხედვით ცნობილია იუდეველთა, ისლამური, კაბალისტური და
ქრისტიანული ავი სულები. დ. განვითარება ყოველთვის შეესა-
ტყვისება რელიგიის განვითარებას. ქრისტიანულმა დ. უმაღლეს
წერტილს მე-15—17 საუკ. მიაღწია, როცა შეიქმნა დ. ხასიათის
უამრავი ტრაქტატი. დ. ლიტერატურას მიეკუთვნება ის მხატვ-
რული ნაწარმოებები, სადაც არაწმინდა სულია მოხსენებული.

მ. ჩაჩავა

დიალოგი — ლიტერატურასა და ფოლკლორში ფართოდ გავრ-
ცელებული გასაუბრების ფორმა. წარმოშობით ფოლკლორულია.
ამას ადასტურებს დიალოგების სიმრავლე უძველეს საწესჩვეულებ-
ო ნაწარმოებებში. დიალოგზეა აგებული, მაგალითად, ისეთი
არქაული ხალხური ნაწარმოებები, როგორცაა; „წუხელი სიზმა-
რი ვნახე“ (ნ.), „მოდი, ვნახოთ ვენახი“ (ნ.), „ქალი ხვარამზე“ (ნ.)
და სხვ. დიალოგები უხვად გვხვდება აგრეთვე უძველეს ეპოსში
(„ამირანიანი“, ნ.), სვანურ საფერხულო-საკულტო ბალადებში
(ნ.), კაფიაში (ნ.), გალექსება-გაშაირებაში (ნ.) და ზღაპრებში
(ნ.). დიალოგის, როგორც მხატვრული მოვლენის გენეზისი უკავ-
შირდება საწესჩვეულებო მოქმედებას და სიმღერის შესრულების
უძველეს წესებს.

ლიტ.: ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსთწყობის საკითხები,
1960.

ჯ. ბარდაველიძე

დიდება — საფერხულო გუნდური სიმღერა ხატის სადიდება-
ლად. ზოგჯერ ფერხულის გარეშეც იმღერებოდა. სრულდებო-

და სხვადასხვა დღეობაში (ლაშარობა, კოპალობა, იახსრობა, პირ-
ქუშობა და სხვ.).

ლიტ.: ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ გოგოჭური

დიდხუთშაბათი — ვნების კვირის, აღდგომის წინა ხუთშაბათი. ამირანის ჭაჭვის გამაგრების დღე. ერთგული გოშია ღვთისაგან დასჯილი ამირანის ჭაჭვის წლის განმავლობაში ლოკავს და გაწყვეტამდე მიჰყავს, მაგრამ დ. დილით მკედელი უბრად გრდემლს კვერს სცემს და გმირის გათავისუფლების იმედიც ჰქრება. ფშაურ თქმულებაში ნათქვამია: „წყეული მკედელი დაჰკრავს კვერს დიდხუთშაბათს გრდემლსა და გასაწყვეტად გამზადებული ჭაჭვი ისევ სქელდება“. დიდხუთშაბათი ზოგან წითელი პარასკევით, შობის დამით ან ახალი წლითაა შეცვლილი. დ. მოტივი მიჯაჭვული გმირისა და მკედლების კონფლიქტის გადაწყვეტის ცდაა. ამირანიანში ეს მოტივი იმ დროს გაჩნდა, როცა ღვთისურჩე გმირს და მკედლობის ღვთაებას შორის შური ჩამოვარდა.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქ. ურის ისტ., I, 1951; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1917; მ. სიხვე, ქ. ეპოსი, II, 1965, გვ. 253.

მ. ჩიქოვანი

დიკლო-შენაქოს აკლება — დიკლო და შენაქო მთათუშეთის უკიდურესი სოფლებია დაღესტნის საზღვარზე. მათი სახელები საშვილიშვილოდ შესულია საგმირო პოეზიაში. სახალხო მელექსე ნაღვლიანად იგონებს მწარე დღეებს: „დიკლოს მოიდა დიდი“, „დიკლოს ატირდეს დედაი“, „დიკლოს დაღევა ვინა სთქო, ან განრისხება ღვთისაო“. იგივე ბედი ეწვია მეზობელ სოფელსაც: „ოთხშაბათ თენებისასა შენაქოს დასცეს ცანიო... ხელაიძისა ციხესა ცამდის აუშვეს ალიო“. დიდოელმა ლეკებმა მოულოდნელი თავდასხმით ხელთ იგდეს მთათუშეთის სასაზღვრო სოფლები და ომალომდაე ძარცვით მოაღწიეს. მამაცურად იბრძოდნენ თუშები. ქალი და კაცი ციხე-კოშკებში იდგნენ და მტერს ცოცხალი არ ნებდებოდნენ. ამ დროს დატრიალდა ის მძიმე ტრაგედია, რამაც ვაჟა-ფშაველას საფუძველი მისცა შეექმნა ბაკურის უკვდავი სახე. უტყვიაწამლოდ დარჩენილმა ღვთისია გოჩოშვილმა (თუ იჩოშვილმა) ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ამჯობინა. გადაწყვეტილება ჯერ ცოლსა და დედას გააცნო, მერე ხმალამოწვილი ციხის კარისაკენ გაქანდა, რომ უთანასწორო ბრძოლაში გადაშვებუ-

ლოკო, ამ დროს ცოლმა შეაჩერა და მოკვლა სთხოვა. იგივე გაიმეორა კდედამდე და მუზობლის ქალმა, ღვთისის შერწუნდა, უარზე დადგა. მაგრამ მერე სამარცხვინო ტყვეობას მინც მათ თხოვნის აღსრულება ამჯობინა. თუშმა გაუკაცმა აკანკლებული ხელით ჯერ ცოლი მოკლა, მერე დედა, და სულ ბოლოს კი ჩვილი ვაჟი... მოამბეთ ციხეში შემოკედლებული მუზობლის ქალი დატოვა. ამის შემდეგ მტრის ურდოში გადაეშვა, რამდენიმე მეკობრე სიცოცხლეს გამოსალაპა და საიჭიოსაც სახელიანი გაემგზავრა. ამაზე ამბობს ხალხი:

სულეთში ღვთისოს ირუა ჩვილით შემოდისო;
ხანჯლით დაეხოცენ ცოლანი, სულთ! არ მამეზღებო.

ვარიანტებად გავრცელებული დიკლო-შენაქოს აკლების მაღალმხატვრული ლექსები დღემდე ცოცხლობს და ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ამ ტრაგიკულ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1836 წლის 31 დეკემბერს ახალწლის წინ. წერილობითი დოკუმენტებით დასტურდება ხალხური ლექსის სიტყვები: დიკლოს შამრვლენ ლექები ახალი წლისა დღესაო.

ს. ლ. გ. კ. ჭიჭიანი, ხალხ. სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის წინასიტყვაობა: 1964; გვ. 12—22; ტ. IV, 1964; გვ. 47—54; ქართული ხალხ. საისტ. სიტყვიერება, II, მ. ხიხარულიძის რედ. 1967; Акты, VIII, გვ. 609.

ამაღ იცემა ღვთისის ცოლით მამეზღებულ მუზობლს
საეღირი, აღროღო (1867—1930) — გერმანელი ენათმეცნიერი დე. ეთნოგრაფი. 13 წელი (1900—1913) გაატარა კავკასიაში, სწავლრბდა ქართულ და კავკასიურ ენებს. 1924 წელს დააარსა ჟურნალი „კაუკაზიკა“. СМОМПК-ში გამოაქვეყნა გამოკვლევა „ნაღირობის ღვთაებანი და კავკასიის მთიელების სამონადირეო ენა“. რომელშიც გამოიყენა ქართული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა. 1922 წ. გამოსცა *Kaukasische Märchen* (კავკასიური ზღაპრები), მასში ქართულ ზღაპრებს ძირითადი ადგილი უჭირავს. აღწერა მთელი მთიანეთის მთიანობის ენობრივი მახასიათებლები. *ლოც. Kaukasische Märchen. Iena, 1922; A. Дирр. Божества охоты и охотничий язык у кавказских горцев, СМОМПК, т. 44, 1915.*

ლობილი — მითოლოგიური პერსონაჟები, ხევს. ხახმატის ჯვარის გიორგი ნალვარამშენიერის ლობილები: აშექალი, მზექალი

და სამძიმარი (ნ.). გადმოცემით, ხახმატის ჯვარს ისინი ქაჯავე-
თის ლაშქრობიდან მოუყვანია. დ-ბს თხას უკლავენ, „სადობი-
ლო“ კვერებს უცხოზენ და სანთელს უნთებენ. სამძიმარ ხელის
სახელზე სოფ. ხახმატში სალოცავი ნიშიც არსებობს.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხეესურეთი, 1935, გვ. 443; მ. ჩიქოვანი, მითოლოგია
და ხალხური პოეზია. ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ. გოგოჭური

დობილ-ქავალა — ხეეს., უმცროსი დობილები. ხალხის წარ-
მოდგენით წვრილმან სადობილო საქმეთა აღმსრულებელი ძალები
(ნახ. დობილი).

შამამწყრა რადამ ჯაკმატურიო,
დობილ-ქავალნი გადმამსიენაო.

(ქუთაისის მუზ. 6418—37)

დ. გოგოჭური

დონა — რუმინული და მოლდავეური ხალხური სიმღერა. ტერ-
მინის ეტიმოლოგია დადგენილი არაა, ვარაუდობენ, რომ წარ-
მოსდგა შეძახილისაგან „დონა“. დონას ფორმირება დაიწყო
ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში. რუმინული და მოლდავეუ-
რი დონა ჟანრობრივად იდენტურია. შესრულების თვალსაზრი-
სით დონები იყოფა ინსტრუმენტულად და ვოკალურად. აკომ-
პანემენტისთვის იყენებენ როგორც ტრადიციულ, ასევე თანა-
წედროვე ევროპულ საკრავებს. ვოკალური დონა ახლოს დგას
ლირიკულ სიმღერასთან, თუმცა განსხვავებაც საგრძნობია; უფ-
რო მეტი სწრაფვა გააჩნია ეპიურობისკენ, რიტმიც, მეტწილად
ასიმეტრიულია, თვალსაჩინოა იმპროვიზაციის ელემენტი. დონ-
ებში ასახულია რუმინელი და მოლდაველი ხალხების მდიდარი
წარსული, მათი წეს-ჩვეულებანი, ბრძოლა თავისუფლებისთვის.
განსაკუთრებით პოპულარულია მწყემსური დონები, რომლებიც
წარმოშობის თვალსაზრისითაც უძველესია. მე-17 საუკუნიდან ჩა-
მოყალიბდა ჰაიდუკთა დონების ციკლი, რომელიც ასახავდა
მშრომელი ხალხის ბრძოლას ადგილობრივ ფეოდალთა და უცხო
დამპყრობთა წინააღმდეგ. ჟანრობრივ-თემეტიკურად დონა მრავალ-
ფეროვანია. გავრცელებულია საწესჩვეულებო, საგმირო, სა-
ისტორიო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და სხვა სახის დონ-
ები.

ლიტ.: Поезие популарэ молодovenяскэ, Кишинэу, 1960; Flori alese din
pcezia populară, Buc., 1960; Folklor din Transilvania, t. 1—2, Buc., 1962.

დოლიძე ნინო ისიდორეს ასული (1906—1960) — მწერალი, მთარგმნელი. შეადგინა და რუსულ ენაზე თარგმნა ქართული ზღაპრების კრებული, რომელიც 1937 წელს გამოსცა მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ. მისი თარგმანით ქ. ზღაპრები 1939, 1954, 1971 წლებში კვლავ გამოიცა თბილისში. კრებულმა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

ლიტ.: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968; № 48. „ნინო დოლიძე“.

ფ. ზანდუკელი

დოლიძე სიმონ (1884—1911) — ცნობილი ფირალი. ბათუმის ნავთსადგურის მუშა. მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. რეაქციის წლებში გავიდა ფირალად. მოკლეს 1911 წლის 25 სექტემბერს. გურიაში დ-ზე შექმნილია სასიმღერო ლექსების ციკლი. გადმოცემებსა და საჩონგურო ლექსში რეალისტურად არის ასახული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა და სიყვარული ჩაგრულთა მოსარჩლე გმირის მიმართ. ს. დ. სიმღერა შესულია თვითმოქმედი გუნდების რეპერტუარში, გავრცელებულია დასავლეთ საქართველში, განსაკუთრებით — გურიაში და აჭარაში.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, კრებული „მარქსისტული გნათმეცნიერებისათვის“, 1934; ა. ხინთიბიძე, გურული ფირალები, 1938; ქს. სიხარულიძე, კლასთა ბრძოლის ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში, „ნარკვევები“, I, 1958; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, III, 1967.

ქს. სიხარულიძე

დრამა ხალხური — დიალოგური ფოლკლორული ნაწარმოები, რომლის საჯარო გასცენიურება ხდება ღია ცისქვეშ ან სპეციალურად ამისთვის დანიშნულ შენობაში. ხალხური დრამატიული შემოქმედება ისევე ძველია, როგორც ფოლკლორი საერთოდ. პირველყოფილი სინკრეტიზმის დაშლის პერიოდიდან გამოყოფა იწყოს სიტყვიერების ცალკე გვარმა, რომლის ნიმუშები ერთდროულად გასაგონად და დასანახად იყო განკუთვნილი. მოსასმენად სიტყვიერი ტექსტი იქმნებოდა, დასანახად კი დრამატიული მოქმედება — სპეციალურად გადაცმულ-შენიღბული პირობისა. ამგვარად, ხალხურ დრამაში მხატვრული სიტყვა და მოქმედება ისე ორგანულად ერთიანდება, რომ მათი დაშორიშორება შეუძლებელია. ისინი მნიშვნელობითაც არ ჩამოუვარდებიან ერთმანეთს და რთულ კომპლექსს, სინთეზურ ხელოვნებას ქმნიან. საბოლოო საფეხურზე იგი თეატრის სახეს იღებს. ხალხური თეატრი სანახაობებში

იღებს სათავეს. მისი საწყისები მიკვლევულია მასიურ თამაშობებ-
სა და ფერხულებში, სხვადასხვა საწესჩვეულებო მოქმედებაში;
ხატობა-დღეობებში, სამეურნეო მოქმედებასა და რელიგიურ
ნისტერიებში.

ხალხური დრამის უმარტივესი ფორმები თვით ზეპირსიტყვე-
ერების შესრულებაშია ჩაქსოვილი. დახელოვნებული მთქმელი არ
სჭერდება ტექსტის სიტყვიერ გადმოცემას. შთაბეჭდილების გაძ-
ლიერების მიზნით იგი ხან მუსიკალურ საკრავს მიმართავს, მღე-
რის, ხან ცეკვავს, ზოგჯერ ბაძავს ან დასცინის ვიღაცას, სხეულის
მოძრაობითა და მიმიკით გვიქმნის ისეთ განწყობილებას, რასაც
მონათხრობი შოითხოვს. ფრკლორული ნაწარმოების გაცენიუ-
რების დროს მაყურებელიც არის და მსახიობიც. ტექსტი შეიძლე-
ბე ჯერ კიდევ არ იყოს მტკიცედ ჩამოყალიბებული, დრამისებუ-
რად გაფორმებული. სანახაობრივ მოქმედებათა ნიმუშად შეიძ-
ლება დავასახელოთ ხატობის დროს ქადაგად დაცემის ტრადიცია.
ქადაგი საკულტო მსახიობის როლშიც გამოდის. დრამატული
მომენტებით მდიდარია საწესჩვეულებო პოეზია. თითქმის ყოვე-
ლი საწესჩვეულებო ცერემონიალი ხალხური წარმოდგენის ფორ-
მას ატარებს. ასეთია ქორწილი, ძეობა, დატირება, ლაზარობა, ბე-
რიკაობა, ყუენობა, ალილო, კონა, საგაზაფხულო თამაშობა-გარ-
თობათა მთელი წყება. აქ გარკვევით ჩანს გუნდი, ერთპიროვე-
ნული შემსრულებლები (დედოფალი, ნაირსახოვანი, ბერიკები,
ყაენი, ვეზირები, საჩუქართა მზიდავები, მაცენი) — ნიღბებსა
და პროფესიულობის შესაფერის ტანსაცმელში გამოწყობილი
„მსახიობები“ ასეთ სანახაობებშიც დომინანტობს მოქმედება და
არა მხატვრული სიტყვა.

ხალხური დრამის განვითარება სტილდება საწესჩვეულებო გა-
რემოს იგი საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი მნიშვნელოვ-
ბის თემატიკის ასახვას იწყებს. ამუშავდება ტრაგიკული და კომე-
დიური ჟანრების რემერტურული (ფორმეტო, თვენი, რძალვა და დე-
დამთილი, თხა და ვენახი), ეპიკური ძეგლები ამირანდიანისა და
ეთერიანის სახით დრამატულ ეპიზოდებს უხვად შეიცავს მაფი-
საჯარო შესრულება ზღბოდაც სხვადასხვა დანიშნულების ფერხუ-
ლისა და წარმოდგენის დროს.

იხილეთ: გ. ი. მ. ჩიქოვანის „ხალხური დრამა“; ქართული ხალხური პოეტური შემოქმ-
ედება, 1968; დ. ჯანუშვილი, ქართული დრამა, 1965; მისივე „ქართული ზეპირ-
რქა“ ხალხური საწყისები, 1948; მისივე „ქართული დრამის ისტორია“; მისივე
იმეტი, 1968; იხილეთ იბუქიძე, იბუქიძე, მცხეთა მცხეთა ჩიქოვანი
იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ

„დროება“ — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1866—1885 წწ. აქ ხშირად იბეჭდებოდა ქართული ფოლკლორის ნიმუშები: მასალებს აწვდიდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ზ. კიკინაძე, ი. დავითაშვილი, დ. წერეთელი, ს. მერკვილაძე და სხვანი. ზეპირსიტყვიერი ტექსტების გარდა დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის, ა. წერეთლისა და სხვათა სტატიები ფოლკლორისტიკის საკითხებზე, დაიბეჭდა აგრეთვე „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შემკრებთათვის“. დ. დიდი ამაგი მიუძღვის ქართული ფოლკლორის შეკრებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ლიტ.: ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, II, 1952.
ვ. მაცაბერიძე

დუმა — უკრაინული ფოლკლორის ლირიკულ-ეპიკური ჟანრი. შინაარსით საგმირო-ისტორიულია, ჩამოყალიბდა მე-15—17 საუკ. კაზაკთა სამხედრო-დემოკრატიულ გარემოში. ძირითადი შემსრულებლები იყვნენ ბრმა მომღერალი კობზარები. სრულდება როგორც ინსტრუმენტზე (კობზა, ფანდური), ასევე ინსტრუმენტის გარეშე (დეკლამაცია, რეჩიტატივი). დუმის მელოდია მინორულია, სამგლოვიაროა; თუმცა — საზეიმო ტექსტებში გადმოცემულია უკრაინელი ხალხის მძიმე წარსული. დიდი რაოდენობით გვხვდება თურქეთის მონობაში მყოფი ტყვეების აუტანელი მდგომარეობის ამსახველი სიმღერები. ამასთან, ფართოდ არის ნაჩვენები უკრაინელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისთვის. ბევრი დუმა შეიქმნა პოლონელ დამპყრობთა წინააღმდეგ 1648—54 წწ განმათავისუფლებელ ომზე, ამ ნაწარმოებებში კარგად ჩანს ბოგდან ხმელნიცის ვაჟკაცური და ბრძნული სახე.

დუმის სალექსო საზომი თავისუფალია, შეიცავს 4-დან 20 მარცვალს; რითმა მარტივია, ძირითადად, ზმნური; ასტროფულია, იყოფა აზრობრივ პერიოდებად. მისთვის დამახასიათებელია მუდმივი უბითეტები, საერთო ადგილები, განმეორებანი, რიტმი მღორე და ეპიკური. ფინალური ნაწილისთვის დამახასიათებელია მსმენელებისადმი მიმართვა.

საბჭოთა პერიოდის დუმები შინაარსობრივად მკვეთრად განსხვავდება ტრადიციულისგან. მასში ასახულია ბრძოლა საბჭოთა წყობილებისთვის, სოციალისტური მშენებლობა, ხალხთა მეგობრობა და სხვ. შესაბამისად შეიცვალა დუმის ინტონაცია და განწყობილება.

ლ ტ.: Думы, К., 1959; Житецкий П., Мысли о нар. малорусских думъх, К., 1893; Цапенко, Питания розвитку героичного епосу схидних слов'ян, К., 1959. Б. Кирдан, Украинские народные думы, 1962.

გ. ბარდაველიძე

დუნაჲ აგჲ უზელი — მზეთუნახავი, თურქ., ქვეყნის ულამაზესი. სპორადულად იხმარება აჭარაში. პარალელურად ვხვდებით „მზეთუნახავის“ დიალექტურ ვარიანტებს: მზისუნახავი, მზისდუნახავი, მზისუდუნახავი.

ბ. ცეტიშვილი

ე

ედა — ძველი სკანდინავური, კერძოდ, ისლანდიური, ებოსის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები. მითოლოგიური და საგმირო სიმღერების კრებული. ედა ორგვარია: „უფროსი ედა“ და „უმცროსი ედა“. ეს უკანასკნელი პოეტიკის ერთგვარი სახელმძღვანელოა, რომელშიც მიმოხილულია წარმართულ მითოლოგიაში ხმარებული პოეტური ფრაზეოლოგია; ნაჩვენებია აგრეთვე ლექსთწყობის ნიმუშები.

„უფროსი ედა“ ორი ნაწილისგან შედგება: „სიმღერები-ღმერთებზე“ და „სიმღერები გმირებზე“. ედა გვაცნობს სკანდინავურ წარმართულ პანთეონსა და თემური წყობილების დაშლის პროცესს.

ლი ტ.: უფროსი ედა, გიორგი კალანდაძის თარგმანი, დავით ლაშქარაძის რედაქციით, 1971.

ბ. შამანაძე

ევლახიშვილი (ევლახოვი) ივანე ივანეს ძე (1825—1888) — დაიბადა ქ. შემახაში, ბავშვობის წლები ბაქოში გაატარა. დაამთავრა თბილისის გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისსა და თელავში. სკოდნია უცხო ენები და კარგი მუსიკალური განათლება მიუღია. ყოფილა მომღერალი და დეკლამატორი. ხშირად ასრულებდა ხალხურ სიმღერებს. ე. სალიტერატურო მოღვაწეობა მრავალმხრივია. თარგმნიდა ვეფხისტყაოსანს რუსულ ენაზე („Кавказ“ 1846, № 1523, 26, 27, 29). მანვე თარგმნა ზღაპარი ქოროლიზე „Сказка о Кер-Оглу“ („Кавказ“, 1846, № 39). დაწერა ქართულ ხალხურ მოტივებზე კომედია „Свадьба“ (1852 წ.). მის კალამს ეკუთვნის წერილები: Замечания по пути в Мингрелию („Кавказ“, 1847, № 79, „Заметки о Тифлисе“) ЗКОИРГО, № 1.

ი. ევლახიშვილი ერთ-ერთი პირველია, რომელიც სპეციალურად ჩერდება ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებსა და მათ შემსრულებლებზე («О народных песнях и певцах в Грузии», „Кавказ“, 1850, № 64, 65).

მასვე ეკუთვნის 100 ქართული ანდაზის რუსული თარგმანი — «Грузинские пословицы и изречения» (ЗКОИРГО, кн. I, 1852, стр. 260).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტ. ისტორია, 1956; ე. არქვანიძე, ანოტირებული ზიბლოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალა, 1965.

ე. არქვანიძე

ეთერი — აბესალომ და ეთერის თქმულების (ნ.) ძირითადი მხატვრული სახე, იდეალური ქალის ხალხურ-პოეტური განსახიერება. იგი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა, — კელტური ეპოსის ოქროსთმიანი იზოლდას ორეული. ე. ძირითადად კონკრეტულ-რეალისტური თვისებების მქონეა. ასეთია მისი აღზრდა, დედინაცვალთან დამოკიდებულება, მწყემსობა, მიჯნურობა, მაღალი მორალური ბუნება, თავდადება, მაგრამ მის კეთილშობილ სახეს ზღაპრულ-ფანტასტიკური იერიც დაკრავს, რაც მეღაღნდება დაბადების, ქორწინების, ბროლის კოშკში ყოფნისა და სიცოცხლის დასასრულის ეპიზოდებში. საუკუნეების განმავლობაში ქართველ მთქმელთა ნაძერწი იდეალური ქალი შემეცნებითი მნიშვნელობითა და ესთეტიკური სრულყოფის ხელოვნებით გვერდში უდგას წარმოშობით მის შემდგდროინდელი ეპოსის ისეთ გენიალურ სახეებს, როგორცაა რუსთაველის ნესტან-დარეჯანი და თინათინი. სახალხო მგოსანი ყველასათვის მისაწვდომი სადასიტყვაობით გადმოსცემს ე. გარეგნობას:

წელი წვრილი, ბეკი ფართე, თქმოსთაი დაბალა;
შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი, საფეთქელი მწყაზარია;
ცხვირი სტვირა, კბილი მძივი, ზაგე ხახვის ფოთოლია. . .

დევნილი გერის ტრადიციულ სიუჟეტზე აღმოცენებული რომანტიკული სახე დღეგრძელი და მიმზიდველი აღმოჩნდა. XIX და XX სს. პოეტები, მუსიკოსები და მხატვრები დიდ ინტერესს იჩენდნენ მის მიმართ.

ლიტ.: ვ. ზარნოვი, თბზ. X, 1964; ეთერანი, მ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით. ხალხური სიტყვიერება, IV, 1954.

მ. ჩიქოვანი

ეთერიანი — (6) აბესალომისა და ეთერის თქმულება.

ელაყონუ — ადვენება, აყოლა, ხმის შეწყობა: (ერთი ხმის შეწყობა მეორესთან, სიმღერაში აყოლა).

ელეგია — მწუხარების გამომხატველი ლირიკული ლექსი, რომელიც წარმოშობით საწყესო პოეზიიდან მომდინარეობს და სამგლოვიარო ლექსის განვითარების თავისებურ სახეს წარმოადგენს. გუნდური შესრულებიდან ელეგია ინდივიდუალურ შემსრულებელზე გადავიდა. სევდიან განწყობილებას სახალხო მგოსანი მხატვრული სიტყვების საშუალებით გადმოსცემს:

გულს, ჯავრისგან მოკლულს,
რა დაგაყარო წამალი.

ხალხური ელეგია მრავალფეროვანია: მორალური, სამიჯნურო და პოლიტიკური ელეგიის გვერდით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ფილოსოფიურ ელეგიას.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 339—342; ხალხური სიბრძნე, IV, 1965, გვ. 455.

გ. შეთქაური

ელესა — სიმძიმის გადამტანთა კოლექტიური სიმღერა, წარმოშობით ლაზური. გამოითქმის რამდენიმეგვარად: ლესა, ელესა, ჰელესსა, იალესა. სიტყვის ძირი ყველგან „ლესა“-ს შეიცავს და სათევზაო ხელსაწყოს, გოდრისებურ წნულს ეწოდება; იხმარება ლაზურ მეტყველებაში. ე. თავდაპირველად მდინარეში თუ ზღვაზე ლესას საშუალებით თავზაობის დროს შეიქმნა. ე. ხმელეთზე მომუშავეთა შორისაც გავრცელდა და მძიმე ტვირთის გადაზიდვის დროს იმღერება (ტყიდან დიდი მორების გამოტანა, საბორგოვე ხის გამოთრევა, სახლის გადაადგილება). ე. გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში; სიმღერის არეალი-სცილდება საქართველოს ფარგლებს და თანამედროვე საბერძნეთში, თურქეთში, მოლდავეთსა და რუმინეთშიც დასტურდება. ელესა — მ. ლესას პირველი ჩანაწერი გ. ავალიშვილის „მგზავრობაში“ გვხვდება, შესრულებული 1819 წლის 3 სექტემბერს. ე. ავალიშვილი თავიდანვე განსაზღვრავს, როგორც სიმღერას „მსახურთა მიერ გემისათა ლუზათა ამოწევისა თანა“. სიმღერა ლუზის ამოღების პროცედურის შემადგენელი ნაწილია; მატროსები ელესას

ხმაზე მუშაობენ. ელესა-ჰელესა ორნაწილიანია; პირველი დინჯად იმღერება (სიმძიმე ამ დროს წყლის სიღრმეშია), მეორე — უფრო სწრაფად, ტემპიანად (სიმძიმის წყლიდან გათავისუფლების შემდეგ). გ. ავალიშვილს ეგვიპტეში მოგზაურობის პერიოდში სიმღერა სამკერ ჩაუწერია ერთი და იგივე ტექსტით („იტყოდიან სიმღერისა ხმითა ერთსა და მასუე ლექსისა“). მეზღვაურთა შრომის სიმღერების არსებობა ჩვენში ისტორიული ცნობებითაც დასტურდება. ბასილი ეზოსმოძღვარი წერს: „ზღუასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან“ (ქ. ცხ-ბა, II, 146). ამგვარად, ე. ერთ-ერთი უძველესი ხალხური სიმღერაა, რომელიც მენავე-მეზღვაურებისა და მეთევზეების კოლექტიური შეგროვებების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

ლიტ.: გ. ავალიშვილი, *მგზაურობა*, ელ. მეტრეველის რედ., 1967; ზ. საანდილაძე, *ლახური ხალხური პოეზია*, 1972. ჯ. ჩხეიძე, *შრომის პოეზიის ძირითადი სახეები*, 1961; თ. ოქროშიძე, ქ. ხალხ. შრომის პოეზია, 1963; მ. ჩიქოვანი, *მეზღვაურთა სიმღერა*, „საბჭოთა ავარა“ № 251, 1968.

მ. ჩიქოვანი

ელია — ამინდის ღვთაება ქართულ წარმართულ პანთეონში. ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ელიას მესამე ადგილი უკავია პანთეონში. ე. შემოქმედ ღმერთს ექვემდებარება და მის სურვილს ასრულებს. წინ უძღვის ღრუბლებს. რადგან ბრძაა, ქვეყანას ვერ ხედავს და ნათესებს სეტყვით აჩანავებს. ელია ხშირად იხსენიება ხალხურ ლეგენდებსა და ლექსებში.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, *ქართული ერის ისტორია*, I, 1960, გვ. 11; მ. ჩიქოვანი, *ქართული ფოლკლორი*, 1946, გვ. 204.

ნ. შამანაძე

ლიტ.: „ელინთა ზღაპრობანი“ — ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ნაწარმოები, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელ-ღვთისმეტყველის ძეგრობებში მოხსენიებული მითოლოგიური პერსონაჟებისა და სიუჟეტების განმარტებებს შეიცავს. კომენტარების ავტორია ნონე ი. (VI ს.) XI საუკ. მეორე ნახევარში თარგმნილი ძველი ხელსაწილობდა ჩვენში ანტიკური მითოლოგიის შესწავლასა და პოპულარიზაციას. „ზღაპრობათა“ კვალი შეიმჩნევა შავთელის, ჩახრუიძის, პეტრიწის, რუსთაველის, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებებში. „ე. ზ.“ აღმოდება იმის მაჩვენებელია, რომ საშუალო საუკუნეების სა-

ქართელოში მითოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულნი იყვნენ და ცოდნის შესავსებად უცხოურ წყაროებსაც მიმართავდნენ.

ლიტ.: ი. აბულაძე, ელინთა ზღაპრობანი, ენიქის მოამბე, X, 1941; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971.

მ. ჩიქოვანი

ელიოზა — ელია წინასწარმეტყველის დღესასწაული, მოდიოდა 20 ივლისს. მასთან შერწყმულია წარმართული ტაროსის ღვთაების კულტი.

ნ. შამანაძე

ელიოზიშვილი (ელიოზოვი) იოსებ ანდრიახ ძე (დაბ. 1887) „ცისკრისა“ (1869—1874) და „მნათობის“ (1869—1872 წწ.) თანამშრომელი. ეწეოდა ფოლკლორულ-შემკვრებლობით მუშაობას. ე. ჩაწერილი მასალები დაცულია პ. უმიკაშვილის არქივში (ნ. კოლექციები). ნაწილობრივ დაბეჭდილია პ. უ. „ხალხური სიტყვიერების 1 ტომში. ე. ხალხური მოტივების მიხედვით შეადგინა და 1869 წ. სახალხო წიგნის სახით გამოსცა „ეთერიანი“.

ლიტ.: ელიოზიშვილი, ი. საბიბლიოგრაფიო შენიშვნა, „მნათობი“, 1869, № XI—XII.

ვ. მაკაბერიძე

ენა და ხალხური სიტყვიერება — ფოლკლორი ისეთ დამოკიდებულებაშია ენასთან, როგორც ლიტერატურა, მწერლობა. ენა ზეპირი შემოქმედების უპირველესი მასალა და საშუალებაა. ენის ჩამოყალიბებამდე არ არსებობდა სიტყვიერი ხელოვნება; მათ შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა წარმოშობის დღიდანვე. სახალხო პოეტებისა და მთქმელების იდეალს მშობლიური ენის კარგად მომარჯვება წარმოადგენს. ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე აუმჯობესებენ მეტყველებას; თანდათან ეუფლებიან რა ენის სტიქიას, მხატვრულადაც მალდებიან.

ფოლკლორს თავისებური ენობრივი ნორმები ახასიათებს; იგი არაა სასაუბრო მეტყველების იდენტური მოვლენა. ამის გამო მას საგანგებოდ სწავლობენ, და არა მხოლოდ დიალექტოლოგიური თვალსაზრისით. ზეპირსიტყვიერება სალიტერატურო ენის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხალხში დამწერლობამდე არსებობს საერთო სამეტყველო ენა, რომელიც შემდეგში ლიტერატურული ენის შემადგენელ ნაწილად იქცევა, წინ სწევს წერილობითი ძეგლების ენას, ავითარებს, ამდიდრებს და ახალისებს მას. ფოლკ-

ლორის ენა ხელს უშლის აგრეთვე ენის დაშლას, რადგან ტომების შემეკავშირებლისა და უნიფიკატორის ფუნქციასაც ასრულებს. ხალხური სიტყვიერების ენა საერთოდ ეროვნული ენის შექმნას აჩქარებს და ამრავალფეროვნებს, ხელოვნურობის საფრთხიდან ათავისუფლებს. ზეპირსიტყვიერება ენობრივი ფორმებისა და ლექსიკური მარაგის დაცვის საშუალებაა. ამიტომ რომელიც ცოცხალი ენაც არ უნდა იყოს, მას ყოველთვის სჭირდება ხალხური სიტყვიერების ენა, რასაც ასე აღფრთოვანებაში მოჰყავდა პუშკინი. ცოცხალი ენისა და დიალექტის შესწავლა ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მონაცემებით წარმოებს. ამგვარი მასალა განსაკუთრებით ძვირფასია, თუ იგი ძველად არის შეკრებილი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956; მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქ. ზღაპრები, მრავალთავი, I, 1964; ი. ქაჯარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, 1964; გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფია, 1969.

მ ჩიქოვანი

ენგელსი ფრიდრიხ (1820 წ. 28-XI — 1895 წ. 5.VIII) — მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებელი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, კარლ მარქსის მეგობარი და თანამებრძოლი. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში. ე. მოსაზრებანი ფოლკლორის საკითხებზე ფუძემდებლური ხასიათისაა. ე.-მა მარქსთან ერთად შექმნა ხელოვნების წარმოშობის შრომის თეორია. ენგელსის ნაშრომში „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“ განვითარებული დებულება „შრომამ შექმნა ადამიანი“ გვაცნობს მხატვრული შემოქმედების სათავეებს. „ბუნების დიალექტიკაში“ ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნების საფუძველზე ნაჩვენებია მხატვრული შემოქმედების განვითარების რთული გზა. ფოლკლორისტული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. აქ ნაჩვენებია კოლექტიურობის განმსაზღვრელი როლი ხელოვნების ჩასახვის სტადიაზე, პიროვნების მნიშვნელობის თანდათანობითი ზრდა ხალხურ პოეზიაში, ეპოსისა და მითოლოგიის ურთიერთობა. ზეპირსიტყვიერება, ენგელსის აზრით, ისტორიული წყაროს როლს ასრულებს ზშირად.

ფ. ე. სტატიის „გერმანული სახალხო წიგნები“ ხაზგასმულია ხალხური შემოქმედების ორგვარი ფუნქცია — პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ესთეტიკური. ფ. ე. მაღალ შეფასებას აძლევს

გრიმების ლიტერატურულ გემოვნებას. ფ. ე. სახელმძღვანელო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული რევოლუციური სიმღერების შემეცნებითსა და ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ენგელსი თავის ნაშრომებში ხშირად იყენებს ფოლკლორულ მასალებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მარქსისადმი გაგზავნილი წერილები: ა) 20.VI—1860, ეხება ძველ დანიურ საგმირო ბალადებს (თხზ., ტ. XXII, გვ. 511—513); ბ) 15. VII—1865, საუბარია გრიმების ზღაპრებისა და გერმანული საგების შესწავლაზე, — აგრეთვე ძველ ნორვეგიულ ფოლკლორზე (თხზ., ტ. XXIII, გვ. 292); გ) 20. V — 1863 — ეხება ვუკ კარაჯიჩის შეკრებილ სიმღერებს (ტ. XXIII, გვ. 149); დ) 5.VII—1869 — მსჯელობაა სერბიულ ხალხური სიმღერების გერმანულ თარგმანებზე (ტ. XXIV, გვ. 211); ე) 22.VI—1869 — საუბარია ახალი ედასკითხვაზე, სიგურდისა და გუდრენის სიმღერებზე (ძველი ედა) და დანიურ საგმირო ლექსებზე (ტ. XXIV, გვ. 203). ფ. ე. ხშირად იყენებს ციტატებს ხალხური ლექსებიდან, ზღაპრებიდან, ლეგენდებიდან; მოყავს ანდაზებიც. იდა პაულისადმი გაგზავნილ წერილში (14.II.1877 წ.) გამოყენებულია ანდაზა, რომლის შესატყვისი ქართულ ფოლკლორშიც მოიპოვება: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის“ (ტ. XXVI, გვ. 453). ხალხური ბალადების დიდო მხატვრული ღირებულებაა ხაზგასმული 20.VI—1860 წლით დათარიღებულ წერილში კ. მარქსისადმი (ტ. XXII).

ლიტ.: კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, რუქ. გამოც. ტ. II, გვ. 78—79, 226—227; V, გვ. 40—41; VI გვ. 522—523; XV — გვ. 324; XXII, გვ. 110—111; 511—213; XXIII, გვ. 149, 231, 292; XXIV, გვ. 203; 211; XXV, გვ. 44; XXV გვ. 45; ე. ი. ლენინა, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, მე-6 გამოცემა, მოსკოვი (რუსულ ენაზე), 1946;

მიხ. ჩიქოვანი, შესავალი წიგნისა ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება-1, 1960, გვ. 17—35.

ქს. სიხარულიძე

ენის გასატეხი — საბავშვო ფოლკლორის ერთ-ერთი სახემას ხშირად „ჩქარა გამოსათქმელსაც“ უწოდებენ. ე. გ.-ის ძირითად სპეციფიკას წარმოსათქმელი ფრაზის სიძნელე წარმოადგენს. აგებულია სიტყვათა თამაშზე. ე. გ. ემყარება მსგავსი ბგერების ერთობლიობას („ბაყაყი მყაყე ჭაობში, ბაყბაყებს ბაყბაყ მდევივით“) ან ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვების გამოყენებას („რიონი ნარიონალში, ნიორი ნანიორალში“). ჩვეულებრივ, არჩევენ რთული აღნაგობის, ძნელად წარმოსთქმელ თანხმოვნებიან

სიტყვებს. ჩქარა გამოსათქმელთა მნიშვნელობა ბავშვის მეტყვე-
ლების გამართვასა და გართობაში მდგომარეობს.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, 1938; ფ. ზანდუკელი, სა-
ბავშვო პოეზიის ძირითადი სახეები, „ქართული ფოლკლორი“, ტ. III, 1969.

ფ. ზანდუკელი

ეკენობა — ტრადიციული დღესასწაული — ბაზრობა, იმართე-
ბოდა ცაგერში სექტემბრის თვეში.

ეპიტაფია — საფლავის ქვაზე წარწერილი ლექსი. ადრე ე. საფ-
ლავის ქვაზე ყოველგვარ წარწერასა და სამგლოვიარო პროცესზე
წარმოთქმულ სიტყვას ეწოდებოდა. ე. უმთავრესად პირველი პი-
რით მოგვითხრობს გარდაცვლილის ცხოვრებაზე. მწუხარე განც-
დებთან ერთად მოცემულია ხალხის ფილოსოფიური შეხედულება-
ნი სიკვდილ-სიცოცხლეზე.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 315—316.

ფ. ზანდუკელი

ეპოსი — მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ძირითადი გვა-
რი ლირიკასა და დრამასთან ერთად. ტერმინი მომდინარეობს
ბერძნული ენიდან, ეპოს-სიტყვა, თხრობა, ამბავი, ისტორია. ზოგა-
დი გაგებით ე. ფოლკლორში ყოველგვარ სიუჟეტურ ნაწარმო-
ებს აერთიანებს, მასში შემოდის როგორც პროზაული, ისე პოე-
ტური ქანრები (ნ. ზღაპარი, მითი, თქმულება, ლეგენდა, იგავი,
პოემა, ბალადა). თითოეული გარკვეულ სტრუქტურულ და აზ-
რობრივ კომპონენტთა მთლიანობით ხასიათდება. ამ შემთხვევა-
ში მსჯელობის საგანია პოეტური ეპოსი, რომლის ნიმუშები უზვად
მოიპოვება მსოფლიო ფოლკლორში (მაგალითად: ფინური კალე-
ვალას რუნები, რუსული ბილინები, ირლანდიური საგები, უკრაი-
ნული დუმები, უზბეკური და აზერბაიჯანული დასტანები, სომ-
ხური დავით სასუნცის სიმღერა, ფრანგული როლანდის სიმღე-
რა, ტრისტან და იზოლდა, გერმანული ნიბელუნგების სიმღერა).

ეპოსში განვიხილავთ ფოლკლორულ ნაწარმოებთა დიდ
ჯგუფს, რომელშიც მხატვრულად ასახულია თავდადებული ბრძო-
ლა პროგრესულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ იდეათა
განხორციელებისათვის. ასეთი ნაწარმოებები აგებულია მძაფრ
სიუჟეტებზე და სრულდება მუსიკალურად; ლექსი სასიმღეროა
ან რეჩიტატივით გადმოსაცემი, პროზა — მოსათხრობი. მთქმელ-

შემსრულებელი უერეული ფორმის თხზულებათა პროზაულ ნაწილს მუსიკალურ საკრავზე აყოლებით მოუთხრობენ, მსმენელებს სიუჟეტურად ამზადებენ მომდევნო სალექსო ნაწილისათვის, რომელიც აკომპანემენტთან უფრო ორგანულადაა დაკავშირებული და ზიმღერით წარმოითქმის.

საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ეპიკური ტრადიცია არსებობს. ფართო სიუჟეტური ტილოების შექმნა ყოველთვის განპირობებული იყო ჟანრთა მხატვრული თავისებურებებით, მწვავე საზოგადოებრივი კონფლიქტებით. ჩვენი ქვეყანა არც ერთის ნაკლებობას არ განიცდიდა. ამის გამო ებოსი განვითარების სხვადასხვა საფეხურს გვიჩვენებს. ნაწარმოებებიც შესაძლებელია შესაბამისად დავაჯგუფოთ: 1. მითოლოგიური, ორი ქვეგანყოფილებით — წარმართული (დალის საფერხულო ლექს-ბალადები, კოპალასა და იახსარის რიტუალური ლექსები, ღვთაებათა გაჩენა) და ქრისტიანულ-აპოკრიფული (ადამ და ევას, აბრამის, იობის, სოლომონ ბრძენის, ნათლისმცემელი და გლახის ლექს-ლეგენდები); 2. საგმირო (ამირანის თქმულება, როსტომიანი); 3. სამიჯნურო-სატრფილო (აბესალომ და ეთერის თქმულება, ტარიელისანი) და 4. საისტორიო შინაარსის ეპიკური ნაწარმოებები (არეშიძეთა ამოწყვეტა, არსენას ლექსი, ფირალის ებოსი). დასახელებული ჟანრები გარკვეული თანმიმდევრობით იჩენენ თავს ფოლკლორში და ქრონოლოგიურადაც ერთმანეთისაგან დაცილებულნი არიან. ურთიერთკავშირის თვალსაზრისითაც მათ შორის არაა ერთგვარობა. მითოლოგიური და საგმირო ებოსის ნიმუშები შინაარსითაც და გამომსახველობითი საშუალებითაც მეტ ნათესაობას ამჟღავნებენ, ვიდრე პირველი და მესამე, ან მეორე და მეოთხე ჯგუფის ნაწარმოებები. ეს იმის მომასწავებელია, რომ საფეხურებრივად მითოლოგიური და საგმირო ებოსები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე ებოსის სხვა სახეები. მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ოთხივე ჟანრში წმინდა პოეტური ნაწარმოებები სჭარბობს, ე. ი. საქმე გვაქვს დასრულებულ ხალხურ პოემებსა და ბალადებთან, რომლებიც ერთი ძირითადი გმირის ამოღებული მხატვრული სახის შექმნას ემსახურებიან (დალი, ამირანი, კოპალა, იახსარი, მინდია, სოლომონ ბრძენი, აბრამი, იობი). წმინდა ლექსით ვარიანტებთან ერთად იმავე სიუჟეტის პროზაული და ლექს-ნარევი ვარიანტებიც მასიურია (ამირანიანი, ეთერიანი). იგივე სურათი ჩანს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა ფოლკლორშიც. ამის კვალობაზე კარდინლური მნიშვნელობის პრობლემა

დგება დღისწესრიგში: რა რას უსწრებს წინ, რომელია ამოსავალი — პროზა თუ პოეზია? ქართული საგმირო ეპოსის საფუძველზე ეს ევოლუცია შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სასაუბრო ფრაზა-თხრობა, რიტმული პროზა, ნარევი ვარიანტები ლექსისა და პროზის მონაცვლეობით, დასასრულ წმინდა ლექსი — პოემა.

ჩვეულებრივ ეპიკური გმირი ლოკალური საფეხურიდან ეროვნულ საფეხურს აღწევს. არსენას სახის დამუშავება პირველად მის მშობლიურ კუთხეში — ქვემო ქართლში დაიწყო, მერე, გმირის ო სამოქმედო ასპარეზის გაფართოებასთან ერთად, თანდათან შეიქრა მეზობელ კუთხეთა ზეპირსიტყვიერებაში და ინტეგრაციის გზით ზოგად ქართულ მოვლენად იქცა — გლეხთა განთავისუფლების სიმბოლოდ ჩამოყალიბდა საქართველოში, ჩეხური იანო-შიკისა და ინგლისური რობინ გუდის ლექს-სიმღერების მსგავსად. ხალხურ ეპოსში ზოგჯერ ისეთი სახეები გვხვდება, რომელსაც ლოკალური გმირის საფეხური არ გაუვლია. ასეთია, მაგალითად, მიჯაჭვული ამირანი. მიზეზი ისტორიული წარსულია, ამირანის სიუჟეტური ბირთვი იმ ეპოქაში წარმოიქმნა, როცა ქართველობა ერთ მთლიან მასას წარმოადგენდა და ეთნიკურ-ტომობრივი დიფერენცირება დაწყებული არ იყო.

ეპიკური სიუჟეტებისათვის დამახასიათებელია ციკლიზაცია (ნ.), ძირითადი გმირების სახელებთან ნაირნაირი სიუჟეტის დაკავშირება (როსტომიანში ზურაბისა და ბეჟანის ისტორია, ნარტები, ავთანდილისა და ტარიელის თავგადასავალი). ფოლკლორის ისტორიაში ცნობილია პერიოდები, როცა ეპიკური შემოქმედების აყვავება და აღორძინება ხდება. სამხედრო დემოკრატიისა და სახელმწიფოებრივი მასშტაბის ომების ეპოქებში განსაკუთრებულ აქტივობას საგმირო ეპოსი იჩენს. ეს თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ ეპოსის თითოეულ სახეს (მითოლოგიურს, საგმიროს, სამიჯნურს, საისტორიოს) აღმოცენება-განვითარების სპეციფიკური პირობები სჭირდება, მაშასადამე, ეპიკური ნაწარმოებების ნებისმიერი შექმნა ან გადანერგვა შესაძლებელი არ არის. განვითარების ეს კანონზომიერება ჩამოყალიბებულია კ. მარქსის პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში, სადაც ლაპარაკია განვითარებული ინდუსტრიული ტექნიკის გვერდით ეპიკური პოეზიის წანამძღვართა შეუძლებლობაზე. საგმირო და მითოლოგიური ეპოსის კლასიკური ნიმუშების შექმნის ეპოქა დიდი ხანია დამთავრ-

და, დალისა და ამირანის თქმულებების განმეორება შეუძლებელია. ისინი ეროვნული კულტურის ისტორიაში შევიდნენ როგორც წინა თაობათა მაღალესთეტიკური მემკვიდრეობა და საკაცობრიო მნიშვნელობის განზოგადებანი.

ლიტ.: კ. შარქი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, 1968; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959; მისივე, ტრადიციული ფოლკლორული ეპიკების პედი სოციალისტურ საზოგადოებაში. „სკოლა და ცხოვრება“, № 3, 1963; ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, 1958; ელ. ვირსალაძე, ქართ. სამონადრო ეპოსი, 1964; В. Я. Пропп, Русский героический эпос, 1955; М. Чиковани, К проблеме взаимосвязи греческого мифа о Прометее и колхидо-иберийского сказания о прикованном Амирани, Будапешт, Acta Antiqua. XV, 1—4, 1967; Е. Мелетинский, Происхождение героического эпоса, 1963; В. Жирмунский, Народный героический эпос, 1962.

მ. ჩიქოვანი

ერეკლე მეორე (1716—1798) — ქართლ-კახეთის მეფე, თავისი დროის პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე, ზეპირსიტყვიერების ეროვნული გმირი. ე. მ. მეფობა მოუხდა საქართველოს ძნელბედობის ხანაში — XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მღელვარე ეპოქის დამახასიათებელია ქვეყნის შიგნით ბრძოლა, მომძლავრებული ლეკიანობა, ოსმალთა და ირანელთა შემოსევები. ე. მ. წინაშე მწვავედ დადგა საგარეო ორიენტაციის საკითხი. ე. ამჯობინა ქართველი ხალხის მომავლის რუსეთთან დაკავშირება და ევროპული გზით სვლა. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერეკლე მეორის სახე ფართოდ აისახა. მისი პოლიტიკა, შინაურ და გარეშე შტრებთან ხელჩართული ომები საისტორიო სიტყვიერების პირითადაი თემებია. ე. მ. ციკლის ნაწარმოებები. ლექსები, გადმოცემები, თქმულებები უფრო მეტად აღმ. საქართველოშია გავრცელებული, გარდა ამისა, გვხვდება დ. საქართველოშიც. თქმულებათა ნაწილი სოლომონ პირველსა და სოლომონ მეორესთან ურთიერთობას ასახავს. ე. მ. პიროვნება, მისი ხალხთან კავშირი კარგად არის ნაჩვენები ისეთ ლექსებსა და გადმოცემებში, როგორცაა: „ერეკლეს სტუმარი“, „მეფე ირაკლის მასპინძელი“ და სხვ. ერეკლეს სარდლობის თემაზე შექმნილია ლექსები და პოემები („პატარა კახი“, „ასპინძის ომი“). ე. მ. ბრძოლარეაქციონერ თავადებთან ასახულია ლექსებში — „ეს გივი ამილახვარი“, და „პამპაული შეიკაზმა“. ბევრი ლექსია შექმნილი ერეკლეს ბრძოლაზე ლეკების, ოსმალებისა და ირანელების წინააღმდეგ („ჯარს ეძახს ბატონიშვილი“, „აზატ-ხან წარმოდგარიყო“).

ქართველმა ხალხმა გულწრფელად დაიტირა თავისი სახელოვანი შვილი („ვერ გაიგეთა ქართველნი“).

ლიტ.: ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავაძის, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1946; სოლ კაიშვილი, ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში, 1942; ქ. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, 1942, მისივე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო ლიტერატურა, II, 1964.

ქ. სიხარულიძე

ერისთავი ზურაბ (1591—1629) — არაგვის ერისთავი. ფშავ-ხევსურულ სიტყვიერებაში დახასიათებულია როგორც ვერაგი და მრისხანე ფეოდალი. დამორჩილებისა და დახარკვის მიზნით ხშირად ლაშქრავდა ფშავ-ხევსურეთს. თავისუფალი მთიელები მდგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და არაერთი მარცხი აგემეს. თავგასულობის გამო იგი ღალატით მოაკვლევინა სიმამრმა თეიმურაზ 1.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 299; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 32.

დ. გოგოჭური

ერისთავი რაფიელ (1824—1901) — გამოჩენილი ქართველი მწერალი. დიდი ამაგი დასდო ეთნოგრაფიასა და ფოლკლორისტიკას. რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ეთნოგრაფიული ნარკვევები ხევსურეთზე, სვანეთზე და სხვ. კუთხეებზე. 1873 წ. („კრებულ“, № 7) გამოაქვეყნა „ქართული სახალხო პოეზია“ წინასიტყვაობითა და ნიმუშებით. მის მიერ აღნიშნულია ხალხური სიტყვიერების შეკრების მნიშვნელობა ეროვნული კულტურისათვის. ე. რ. თხზულებებში გამოყენებულია ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ტექსტები. ბევრი მათგანი თვითონ პოეტის ჩაწერილია, მაგ.: ლექსები კორიო ბობლიაშვილსა და ნაკუდა ქუიძეს შვილზე. მის ეთნოგრაფიულ ნარკვევში „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ აღწერილია ფშაური ხატობა. იქვეა ნაჩვენები ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნაწარმოებები: „წყალნი წავლენ და წამოვლენ“, „თესლი თქვენი სჯობს არწივნი“, „შენ ჩემო დიდო იმედო“. მშრომელთა ყოფის დახატვის მიზნით რ. ე. უხვად გამოიყენა შრომის სიმღერები, საწესჩვეულებო პოეზია და საისტორიო ნაწარმოებები. ხალხური თქმულება „ქალი-აყვანა“ წყაროა ე. ამავე სათაურის ლექსისა. ე. იყენებს ლეგენდებს, ანეგდოტებს და თითქმის ყველა ჟანრის ფოლკლორულ ნა-

წარმოებებს. ე. ბევრი ლექსი გადასულია ხალხში („ბიჭო პური შემოსულა“ და სხვ.).

ლიტ.: რ. ერისთავი, თხზ., I—V, ტტ., 1950; ქ. სიხარულიძე, ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, 1956.

ქ. სიხარულიძე

ერწოს ლეგენდა — მითოლოგიური გადმოცემა გველეშაპისა და ხატზე შეწირული მოზერის ბრძოლის შესახებ. საშინელი ურჩხული ტბაში ბინადრობს. მას განდევნის მოზვერო. ამომშრალ დაბლობს ერწო დაერქმევა.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, III, 1964.

ნ. შამანაძე

ექსპედიცია ფოლკლორული — საველე მუშაობის ერთ-ერთი ფორმა. ფოლკლორული ექსპედიციების ძირითადი მიზანია ხალხური შემოქმედების ნიმუშების ბუნებრივ გარემოში შეკრება. 1930 წლიდან საქ-ში რამდენიმე ათეული სამეცნიერო ექსპედიციაა ჩატარებული სხვადასხვა რაიონში. თანამედროვე ფ. ე. ფართოდ გამოიყენება ხმის ჩამწერი საშუალებანი; ფოტო და კინოაპარატურა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ექსპედიციები საბჭოთა საქართველოში კრ. „საისტორიო წერილები“, 1968.

გ. ბარნოვი

ექსპოზიცია (ლათ.) — სიუჟეტიანი მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის (ნ.) შემადგენელი ელემენტი. ე-ში დიხასიათებულია გარემო ან პერსონაჟის (ნ.) თავგადასავლის ის ნაწილი, რომლის ფონზე იშლება სიუჟეტი (ნ.). ე. უსწრებს კვანძის გახსნას. განსხვავებით ლიტერატურისაგან, ე. ფოლკლორში როგორც წესი, უოველთვის ნაწარმოების დასაწყისში გვხვდება. მაგ., „ნაცარქეჩიაში“ ექსპოზიციას წარმოადგენს მთავარი მოქმედი პირის სიზარმაცის აღწერა.

ჯ. ბარდაველიძე

ეშმათ კბილსავარცხელა — ზღაპრული პერსონაჟი. ზოროტე-ეშმაკეული დედაბერი, ადამიანის მტერი. დიდი პირო და გრძელი კბილები აქვს.

დ. გოვოჭური

ეშმაკი (ეშმა) — ზღაპრის პერსონაჟი. ავესტის აეშმა — ავთსული, დემონი, ახალ ირანულში ხემშ. ხიმშ — რისხვა, ცოფი.

ბრაზი. ქართ. დემონოლოგიის ძირითადი არსება, ქრისტიანული გაგებით ავი სული. ზღაპრულ ეპოსში ე. ბოროტის ფუნქცია-აკისრია. გარეგნობით ზომორფული, ბანლიანო და რქიანია. ცხოვრობს ნანგრევებსა და მიყრუებულ ადგილებში. აქვს სახის-შეცვლისა და გარდასახვის უნარი. ადამიანს მტრობს.

ლიტ.: И. Брагинский. Из истории тадж. народной поэзии, 1956. მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 37, 317.

მ. ჩაჩავა

ეშმაკ-მაცილი — ეშმაკი, მაცდური, ბოროტი სული, რომელიც ადამიანს კეთილი გზიდან გადახვევინებს და ავ საქმეს ჩაადენინებს.

დ. გოგოჭერი

3

ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი, 1861—1915) — დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე. დაიბადა ფშავში, სოფ. ჩარგალში, ხალხური პოეტური ტრადიციებით მდიდარი ოჯახში. ვ. ფ. სკოლაში სწავლის წლებშივე გამოამჟღავნა დიდი ინტერესი მშობლიური ზეპირსიტყვიერებისადმი. ვ. ფ. შეუკრებია ხალხური შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრის სამასზე მეტი ნიმუში. მის მიერ შეკრებილი მასალა ხშირად იბეჭდებოდა „ივერი-აში“, „ძვ. საქართველო“-ს ტომებში, „სახალხო გაზეთში“ და სხვ. ვ. ფ. ჩანაწერებმა შემოგვინახეს რამდენიმე საინტერესო მთქმელის სახელი (მერცხალა, პარასკევა, ჯაბანი, კაცობა, გლახა ბურნახაშვილი და სხვ.). ზოგიერთი ლექსო მათი რეპერტუარიდან დღესაც გავრცელებულია ფშავ-ხევსურეთში. შემკრებლობით მუშაობის პარალელურად იგი ღრმა მეცნიერულ დაკვირვებებს აწარმოებდა ზეპირსიტყვიერებაზე. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ვ. ფ. ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ხასიათის წერილები („ფშავლები“, „ფშავლების ცხოვრებიდან“, „Pro domo sua“, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „კრიტიკა ბ. იბ. ვართაგავასი“ და სხვ.). მათში მწერალი საყურადღებო შეხედულებებს აყალიბებს ფოლკლორულ ნაწარმოებთა ავტორობის, მათი ანონიმურობის საკითხებზე, ზეპირსიტყვიერების განვითარების ტენდენციებზე, ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობის პრობლემებზე და სხვ. თვით ვ. ფ. თავის პოემებში („გველის მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“ და სხვ.), ლირიკულ ლექსებში, მოთხრობებში და დრამატულ ნა-

წარმოებებში უხვად იყენებდა ფოლკლორულ მოტივებს. მისი პოეზია დიდ სიხალღოვებს იჩენს ხალხურ ლექსთან პოეტიკის თვალსაზრისითაც. იმ შემთხვევებში, როცა ვ. ფ. ფოლკლორულ წყაროს მიმართავდა, მას თავის პოეტურ „სულიერ ქურაში“ გადაამუშავებდა და თვისობრივად სრულიად ახალი ნაწარმოებების სახით უბრუნებდა მკითხველს. ვ. ფ. ლიტერატურული მემკვიდრეობა ზეპირსიტყვიერებასთან შემოქმედებითი ურთიერთობის კლასიკური ნიმუშია.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, 1961; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956; ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, ტ. 1, 1956.; მ. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა, 1953; დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე, 1961; გ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება-1957; ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, 1961.

გ. ბარნოვი

ვაჟია და ზვარამზე — სატრფიალო ლექსთა ჯგუფის ლირიკული გმირები. ვ. და ხ. ერთმანეთის ნანდაური, შეყვარებული ფშავლები იყვნენ და მე-19 საუკ. მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ. მათ თემაზე შექმნილი ლექსის პირველი ჩანაწერი 1886 წლითაა დათარიღებული (უმიკ. II, 9). მათი უდიდესი სიყვარული გადმოცემულია სატრფიალო პოეზის შედევრში, რომელსაც „ქალ-ვაჟის სიყვარული“ ეწოდება. ვ. და ხ. სამიჯნურო ლექსების შეკრებაში მონაწილეობა მიუღია ი. ჭავჭავაძეს, დ. ხიზანაშვილს. პ. უმიკაშვილს, თ. რაზიკაშვილს, მ. მრევლიშვილს და სხვ. გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის, თ. თ. რაზიკაშვილის, ვ. კოტეტიშვილის კრებულებში. „ქალ-ვაჟის სიყვარული“ ამებეური შესრულების ვრცელი ლირიკული ლექსია, რომელსაც ორბუნად მღერიან ნახევარგუნდები. ქალი თამამად ესიტყვება ვაჟს, რომელსაც ერთ დროს ზვარამის სახელზე ამოსდიოდა მზე, ახლა კი განზე დგას და თითქოს არ სურს გაიგოს შორით ალვის — შორით დაგვის ფილოსოფია.

— ვინა ხარ, ვინ იარები, ლალო, მაგ ლალის ცხენითა?
თავს რად არ მაიბრუნებ, ყანას რად მამკებ ცრემლითა?
— ის გეგონაა, ქალო, გუშინ რო მედიდებოდი?
კაც-სუაკაეებ გიგზაენე, თხა-წალებურად ხტებოდი,
ისე გავახდევ სურვილსა, ნემსს ყუნწზე აეგებოდე,
ჩაქკონდე დიღის ნიავსა, უსულოდ ჩაელღეოდე,
პატარას ნარის ჩიტარა თვალში ფხად ჩაეგდებოდე!

ვაეიკასა და ხვარამზის ლექსების რკალი უიმედო სიყვარულის ნიადაგზე წარმოიშვა. ვაეის გულწრფელ ტრფიალს ქალი თავის დროზე არ გამოეხმაურა, ხოლო მერე მშობლებმა ქალიშვილი შეუფერებელი ქორწინებით გაათხოვეს. ასე დამორდა ერთმანეთს ღირსეული წყვილი, რამაც თითოეულის სულს წარუშლელი ტკივილი მიაყენა და პოეტური სიტყვითაც ღირსეულად აღიბეჭდა. ფშავში ლეგენდები დადის. „ერთ ნაწვიმარ დღეში ვაეიკამ ცხენით იმათ (ქალის) სოფელში გაიარა — იმათ სახლის გზაზე. ხვარამზემ იმისი ცხენის ნაფეხურებს თურმე ღობე შემოაგლო, რომ არ წაიშალოსო“. თავად ხვარამზე შესანიშნავი მოლექსე ყოფილა და თვითონ შეუქმნია ქართული პოეზიის ეს მარგალიტები თავის სიყვარულზე. დღემდე შვიდი ლექსია მიკვლეული, რაც ამ ბრწყინვალე ფშაველი მგოსნის სახეს ახლოს წარმოგვიდგენს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ლექსი ვაეიკასი და ხვარამზისა, თბ. პედინსტ. შრ., IX, 1952; მისივე, ქ. ხალხ. სიტ. ისტ., 1956. ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, 1961; 'ხალხური სიტყვიერება', III, 1953; პ. უმიკაშვილი, ხ. სიტყვ., II, 1964.

მ. ჩიქოვანი

ვარდი — ხალხურ პოეზიაში გავრცელებული სახე. უმეტესად გამოიყენება ქალის მშვენიერების დასახატავად: შენს ლოყას ვარდი ჰყვოდა, გშვენოდა ღია ფერია... ქართულ სატრფიალო ლირიკაში (ნ.) ვარდის მრავალფეროვანი მხატვრული სახეებია დამკვიდრებული: გაშლილი ვარდი, ნამდაყრილი ვარდი, ედემის ვარდი, მაისის ვარდი, ვარდის ნაზარდი, ვარდის კონა და მრ. სხვ.

ქ. ბარდაველიძე

ვარიანტი — ერთი და იგივე ფოლკლორული ნაწარმოების განსხვავებული სახე სხვადასხვა მთქმელის შესრულებით სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი. ვარიანტულ სხვაობას ჰქმნის სიუჟეტური, მხატვრულ-გამომსახველობითი და ენობრივი კომპონენტები. ვარიანტებს შორის საერთოა ამა თუ იმ თხზულების შინაარსი, ფაბულა, პოეტური ფორმა და ესთეტიკური კონცეფცია. ვარიანტი თავისი მხრით შეიძლება იძლეოდეს სახესხვაობასა და განსხვავებულ წაკითხვებს. წაკითხვის ხსენებამ არ უნდა შეგვაშფოთოს, რადგან მეცნიერული კვლევადიების დროს ხელთა გვაქვს უკვე ფიქსირებული ტექსტი და არა ზეპირად მეხსიერებაში აღბეჭდილი ასლი. სიტყვიერების ნიმუშთა შეკრება ტექსტს წერილობით ფორმაში აქცევს და შესაბამისად მასზე ფილოლოგიური

ანალიზის ხერხები შეგვიძლია გამოვიყენოთ. სიციხადისათვის კონკრეტულ ნაწარმოებს მივმართოთ. ავიღოთ, მაგალითად, ამირან-ნიანი (ნ.). ამჟამად ამირანის თქმულების 150-მდე ჩანაწერი მოგვეპოება ათზე მეტ ენაზე შესრულებული, მაგრამ, ვარიანტების რიცხვი ამდენი არაა. ჩანაწერებიდან გარკვეული ჯგუფები დგება, რომელთა შორის განსხვავება ზემოთ მოცემული განმარტების ფარგლებს არ სცილდება. მართლაც, გვაქვს ამირანის თქმულების ქართლური, კახური, ფშაური, ხევსურული, მესხეთ-ჯავახური, თუშური, მოხეური, მთიულური... ვარიანტები. თვითონ ქართლურ ჩანაწერებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, გარკვეული დაშორება მათ შორისაც აღმოჩნდება, რაც სახესხვაობისა და განსხვავებულ წაკითხვათა კატეგორიაში უნდა განვიხილოთ. ვარიანტების სიმრავლის შემთხვევაში მათი კლასიფიკაციაც ხდება საჭირო. ამგვარად ვიღებთ ვარიანტების ჯგუფს, რომელსაც შეიძლება ვერსია (ნ) დავარქვათ. მაშასადამე, ნათქვამის მიხედვით ამირანიანის ჩანაწერები დაჯგუფდება: ვერსიებად, ვარიანტებად, სახესხვაობებად და განსხვავებულ წაკითხვებად. ფოლკლორისტული ტექსტოლოგია თითოეულ ამ ცნებას კარგახანია იყენებს. პრაქტიკაში და მნიშვნელოვან შედეგებსაც აღწევს.

ვარიანტების წარმოშობის მიზეზი მრავალნაირია: ნაწარმოების გავრცელების სოციალური წრე, მთქმელის დახელოვნება, ასაკი, შესრულების გარემო, ადგილობრივი კოლორიტი, სოციალური და რელიგიური წარმოდგენები, მსმენელთა მომზადების დონე და ა. შ. თითოეული მომენტი უთუოდ თავისებურ გავლენას ახდენს ნაწარმოების მთლიანობასა და თავდაპირველ სახეზე.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; Д. Лихачев, Текстология, 1962; Принципы текстологического изучения фольклора, 1966.

მ. ჩიქოვანი

ვარსკვლავი — ხალხურ პოეზიაში გავრცელებული მხატვრული სახე. უმთავრესად გამოიყენება ქალის მშვენიერების საჩვენებლად:

ბრწყინვალე შუქურ ვარსკვლავო, შენ, ხმელეთისა მდარეო,
 ვარსკვლავო სურვილისაო, სული შენ მიიბარეო;
 ქალო, ამ თვალთა ნათელო, ქალო, სახე გაქვს მზისაო,
 ქალო, შვენება ვინ მოგცა სამოცი ვარსკვლავისაო.

ისევე, როგორც ხალხური პოეზიის მრავალი მხატვრული სახე, ეს სახეც გენეტიკურად ხალხის უძველეს ასტრალურ წარმოდგენებს უკავშირდება.

ჟ. ბარდაველიძე

ვარშაყიანი — საფალავნო-სათავაგადასავლო მოთხრობების ვრცელი კრებული, რომელიც ხელნაწერის სახითაა დაცული. ვარაუდობენ, რომ გადმოკეთებულია სპარსულიდან მე-18 ს. ბოლო მეოთხედში. ვ-ში ბევრი ფოლკლორული მოტივია ფიქსირებული. ასეთია: ვეშაპთან ბრძოლა, გმირის ჩანთქმა, დევებთან შეხვედრა, ბუნების ენის ცოდნა, სურათის საშუალებით გამიჯნურება, მზეთუნახავის ძებნა, მაქციობა და სხვ. ზოგი მათგანი ქართულ ტრადიციაში იღებს სათავეს.

ლიტ.: გ. ახვლედიანი. ვარშაყიანი, კრ.: ქართული ლიტერატურის საკითხები, 1968.

მ. ჩიქოვანი

ვაჭირელი ქალი — ანუსია კარგარეთელის ფსევდონიმი, ფოლკლორის შემკრები. მის მიერ ჩაწერილი მასალები დაცულია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში (№ 20352). ძირითადად კრებდა კახური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ვაჭირში ჩაწერილი ზღაპრები გამოაქვეყნა „ძველი საქართველოს“ IV ტომში. ვ. საინტერესო შემკრები იყო. იგი სხვებისაგანაც იწერდა და საკუთარი ფოლკლორული რეპერტუარიც ჰქონდა. მისი, როგორც მთქმელის ზეპირსიტყვიერი რეპერტუარის ძირითად ნაწილს ზღაპრები შეადგენდა.

ლიტ.: ფოლკ. არქივი, № 20352; მის. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერება (კახური მასალები), ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, 1949.

ფ. ზანდუკელი

ვაშლოვანელი თამრო — მე-18 ს. სახალხო გმირი, ერეკლე მეორის თანამედროვე. ვ. თ. ებრძოდა შინაურ და გარეშე მტრებს, ფეოდალებსა და აგრესორებს. გვარი ცნობილი არ არის. მასზე ისტორიული ცნობებიც არ შემონახულა. თავგადასავალი აღჯგენილია მოგონებების, გადმოცემებისა და ლექსების მიხედვით. ვ. თ. ყმა გლეხის ქალი ყოფილა, ადრე დაობლებულა და ბატონს გაუყიდი. მალე თავი დაუხსნია და სახელი გაუთქვამს მტრებთან ბრძოლაში, თ. ვ. დაღუპულა შურისძიების ნიადაგზე (მტკვარში გადაუგდიათ). გმირი ქალის ნეშტი მეცხვარეს უპოვია და ხალხს

პატივით დაუსაფლავებია თრიალეთის ეკლესიაში. ვ. თ.-ზე საის-ტორიო ნაწარმოები შეიცავს საერთაშორისო მოტივს; ფალავნობის დაკარგვის შიშით ქალი გაუთხოვარი რჩება. თამროზე შექმნილი ლექსები ელეგიური ხასიათისაა.

ლიტ.: დ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია“, 1882, № 12; ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, 1964; დ. ქორიძე, გმირი ქართველი ქალები. 1962.

ქ. სიხარულიძე

ვახტანგ მეექვსე (1675—1707) — ქართლის მეფე. რიგი კულტურული ღონისძიებების სულისჩამდგმელი და უშუალო ხელმძღვანელი. დაგვიტოვა პოეტური მემკვიდრეობა, რომლითაც ქართული ლექსის რეფორმატორად გვევლინება. ვ. მ. სტრიქონები ფოლკლორში ანდაზებად და ფიგურალურ გამოთქმებად გადავიდა (მაგ., „უნაყოფობა ბევრით სჯობს, ბოროტის შვილის ყოლასა“). თარგმნა „ქილილა და დამანა“ (ნ.), რომლის ბევრი იგავ-არაკი ზეპირადაც ფართოდაა გავრცელებული ქართულ ენაზე. თარგმანის წინასიტყვაობაში ვახტანგი წერდა: „იმითაც საცნაურ არს, რაოდენსაცა საქართველოსა შინა ანუ არაკსა, ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნსიბსა ლექსსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია“.

ლიტ.: ვახტანგ VI, ლექსები, 1947; ქაილა და დამანა, 1886 და 1949 გამოცემები; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946; გვ. 121; ბ. დარჩია, ერთი აფორიზმის გამო, ცისკარ., 1969, № 12.

ნ. შამანაძე

ვაჰაჰაჰ-ნანა — ლაზური საფერხულო ცეკვა. სახელწოდება მომდინარეობს რეფრენისაგან. ცეკვაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კორიფე: იგი აწესრიგებს მოცეკვავეთა ჯგუფურ მოქმედებას, ექსპრომტულად თხზავს რიტმულ მოძრაობასთან შეთანხმებულ პოეტურ ტექსტს და წარმოთქვამს სიმღერით. გუნდი პასუხობს რეფრენით: „ვაჰაჰაჰ-ნანა“ (მღრ. რაჭ.: „ოჰოჰ-ნანა“). ცეკვას ხშირად ახლავს თავისუფალი შეძახილები.

ზ. თანდილავა

ვედა (სანსკრ. „ცოდნა“) — უძველესი ინდური ლიტერატურულ-სარწმუნოებრივი კრებული, განიყოფება ოთხ ნაწილად: რიგ-ვედა, იაჯურ-ვედა, სამა-ვედა, ასტარვა-ვედა. ჩამოყალიბდა ჩვენს ერამდე II—I ათასწლეულთა შუა პერიოდში. ვედებში თავმოყ-

რილია ჰიმნები, ლექსები, წყევლანი, შელოცვები და მაგიური ფორმულები სხვადასხვა ღვთაებათა სადიდებლად და ბოროტ სულთა შესაჩვენებლად. ვ. ინდურ მითოლოგიაში ისეთ როლს თამაშობს. როგორსაც ბიბლია ქრისტიანულში.

მ. ჩიქოვანი

ვერსია — ერთ ფოლკლორულ სიუჟეტზე აგებული ნაწარმოებების ვარიანტების ჯგუფი, რომელთა შორის სხვაობა სტრუქტურულ და ესთეტიკურ კონცეფციურ ხასიათს ატარებს, ვერსია უფრო თვალსაჩინო, ხელშესახები მხატვრული მოვლენაა, ვიდრე ვარიანტი (ნ.), ვერსია ვარიანტებისაგან შედგება. თუ ნაწარმოებს მრავალრიცხოვანი ვარიანტები არ მოეპოვება, მაშინ ძირითადი ტექსტი და ვერსია ერთმანეთს ემთხვევა და დიფერენცირებაც არ ხდება. ამირანის თქმულების მაგალითზე გვაქვს კოლხური და იბერიული ვერსიები თავთავისი ვარიანტებით. კოლხური ვერსია იბერიულისაგან პირველყოვლისა ძირითადი პრობლემის — მიჯაჭვის თავისებური გადაწყვეტით გამოირჩევა.

აღმოსავლეთ საქართველოს ანუ იბერიულ ვერსიაში გმირის დამატყვევებელ ჯაჭვს გოშია ლოკავს და აწვრილებს, იგი დიდხუთშაბათს უნდა გაწყდეს, მაგრამ ამ დღეს მკედელი უბრად გრდემლს ჩაქუჩს სცემს და ჯაჭვიც მთელდება, პირველმდგომარეობას უბრუნდება. ასე რჩება ამირანი ყოველ წელიწადს მიჯაჭვული და გაუთავისუფლებელი. დასავლეთ საქართველოს ანუ კოლხურ ვერსიაში ამავე ეპიზოდს სხვაგვარი გადაწყვეტა აქვს. ჯაჭვი პალოზეა გამობმული, გმირი ეწევა მას. წლის ბოლოს რომ უნდა ამოაძროს, ამ დროს ბოლოქანქარა ჩიტი მოფრინდება და პალოს დააჯდება. ამირანს ჰგონია ამაგრებსო, უროს მოუქნევს, ჩიტი ვაასწრებს, პალო კი კვლავ ქვესკნელამდე ერჭობა. ეს მეორდება ყოველწლიურად და ამიტომ ღვთისურჩი გმირის გაათავისუფლებას ბოლო არ უჩანს. ამირანის ვერსიებს შორის სხვაგვარი განსხვავებანიც არის, მაგრამ აქ სანიმუშოდ მხოლოდ ერთზე მივუთითეთ. ამგვარად, ვერსიებს შორის განმასხვავებელი ნიშნები შედარებით მტკიცე და თანმიმდევრულია, თანაც სტრუქტურულ-კონცეფციური ხასიათის მქონე.

ლიტ.: Б. Путилов, Современная фольклористика и проблемы текстологии, «Русская лит-ра», № 4, 1963; Принципы текстологического изучения фольклора, 1966; М. Чпковани, Нар. груз. эпос о прикованном Амირани, М., 1966, გვ. 312.

მ. ჩიქოვანი

ვერხველის ბულა — ვერხველში მცხოვრები უძლეველი დევი, რომელიც კობალას დამარცხებას შეეცადა, მაგრამ მოკლულ იქნა. ვ. ბ.-ის მოსპობის შემდეგ დევებთან ბრძოლა გაადვილდა და ფწავ-სხესურეთის მიწა-წყალიც მალე გათავისუფლდა უწმინდურთაგან.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა IV, 1964, გვ. 79; თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები, 1967, გვ. 43.

მ. ჩიქოვანი

ვესელოვსკი ალექსანდრე ნაკოლოზის ძე (1839—1906) — რუსი ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი. თავდაპირველად მითოლოგიური სკოლის (ნ.) მიმდევარი, თუმცა ამ სკოლის ზოგიერთ კონცეფციას არ იზიარებდა. ა. ვ. მალე მიხვდა მითოლოგიური სკოლის შეცდომებს და მიემხრო ბენფეის სკოლას (ნ.). ა. ვ. პირველი დიდი ნაშრომი, რომელიც შედარებით-ისტორიული მეთოდის საფუძველზე შეიქმნა, იყო „სლავური თქმულება სოლომონისა და კიტოვრასის შესახებ და დასავლეთის ლეგენდები მეროლფსა და მერლინზე“ (Славянские сказания о Соломоне и Кимоврасе и западные легенды о Мерольфе и Мерлине, 1872 г.).

ა. ვ. დაუშვებლად მიაჩნდა ხალხური პოეტური შემოქმედების განვითარების დაყვანა მხოლოდ სესხებაზე და შექმნა ფოლკლორის „საყოფიერო და ფსიქოლოგიური საფუძვლების“ სინთეტური თეორია („სიუჟეტების პოეტიკა“ „Поэтика сюжетов“, 1897—1906), „სამი თავი ისტორიული პოეტიკიდან“ (Три главы из исторической поэтики“ 1899 და სხვ.).

ა. ვ. აღიარებდა აგრეთვე მოტივებისა და სიუჟეტების თვითჩასახვის თეორიას, რომელიც ანტროპოლოგიურ თეორიადაა ცნობილი და ე. ბ. ტეილორის სახელს უკავშირდება (ნ.).

ლიტ.: Веселовский А. Н., Собр. соч., т. 1—6, 8, 10, 16, 1908—1938; Изб. статьи. Вступ. ст. В. М. Жирмунского, коммент. М. П. Алексеева, Л., 1939; Историческая поэтика. Вступ. ст. и примеч. В. М. Жирмунского, Л., 1940; Гусев В. Е., А. Н. Веселовский и проблемы фольклористики, «Изв. АН СССР. ОЛЯ», т. 16, в. 2. 1957.

ნ. შამანაძე

ვეფხვი — ფოლკლორსა და ლიტერატურაში გავრცელებული ძლიერების სიმბოლო. მასთან შებმა და შერკინება ვაჟკაცობისა და სიმამაცის უმაღლესი გამოხატულებაა. მრავალ ხალხში არ-

სებობს ვეფხვის თემაზე შემუშავებული წეს-ჩვეულება, რაც ტოტემისტური წარმოდგენების გადმონაშთად ითვლება. ვეფხვის სახის პოეტიზაციას ქართულ ფოლკლორში რამდენიმე შესანიშნავი ნაწარმოები ეძღვნება, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბალადა ვეფხვისა და მოყმისა.

ლიტ.: მ. ჩიქვანი., ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 257. ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი. 1964, გვ. 27.

ნ. შამანაძე

„ვეფხვი და მოყმე“ — ხალხური ბალადა. პირვანდელი სახით შექმნილი უნდა იყოს შუა საუკუნეებში. უძველესი ჩანაწერები მცირე მოცულობისაა და გადმოგვცემენ მხოლოდ ვეფხვისა და მონადირის ბრძოლას, მათ ვაჟკაცურ დაღუპვას. მკვლევარები სწორედ ამ ვარიანტებს მიიჩნევენ ძირეულ ტექსტად. ბალადის მეორე ნაწილს, დედის გლოვას, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული პირველ ნაწილთან, გვიანდელ დანამატად თვლიან. „ვეფხვი და მოყმე“ მსმენელისა თუ მკითხველის გულს აჯადოებს როგორც ღრმა შინაარსით, ისე მაღალმხატვრულობით.

ლიტ.: ავ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1, 1931, გვ. 559; მ. ჩიქვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 268; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957, გვ. 35; გ. არაბული, ქართული ხალხური ბალადა „ვეფხვი და მოყმე“, „მნათობი“, 1956, № 11.

ნ. შამანაძე

ვეფხვის დატირება — მონადირეთა უძველესი ჩვეულება, ტოტემისტური რწმენის გადმონაშთი. ტექსტი ლექს-ფორმულების სახითაა შემორჩენილი. სრულდებოდა ფერხულით. ვეფხვს რამდენი ზოლიც ჰქონდა, იმდენი დატირება უნდა თქმულიყო. დატირების აზრი იმაშია, რომ მონადირე „ნანობს“ ნადირის მოკვლას, მის წინაშე „ბოდიშს“ იხდის.

ლიტ.: ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 27; მ. ჩიქვანი, ვეფხვის დატირება. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 257.

ნ. შამანაძე

ვეფხვისტყაოსნის ლექსები — შოთა რუსთაველის გენიალური პოემა-რომანი ღრმად ხალხური ნაწარმოებია. იგი საუკუნეების განმავლობაში სრულყოფილად გადმოსცემდა ქართველი კაცის ფსიქოლოგიასა და იდეალს. ამ ნიადაგზე რუსთაველის ლექსი შე-

იჭრა ფართო მასების ცნობიერებაში და დაიპყრო იგი. იდეალურ-მა სახეებმა, უებრო გმირობამ და ვაჟკაცურმა სულისკვეთებამ მო-ხიბლა ხალხი და მის მოთაყვანედ აქცია. რუსთაველი სრულად გადავიდა ხალხში: ლექსითაც და ცხოვრებითაც. ამით აიხსნება, რომ პოეტის პიროვნებაზე ათეულობით ლეგენდები და თქმულებებია შემონახული. რუსთაველის პოეზია ნათესავი; სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია ქართული ეროვნული პოეზიისა, მასთან ერთად ხალხური პოეზიისა. „ვეფხისტყაოსნის“ ათეულობით და ასეულობით სენტენცია-აფორიზმი, სტროფები და პასაჟები, ეპიზოდები და ნაკვეთები, ზოგჯერ მთელი ნაწარმოები დამკვიდრებულია ზეპირსიტყვიერებაში და ფოლკლორული ტრადიციის თანაბრად ტრიალებს მხატვრული სიტყვისმოყვარულთა შორის. შოთას მაღალი პოეტური ოსტატობა სალოცავი ხატი იყო სახალხო მგოსან-შემსრულებელთათვის, როგორც ძველი საბერძნეთის აედები და რაპსოდები საჯაროდ მღეროდნენ ჰომეროსის ლექსებს, ისე ქართველი მესტვირეები და მოშიარეები მთაში თუ ბარში რუსთაველის ლექსებით პაექრობდნენ და მღეროდნენ. რუსთაველის პოემის ცოდნა სასძლო-სასიძოთა შეფასების საზომი იყო. შემთხვევითი ფრაზა არაა რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებაში შოთას სახელით შესული აფორიზმი: „საქართველო სავეს არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს“. მართლაც, რუსთველურმა ლექსმა წიგნის თუ ზეპირი სიტყვის საშუალებით ყველგან შეაღო კარი, სადაც კი ქართველს ფენი დაუბიჯებია, და არა მარტო იქ! ბევრ შემთხვევაში ხალხის მიერ რუსთაველის პოეზია მიღებულ იქნა ტრადიციული პოეზიის თანაბრად და შემსრულებელთა თაობებმა მას ავტორის პიროვნება ჩამოაცილეს.

ამ დროიდან „ვეფხისტყაოსნის“ ლექსებმა ანონიმურად იწყეს გავრცელება, მიმოქცევა. აქედან წარმოსდგა რუსთაველის ლექსთა დიდძალი ვარიაციები და ვარიანტები. მრავალი მათგანი ხალხური ვეფხისტყაოსნის სიუჟეტურ ქსოვილშია მოქცეული და დღემდე ფოლკლორის საკუთრებას წარმოადგენს. მხოლოდ ერთი შაირი — „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ — ათზე მეტ ვარიანტად არის ფიქსირებული საქართველოს ყველა კუთხეში. მსგავსი შემთხვევები მასიურად დასტურდება პოეზიაში, პროზაში, მუსიკაში, პარემიოლოგიაში (ნ.), ფრაზეოლოგიაში, წესჩვეულებრიობაში. ვეფხისტყაოსნის ლექსების ფოლკლორში მასიური გავრცელება იმის კლასიკური ნიშნებია, თუ რა ეთილი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალურ პოეტს ეროვნულ შემოქმედებაზე.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966; И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, 1960.

მ. ჩიქოვანი

ვეშაბთმებრძოლობა — საერთაშორისო ფოლკლორული სიუჟეტი, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს ხალხების ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში. გველ-ვეშაპებს ებრძვიან როგორც სასულიერო, ისე საერო გმირები: ძველქართულ მწერლობაში — ძლევამოსილი მხედარი გიორგი კაპადოკიელი, თედორე სტრატელატი, დავით გარეჯელი; ფოლკლორში — ამირანი, ბადრი, უსიპი და სხვა ზღაპრული პერსონაჟები. ტერმინი „გველ-შაპი“ — „გველვეშაპი“ მე-13 საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში არ გვხვდება. უფრო ძველად იმავე მნიშვნელობით „დიდი გუელი“ ან „ვეშაპი“ იხმარებოდა. ამ უკანასკნელმა, ბიბლიის მიხედვით, იონა შთანთქა. ვეშაპი სინათლის მტერია, არ ინდობს ადამიანებს და სასმელ წყალს ეუფლება. ქართულ ზღაპრებში, თქმულებებსა და ლეგენდებში ვეშაბთმებრძოლობა მრავალფეროვნადაა დამუშავებული. სახელოვანი ჭაბუკები საშინელ გველვეშაპებს სპობენ. ამით ათავისუფლებენ მზეთუნახავებსა და მიტაცებულ წყალს. როგორც საბა ამბობს, ზოგან გველვეშაპი დევით შეუცვლიათ. სიუჟეტურ ფუნქციაში ეს ორი მითიური არსება ერთმანეთს ხშირად ენაცვლება. ვ. ყოველთვის ადამიანთა საკეთილდღეოდ ზრუნვას ნიშნავს. ასეთი საგმირო საქმის მოქმედი ან ღვთაებაა, ანდა დიდათ მამაცი რეალური პიროვნება, არაიშვიათად ბედნიერი უმცროსი ძმა. გენეზისის თვალსაზრისით, სიუჟეტს საფუძვლად უდევს წყლის ღვთაების კულტი. ზოგან მოწიფულ ქალს მდინარეზე „აქორწინებდნენ“, მსხვერპლად სწირავდენ წყლის ღვთაებას. სამსხვერპლოდ განწირულისათვის სიბრალულის გრძნობის წარმოშობის ნიადაგზე რეალური მსხვერპლი სიმბოლიურით (თოჯინით) შეიცვალა. მოგვიანებით ურჩხულისმძლეველთა საგმირო-რომანტიკული სიუჟეტი რელიგიური თვალსაზრისითაც გადამუშავდა (ჩინეთში — ბუდიზმი, საბერძნეთში — ქრისტიანობა). ქართული საერო მწერლობის ვეშაბთმებრძოლ გმირებს პროტოტიპები ეროვნულ სიტყვიერებაში მოეპოვებათ.

ლიტ.: კ. კვეციანი, წმიდა მხედარი. ეტიუდები, 1, 1945; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 360—97.

მ. ჩიქოვანი

ვეშაპი, გველეშაპი — ფანტასტიკური ზღაპრის პოპულარული პერსონაჟი. ავესტის ვიშაპაპ — შხამის მფრქვეველი. ძვ. ქართ. ძეგლებსა და აგიოგრაფიაში ურწმუნოებისა და წარმართობის სიმბოლო, მრავალთავიანი, პირცეცხლა. გაიგივებულია ეშმაკთან. ზღაპრებში ვ. ფუნქცია ბოროტია, იმ გამოწვევის გარდა, როცა დიდი თევზის სახე აქვს და კეთილ თვისებებს ამჟღავნებს. წყლის სტიქიასთან დაკავშირებული ვ. წარმოქმნის ან ეპატრონება ტბას, მდინარეს, ავიწროებს ხალხს და წყლის საფასურად ქალიშვილს თხოულობს. მიწისზედა ვ. შთანთქავს მზეს, მტრობს და ებრძვის კეთილ გმირებს. ქართულ ფოლკლორში გამოირჩევა თეთრი, წითელი და შავი ვეშაპი. ვ. სიუჟეტური ფუნქციები ხშირად დევზეა გადატანილი.

ლიტ.: Н. Марр, И. Смирнов, Виапаны, 1931, მ. ჩიქოვანი. მიჯაჭვული ამირანი, 1947, 88, 109; მისივე, ვეშაპთმებრძოლი გმირი და წმ. მხედარი, პუშკ. სახ. თბ. პედ. ინსტ. შრ., VII, 1949; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები, 1956, გვ. 238.

მ. ჩაჩავა

ვისრამიანი — ირანული წარმოშობის რომანი, რომელიც XII ს. ქართველი მთარგმნელის მეოხებით ორიგინალური ნაწარმოების დონემდე ამაღლდა. სტრუქტურული ანალიზი აჩვენებს, რომ ვ-ის სიუჟეტური მსგავსება აქვს ფრანგულ-კელტურ ტრისტან და იზოლდას რომანთან და ქართულ აბესალომ და ეთერის თქმულებასთან. საშუალო საუკუნეების სამ ერთმანეთისაგან დაცილებულ ქვეყანაში ერთნაირი მხატვრული მოვლენები წარმოიშვა, თითოეული საკუთარ ეროვნულ წანამძღვართა საფუძველზე.

ლიტ.: ვისრამიანი, 1962; ქართული ლიტ. ისტ., II, 1966; მ. ჩიქოვანი, საშუალო საუკუნეების სამი რომანი. „მაცნე“, 1968.

მ. ჩიქოვანი

ვიშნევსკი თედორე ვლადიმერის ძე — ქართული ხალხური ლექსების რუსულ ენაზე მთარგმნელი, მე-19 ს. მოღვაწე (ფსევდონიმი „ჩერნიგოვეცი“). დაიბადა 1850 წელს. მისი თარგმანები დაიბეჭდა „ნოვოე ობოზრენიეში“ (1888 წ. № 1421, 1427, 1433, 1441, 1448; 1890 წ. № 2120).

ლიტ.: Э. Арджеванидзе, Из истории русско-грузинских фольклористических отношений во второй половине XIX века. Труды Тб. гос. пед. Института им. А. С. Пушкина, X, 1957, გვ. 135—144.

ე. არჯევანიძე

ჯაქარია მესტვირე — ხალხური მომღერალი, ცხოვრობდა მე-18 ს მიწურულსა და მე-19 ს. დასაწყისში. მისი ხელოვნების ამბავი ერეკლე მეფესაც შეუტყვია და სასახლეში დაუბარებია. მეფეს დაუსაჩუქრებია. შემდეგ იმერეთში გადასულა და სოლომონ მეფის ჯილდოც მიუღია. შემონახულია ალ. ჯამბაყურ-ორბელიანის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ჩანაწერი.

ლიტ.: ა. ცანავა, ქართული მესტვირული პოეზია, 1953, გვ. 19—21; მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერების შესწავლის პრობლემა XIX ს-ში, ლიტ. ძიებანი, VI, გვ. 240—43, 1950.

ნ. შამანაძე

ზეზვაობა — 17 ს. სახალხო გმირის ზეზვა გაფრინდაულის პატივსაცემად 1959 წელს დაწესებული სახალხო დღეობა. იმართება ს. ქვემო ალვანეთში (ახმეტის რ-ნი) მაისის თვის ბოლო კვირადღეს. ტარდება სპორტული და კულტ-მასობრივი ღონისძიებანი, იხსენებენ და ასრულებენ ზეზვასა და სხვა გმირებზე არსებულ საგმირო გადმოცემებსა და სიმღერებს.

დ. გოგოჭური

ზეზვას ლურჯა — თუში ხალხური გმირის ზეზვა გაფრინდაულის ცხენი, იგი მრავალ ნაწარმოებში იხსენიება. კახეთის ვაკეზე, ალავერდსა და ალვანს შორის, ერთ-ერთი გაქენების დროს დაეცა და მოკვდა:

ალვანო, სიცხე გაწუხებს,
ალაზნისთაო — მტერია.
გაფრინდაულო, ლურჯაი
გავიორგულდა ცხენია.

ლიტ.: გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 426; ფ. არქ. კ. 6, გვ. 114.

დ. გოგოჭური

ზეპირგადმოცემა — ფოლკლორული ტრადიციის აღმნიშვნელი ტერმინი. ხალხური ნაწარმოებების დიდი უმრავლესობა ზეპირი გზით ვრცელდებოდა. გავრცელების ეს ფორმა თანაბრად ახასიათებდა რომელიც გნებავთ ჟანრს. როცა საუბარია ზეპირგადმოცემაზე, მხედველობაშია არაიმდენად კონკრეტული ჟანრი ან მისი ნიმუში, არამედ ფოლკლორულ ნაწარმოებთა მიწოდების

ფორმა, მსმენელამდე თუ შემკრებამდე მისვლის გზა. გარკვეულ შემთხვევაში ზ. ხალხურ პროზაულ ნაამბობს ნიშნავს ზღაპრის, თქმულების, ლეგენდის, მითის სახით. „მხოლოდ მთებში... მიუვალ ადგილებში ჭერ კიდევ შენახულია გაშაირება, ზღაპრები და ყოველგვარი ზეპირგადმოცემები დღესაც კიდევ ფეხმოკიდებულა. ცოდვას მათი დაკარგვა. მიშველება უნდა, ჭერ კიდევ მოსახერხებელია მათი მოგროვება“ (აკაკი).

ლიტ.: ა. წერეთელი, თხზ., XIV, 1961, გვ. 545.

მ. ჩიქოვანი

ზეპირი ლიტერატურა — ზეპირსიტყვიერების სინონიმი. ამ გამოთქმით იმას აღნიშნავს, რომ ხალხური სიტყვიერება ისეთივე მსატრული შემოქმედებაა, როგორც ლიტერატურა. განსხვავება არსებობის ფორმაშია — ერთს წერილობითი სახე აქვს, მეორეს — ზეპირსიტყვიერი.

მ. ჩიქოვანი

ზეპირი შეხსიერება — დიდმნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფენომენი, რომლის საშუალებით დავიწყებას არ ეძლევა მრავალსაუკუნოვანი ფოლკლორული მემკვიდრეობა. ზ. მ. შედარებითია, ზოგს იგი საოცრად განვითარებული და ტევადი აქვს. ხალხური შემოქმედების მატარებელთა შორის ბევრია ისეთი, რომელსაც ასეულობით ხალხური ნაწარმოები ახსოვს. ფოლკლორისტიკა იცნობს უმდიდრესი რეპერტუარის მქონე პირებს. კარგი მეხსიერების მქონე შემსრულებელთა შორის ჩვენი პრაქტიკიდან შეიძლება დავასახელოთ კახელი გიორგი მრელაშვილი, ხევსური გიგია ქისტაური, დუშელი არჩილი თაბორიძე, ახალციხელი ქიმბარა, ტოლოშელი აშული ექვთიმე დავლაშერიძე და სხვ. ზ. მ. მრავალმხრივ საინტერესო ფენომენს წარმოადგენს. მას საბჭოთა ფოლკლორისტიკები გულდასმით სწავლობენ.

ლიტ.: სახალხო მოქმედებები; I, 1956.

მ. ჩიქოვანი

ზეპირი სკოლა — ხალხურ შემსრულებელთა კადრების შექმნაში თვალსაჩინო როლს ასრულებს ოსტატ-შეგირდობა, რომელსაც ზეპირი სკოლა შეიძლება ეწოდოს. მესტიერებს, აშულებს, მომდერლებს ყმაწვილები ჰყავდათ მიბარებული, მსგავსად ღურგლების, კალატოზების, მეწაღეების თუ სხვა ხელოსნებისა. შეგირდი მასწავლებელთან 3—4 წელიწადს რჩებოდა უხელფასოდ, საოჯახო

საქმესაც ასრულებდა და საშემსრულებლო ხელოვნებასაც ეუფლებოდა (მესტირიობა, აშუღობა). რაქველ მესტირიებს, თბილისელ და მესხ აშუღებს მოწაფეები თან დაყავდათ, როცა საშემსრულებლო ტურნეზე მიემგზავრებოდნენ საქართველოში თუ მის გარეთ. ახალგაზრდა შეგირდი თანდათან ეუფლებოდა შესრულების ხელოვნებას, იმუშავებდა საკუთარ რეპერტუარს და სწავლების პერიოდის დამთავრების შემდეგ თვითონ იწყებდა დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, შესავალი, 1918; ა. ცანავა, ქართული მესტირიული პოეზია, 1953 მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერების შესწავლის პრობლემა, ლიტ. ძიებანი, VI, 1950; მ. სიივე, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966. გვ. 180—83.

მ. ჩიქოვანი

ზესკნელი — ზეცა, ზედა ქვეყანა. ქართველთა ტრადიციული წარმოდგენით სამყარო სამ ნაწილადაა გაყოფილი: ზესკნელი — ზეცა, ქვესკნელი — ქვეცა და გარესკნელი ანუ დედამიწის ზედაპირი, შუაცა. ზღაპრული ეპოსი 'სამივეს კარგად იცნობს. ფანტასტიკური გმირები ზეცასა და ქვესკნელში ისე თავისუფლად მოქმედებენ, როგორც დედამიწაზე. ზეცას, ზესკნელში მზის პირის ნაბანის — მკვდრის გამაცოცხლებელი წყლის მოსაპოვებლად მიდის ზღაპრის პერსონაჟი და მიზანსაც აღწევს. ქვესკნელში ჩაშვებულ გმირი ამარცხებს საშინელ ურჩხულებს და სამზერს ფასკუნჯის თუ არწივის დახმარებით უბრუნდება. ამ უძველეს ცნებებს ლიტერატურული ძეგლებიც აქტიურად იყენებს. ჩახრუხბაძე „აბდულმესიანში“ ამბობს:

აღმოსავლეთით და დასავლეთით,
სამხრით ჩრდილომდის კპოონ, საღ არი
ზესკნელ-ქვესკნელით და გარესკნელით,
ჯუანასკნელით უფსკრულთ საღარი? (3, 3—4).

საყურადღებოა, რომ ქვესკნელს ადამიანებთან დასახლებული, არსებობს სახელმწიფოები, მსგავსად გარესკნელისა, ზესკნელში კი ცის სხეულები და ზებუნებრივი არსებანი მოთავსებულან. ზესკნელ-ქვესკნელ-გარესკნელზე შემუშავებული წარმოდგენები ქართველთა მითოლოგიური სისტემის ნაწილია.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. ზღაპრები, I, 1938, შესავალი; დ. შენგელაია, სამი სკნელი. წერილები, 1955. ჩვენი საუნჯე, II, 1960.

მ. ჩიქოვანი

ზისერმანი არნოლდ — ეთნოგრაფი, მოღვაწეობდა კავკასიაში (1842—1866), გარდაიცვალა 1888 წ. მას ეკუთვნის თხუთმეტამდე ნარკვევი კავკასიის ხალხების შესახებ. ახლო გაეცნო ქართველ მთიელებს და გამოაქვეყნა საინტერესო წერილები ხევსურთა და ფშავთა ყოფა-ცხოვრებაზე: „Письма из Тионет“ („Кавказ“, 1848, № 6, 9), „Поездка в Шатиль“ (Кавказ“, 1847, № 18), „Из моих записок (К., 1846, № 22), „Очерки Хевсурии“ (К., 1851, № 20, 23, 24). აღსანიშნავია აგრეთვე ეთნოგრაფიული წერილები და გადმოცემები დაღესტნისა და ქისტეთის შესახებ: „Буба, лезгинская быль“ (К., 1846, № 44), „Черта дагестанских нравов“ (К., 1857, № 95), „Воспоминания о кистах“ (К., 1851, № 93, 94).

ე. არჯვანიძე

ზმა — ორაზროვანი სიტყვებისაგან შედგენილი გამოცანა-ლექსი. თამარ მეფის ისტორიკოსი ორჯერ ახსენებს მგოსანთა ზმობას: „იყო ზმა მგოსანთა“... „იყო სიძარული და ზმა მგოსანთა“. სულხან-საბას განმარტებით ზმა „ქმნასაც“ ნიშნავს და „იგავით გასაღიმებელსაც“.. დღეს ზმა, ჩვეულებრივ, კალამბურის მნიშვნელობით იხმარება. ზმა გავრცელებული იყო როგორც ლიტერატურაში, ასევე ფოლკლორში.

მალთ წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარო,
დამსველა მან თავიდან
ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო .

(აკაკი)

ჯ. ბარდაველიძე

ზმოზა — ზმის (ნ.), ზმათა თქმა. ენარობრივთა თავისებურების გამო, ზმა მოითხოვდა ახსნას. ამიტომ ზმოზა ერთგვარადპოეტურ შეჯიბრებადაც იქცეოდა ხოლმე.

ჯ. ბარდაველიძე

ზრუნი — სამგლოვიარო ბანი. ზ. „გოდების ბანი“ (საბა), „გოდების ბანი მოტირალთაგან“ (ნიკო: ჩუბინაშვილი). ძველი ტერმინი ზ., აღმნიშვნელი სამგლოვიარო ბანისა, შემორჩენილია მთარაჟაში. ისტორიის მანძილზე ტერმინი ზ. მიუღია ინდივიდუალური მოთქმის შინაარსიც. მთარაჟაში ტერმინი ზ. გამოყენებულია ინდივიდუალური მოთქმის აღმნიშვნელადაც. ტერმინ ზ-დან წარმოებულია ზმნა დააზრუნა. ამ ტერმინით სამგლოვიარო ტექს-

ტებსაც ასათაურებენ. მთარაქაში ზ-ით არის ცნობილი მრავალი სამგლოვიარო ლექსი, მათ შორის „ვახტანგ მეფე რომ კვდებოდაო“, „ჩენი დედა რომ კვდებოდაო“, „ვაი დედა და ვაი შვილო“.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, სამგლოვიარო ლექსები, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, 1960; მისივე, ხალხური ხელოვნების ისტორიიდან, „საბჭოთა ხელოვნება“, 1963, № 5.

ქ. სიხარულიძე

ზუმ-ზუმი — ხეცს. დაბალ ხმაზე კაფიობა, კაფიად. ღიღინი:

თავისად ზუმ-ზუმს დავიწყებ,
დარდი რომ დამაწვებისა.

(ქუთაისის მუზეუმი 641F—36)

დ. გოგოჭური

ზურაბი — ქართული ხალხური როსტომიანის (ნ.) პერსონაჟი. ამავე სახელწოდების პერსონაჟი ცნობილია „შაპ-ნამეში“.

ვ. მაკაბერიძე

ზღაპარი — ეპიკური, უმეტესად პროზაული სახის ჯადოსნური, სათავგადასავლო ან ყოფითი ხასიათის ხალხური მოთხრობა, რომლის საფუძველს მხატვრული გამონაგონი წარმოადგენს და გარკვეული სტილისტურ-კომპოზიციური თავისებურებებით ხასიათდება. ზღაპრის რამდენიმე ძირითადი სახეობა არსებობს: ჯადოსნური, ნოველისტური, ლეგენდარული და ცხოველთა ზღაპარი. ხალხური ზ. ზეპირი ტრადიციის შედეგია. საწყის ფორმას წარმოადგენს მოკლე თხრობა ადამიანის შესახებ. მითოსის (ნ.) საწინააღმდეგოდ, ზ-ბი მოგვითხრობენ არა ბუნების ძალთა და ადამიანთა ურთიერთობაზე, არამედ ცალკეული ადამიანის, გმირის შესახებ. აგვიწერენ ბუნების ძალებთან ან სოციალურ გარემოსთან ადამიანის კონფლიქტს. ზღაპრის მთავარი მოქმედი პირი ადამიანია. დროთა ვითარებაში, ზეპირი პროზის განვითარებასთან ერთად, ამგვარი პრიმიტიული თხრობიდან ყალიბდება ზღაპრის უანრი, რომელსაც ზეპირი ტრადიციით შეპარობებული ნიშნები გააჩნია: გალექსილი საწყისი და დამაბოლოებელი ფორმულები (ნ.), ეპიური განმეორებანი (ნ.), სამმაგობა (ნ.), ტრადიციული ფორმულები (ნ.), და სხვ. თავდაპირველ საფეხურზე ზღაპარი გამსჭვალულია მითოლოგიური წარმოდგენებით და ადამიანთა ურთიერთობის გამოსახატავად, ხშირად, მითის მიერ შემუ-

„შავებულ“ სახეებსა და მეტაფორებს ხმარობს. ზ-ში თანდათან იზრდება რეალისტური, ნოველისტური ელემენტები. ხალხური პროზის ბოლო საფეხური — ნოველა (ნ.) სავსებით რეალისტური ტიპის მოთხრობაა.

ზღაპარი ცხოველის შესახებ ზღაპრის ერთ-ერთი არქაული სახეობაა: აქ დიდი რაოდენობით გვხვდება უძველესი ტოტემისტური რწმენები და წარმოდგენები. იგავ-არაკთა (ნ.) საწინააღმდეგოდ, ცხოველური პერსონაჟები აქ არ წარმოდგენენ ადამიანის ალეგორიულ გამოხატულებას, არამედ მათი სახით რეალური ცხოველები იგულისხმება. აქ არ არის ჯერ გაცნობიერებული პრინციპული განსხვავება ადამიანსა და ბუნებას შორის, ცხოველები ადამიანთან გაიგივებულნი არიან. ც. ზ. ახლო დგას იმ პრიმიტიულ თხრობასთან, საიდანაც წარმოიშვა ზღაპრის ჟანრი. ქართულ ფოლკლორში ცხოველთა ზღაპრები მდიდრადაა წარმოდგენილი. ფიქსირებულია 90-მდე ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტი. აქედან ბევრი ორიგინალური ქართული ვარიაციითაა მოცემული. მთავარი პერსონაჟებია ადამიანი, მელა მგელი, დათვი, ჩიტო, მამალი, კატა, ძაღლი, ვირი და თხა. საზოგადოების შრომის განაწილებასა და სოციალურ დიფერენციაციასთან ერთად, იცვლება ზღაპრის რეალური ფუნქცია და სიუჟეტი. მთავარ თემას ეხლა წარმოდგენს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, სოციალური უთანასწორობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა. ასე იქმნება ახალი ტიპი ზღაპრისა — ჯადოსნური ზღაპარი. რომელიც თავის წარმოშობით გვაროვნული წყობის დაშლას და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ხანას უკავშირდება. ამ საფეხურზე ჯერ კიდევ ცოცხალია და ძლიერი, ძველი ტოტემისტური თუ მითოლოგიური რწმენანი და წარმოდგენები. ჯ. ზღაპარში დიდ როლს თამაშობენ ცხოველები. ე. წ. ჯადოსნური ზღაპრის გმირის ქომაგები (ნ.) მეტწილად ცხოველებია, რომელნიც ადამიანზე ძლიერნი, ბრძენი და ყოვლისშემძლენი არიან და შველიან მას გასაჭირში. უფრო გვიან ქომაგთა რიცხვში ადამიანებიც ჩნდებიან. ხშირად ზღაპარი ინარჩუნებს ადამიანის ცხოველიდან წარმომავლობის კვალს. ხელმწიფის შვილის ქომაგი დათვის შვილი, ირმის შვილი ან ერთ დღეს დაბადებული ვაჟი, ცხენი და ძაღლია. ჯადოსნური ზღაპრის მითიური წარმოშობის პერსონაჟები არიან: დევი, ქაჯი, ფერია, მინდორთ ბატონი ქალი, ავი ბებერი და სხვა მისთანანი. ქართული ჯ. ზღაპრის დამახასიათებელი პერსონაჟია მზეთუნახავი (ნ.). მიუხედავად ჭარბი მითიური

ელემენტებისა, ზღაპარი, როგორც ხალხური შემოქმედების წამყვანი პროზაული ჟანრი, მშრომელთა ინტერესების, მათი „მისწრაფებებისა და სურვილების“ ამსახველი და გამომხატველია (ლენინი). თანდათან ზღაპარი ახალი ტენდენციებისა და მისწრაფებების გამომხატველი ხდება. თითქმის დასრულებულია ძველ წარმოდგენათა განდევნის, გადამუშავების პროცესი. ჯადოსნური ელემენტების ადგილს ზოგჯერ ქრისტიანული ელემენტები იკვრენ. ასეთია მორალისტური (ნ.) ანუ ლეგენდარული ზღაპრები. თანდათან ზღაპრის გმირის სულ უფრო მეტი ინდივიდუალობის ნიშნებს ატარებს. ჯადოსნური თუ სასწაულებრივი ძალების მაგიურ გმირს საკუთარი მოსაზრება და ხერხი შველის მხოლოდ. სულ უფრო მძაფრდება ზღაპრის სოციალური მოტივები და რეალისტური ელემენტები. ზღაპართა ამ ჯგუფს რეალისტური ანუ ნოველისტური ტიპის ზღაპარს ვუწოდებთ. შემოდის ახალი პერსონაჟები: ვაჟარი, ნოქარი, გენერალი, ჯარისკაცი, მინისტრი. იცვლება ზღაპრის ფორმა და ზღაპარი უფრო მოკლე, ლაკონიური, ხდება. გამეორებებისაგან განიტვირთება და სულ უფრო უახლოვდება ჩვეულებრივ მოთხრობას. იქმნება ახალი ჟანრი ხალხური ნოველისა (ნ.).

პირველად ქართული ძეგლებიდან ბიბლიის თარგმანებში გვხვდება სიტყვა მუცლით მეზღაპრე (ნ.); არააობათა, ტყუილის თქმის მნიშვნელობით. იქვე იხსენიებიან „ზღაპარსიტყვადნი“, მითების მცოდნეთა, მეცნიერთა მნიშვნელობით. სიტყვა ზღაპარი გვხვდება ვეფხისტყაოსანშიც „გაუგონარ“, არაჩვეულებრივ, მოგონილ ამბავთა აღსანიშნავად: „ვით ზღაპარი ისე ესმის უბედობა თუნდა ბედი“. მითოსის მნიშვნელობით ხმარობს «ზღაპარს» ეფერემ მცირე (XI ს.). საბა სულხან ორბელიანი ზ. ასე განმარტავს: „ზღაპრობანი საწარმართონი საცრუოდ მოგონებულნი“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ზღაპარი, I, თბ., 1938; ქს. სიხარულიძე, ქართული ზღაპრის სოციალური ფუნქციისათვის. ლიტ. ძიებანი, II, 1944; ელ. ვირსალაძე, ზღაპარი. ხალხ. პოეტ. შემოქმ., II, თბ., 1968; ა. ლლონტი, ხალხური ნოველა, თბ., 1966; Савченко, Русская сказка, К., 1914; Померанцева Э. В., Русская сказка; Мелетинский Э. М., Герой волшебной сказки; Пропп В. Я Морфология сказки, 1959. მისივე. Исторические корни волшебной сказки, II. 1946.

ელ. ვირსალაძე

ზღაპარი გადამუშავებული — პოპულარული ან საბავშვო გამოცემისათვის დამუშავებული ზღაპარი. გადამუშავება უმეტესად

თხრობის ენას ეხება (ლექსიკა, ნაწილობრივ სინტაქსი), მაგრამ სააღმზრდელი მიზნით მხატვრულად დამუშავება ზოგჯერ რამდენიმე ვარიანტის შერწყმასაც გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია აღინიშნოს ტექსტის გადამუშავების ფაქტი.

ლიტ.: რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ვირსალაძის რედ., ტ. II, თბ., 1958, წინასიტყვაობა.

ელ. ვირსალაძე

ზღაპარი-გამოცანა — გამოცანების გამომცნობი მოხერხებული ადამიანის შესახებ ნოველისტური ზღაპარი. აქ დაბალი წრიდან გამოსული გმირი მიხვედრისა და დაკვირვების გასაოცარ უნარს იჩენს. სათანადო ნიმუშები ჩაწერილია ქართულ ენაზე მე-17 საუკუნიდან. იხ. („მოხუცი ღურგალი და მისი რძლები“, რჩ. ქართ. ხალხ. ზღ., 11, № 43; „ლობოს ქოთანი რომ ჩუხჩუხებს რას ამბობს“, რაზ. ქართლი, № 82; ა. ა. №№ 921, 922, 925, 926 და სხვ.).

ე. ვირსალაძე

ზღაპრის ბეგარა — ბეგარა, რომელსაც გლეხი მეზღაპრეობით უხდიდა ბატონს. აკაკი წერეთლის მოწმობით „ბატონყმობის დროს ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და შაირების მეტი არა ემართათ რა გადასახადი“. სვანეთში დამოწმებულია დადემქელიანების კარზე სპეციალური მეზღაპრის არსებობა. იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ქართლში (ღუშეთის 1939 წლის ექსპედიციის მასალები).

ლიტ.: ა. წერეთელი, განცხადებასავით, კვალი, 1895, № 6; ქს. სიხარულიძე. საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 243—244.

ე. ვირსალაძე

ზღაპრის დასასრული — ზღაპარი ტიპიური ფორმულირებითაა თავ-ბოლოგამაგრებული, თუ დასაწყისი ამბის შემზადებას, თხრობის გამართვს და გმირის გაცნობას ემსახურება, დასასრული, პირიქით, საწინააღმდეგო მიზანს ისახავს, ის მსმენელისადმი მიმართვას წარმოადგენს და თითქმის მუდამ ლექსის ფორმა აქვს. ქართული ზღაპარი დასასრულის რამდენიმე სახეს იცნობს. მათ შორის მთავარია: ა) ამბის მოწამეობითი დასასრული (ნიმუში „მელა-ეხლაც ცოცხალია და ჰლოცავს მეცხვარებს“). ცხოველთა ეპოსი დასასრულის ამ ტიპს მისდევს: იგი ჯადოსნურ ზღაპრებშიც გვხვდება, მაგრამ არა როგორც დამახასიათებელი მოვლენა. ამ-

ბის დალოცვითი დასასრული. მას მუდმივი, მყარ ფორმულა აქვს და ყველა ჟანრის ზღაპრებში გვხვდება. აი ისიც: „ქირი იქა, ლხინი აქა ($4+4=8$), ქატო იქა, ფქვილი აქა“ ($4+4=8$). ეს დასასრული მშვენიერად ამჟღავნებს ჟანრის მაგიურ ფუნქციას. გ) ამბის მოთხოვნითი დასასრულიც არაა იშვიათი მოვლენა, რომელშიც მეზღაპრე გასამრჯელოსა და ყურადღებას ითხოვს. „ყურადგელი წამოვაფრინე ($3+5=8$), შაბსა და ყინტორაშია ($3+5=8$), დამისხი, დამალეინე ($3+5=8$) თუ გიდგა ტიკპორაშია“ ($3+5=8$). დ) დალოცვითი ფორმულა ზღაპრის დაბოლოებაშიც გვხვდება: „მთას ურემი ავაშენე, წამოვიდა გორებითა, აქ სიცოცხლით გამიძეხით, საიქიოს ცხონებითა“. ე). ამბის დასასრულს წმინდა ლირიკული ხასიათიც შეიძლება ჰქონდეს, რაც მეზღაპრის არჩევანის დიაპაზონზე მიუთითებს. „კაცმა ისეთი უნდა სთქვას, შიგ ტყუილი არ ერიოს, უნდა ღმერთი მოიგონოს, კაცი რომ არ მოერიოს“ და სხვ. ზ). თხრობის დამამთავრებელ ფორმულებში ჟანრის ფანტასტიკური იერი თავისებურ გამოხატულებას პოულობს, მაგალითად, მეზღაპრეს შეუძლია განაცხადოს: გუში იქ ვიყავი და დღეს აქა ვარო. დასასრულის ფორმულა ზღაპრის მხატვრული კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტია და თუ რომელიმე ჩანაწერში იგი არ გვხვდება, ეს ჟანრის წესჩვეულებრიობის დარღვევის მაჩვენებელია მთქმელის მხრივ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, შესავალი, I, 1938.
მ. ჩიქოვანი

ზღაპრის დასაწყისი — ზღაპარს მტკიცედ შემუშავებული მხატვრული ფორმა ახასიათებს. ყველაზე უკეთ ეს მის ჯადოსნურ-ფანტასტიკურ ჟანრში ჩანს. ცხოველთა და საყოფაცხოვრებო ზღაპრები ამ მხრივ შედარებით მერყევია, ასეა თქმულება-ლეგენდებშიც. ზღაპრის მხატვრულ საშუალებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტიპიურ ფორმულებს, რომელთა საშუალებით გადმოიცემა ამბის დასაწყისი და დასასრული, მოგზაურობა, დიალოგი, ბრძოლა, ბუნების აღწერა, წყევლა, ჯადოქრობა... ამბის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულებში თავს იჩენს ქრისტიანობის გავლენა. აღრინდელ ეტაპზე ფორმულებს უფრო რეალისტური ხასიათი ჰქონდა.

ზღაპრის დასაწყისის ორ ძირითად ტიპს ვარჩევთ: თხრობით-რეალისტურს და რელიგიურ-ხოტბითს. თითოეულს თავისი ქვესახეები გააჩნია. თხრობითი-რეალისტური დასაწყისი ახასიათებს

ცხოველთა ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანეკდოტებს. მისი ქვესახეებია: თხრობითი კონკრეტული და თხრობითი აბსტრაქტული ფორმულები. ა) რეალისტური ტიპის თხრობითი-კონკრეტული დასაწყისის ნიმუშებია: „იყო ერთი მეღია“, „დათვი და მეღა დაძმობილდნენ“. ბ) რეალისტური-ტიპის თხრობითი-აბსტრაქტული დასაწყისია: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხიკაცი“... თხრობითი-რელიგიური დასაწყისიც ორ ქვესახეს გვაძლევს: ხოტბითსა და დალოცვითს: ა) თხრობითი-რელიგიური ტიპის ხოტბითი დასაწყისია: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთ ქალაქში ერთი მეთევზე“. ბ) თხრობითი-რელიგიური ტიპის დალოცვითი დასაწყისის მაგალითია: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მაგალოზელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო ერთი მდიდარი კაცი“. ზღაპრის დასაწყისის ტიპური ფორმულები ჩვეულებრივ პროზაული ფორმითაა გადმოცემული დაბეჭდილ ტექსტებში, თუმცა აგებულების მხრივ სუფთა ლექსს წარმოადგენს:

იყო და არა იყო რა (8) ,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა; (10)
იყო შაშვი მაგალობელი, (8),
ღმერთი თქვენი მწყალობელი (8)

ქართულ ზღაპარს საბოლოოდ ლექსის ფორმა არ მიუღია, თუმცა ზოგი მისი ნაწილი რიტმული პროზის ან ლექსის სახით არსებობს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი. ქართული ზღაპრები. შესავალი. ქართული ხალხური ზღაპრების პირველი ტომისა, 1938; ქ. სიხარულიძე. ნარკვევები, 1958; რჩეული ქართ. ხალხ. ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედ., 1949; იარომირ ივდლიჩკა, ქართული ხალხური ზღაპრების შესახებ, ბოლოსიტუციაზა წიგნისა: «Gruzinski narodni pohédki, პრაღა, 1949; ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველა, 1963.

მ. ჩიქოვანი

ზღაპრის თქმა — ზღაპრის მოყოლა, თხრობა, მეზღაპრეობა. ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო მოვლენას წარმოადგენს. ზღაპრის თქმას, სპეციალურ პირების გარდა, ყველა მოყვარული მისდევდა, ვისაც კი მხატვრული თხრობის უნარი ჰქონდა. ზღაპრებს ყვებოდნენ სახლშიც და ველზეც შესვენების დროს, სამწყემსურში ან მოგზაურობისას, თევზაობისას თუ წისქვილში საფქვავზე ყოფნისას... ზღაპრისადმი სიმპათიას ყველა ასაკის მსმენელები ამჟღავნებენ, მათ შორის განსაკუთრებით ბავშვები გამოირჩევიან. ამიტომაცაა პოპულარული „ბებიის ზღაპრები“. თავიანთ მეზღაპრე-

ებს გულთბილად იგონებდნენ გამოჩენილი მწერლები და პოეტები: პუშკინი, ტოლსტოი, გორკი, ილია, აკაკი, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა. ზოგჯერ წესად იყო, მაგალითად, კახეთში, ზღაპრების საღამოზე შეკრება და მორიგეობით ხალხურ მოთხრობათა მოსმენა. საუკეთესო მეზღაპრეებს საჩუქრებით ავიღლებდნენ. საჯარო თხრობას დიდი სოციალური და შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ცხოვრების გაცნობასთან ერთად იგი მსმენელებში ავითარებდა ფანტაზიას, ესთეტიკურ გრძნობას; აჩვენებდა თხრობასა და შემსრულებლობას; დიდად ამდიდრებდა მეტყველებას.

ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ფუნქციის გარდა ზღაპრის თხრობას სარწმუნოებრივი და მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ზღაპრის თქმაზე ტაბუ (ნ.) არსებობდა. არა ყოველ დროს და ყოველ გარემოში შეიძლებოდა მისი მოყოლა. აღმ. საქართველოში ხშირად გაიგონებდით, დღისით ზღაპრის თქმა არ ვარგაო. აქარელთა წარმოდგენით დღისით მეზღაპრეს ღამე საშინელი სიზმრები ექნებოდა. თუშეთში ქალებს ზ. თქმა აკრძალული ჰქონდათ. არც იმერეთში იტყოდნენ დღისით ზღაპარს. მსგავსი ჩვეულებანი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დასტურდება, განსაკუთრებით არააცივილიზებულ ხალხთა შორის. ტაბუს ზოგჯერ სეზონური ხასიათი აქვს და მესაქონლეობასთანაა დაკავშირებული (ლ. რინი). ზღაპარი ადამიანებთან ერთად სხვადასხვა სულებსაც იზიდავს. მოსალოდნელია ისინი მეზღაპრესთან მოგროვდნენ, თუ კარს ღიად დაეტოვებთ და ადამიანებსა და შინაურ ცხოველებს ავნონ. ზღაპრის თქმა სვანეთში წინაპართა სულების პატივისცემის რიტუალში შედის. „ლიფანლის“ (ნ.) დროს სულთა გასართობად ოჯახის უფროსი ზღაპრებსა და ძველებურ ამბებს მოუთხრობს. აშკარაა, ზ. თქმას მხოლოდ გართობის მიზნით არ მიმართავდნენ, მას გარკვეული კულტურულ-ისტორიული და მაგიურ-სარწმუნოებრივი დანიშნულება ჰქონდა. საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე ზ. თქმას ფოლკლორული ტრადიციის გამოხატვისა და გართობის ფუნქციადა შერჩა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ზღაპრის თქმის ჩვეულება საქართველოში, ხალხ. ზღ., I, 1938; მისივე, ქ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956; ქ. სიხარულიძე. ქართულ ზღაპრების სოციალური ფუნქციისათვის. ნარკვევები. 1958.

2. ჩიქოვანი

„ზღაპრობისა სიბრძნითა“ — გამოთქმა იოანე საბანის ძეს ეკუთვნის და გვხვდება VIII საუკ. მეორე ნახევრის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში შემდეგი სახით: „მაშინ დაუტევე მე პირველი

იგი კაცთა ქელოვნებითა შეთხზული შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაჲ და აწ შეუდგე მე ჰეშმარიტსა ქრისტესს (მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა სამებისა წმინდისასა) (აბოს წამება). „ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული“ ზღაპრის ქანრის გარკვეულ გაგებაზე მიგვითითებს. ცხადია, ზ. ქანრი ადრეც არსებობდა, მაგრამ ესაა მისი პირველი ხსენება ორიგინალურ ძეგლში. იოანე საბანიძე აბოს სიტყვებით ერთმანეთს უპირისპირებს მაჰმადიანურ და ქრისტიანულ რელიგიებს. პირველი ხელოვნურად შეთხზულია ზღაპრობის სიბრძნით, მეორე კი ნამდვილი ჰეშმარიტი მოძღვრებააო. ამნაირად ზღაპარი და ზღაპრობა ხალხურ ტრადიციას ასახავს. გარკვეულ პერიოდში ზღაპარი სინამდვილედაა მიჩნეული. VIII საუკ. ქართულ მწერლობაში ასეთი წარმოდგენა საკმაოდ შერყეულია, იგი ახლა მოგონილი ტყუილის თანაბრად იხსენება. აკი საბანის ძე მას ჰეშმარიტ მოძღვრებას უპირისპირებს! საბანისძის დროისა და საბა ორბელიანისეულ განმარტებას შორის წინააღმდეგობა არ ჩანს, საბას სიტყვით „ზღაპარი არის მოგონებული ტყუილი ამბავად შემქვერებული და არა ქმნილი მყოფობით“. სწორედ, მყოფობით არაქმნილი სიბრძნე აქვს მხედველობაში აბოს წამების ავტორს, როცა მაჰმადიანობას ახასიათებს. უნდა ვიფიქროთ, ქრისტიანობის მიღების პერიოდში ჩვენში ზღაპარი აღარ ატარებდა მართალი მოთხრობის გაგებას და მას მოგონებული ტყუილის, სიცრუის, ამბად შემქვერების სინონიმად იყენებდნენ. ი. საბანაძის ცნობა საყურადღებო საბუთთა ზღაპართმცოდნეობისათვის.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხ. ზღაპრები, I, შესავალი, 1938; მისივე, ზღაპარი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956; ელ. ვირსალაძე, „ზღაპარი“. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960.

მ. ჩიქოვანი

თ

თავდიდიშვილი როზა — საბჭოთა საბავშვო მწერალი. რამდენიმე საინტერესო კრებულის ავტორი. 1940 წელს გამოაქვეყნა „ეთნოგრაფიული ნარკვევი (ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფაცხოვრებიდან)“. ამ ნარკვევში ეთნოგრაფიული ცნობების პარალელურად უხვადაა მოტანილი ფოლკლორული ნიმუშები. წარმოდგენილია თითქმის ყველა ქანრი ქართველი ებრაელების ფოლკლორისა: საწესჩვეულებო, სატრფიალო, კალენდარული პოეზია, თქმულებები, გადმოცემები, ანდაზები, გამოცანები, დალოცვა, წყევლა.

თავისპირის ლექსი — საერთო ზომასა და რითმზე დამყარებული დიალოგური ლექსის ტრადიცია მთაში: როცა ორი მოლექსე პირისპირ ეჯიბრება ერთმანეთს და სალექსო სტრიქონებს გონება-მახვილურად აწყობს. ფშაური კაფიის შესაბამისი ხევისურული ტერმინი. პოეტურ შეჯიბრში ვინც უფრო აზრიანსა და გაგებულ ლექსს იტყვის ერთყუფზე გამარჯვებაც მას რჩება. მამა-შვილის შემღერნება-გალექსების ხევისურული ნიმუში ასეთია:

მამა: გიორგი შემომიმღერე, მამა ენაცლოს შეილსაო.
შვილი: ნეტავი ჩემო მამაო, არ მოსცდებოდე ძილსაო,
წახვიდოდ, დაიძინოდი, ლოგინს ნახავდი თბილსაო.

ხევისურეთი „თავისპირის ლექსს“ ზოგჯერ „თავისპირის სიმღერე“-საც უწოდებენ. თ. პ. ლექსი ანუ კაფია (ნ.) ლირიკული პოეზიის მნიშვნელოვანი ჟანრია, რომელიც ამჟამად აღმოს. საქართველოს მთიანეთშია გავრცელებული და ხანგრძლივი წარსული აქვს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია, ქართ-ფოლკლორი, I, II, 1964; ა. ცანავა, გალექსება-გაშიირება და ფშაური კაფია. 1964; ფშაური კაფია, 1969.

მ. ჩიქოვანი

თამადის დალოცვა — საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუში, რომელიც წარმოდგენილია სუფრული ლექს-სიმღერების სახით. თამადის დალოცვანი უფრო მეტად გამოიყენება ქორწილის დროს. აქ იგი მეფე-დედოფლის ქებას შეიცავს: გატოცხლოს და გადღეგრძელოს, როგორც აბრამი და სარა! გამრავლოს როგორც ზღვას თევზი, ცას ვარსკვლავი არ თუ კმარა!

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961; მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია. ქ. ფოლკლორი; I—II, 1964, გვ. 236.

ნ. შამანაძე

თამარაშვილი მიქელ (მიხეილ) (1858—1911) — ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა მესხეთში (ახალციხე), ხელმოკლე ოჯახში. დიდი გაჭირვების მიუხედავად, თავისი ნიჭისა და შრომისუნარიანობის წყალობით შესანიშნავი განათლება მიიღო. შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწალი თ. საქართველოს გარეთ გაატარა. თ. ბევრს მუშაობდა ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში, გატაცებული იყო ქართული მასალების შესწავლა-გადმოღებით. მისი წყალობით გახდა ცნობილი მე-17

საუკუნეში კათოლიკე-მისიონერის პატრი ბერნარდე ნეაპოლულის მიერ საქართველოში ჩაწერილი 12 ხალხური ზღაპრის ადგილსამყოფელი. აღნიშნული ხელნაწერი დაცულია კაპუცინთა ძველი მონასტრის Torre del Greco-ს არქივში (ნეაპოლი). თ. ორი ქართული ზღაპარიც გადმოუწერო. ამჟამად აღნიშნული ტექსტებზე მთლიანად გამოცემულია. თ. უმთავრესი გამოკვლევაა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“ (1902). თ. ტრაგიკულად დაიღუპა ადრიატიკის ზღვის სანაპირო სოფელ სანტა-მარინელში და იქვეა დასაფლავებული.

ლიტ.: ზ. კიკინაძე, ქართველ კათოლიკეთ პატარი მის. თამარაშვილი და მისი შრომანი, 1904; შოთა ლაშაძე, მიხეილ თამარაშვილი, 1964; ელ. ვირსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის, „ლიტერატურულ ძიებანი“, ტ. II, 1948; მ. ჩიქოვანი, მე-17 ს-ში ჩაწერილი ზღაპრები. „მრავალთავი“, 1964.

გ. ბარნოვი

თამარის ეპიტაფია — პირველი პირით ნათქვამი ხალხური ლექსი. მასში ასახულია თამარ მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. თ. ე. თავისებური პოეტური ხერხით, რეალისტურად და ნაწილობრივ ფანტასტიკურადაც წარმოსახულია თამარის დროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური აღორძინება. ეპიტაფია ასახავს თამარ მეფის მიერ გაჩაღებულ დიდ მშენებლობას. ზოგიერთ ვარიანტში კონტამინირებულია თამარის ქორწინების ლექსი („საქართველოს დედოფალი“). თ. ე. ჩაწერილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ლიტ.: ს. ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, 1943; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, 1961; ქს. ს. ნაოულაძე, ქართული ხალხური სავმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949.

ქს. სიხარულიძე.

თამარ მეფე — საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს მეთაური, ეროვნული გმირი. გამეფდა 1178 წ. გარდაიცვალა 1213 წ.

თ. მ. მოღვაწეობა ქართველი ხალხის პოეტური შემოქმედების ერთი ძირითადი თემაა. თამარის ძლევა მოსილება, მაღალგონიერება, კეთილშობილება, სილამაზე და სიდადე მრავალი ხერხით არის წარმოსახული ხალხურ ლექსებში, გადმოცემებში, თქმულებებსა და ლეგენდებში. თამარის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ამ ნაწარმოებებში ასახულია ე. წ. „ოქროს ხანის“ დიდი ისტორიუ-

ლი მოვლენები: შამქორის ომი, ბასიანის ომი, მრავალი ქვეყნისა და ქალაქის დახარკვა („ლეგენდა თამარზე“, „თამარს უამბო დედამა“). ხალხურ ნაწარმოებებში თამარი ზებუნებრივ არსებად არის წარმოდგენილი. ზოგჯერ მის პოეტურ სახეში შერწყმულია წარმართულ ღვთაებათა თვისებები. თამარი ზოგჯერ ამინდის მმართველია („შუქურ ვარსკვლავის შეპყრობა“). მას ახასიათებს მარადიული სიწმინდე („ლეგენდა თამარზე“, „თამარ მეფისთანა ლამაზი ქალი“). თ. მ. ციკლის ნაწარმოებებში საერთაშორისო მოტივებიც გვხვდება. თამარის სახელს უკავშირებენ უფრო ადრე შექმნილ ნაგებობებს, ციხე-სიმაგრეებს.

თამარის ლექსებს ასრულებდნენ საოჯახო ღვინისა თუ რიტუალურ ნადიმებზე. ამგვარი ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი საფერხულოა („ბრძანდება დამბადებელი“, „ქალო თამარ“, „თამარ მეფე და ხონთქარი“, „ო, სიხარულო თამარ დედოფალო“). ბევრი მათგანი დღემდეა ზეპირბრუნვაში.

ლიტ.: ს. ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, 1943; ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1961; ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, 1943.

ქს. სიხარულიძე

თასური — ხეცს. სუფრული სიმღერა, ლუდიანი თასის შეთავაზების დროს სათქმელი. 2—3 ტაეპიან სახოტბო ტექსტზე აგებული:

1:

სტუმრებო, სტუმრების მზესა,
უსტუმროდ არა ღვინია.
უსტუმროდ პური, სასმელი
მწარე ას, არა ტბილია.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხ. პოეზია, 1931, გვ. 199.

დ. გოგოჭური

თაყაიშვილი ექვთიმე (1863—1953) — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგოსი და ისტორიკოსი, არქეოლოგი, თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხური სიტყვიერების შეკრებასა და გამოცემას. მისი რედაქციით დაიბეჭდა „ხალხური სიტყვიერების“ ორი ტომი (1915—18), რომელთა მასალა ამოკრებილია ექვთიმესავე რედაქციით გამოცემულ „ძველი საქართველოს“ ოთხი წიგნიდან. დააარსა (1907) და იყო მუდმივი თავმჯდომარე საქართველოს საისტორიო-

საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ს.-ს. საზოგადოების მუშაობაში მონაწილეობდნენ ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე და სხვ. მისი ერთ-ერთი მიზანი ხალხური სიტყვიერების შეკრება იყო. ამის სახსრად აკაკი წერეთელმა საზოგადოებას უანდერძა მთელი თავისი ქონება. ე. თაყაიშვილმა შემოიკრიბა ზეპირსიტყვიერების გამოჩენილი მოამაგენი და ჩანაწერთა თვალსაჩინო კოლექცია შექმნა. ე. თ. შემკრებლობით მუშაობა პირადათაც აწარმოებდა. 1917 წლის მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციაში ყოფნის დროს ჩაუწერია დიდმნიშვნელოვანი ტექსტები. მასვე ეკუთვნის უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის ერთი ვარიანტის მოპოვება. მის არქივში (ხელნაწერების ინსტ-ი) ბევრი ფოლკლორისტულად საყურადღებო მასალა ინახება. გამოკვლეული აქვს ქართული მითოლოგია. გახსნა ადრე ხალხურად მიჩნეული დავით აღმაშენებლის ეპიტაფიის („როს ნაპარმაგევს“) ლიტერატურული წარმოშობა (ავტორი არსენ იყალთოელი). პირველმა აღწერა და ცნობაში მოიყვანა ბევრი ხალხური ნაწარმოებები, ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცული. ე. თ. ეკუთვნის აკაკი წერეთლის ფოლკლორისტულ მოღვაწეობის შესანიშნავი დახასიათება (1915).

ლიტ.: ე. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრომები, I, 1968; აკაკის ფონდი. ქართული ფოლკლორი, I—II, 1964; მ. ჩიქოვანი, ექ. თაყაიშვილი და ხალხური სიტყვიერება, საიუბ. კრებ. „აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი“, 1966.

მ. ჩიქოვანი

თებერვალი — წელიწადის მეორე თვე. წარმოსდგება ძველი რომაული დღესასწაულის „ფებრუასაგან“. ეს ლათინური სიტყვა ნიშნავს თხის ტყავის ღვედს, რომელსაც ქუჩაში გამოსული ქურუმები ათამაშებდნენ და გზაზე შემხვედრ ქალებს სცემდნენ. თ. ძველ ქართულში სარწყუნისად იწოდებოდა. ხალხურ სიტყვიერებაში წარმოდგენილია ქარიან და თოვლჭყაპიან თვედ, გაზაფხულის წინამორბედად:

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, ტ. IV, 1965 წ., გაზ. „სოფლის ცხოვრება, 1966, № 48.

ნ. შამანაძე

„თებრონე მიდის წყალზედა“ — შრომის სიმღერა, რომელიც სატრფიალო მოტივსაც შეიცავს. წინათ წყალს ზოგიერთ კუთხე-

ში შორიდან ეზიდებოდნენ. წყლის მზიდავები სიმღერით იმსუბუქებდნენ შრომას. „თებრონე“ კოლექტიურად სრულდებოდა. სიმღერის რიტმი კარგად გამოხატავს მხარეზე კოკაშედგმულ ქალთა რონინს.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961; თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963; გვ. 123.

6. შამანაძე

თევდორე მღვდელი — სოფლის ეკლესიის მსახური. მანგლისიდან ცხირეთს მიმავალ თათარხანის ლაშქარს გზა აუბნია. ამით ისარგებლა ქართველთა მხედრობამ და საბრძოლველად მომზადება მოასწრო. მტერმა თევდორე წამებით მოკლა, ქართლი კი აოხრებას გადაარჩა.

ლიტ.: ი. თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1939., გვ. 7; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 281.

6. შამანაძე

თეთრი გიორგი — წმინდა გიორგი, წარმართული პანთეონის ძლიერი ღვთაების — მთვარის შემცვლელი. გიორგის კულტი ფართოდაა ასახული პოეზიაში, საგალობლებსა და რიტუალში. თეთრი გიორგობას აწყურში (კახეთში) 14 აგვისტოს დღესასწაულობდნენ. ღამისთევავზე მოდიოდნენ ქართლ-კახეთიდან და თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან. ქრისტიანულ წესთან ერთად აქ სრულდებოდა წარმართული კულტმსახურება, შესაწირავი კურატებითა და ცხვრებით. მონა ქალები ცეკვავდნენ, მისნობდნენ, თეთრად ჩაცმულნი ეკლესიას ირგვლივ უვლიდნენ და გალობდნენ. გიორგის სახელობაზე საქართველოში იმდენი სალოცავი არსებობდა, რამდენიც დღეა წელიწადში. მითებისა და ლეგენდების მიხედვით გ. ადამიანთა მეგობარია, მხარში უდგას გაჭირვებულსა და ჩაგრულს. ქომაგი და შუამდგეია მორიგე ღმერთთან. გიორგის მოსავლიანობის, გამრავლების, ბარაქის მომატების საქმე ეკითხება. ქორბელელას (ნ.) სასიმღერო ლექსში ნათქვამია:

დღესამ დღეობა ვისია? წმინდისა გიორგისია.

ყმათაღ უმატე გიორგი, თუ გინდან მოსახელენი.

პურსალ უმატე გიორგი, თუ გინდან კოდნი საესენი,

ცხვარსალ უმატე გიორგი, თუ გინდან რქა-ჯავრიანნი.

სახელგანთქმული იყო ხანმატის გიორგის ჭვარი, რომელიც ქაჯებს ებრძოდა და წინ უძლოდა მრევლს ლაშქრობის დროს. ლაშარის გიორგის სახელზე ფშავლები ფერხულში მღეროდნენ:

ბერო გიორგი მეც ვეყავ, ცას ვები ოქროს შიბითა,
გორაზე მედგა ბერმუხა, ზედ ავიდოდი კიბითა. . .

ძველ ლიტერატურულ ძეგლებში გიორგი ვეშაბთმებრძოლია, ქრისტიანობისათვის თავდადებული და მისთვის წამებული. ვეშაბთმებრძოლობა გიორგიმ მითოლოგიური და საზღაპრო ეპოსიდან მიიღო მემკვიდრეობით. ქართველთა წარმოდგენაში გიორგის სახელს წარმართობასთან ბრძოლის ეპოპეაც უკავშირდება, თუმცა ამ მხატვრული სახის წინამძღვრები სწორედ წარმართულ სიტყვიერებაშია.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტორია, I, 1951; კ. კიკელიძე, წმინდა მხედარი, ეტიუდები, II, 1959; მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, I, 1938; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. 1971: ხალხური სიტყვიერება, III, 1953; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972. В. Бардавелидзе, Древние и новые религиозные верования, 1957.

მ. ჩიქოვანი

თეთრი მოზვერი — 1. დღის სიმბოლო ღამესთან დასაპირისპირებლად. იხმარება უფრო გამოცანებში: „მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი“. 2. ხატისათვის შესაწირი კურატი, შემწირავის დიდ ცოდვათა მონანიების მიზნით: „მოვგვარე ლაშარის ჯვარსა თეთრი ქორაი კარია“ (ნახ. შავი მოზვერი).

ლიტ.: ევა-ფშაველა, თხზ., ტ. V, გვ. 52, 1961; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 310.

დ. გოგოჭური

თექვსმეტმარცვლიანი შაირი — შაირის (ნ.) სახეობა. ქართული ხალხური ლექსის უძველესი და ყველაზე გავრცელებული საზომი. ტერფების განლაგების მიხედვით განარჩევენ თექვსმეტმარცვლიან დაბალსა (ნ.) და მაღალ (ნ.) შაირს. რითმა სავალდებულოა ყოველი ტაქტის შემდეგ. ურითმო თექვსმეტმარცვლიანი შაირი ფოლკლორში შემონახული არ არის.

თექვსმეტმარცვლიანი შაირის ნიმუშები:
შატილს გადიღდა ხოხობი, გულდინჯად დაჯდა კარზედა,
დაზარდა შვიდი წიწილი არწივის ნაბუღარზედა.

ლიტ.: ს. გორგაძე, ქართული ლექსი, 1930; პ. ბერაძე, პეგზამეტრი და გრძელშაირის ლექსი. „ლიტ. საქართველო“, 1941, № 20; ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსის საზომები (შაირი და ფისტიკაური), „ქართული ფოლკლორი“, I, II, 1964.

ჯ. ბარდაველიძე

თვალვა — ხევის მოთქმით ტირილის ერთ-ერთი სახე, უმეტესად მიცვალებულის მახლობელი არანხითმოტირალი ქალები ასრულებენ. მეტრით ხმითნატირლისასა ჰგავს: ცხრა მარცვალს (5+4) ზოგჯერ ერთვის პროსოდიული „ო“ და ხმითნატირლისაგან განსხვავებით ემატება რეფრენი ფრაზა ან მიცვალებულის სახელი, თუ ეპითეტი მიმართვის ფორმით.

ლიტ.: ალ. ჭინკარაული, ხეესურულის თავისებურებანი, 1960, ვ. 435.
დ. გოგოქური

„თვეების გაბაასება“ — გაბაასების უნარის შესანიშნავი ნიმუში, რომელშიც 12-ვე თვე მონაწილეობს. ლექსი - ვრცელია და დრამატიზებული, დიალოგურ პრინციპზე აგებული. თ. გ. ფარსოდაა გავრცელებული, იგი სანახაობრივი შესრულებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. გაბაასების მონაწილეთა გამოსვლა ახალი წლით იწყება, როცა ძველი უკვე გასტუმრებულია და ყველა ახალ წელს შეხარის.

იანვარი გვესტუმრა ახალ წელიწად დილას,
მასინძელს კარგად იამა, სტუმრებსაც მოულ ხენსა.
ძველ ანგარიშს მოუყობა იმ ქრისტეშობითეესა,
ანჰარიშებს დაურიგებს დღესასწაულის წელსა.

თვეების „ქება“ მართლაც ერთგვარ ანგარიშს წარმოადგენს, თუ რომელმა რით გამოიჩინა თავი და რას მოელის მომავალში. საჯაროდ სცენაზე გამოსულთა თვითდახასიათება და კამათი თიოთიეულის სახეს რელიეფურად აჩვენებს. ხალხური ლექსის მიხედვით მსმენელებს შეუძლიათ წინასწარ განსჭვრიტონ რაა მოსალოდნელი მომავალ თვეში და შესაბამისადაც აუღონ ალღო. თვეების გაბაასება წლის დროთა პეჭრობასა და ცისა და ქვეყნის-გასაუბრებანს ეხმარება. ნიმუშები საქართველოს ყველა კუთხეშია შეკრებილი.

ლიტ.: ბ. უმიაშვილი, ხალხ. სიტყვ., I, 1964; ვ. კოტეტოშვილი, ხალხური პოეზია, 1961; მ. ჩიქოვანი, ქ. ხ. სიტყვ. ისტ., 1956, „გაბაასება“; ხალხური სიბრძნე, IV, 1965.

მ. ჩიქოვანი

თვითჩამწერი — ეწოდება იმ პირს, ვინც საკუთარ ტრადიციულ რეპერტუარს თვითონვე ჩაწერს მეხსიერების კვალობაზე. თ. ჩალხური სიტყვიერების მოყვარულია, ვის მეხსიერებაშიც დროთა განმავლობაში აღბეჭდილია პოეტური და პროზაული ნაწარმო-

ებები. რადგან ასეთი პირები ხშირად წ/კ მშვენიერად ფლობენ, საკუთარი ფოლკლორული მარაგის ფიქსაციასაც თვითონ ახდენენ. შემკრებლობის პრაქტიკაში ეს თავისებური მოვლენაა და აღსანიშნავად შესაფერისი ტერმინიც სჭირდება. თვითჩაწერილი ტექსტების ბოლოს ისე უნდა აღინიშნოს შემკრებლობითი ხასიათის ცნობები, როგორც ჩვეულებრივ. თვითჩაწერლობა აფართოვებს ფოლკლორის შემკრებთა კონტიგენტს; ხელს უწყობს ფართო მასების ჩაბმას კულტურულ-მასობრივ მოძრაობაში ეროვნული საუნჯის დაცვის მიზნით.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, როგორ შევეკრიბოთ ზეპირსიტყვიერება, კომუნისტი, № 18, 1962; მისივე, საშვილიშვილო საქმე, სოფლის ცხოვრება, № 161, 1960.

მ. ჩიქოვანი

თიბვის სამშაბათი — ხევს., კალენდარული დღე. ტარდება იკლისის მეორე ნახევარში, სამშაბათობით: ახალი გარდაცვლილის ოჯახი აწყობს მოსაგონარ სუფრას. მიცვალებულის სულის მოხსენიების შემდეგ, მოსახლეობა იწყებს თიბვას. ხშირად გვხვდება მთიბლურ სიმღერებში.

ლიტ.: ქართული ფოლკლორი, ტ. I—II, 1964, გვ. 233; მიმომხილველი, II, 1951, გვ. 427.

დ. გოგოჭური

თიკუნი — ფსევდონიმი, გამოცვლილი სახელი, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ხევსურ და საზოგადოდ მთიელი მელექსეებისთვის. ზოგი მელექსე რამდენიმე თიკუნითაა ცნობილი.

სახელად თამარი მქვიან,
ეგრე თიკუნად — ლეღა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 172; დ. გოგოჭური, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964, გვ. 273.

დ. გოგოჭური

თილისძე გორგი — თუში სახალხო გმირი (XVIII.), მონაწილეობდა ერეკლეს ბრძოლებში. წინამძღვრობდა თუშთა ლაშქარს. ადრევე თავს დასხმია ფშავს. აუოხრებია სოფ. ხოშარა („დასწვი, დასდაგე ხოშარა, ცამდე აუშვი ალია“). მომდევნო ბრძოლაში თუშები დამარცხებულან და თ-ს სახატო ზავი დაუდვია ლაშარში. ზავის შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურეთში შექმნილია ის საგმირო-სახოტბო ლექსები და თქმულებები, რომლებშიც ასახულია თ-ს მედგარი ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., 5, 1961, გვ. 51; ქს. სიხარულიძე, ქართ. ხალხ. საისტორიო სიტყვიერება, II, გვ. 125; 1964.

დ. გოგოჭური

თინიბეჭაურთ ციხე — ციხე-კოშკი ს. ბაცალიგოში (ხევის), რომელთან დაკავშირებულია საისტორიო გადმოცემები და საგმირო-სამონადირო სიმღერები.

თინიბეჭაურთ ციხესა
კუთხი მარჯვენა სქდებისა,
თავს აზის შავი ყვარანი,
გველი ლიბუჩი ძვრებისა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, 1961, გვ. 343; ა. შანიძე, ხალხური პოეზია 1931, გვ. 555.

დ. გოგოჭური

თომაშვილი (ოყრეშიძე) დომენტი თომას ძე (1876—1952) — პოეტი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი. ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს ბეჭდავდა „აკაკის კრებულში“ (1897). მისი შეკრებილი მასალა ძირითადად იმერეთის ერთი სოფლის-პოლევის ზეპირსიტყვიერებას გვამცნობს. ზღაპრების, ანეგდოტების, თქმულებებისა და პოეზიის ნიმუშებთან ერთად „კრებულში“ ეთნოგრაფიული მასალაც აქვს გამოქვეყნებული. ფოლკლორული ტრადიცია ასაზრდოებს თ. ზოგიერთ ორიგინალურ ნაწარმოებს.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, ტ. II, 1955; ლ. ბერძენიშვილი, დომენტი თომაშვილის ფოლკლორისტულ მოღვაწეობა, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში: 1970, № 1.

ფ. ზანდუკელი

თორღვა — სახალხო გმირი, რომელიდაც მეფის უკანონო შვილი ხევსურ ქალთან. დიდი სახელი მოუხვეჭია თუშეთისა და ხევსურეთის მაობრებელი ლეკი ვაზუზის (ვაჟუსძის) დამარცხებით. ციხეები აუშენებია ხევსურეთსა (ს. მუცო) და თუშეთში (ს. ხახაბო); მკიდრო ურთიერთობა ჰქონია „კახეთის ბატონთან“ (მეფესთან). ფშავლებისთვის დაუდგია ხარკი (ბეგარა), რის გამო ფშაველ ჩოთას მოუკლავს. თ-ზე არსებულ ზოგიერთ გადმოცემასა და სიმღერას სხვა სიუჟეტებთან კონტამინაციის კვალი ეტყობა.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 342.

დ. გოგოჭური

თრიალეთური ვერცხლის თასი — არქეოლოგიური გათხრების დროს (1936—40) ნაპოვნი ვერცხლის თასი, რომელზეც მონადირეთა დღესასწაულია რელიეფურად წარმოდგენილი. თასი, ძვ. წ. აღრ. II ათასწლეულის დასაწყისი პერიოდით თარიღდება და ადგილობრივ ნაკეთობას წარმოადგენს. კომპოზიციები შესრულებულია მაღალი გემოვნებითა და მითოლოგიის კარგი ცოდნით. თასის ზედა ნაწილზე ერთი მწკრივად გამოხატულია ადამიანის 23 ფიგურა, სასმისით ხელში, ტახტზე მჯდომარე პერსონისაყენ პროცესიად მიმავალი. თითოეული ფიგურა, მათ შორის ტახტზე მყოფიც, ნიღაბშია. სასმისის ქვემო ფრიზზე 9 ხარ-ირმისა და ფურ-რმის მსვლელობაა გადმოცემული. ხარ-ირმებს დატოტვილი რქები აქვს. მთელი კომპოზიცია მონადირეთა საახალწლო წეს-ჩვეულებას გადმოგვცემს. ერთნაირად გამოწყობილი — ერთ ტოტემზე მიკუთვნებული მონადირეები უახლოვდებიან ნადირობის ქალღმერთს და დამწყალობებას ითხოვენ. ნადირთა მწყემსი ლოცავს მახვეწართ და ნადირობის ბედს აძლევს — ირმებით ასაჩუქრებს. თასზე ადგილობრივი ოსტატის მიერ გადმოცემულია ისეთი მითოლოგიური წარმოდგენები, რომელთა ანარეკლი თავს იჩენს ამირანის თქმულებაში. საბრძანისზე მსხდომი ღვთაება მატრიარქატის დროინდელი ნადირთა მწყემსია, სვანეთში დღემდე დალის სახელს რომ ატარებს და ამირანის დედად ითვლება. ექვსი ავტორის „საქართველოს ისტორიის“ 1958 წლის გამოცემაში აღნიშნულია: „საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ, უკვე ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ნივთზე (მაგალითად, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანულ სამარხებში ნაპოვნი ვერცხლის სარწყული და ვერცხლის თასი, სამთავროში (მცხეთა) ნაპოვნი გვიანბრინჯაოს ხანის სარტყელი, სტეფანწმინდაში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის მცირე ქანდაკებები) მოცემულ გამოხატულებებში მეცნიერები არჩევენ ამირანის ეპოსის ცალკეულ მოტივებს“. ვერცხლის თასი და მისი მომდევნო დროის ნივთიერი კულტურის ძეგლები ადასტურებენ, რომ იმ შორეულ წარსულში ჩვენში საკმაოდ გამოკვეთილი დარგობრივი მითოლოგია არსებობდა თავისი რიტუალით, რამაც ასახვა პოეზია ჭედურ ხელოვნებაში და ეპოსში.

ლიტ.: Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, 1941; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1944; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭველი ამირან, 1947; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, პ. რატანი — საქართველოს ისტორია, I, 1958; ალ. დლონტი, მიჯაჭველი გმირის პრობლემა ქართულ ეპოსში, საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, I, 1960.

მ. ჩიქოვანი

თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე (1854—1920) — გიმნაზიაში ყოფნისას (1868—1871), და უფრო ადრეც, უშვებდა ხელნაწერ ჟურნალებს: „კოკორი“, „შრომა“ და სხვა, სადაც სალიტერატურო მასალასთან ერთად ათავსებდა მის მიერ შეკრებილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. განსაკუთრებით საყურადღებოა „არსენას ლექსი“. 1871 წ. ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტში გამგზავრებამდე მთელი მასალა გადაუცია პ. უმიკაშვილისათვის და ამჟამად დაცულია უკანასკნელის კოლექციაში.

ლიტ.: ხელნაწერთა ინსტიტუტი, თუმანიშვილის ფონდი; ფ. არქ. უმიკაშვილის კოლექცია. ხელთუბნელი მ., წარულიდან, 1938; ვ. მაკაბერიძე, გ. თუმანიშვილის ფოლკლორული ჩანაწერები. ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს IX კონფერენციის თეზისები, გვ. 25—26.

ვ. მაკაბერიძე

თურდოსპირელი (ჩხეიძე) დავით ანდუყაფარის ძე (1888—1948) — მწერალი, ფოლკლორის შემკრები. ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ხშირად აქვეყნებდა (ე. „დროშა“). მისი ჩანაწერები იხანება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. 1935 წ. გამოსცა ანდაზების კრებული, სადაც ნიმუშები დალაგებულია ანბანურ წესზე.

ლიტ.: „ქართული ანდაზები“, შედგენილი დ. თურდოსპირელისა და ე. გარბინიძის მიერ, 1935; ვ. დონდუა, «Русинские пословицы», რეცენზია, «Русский фольклор», 1936 г., № 4—5; ე. „დროშა“, 1926, № 6—7; „ლიტ. და ხელოვნება“, 1948, 26 დეკემბერი; „კომუნისტი“, 1948 წ. 26 დეკემბერი; სახ. განათლება“, 1949, 1 იანვარი.

ფ. ზანდუკელი

თქმა — ფართო გაგებით, ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების წარმოთქმასაც ნიშნავს და სიმღერით შესრულებასაც. ტერმინი დადასტურებულია ძველ წერილობით და ფოლკლორულ ძეგლებში („...ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“... — რუსთ., „თქმა იყოს და გაგონება“, — ხალხ.). თქმა ფოლკლორული შემოქმედებითი პროცესის (ნ.) უძირითადესი მომენტია. იგი გულისხმობს არა მარტო უკვე შექმნილი ნაწარმოების გადმოცემას, არამედ ახლის შექმნასაც, თქმა ყოველთვის შეიცავს იმპროვიზაციის (ნ.) ელემენტს.

ფოლკლორულ ყოფაში თქმა გარკვეულ შეზღუდვასაც განიცდიდა. ასე, მაგალითად, დღისით, ან წლის გარკვეულ დროს (განსაკუთრებით ზაფხულში) არ შეიძლებოდა ზღაპრის თქმა. ასეთივე ტაბუ (ნ.) ჰქონდა დადებული მაგიური ნაწარმოებების თქმასაც.

კ. ბარდაველიძე

თქმულება — რეალისტური ხასიათის მოკლე ზეპირი მოთხრობა. თემატიკის მხრივ მრავალფეროვანი და ამოუწურავია: თ. წარმოშობით უძველეს ფოლკლორულ ჟანრთა წყებას ეკუთვნის. იგი მითის პარალელურად ვითარდებოდა და თანდათან ამდიდრებდა ადამიანის ცნობიერებას მოვლენების თავისებური ახსნითა და თავგადასავალთა უჩვეულო ხასიათით. ზოგჯერ თქმულება ეპოსის ფორმას იღებს და ფართო მასშტაბის იდეალურ გმირებს ქმნის. უძველესი ქართ. თქმულებები საგვარეულო-ტომობრივ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა. თქმ. ჯერ ოჯახის, გვარის, თემის, ტომის გამოჩენილ ადამიანთა მამაცობაზე მოგვითხრობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობაში, სხვა ტომთა თავდასხმების მოგერიების თუ ბუნების მკაცრ სტიქიურ ძალებთან შეჭიდების მხრივ. ყოველგვარი მნიშვნელოვანი, პიროვნებისა თუ კოლექტივის ცხოვრებაში, შეიძლება თქმულების საბაზად ქცეულიყო. თქ. ყოველდღიურად ჩნდება და ასევე ქრება, როგორც კი მისდამი საზოგადოებრივი ინტერესი იწყებს განელებას. უნდა ვაყარჩიოთ ლოკალური და საერთო ეროვნული თქმულებები. თი-სოეული მხატვრული მოვლენაა, მაგრამ გავრცელების დიაპაზონით განსხვავდებიან ურთიერთისაგან. იმ თქმულებებს, რომელთაც ეპოსის დონემდე მიუღწევიათ, აქ არ განვიხილავთ (ამირანიანი, ეთერიანი, როსტომიანი, ტარიელიანი). უწინ, საშუალო საუკუნეებში და უფრო ადრე, თქმულებას ამბავი (ნ.) ეწოდებოდა.

მრავალფეროვნებისა და სიუხვის გამო საჭიროა თქმულებათა დაჯგუფება. ქართული მასალის მიხედვით ჟანრში შემდეგი ჯგუფები შეიძლება გამოიყოს: ა. ისტორიული, ბ. საწესჩვეულებო, გ. სოციალური, დ. ტოპონიმიკური, ე. პიდრონიმური, ვ. ეთნონიმიკური, ზ. ეტიოლოგიური, თ. მუსიკალური. თქ. ფორმა პროზაულია, მაგრამ ლექსითაც შეიძლება გადმოიცეს, ლექსნარევი ვარიანტებიც არაა იშვიათი.

ისტორიული თქ. ისტორიულ მოვლენებსა და პირებს შეეხება, მათ საარაკო თავგადასავალსა და პატრიოტულ მოქმედებას გვაცნობს, ომებსა და თავდასხმებს აგვიწერს, მტკვრის უკუგდებას გვიჩვენებს („დარუბანდის კარები“, „ბახტრიონის აღება“, „სამასი არაგველი“). საწესჩვეულებო ცერემონიალთან დაკავშირებული თქმულება მაშინ ჩნდება, როცა ამა თუ იმ საჯარო შეკრებილობაში რაიმე ღირსახსოვარი ამბავი მოხდება („ოჩხარი“, „მამუკა ქალუნდაურის ხმალი“, „ერეკლეს მასპინძელი“). სოცია-

ლური თქმულებები კლასთა ბრძოლასა და ბატონყმურ ურთიერ-
 თობას ასახავს. სხვათა მსგავსად მისი ნიმუშებიც მრავალია, აქ
 'რამდენიმეს დავასახელებთ („მაია წყნეთელი“, „უშგულელთა შუ-
 რისძიება“, „თამრო ვაშლოვანელი“, „არეშიძეების გაწყვეტა“).
 ტოპონიმიკური თქ. გეოგრაფიული ადგილებისა და სახელების შექ-
 მნის პროცესში გვახედებს („თბილისის დაარსება“, „რატიმ
 ჰქვია ვარძია“, „გაწყვეტილი“, „ჩაძინებული“, „მონადირე“,
 „ქალქვა“), ჰიდრონომური თქ. სხვადასხვა მდინარების, ტბების,
 წყაროების ისტორიაზე მოგვითხრობს („პალიასტომის ტბა“, „ჯა-
 მაგიძის წყარო“, „ბაზალეთის ტბა“, „კახეთის ზღვა“, „ტბა ერ-
 ძეგაშრა“). ეთნონიმიკური თქ. ხალხებისა და ტომების გაჩენა-
 ზე, გვარეულობათა მოძრაობაზე გვიამბობს („ხარის ტყავი“). ეტი-
 მოლოგიური თქ. ჭგუფში ისეთებს ვათავსებთ, რომლებიც გვიხ-
 სნის ფრინველთა და ცხოველთა წარმოშობას, ავადმყოფობათა
 გაჩენას („როგორ გაჩნდა ბუ“, „როგორ გაჩნდა ოფოფი“, „რო-
 გორ გაჩნდა ღვინო“). ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი ად-
 გილი უჭირავს გადმოცემებს ხალხური საკრავების თემაზე, მათ
 მუსიკალურ ჭგუფში ვათავსებთ. („როგორ წარმოიშვა სტვირი“,
 „ჩანგის გაჩენა“).

თქმულებას გარკვეული თხრობითი მანერა ახასიათებს. აღწე-
 რითი ელემენტები მინიმუმამდეა დაყვანილი, უმთავრესი ყურად-
 ლება მოქმედებას ექცევა.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, III, 1964; მ. ჩიქოვანი, „თქმულება“: ქ. ხალხ.
 სიტყვ. ისტორია, 1956.

მ. ჩიქოვანი

ი

ია — ხალხურ პოეზიაში გავრცელებული სახე. უმეტესად გა-
 მოიყენება ქალის მშვენიების დასახატავად:

ედემსა რგული, ვით ია ნაზი,
 ვისია, ვისია, ქალი ლამაზი

იის მხატვრული სახე, დამოუკიდებლად იშვიათია ქართულ
 ხალხურ პოეზიაში. იგი, როგორც წესი, ვარდთან ერთად გამოი-
 ყენება (ნ. „ია-ვარდი“).

ჯ. ბარდაველიძე

„იადონი და ბულბული“ — ჯადოსნური ზღაპარი. მოხუცი
 ხელმწიფე ავალებს თავის სამ ვაჟიშვილს მოუყვანონ იადონი და
 ბულბული. ვინც დავალებას შეასრულებს, სახელმწიფოც მას

დარჩება. უმცროსი ძმა მრავალ დაბრკოლებას გადალახავს და მიალწევს მიზანს.

ლიტ.: ქართული ხალხ. ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედ., 1938.
ჭ. ბარდაველიძე

ია-ვარდი — ქართული ფოლკლორის, განსაკუთრებით ლირიკის, მხატვრული სახე. ია დამოუკიდებელი სახით ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ნაკლებად გვხვდება, იგი ჩვეულებრივ; ვარდთან არის შეტოლებული.

იას გიკრეფ, ვარდს გიკონავ, იავ ნანინაო,
სასთუმალ ქვეშ ამოგიდებ, ვარდო ნანინაო.

ანალოგიური ქოვლენა შემჩნეულია ვეფხისტყაოსანშიც:

„თქვენ საკვრეტად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო“.

ია-ვარდი ქალის მშვენიერების გამოსახატავად გამოიყენება ხალხურ პოეზიაში. უძველეს ტექსტებზე დაკვირვება მიგვანიშნებს, რომ ამ მხატვრულ სახეს წინათ გარკვეული საწესჩვეულებო თუ მაგიური ფუნქცია ჰქონდა;

ია მთაზედა. თოვლიანზედა, ია დაღთსე, ვარდი მოსულა..

ია კოკამდე, ვარდი მუხლამდე, . . . ირმისა ჭოვი შიგ შემოსულა. . .
ნეტავ ეძოვათ, არ გაეთელათ, ჩემი სიცოცხლე არ მოეძულათ. . .

ლიტ.: გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, 1958 გვ. 195; ე. ვირსალაძე, შოთა რუსთაველი და ქართული ხალხური სამიჯნურო პოეზია, „შოთა რუსთაველი“, საიუზილეო კრებული, 1966; ქს. სიხარულიძე, მცენარეთა სიმბოლიკა ქართ. ხალხურ პოეზიასა და ვეფხისტყაოსანში, „ქართ. ფოლკლორი“, 111, 1969.

ჭ. ბარდაველიძე

იალის თამაშობა — საკულტო პანტომიმური სანახაობა, დაკავშირებული ყველიერის დღესასწაულთან. გაზეთ „კავკაზსკი ვესტნიკ“-ში გამოქვეყნებულია მისი აღწერილობა. ი. თ: მიჩნეულია სიყვარულისა და შვილოსნობის მფარველი ღვთაების კვირიას, საღიღებელი რიტუალის ნაშთად.

ლიტ.: დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948; Н. Б., Тифлиссские заметки. газ, «Закавказский Вестник», 1854, № 7.

ფ. ზანდუკელი

იამანი — ეპოსის გმირი, ამირანის აღმზრდელი. სვანური თქმულებით, დაღმა მონადირეს ანდერძად დაუტოვა: პატარა ყრმა აკვნით იამანის წყაროსთან დასვიო. ბავშვი იამანის მერწყუ-

ლებმა თავიანთ მამასახლისს მიუყვანეს. სვანური სიტყვიერების იამანი ფუნქციის მიხედვით ფშავ-ხევსურული იახსარი უნდა იყოს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959.

გ. ზარნოვი

იამანის თვალი — ზღაპრული მოტივი. ჰაბუკ ამირანს, ბადრსა და უსუბს ერთი მგზავრი ნიშნისგებით ეტყვის; „თუ კარგი ჰაბუკობა იცით, ჩვენ კი ნუ გვლახავთ, მამითქვენის იამანის თვალს რა დაემართა, ის გაიგეთო“. ძმებმა დედისაგან გაიგეს, რომ იამანს სავაშლეთის დევი გადამტერებია: „ბადრი ან უსუბი, ანდა მარჯვენა თვალი მომეციო“. მამას შვილები ვერ გაუმეტებია, თვალი გამოუთხრია და მიუცია. ძმებმა მოძებნეს დევი, შეებრძოლნენ და თვალი დაიბრუნეს, იამანს მხედველობა აღუდგინეს. ხალხში გავრცელებულია გამოთქმა: „იამანის თვალივით გინახავდიო“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959.

გ. ზარნოვი

„ია მთაზედა“ — ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი პოეტური შედევრი, საფერხულო ბალადა. ცნობილია მისი ქართლური, კახური, ფშაური, მთიულური და რაჭული ვარიანტები. პირველი ჩანაწერი შესრულებულთა მცხეთაში 1863 წელს. ლექსი რიტუალური დანიშნულებისაა, შეიცავს მითოლოგიურ და საწესჩვეულებო ელემენტებს. ძირითადი მოტივია — ირმის მოკვლისთვის სასიძოს განგმირვა სიმამრის მიერ.

სტყორცნა სასიძომ — მოკლა ირემი

სტყორცნა სიმამრმა — მოკლა სასიძო. . .

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ სიმამრის ისრით სასიძოს განგმირვა, ესაა „ნადირთ ბატონის შურისძიება მისი სიყვარულის უგულვებლყოფის ან წმინდა ირემის მოკვლისათვის“ (ე. ვირსალაძე). ბალადაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მამაშვილის დიალოგს, ქალიშვილის მიერ მამის შეჩვენებას და მოკლული საქმროს საძებნელად წასვლას. ლექსის ზოგიერთ ვარიანტში შეიმჩნევა ქრისტიანული წეს-ჩვეულების კვალი.

— მამე სანთელი — გზა გაინათლო,

მამე საკმელი — გზა ვავირკვიო. . .

საერთოდ კი ლექსს კარგად აქვს შემონახული როგორც წარმართული რიტუალური შინაარსი, ასევე ადრინდელი მხატვრულ-

გამომსახველობითი ხერხები. ლექსი აგებულია ათმარცვლიან ურითმო საზომზე.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1955; ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964.

ჯ. ბარდაველიძე

იასონი — „არგონავტების თქმულების“ (ნ.) მთავარი პერსონაჟი, არგონავტების მეთაური, კოლხეთის მეფის, აიეტის (ნ.) ქალის — მედეას ქმარი.

ლიტ.: ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964.

იალი — ხევს., უცოდველ მიცვალებულთა სამყოფელი, წმინდანთა ადგილი საიქიოში, სამოთხის მკვიდრი:

იალიმც შახვალ იალში,
ზიხარ იალთამც სკამსაო.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 87.

დ. გოგოჭური

იახსარი — მთაში ცნობილი ღვთისშვილთა პლეადის ერთი უპირველესი გმირი. ი. დაუნდობლად ებრძვის დევებს. მითოლოგიური გადმოცემებით, მორიგემ იახსარი დევებთან მებრძოლად გააჩინა კოპალას მსგავსად, გახვიებულ-გალაღებულ დევთა ამოწყვეტა დაუსახა არაგვისა და იორის ხეობებში. ფშავ-ხევსურეთის დიდი ნაწილი დევ-კერპებს სჭერიათ, ისინი მოსახლეობას საშინლად ავიწროვებდნენ. როცა ძალიან გაუჭირდა ხალხს, საქმეში უზენაესი ღვთაება — მორიგე ჩაერია. მორიგემ ღვთისშვილები ჯერ გერგეტის მთაზე გადმოუშვა, იქ დააბინავა, რომ მომზადებულიყვნენ, და მერე მისცათ ნება ლაშქრობისა. ღვთიური წარმოშობისდა მიუხედავად, იახსარი ნამდვილი ხორციელი ადამიანია, ბუმბერაზი ძალის მქონე, რომელსაც მოძალადე დევების ამოწყვეტა არ უჭირს.

იახსარი და კოპალა ორი წმინდანი ბერია,
ბერია, არცა ბერია, ღვთაების შესაფერია.

იახსარის მოქმედების არე ხევსურეთი, ფშავი და თიანეთია. ამ კუთხეებში ჩადის საგმირო საქმეებს. იგი 63 ხატს შორის ერთ-ერთი უძლიერესია. მხოლოდ მან ერთმა შეძლო გამოსაცდელი სასწორ-ჩარქის აწევა („სამოც ლიტრიანს რკინასა ქვეშ გაუვულოე

ქართო“). ი. შიშის ზარს სცემს დევებს უბრძოლველადაც: ზოცა იახსარმა სახლის მშენებლობის დროს უზარმაზარი ქვა ადვილად შედო კარის თავზე, დევები დაფრთხენ, ახლად აგებული ბინა მიატოვეს და გადაიხვეწენ. ამ დროს ი. დევებს არ ჰხოცდაო, მორიგისაგან ჯერ ნება არ ჰქონია დართული. დევების ჟღერას ი. შუაფხოს ე. წ. ავის-გორიდან შეუდგა. მხოლოდ ერთი ცალთვალა გადაურჩა, მანაც წაწადას თუ აბუღელაურის ტბას შეაფარა თავი. ი. ტბაში ჩაეშვა, დევი მოკლა, მაგრამ წყლიდან ველარ ამოვიდა, რადგან ტბას უწმინდური დევის სისხლი გადაეფარა და ღვთის შვილს გზა შეუკრა. თავის გმირს აქ ხალხი მიეშველა. დიდი გაჭირვებით მოძებნეს ხევსურეთში ოთხყურა-ოთხრქა ცხვარი, ჩაკლეს ტბაში, მაშინ დევის სისხლი გადაიწმინდა და იახსარიც მტრედის სახით ამოფრინდა. „შამოვკე ბელღის ქვაზედა, შამოვი-ბერტყენ მხარნიო“, ნათქვამია რიტუალურ ლექსში. იახსარის სალოცავი ბევრ ადგილასაა არაგვისა და ივრის ხეობებში. ყოველწლიურად მის სახელზე დღეობა იმართებოდა ტრადიციული წესების სრული დაცვით. იახსარის ხსენება ხშირია მითებსა და თქმულებებში, შაირებსა და ბალადებში, საგმირო ლექსებში. მისი ძირითადი ეპითეტია „გმირი“.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I. 1931; ვაჟა-ფშაველა, თხზ., IX, 1964; ს. მაკალათია, ფშავი, 1934; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1963; თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

ივანე სოლომონისნი — ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, სადაც თავმოყრილია სოლომონის შვილისადმი მიმართული ზნეობრივი და სარწმუნოებრივ-მორალური ხასიათის ბერძნული გამონათქვამები.

ლიტ.: „ბიბლია“, 1884, ნაწ. II, გვ. 188.

ფ. ზანდუკელი

ივრი ბატონი — ქართული ეპოსის ამ პერსონაჟს ამირანიანის ვრცელი ვარიანტები იცნობენ მხოლოდ. ივრი ბატონი ჯადოსნურ წყალს ფლობს. გველშაპის მუცლიდან გამოსული, უწვევროდ დარჩენილი ამირანი ი. ბ. ჯადოსნურ წყალს გადაივლებს და ახალი, უკეთესი წვერ-ულვაში ამოუვა. „ბატონი“ გარკვეულ სოციალურ მდგომარეობაზეც მიუთითებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959; ვ. ბარნოვი, თხზ., X, 1963.

გ. ბარნოვი

ივანე ქვაციხისელი — უძველესი სამონადირეო ეპოსის გმირი. ივანე ნადირთ პატრონს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა და მიღლობის ნიშნად სანადირო ძაღლი მიიღო. ყურშა არაჩვეულებრივი იყო, ორბოს ფრთები ჰქონდა და ჯიხვს ორ ნახტომზე ეწეოდა. ივანე მუდამ იღბლიანად ნადირობდა, მაგრამ ერთხელ ნადირობის პატრონი გაანაწყენა. იმ დღიდან ყურშაც დაიკარგა. ივანე ძაღლის დაკარგვამ დიდად დაალონა. ძებნაში მიუვალ კლდიდან გადმოვარდა და დაიღუპა; სხვა ვარიანტით მთაზე მყოფს მიწის ძვრისაგან ირგვლივ მიწა შემოერღვა, კლდის თავზე შერჩა და გადმოხტომისას დაიღუპა.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 43.
ნ. შამანაძე

ივანე ცისკარო — საგმირო ზღაპრის პერსონაჟი. ჰყავს ორი ძმა: ივანე საღამოსი და ივანე შუალამისა. თ. ც. ძმებთან ერთად დევებისგან სამი მზეთუნახავის დახსნას ცდილობს. მრავალი ხიფათისა და ბრძოლის შემდეგ საწადელს მიაღწევს, უმცროს მზეთუნახავს ცოლად შეერთავს და მეფე გახდება. ზღაპარი ჩაწერილია ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ, სიუჟეტი საერთაშორისოა (ა-ა 466). თარგმნილია რუსულ, ჩეხურ, გერმანულ და სხვ. ენებზე.

ლიტ.: თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი, 1909; ხალხური სიბრძნე, 1, 1963; Грузинские народные сказки, Тб., 1971.
ნ. შამანაძე

„ივერია“ — ჟურნალი, დაარსდა 1877 წელს ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით. 1886 წ. გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად. ი. დიდ ადგილს უთმობდა ხალხური პოეტური ზეპირმემოქმედების შესწავლასა და გამომზეურებას. დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის, დ. ხიზანაშვილის, ს. მერკვილაძის, აპ. გოდერძიშვილისა და სხვათა მიერ შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები. გამოქვეყნდა აგრეთვე ვაჟა-ფშაველას, პ. უმიკაშვილის, ალ. მირიანაშვილის, ნ. ხიზანაშვილის, ა. ხახანაშვილისა და სხვათა წერილები ფოლკლორისტიკის აქტუალურ საკითხებზე. „ივერიის“ რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხურ ეპოსს (ხალხური ვეფხისტყაოსანი, ამირანიანი, ეთერიანი). გაზეთ „ივერიისა“ და პისი რედაქტორის ი. ჭავჭავაძის ირგვლივ შემოიკრიბა ეროვნული ხალხური კულტურით დაინტერესებულთა მთელი პლეადა, რო-

მელმაც თვალსაჩინო კვალი დაამჩნია ქართული შემკრებლობითი ფოლკლორისტიკის განვითარებას.

ლიტ.: ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, VI, 1969.
ნ. შამანაძე

ილია შურომეცი — რუსული ბილინების (ნ.) ცენტრალური გმირი. მის გარშემო შექმნილია ბილინების ყველაზე მრავალრიცხოვანი ციკლი. ი. მ. რუსი ხალხის იდეალი, მის საუკეთესო თვისებათა განსახიერებაა. გარეშე თუ შინაურ მტერთან ბრძოლაში იგი მუდამ სამშობლოს ინტერესების დამცველია. ი. მ. სახე XI ს. II ნახევარსა და XII საუკ. ჩამოყალიბდა. XIV—XV საუკ. სოციალურ წინააღმდეგობათა გამძაფრებასთან დაკავშირებით, ი. მ. ციკლში აისახა მისი კონფლიქტი ბოიარებთან და ხაზი გაესვა მის გლეხურ წარმოშობას. საუკუნეთა მანძილზე ი. მ. ბილინები განაგრძობდნენ აქტიურ განვითარებას. ზოგი მათგანი XVII საუკუნეშიც შეიქმნა. ი. მ. სახე ბილინების გარდა ზღაპარშიც გვხვდება.

ლიტ.: ილია შურომეცი, მთარგმ. დავ. გაჩეჩილაძე, თბ., 1944; რუსული ხალხური ზღაპრები, მთარგმ. მ. ლებანიძისა, ე. ვირსალაძის რედ., თბ., 1967; Илья Муромец, Подготовка текстов, статья и комментарий А. М. Астаховой, М.-Л., 1958; В. Пропп, Русский героический эпос, 1965.

ე. ვირსალაძე

„ილიაობა“ — ცნობილი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის პატივსაცემად საგურამოში 20 ივლისობით გამართული ტრადიციული ღღეობა. ი. მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედების ერთგვარი დემონსტრაცია იყო. სრულდებოდა „მრავალკამიერი“, „მგზავრული“, „სუფრული“, „მუმლი მუხასა“... იმართებოდა „შაირობა“, თამაში, ფერხული, ჭიდაობა. აქვე ხდებოდა სახალხო მთქმელთა რეპერტუარის ფიქსაცია. ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა „ილიაობაზე“ მოპოვებული ხალხური ნაწარმოებები. ამ მხრივ საინტერესოა წინამძღვრიანთკარელი მოლექსის თედო გულბათაშვილის მიერ „ილიაობაზე“ შესრულებული „სახანისმა თქვას“ ლექსის ბედი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა მიერ ღღეობაზე მოსმენილი ეს ლექსი 1888 წლის № 169 „ივერიაში“ დაიბეჭდა.

ლიტ.: ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1936 წ., თ. ოქროშიძე, მოლექსე გუთნის დედა, „ლიტ. და ხელოვნება“, 1949 წ., № 40; „ლიტერატურული მატანიე“,

წიგნი 1—2; ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956; მიხ. ჭავჭავაძის, თხზულებანი, ტ. VI, 1964; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1964, გვ. 360. შენიშვ.

ფ. ზანდუკელი

„იმერული ზღაპარი“ — თემურაზ ბაგრატიონის (ნ.) მიერ 1819 წელს შედგენილ ანთოლოგიაში მოთავსებული ზღაპარი, რომელსაც, მართალია, სათაურად „ი. ზ.“ აწერია, მაგრამ ენობრივი ანალიზი მის რაჭულ წარმოშობას ადასტურებს. ესაა ჩვენს ქვეყანაში დაცული ფოლკლორული ზღაპრის პირველი ჩანაწერი, ბერნარდე ნეაპოლელისეულის (ნ.) კრებულის შემდეგ. შემდგენელს ბევრი უძებნია შეკრებილი ტექსტების კარგი გადამწერი, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიუღწევია: „ვინცა ვპოვე, მითხრეს, კარგად სწერს, მეგონა წესიერმწერი; ყოველივე ცთომით სწერდეს, ერისგანი, გინდა ბერი“. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია „იმერულ ზღაპარში“ დარღვეული ყოფილიყო ადგილობრივი მეტყველება, მაგრამ ეს შესამჩნევი არაა, ტექსტი იცავს რაჭული კილოს ნორმებს. შინაარსით იმ. ზ. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას პირდაპირი შესატყვისი არ ეძებნება არნე-ანდრეევის კატალოგში და საყოფაცხოვრებო ქანრის ხალხურ მოთხრობას წარმოადგენს. ძირითადი გმირია ციდა კაცი, ერთი მუჟა წვერის მქონე. ციდა კაცი ბაზარში მიდის, რათა ცოლის ნაქსოვი წმინდა-პაიჭი გაყიდოს და მეუღლეს კაბა-საგულე შეუძინოს. ყურადღებას იქცევს ზღაპრის დრამატიზებული ფორმა. იგი აგებულია კითხვა-მიგების პრინციპზე და ხალისით იკითხება თუ მოისმინება; შესაძლებელია დრამის ნიმუშიც იყოს. ამაზე მიუთითებს ჩამწერის აღნიშვნები: „სალამი“, „კითხვა“, „მიგება“, „პასუხი“. ქალაქობას მუჟა კაცმა შეძლო დავალების შესრულება. „წინდა-პაიჭი გავცვალე დედლუკაზე, დედლუკა ბატუკელაზე, ბატუკელა ცხვარუკელაზე, ცხვარუკელა ბოჩუკელაზე, მივალ და მიმიხარია-ნო“. ტექსტი დაწერილია გასარკვევი მხედრული ხელით. წინადადების დასაწყისი ბგერები ნუსხახუცური ასოებითაა გადმოცემული, მსგავსად ამ კრებულში მოთავსებულ სხვა ტექსტებისა. ი. ზ. საყოფაცხოვრებო ნოველისტური ზღაპრების პირველი ნიმუშია, მისი უშუალო ჩამწერი უცნობია და სიუჟეტითაც და ფორმითაც საინტერესო მოვლენა არის.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში, პუშკინის სახ. პედიანტ. შრომები, V, 1948.

მ. ჩიქოვანი

იმპროვიზიცია — შემოქმედებითი პროცესის (ნ.) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ი. ნიშნავს წინასწარ მოუმზადებელ თქმას, ახლის შექმნას. იმპროვიზაციის უნარი მეტნაკლებად ყველა მთქმელისა და მელექსისათვისაა დამახასიათებელი. ერთსა და იმავე ნაწარმოებს ყოველი მთქმელი განსხვავებულად წარმოთქვამს, რაც ხელს უწყობს ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმპროვიზაციას ახალი ნაწარმოების შექმნის დროს. ხალხური მელექსეები, ჩვეულებრივ, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე სახელდახლოდ თხზავენ ლექს-სიმღერებს, რომლებიც შემდეგ ფართოდ ვრცელდებიან ხალხში. იმპროვიზაციის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ კაფიობა (ნ.) და გაშირება (ნ.). ი. დიდ როლს თამაშობს აგრეთვე საწესჩვეულებო ლექს-სიმღერების, განსაკუთრებით — სამგლოვიარო ტექსტების შესრულებისას. ი. ორგანულად არის დაკავშირებული ტრადიციულ პოეტიკასთან.

ლ ი ტ .: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956. A. H. Веселовский, Историческая поэтика, Л., 1940.

ქ. ბარდაველიძე

ინიციატია — ახალგაზრდობის ასაკში მოსვლის აღსანიშნავი ჩვეულება, მიძღვნა, თავისებური მონათვლა, მეორედ დაბადების ინსცენირება. უმთავრესად ცნობილია საგვარეულო წყობაში. პირველყოფილ საზოგადოებაში, საწარმოო ძალთა განუფითარებლობის პირობებში, შრომის განაწილების გავრცელებულ ფორმას ასაკობრივი დაყოფა წარმოადგენდა. ამ დროს მოზარდის ასაკში მოსვლას, უფროსთა წყებაში გადაყვანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამის შემდეგ ვაჟსაც და ქალსაც დამოუკიდებლად შეუძლია მოქმედება და კოლექტივში მონაწილეობა. ქალ-ვაჟის ასაკად მოყრას სხვადასხვა ტომები სხვადასხვანაირად აღნიშნავენ. საჭიროა ქაბუკების გამოცდა, ყველა საყოფიერო თუ სამეურნეო პროცესთა საიდუმლოების გაცნობა, ცოდნისა და ამტანობის გამომუშავება; აქ მოგვთა ფუნქციას უხუცესები კისრულობენ. ასაკად მოყრილი ბიჭები მიყავთ ტყეში, აცხოვრებენ განმარტოებით და ნაირნაირ სახიფათო წვრთნას უტარებენ. აქ საიდუმლოდ განასახიერებენ სიკვდილსა და მეორედ დაბადებას. გამოცდა-წვრთნის მეტად მძიმე ჩვევები არსებობდა. მასში შედიოდა, მაგალითად, წინადაცვეთა, ნალვერდალში ფეხშიშველა ჩადგომა, ურჩხულისგან ჩაყლაპვის ინსცენირება და ა. შ. ინიციაციის

პერიოდში მკაცრად განსაზღვრულ წესებს იცავენ არა მარტო თვითონ „მოსანათლავი“ ბიჭები და გოგონები, არამედ მათი მშობლებიც, განსაკუთრებით, დედა. ეს უკანასკნელი ოჯახში თავისი მოტყეობებითა და ქცევით ცდილობს შეუმსუბუქოს საიდუმლო ადგილას მყოფ შვილს მძიმე წვრთნა და უზრუნველყოს მისი უვნებლად დაბრუნება.

ინიციაციის მაგალითები ქართულ ფოლკლორშიც შეიმჩნევა. მას უნდა ასახავდეს რიგი ზღაპრული მოტივები და ამირანის ჩაყლაპვა-განთავისუფლების ეპიზოდები, ასევე კუროს ფაშეში მოთავსება ზრდადუშთავრებელი ჩვილისა და სხვ. ი. ჩენი ზეპირსიტყვიერების მიხედვით ჭერჭერობით შეუსწავლელია.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; მისივე, ქართული ეპოსი, I, 1959, გვ. 159; А. Леви-Брюль, Первобытно мышление, 1930, стр. 171—72; В. Пропп, Исторические корни волшебной сказки, 1946, стр. 40—46; С. Токарев, Ранние формы религии и их развитие, 1964, гл. VI.

მ. ჩიქოვანი

იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე (1809—1875) — საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, არქეოლოგი, თეოლოგი და ხელოვნებათმცოდნე. ისტორიის საკითხების გაშუქების დროს მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ მასალას; გადმოცემებს, თქმულებებს, ლექსებსა და ხალხურ გამოთქმებს. ეწეოდა შემკრებლობით მუშაობას, ითვლება ქართული გამოცანების პირველ ჩამწერად. დაცულია მის მიერ შედგენილი ორი კრებული: „გამოცანანი ქართულნი“ (1835) და „ანდაზები და გამოცანები“ (1839).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ახალი საარქივო მასალები, ლიტ. ძიებანი, 1946, III, გვ. 150.

მ. ჩაჩავა

ირინოლა — სვანური საფერხულო სიმღერა. ახლავს ამებური ზასიათის ტექსტი. დიალოგი მიმდინარეობს დედასა და ახალგაზრდას შორის. საწესჩვეულებო ფუნქცია დაკარგული აქვს, მაგრამ უწინ საქორწილო რიტუალთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ლექსი ცნობილია „თამარის“ სახელწოდებითაც.

ლიტ.: სვანური პოეზია, I, 1939; ირინოლა, 1970.

დ. წერედანი

ირმის ტვინი — სამკურნალო საშუალება, მოგვეგონებს „პრომეთეს მალამოს“, რომლითაც მედემ იასონი იხსნა მეფე აიეტის

მძიმე დავალების შესრულებას დროს. ი. ტ. მოტივი შესულია ხალხურ ვეფხისტყაოსანში: როცა ტარიელის მიძებარ ავთანდილს მათრახით თავგაპობილო ჭაბუკი შემოეყარა, შეებრაღა და მის თან-მხლებთ ასწავლა: „წყლულს ირმის ტვინი წაუსვით, იტყვიან მოს-ვენებასო“. კეთილშობილი ცხოველს ტვინის ხსენება ხალხური შედიცინის გამოხატულებას წარმოადგენს ეპოსში, საერთოდ ირე-მი ხშირად გვხვდება ზღაპრულ ეპოსში; თქმულებებსა და მი-თებში. იგი დაკარგულ ჩვილთა აღმზრდელად, ძუძუს მაწოვებ-ლად გვევლინება. აქ რეალისტურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ამ ცხოველის ტვინი, მართლაც, სამკურნალო საშუალებას წარ-მოადგენს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966, გვ. 80.

მ. ჩიქოვანი

ისკელიტა — ნ. ისკელიტობა.

ისკელიტობა — ხის კულტის სახეობა. ლეჩხუმში. სოფ. ნაკლ-რალეშსა და ცხუკუშერში, ამალღებულ ადგილას მდგომ ასწლო-ვან წიფლის ხესთან მაისში დღეობა იმართებოდა ი-ბის სახელით. ცერემონიალს მხოლოდ წიფლის ხესთან მართავდნენ. იქ არკმა-რეში, სადაც ისკელიტობას იხდიდნენ, სხვა ჭიშის დიდი ხეებიც იდგა (მუხა, ცაცხვი, თელა, კაკალი), მაგრამ ხალხი მათ არ მიმარ-თავდა. ი. დღეს დიასახლისები ზანდურის ან იფლის ხმიადებს გა-შოაცხოვდნენ, შინაურ ცხოველთა ქანდაკებებსაც გააკეთებდნენ, საქონლის სადგომთან (ბოსელი, სალორე) გატეხდნენ და შექამდ-ნენ. შემდეგ ისკელიტაზე მიდიოდა ქალი და კაცი, წიფელს ეთა-ყვანებოდა და ღმერთს ოთხფეხობის გამრავლებას შესთხოვდა. ი. წარმართობის პერიოდიდან მომდინარე ხის კულტის გარკვეული სახეა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, უნ-ტის შრომები, IX, 1939. მ. ალაიძე, ლეჩხუმური ზებირსიტყვაობა, 1951, გვ. 129.

მ. ჩიქოვანი

ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდი — „ფინური სკოლის“ კვლევითი მეთოდი. მის შემქმნელთა მიზანი იყო, მოენახათ მოცე-მული ფოლკლორული ტექსტის (ზღაპრის) თავდაპირველი ფორმა და სამშობლო. ტიპიურ მონოგრაფიად, რომელშიც ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდია გამოყენებული, შეიძლება მივიჩნიოთ

ვ. ანდერსონის ნაშრომი: Роман Апулея и народная сказка (1914). აქ დაწვრილებითაა გაანალიზებული ზღაპრების ყველა ხელმისაწვდომი ვარიანტი, დაყოფილია ისინი ჯგუფებად, დადგენილია წარმოშობისა და გავრცელების გეოგრაფიული არე, მონოგრაფიას ახლავს ქრონოლოგიური დიაგრამა და გეოგრაფიული რუკა, რომელზეც ნაჩვენებია სიუჟეტის მარშრუტი. ი-გ. მეთოდით მომუშავეთა ნაკლოვანებას წარმოადგენდა, რომ ისინი ზღაპრის თავდაპირველ სახედ თვლიდნენ არა მარტივ ფორმას, არამედ ყველაზე სრულყოფილ და ვრცელ სიუჟეტს. საერთოდ, ისტორიულ-გეოგრაფიულმა მეთოდმა თვალსაჩინო როლი ითამაშა ფოლკლორისტიკის ისტორიაში, ხელი შეუწყო ზღაპრების შედარებით-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლას.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946. Ю. М. Соколов, Русский фольклор, М., 1938.

ჟ. ბარდაველიძე

ისტორიული ლექსი — ისტორიული მოვლენებისა და ისტორიულ მოღვაწეთა ცხოვრების ამსახველი ხალხური ლექსი. ი. ლ. საქართველოში ცნობილია V საუკუნიდან. ყველაზე ადრინდელ ნიმუშში ასახულია ვახტანგ გორგასალის მეფობა, V საუკ. მეორე ნახევარი და VI საუკ. დასაწყისი („პირდაპირ შამაგხედევდი“, „ვახტანგ მეფე დაიბადა“ და სხვ.) ცნობილია ლექსები სვეტიცხოველის აღმშენებელ ოსტატზე („ხეკორძელას წყალი მისვამს“). პატრიოტული ციკლია შექმნილი თამარ მეფის (6) შესახებ. მრავალრიცხოვან ლექს-სიმღერებში გადმოცემულია თამარის ეპოქის ძირითადი მოვლენები. ი. ლ. ასახულია რუსუდანის მეფობა („რუსუდანი“, „როს იძრა ცა და ქვეყანა“). სვანი თავადების წინააღმდეგ შექმნილი ლექსები უკავშირდება XIV, XV, XVI სს ამბებს („ყველგან თოვს“, „ორი ძმა კიბოლანი“); ასევე პოპულარულია 1659 წ. ბახტრიონის ბრძოლა, ზურაბ ერისთავის ლაშქრობა მთის დასაპყრობად და მისი დამარცხება. ერეკლესადმი მიძღვნილ ლექსებში რეალისტურად არის წარმოდგენილი XVII საუკ. მეორე ნახევრის საქართველო („ასპინძის ომი“, „ქრწანისის ბრძოლა“). შექმნილია ი. ლ. ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე და ხალხის გლოვაზე ეროვნული გმირის დაკარგვის გამო („ვერ გაიგეთა ქართველნო“). არ დავიწყებია სახალხო მთქმელებს XIX საუკ. დასაწყისის დიდმნიშვნელოვანი ამბები — 1804 წლის აჯანყება მთიულეთში, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1826 წლის

რუსეთ-ირანის ომი, 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომი; თავდასხმა დიკლო-შენაქორზე 1836—1837 წ.

ი. ლექსებში ასევე რეალისტურად არის წარმოსახული რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი საქართველოში, 1905—1907 წწ. რევოლუცია და მის შემდეგდროინდელი რეაქცია. მრავალი ი. ლ. შექმნილია იმპერიალისტურ ომსა და სალდათობაზე. ადრინდელი ზანის ი. ლ. (ვახტანგ გორგასალზე, თამარ მეფეზე და სხვ.) ახასიათებს მოვლენათა მეტი პოეტიზაცია, მათში ფანტასტიკურ და მითიურ ელემენტთა შექცრა; მოგვიანო პერიოდში შექმნილ ი. ლ. (ერეკლე მეორეზე, სიმონა დოლიძეზე, დათიკო შევარდნაძეზე და სხვ.) უფრო რეალისტურია. ი. ლ. თემატიკა და შინაარსი მრავალფეროვანია. აქ წარმოსახულია საქართველოს მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორია. ერთ აქტუალურ თემას დამპყრობლებთან ბრძოლა წარმოადგენს. ყანობრივად ი. ლ. მრავალგვარია. აქ წარმოდგენილია ლირიკული („ო, სიხარულო, თამარ დედოფალო“, „ვერ გაიგეთა ქართველნო“), ლირიკულ-ეპიკური („ბახტრიონის აღება თუშთაგან“), ეპიკური („ასპინძის ომი“, „არსენას ლექსი“), ნაწარმოებები. არაიშვიათად ელევია („დაბნელებულა ქართლის მზე“), ბალადა („წერონი“, „ზურაბის გალაშქრება ხევსურეთზე“), ჭეზა („პირდაპირ შამაგხედვედი“, „პატარა კახი“), სასიმღერო შაირები („ხეკორძულას წყალი მისვამს“, „ამილახვარმა გივიმა“) და ა. შ. შესრულების მხრივაც ი. ლ. მრავალმხრივია. გვხვდება ფერხისული („ბრძანებდა დამბადებელი“, „თამარ მეფე და ხონთქარი“, „შავლეგო“), ლაშქრული („ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“) შინაარსის ტექსტები. ი. ლ. ხშირად იმღერება სარიტუალო და საოჯახო ნაღიმებზე.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის. 1934; მისივე, პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ შესამე და მეოთხე ტომების გამო; პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება“, III, 1964; ალ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, 1937; ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, 1938; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949; ქართული სახალხო გმირები, 1952; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I-III, 1961—67.

ქს. სიხარულიძე

ისტორიული პოეტოკა — ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთი დარგი, რომელიც შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების სტილს, არკვევს მხატვრული ენის განვითარების ისტორიულ პროცესს. ისტორიულ პოეტიკას განსაკუთრებული როლი ენიჭება

ფოლკლორის სფეროში. ფოლკლორი, როგორც ლიტერატურამდელი მოვლენა, გენეტიკურად ადამიანის მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბების პირველსავე საფეხურებს უკავშირდება. მან განვლო განვითარების ძალზედ რთული და ხანგრძლივი, მაგრამ ამასთანავე ბუნებრივი გზა. ისტორიული პოეტიკა, ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით, არკვევს როგორ ჩაისახა და განვითარების რა პროცესი გაიარა მხატვრულმა ენამ, სტილმა, სიმბოლოებმა და სახეებმა, ცალკეულმა გამომსახველობითმა ხერხებმა.

ლიტ.: А. Н. Веселовский, Историческая поэтика, 1940.

ქ. ბარაველიძე

ისტორიული სკოლა — რუსული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. წარმოიშვა რუსეთში მითოლოგიური სკოლისა და კომპარატივიზმის კრიტიკის საფუძველზე. ფუძემდებელია ვს. მილერი (1848—1913) — რუსი მეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, კავკასიოლოგი. ვს. მილერი, და ი. ს. ყველა მიმდევარი, ხალხურ შემოქმედებას ეროვნულ ისტორიას უკავშირებს, კერძოდ, ბილინების ჩასახვისა და განვითარების კონკრეტულ ნიადაგს ეძებს. ი. ს. პრინციპს — დაიძებნოს ეპოსში რეალურ-ისტორიული საფუძვლები და არა უძველეს მითთა ნამსხვრევები, — რუსეთში ძლიერი ტრადიცია ჰქონდა ისეთი ნაშრომების სახით, როგორიცაა ორ. მილერის „ილია მერომეცი და კიევის გმირები“ (1863), ალ. ვესელოვსკის „სამხრეთ რუსეთის ბილინები“, „ზღაპრები იოანე მრისხანზე“ (1876), ნ. დაშკევიჩის „ბილინები ალიოშა პოპოვიჩისა და იმაზე თუ ბოგატირები როგორ აღარ დარჩნენ რუსეთში“ (1883), მ. ხალანსკის „კიევის ციკლის ველიკორუსული ბილინები“ (1883), ი. ჟდანოვის „რუსული პოეზია მონგოლთა ეპოქამდე“, „რუსული ბილინური პოეზიის ლიტერატურული ისტორიისათვის“ და სხვ. XIX ს. 90-იან წლებში ი. ს. გაბატონებულ მიმართულებად იქცა. ბილინური სიუჟეტების შედარებითი განხილვის საფუძველზე შექმნა ვს. მილერმა ი. ს. ძირითადი პრინციპების შემცველი სამტომიანი ნაშრომი: „რუსული ზეპირსიტყვიერების ნარკვევები“ (ტ. I, 1897; ტ. II, 1910; ტ. III, 1924). ვს. მილერის შემუშავებული ი. ს. თეორიული საფუძვლები თანდათან გააღრმავეს მისმა მიმდევრებმა: ა. მარკოვა (Бытовые черты русских былин, 1864), ს. შამბინაგომ (Песни времен царя Ивана Грозного, 1914), ბ. სოკოლოვმა (Былины о Идолище поганном, 1916) და სხვ.

ი. ს. მიმდევრები აყენებენ ოთხ ძირითად საკითხს: 1. საღვთისმეტყველო რუსეთის რომელ ნაწილში, სამთავროში, ქალაქში და ა. შ. შეიქმნა ესა თუ ის ხალხური ნაწარმოები; 2. როდის-რომელ ეპოქაში, საუკუნეში, წელს წარმოიქმნა ფოლკლორული ძეგლი; 3. რა ისტორიულმა ფაქტორებმა-პოლიტიკურმა თუ საყოფიერო მოვლენებმა, გარეშე თუ შინაურმა ომებმა და სხვ. მისცეს სათავე ფოლკლორულ ნიმუშებს; 4. როგორია ბილინებისა და ზღაპრების სიუჟეტთა წანამძღვრები. ეს წყაროები ზეპირია თუ წერილობითი, ადგილობრივი თუ შემოტანილი. ი. ს. წარმომადგენლებმა შეისწავლეს ძველი რუსული მწერლობის ძეგლები, დაძვინეს ბილინებისა და საისტორიო ლექსების პარალელები ამ ძეგლებში, სისტემაში მოიყვანეს სიუჟეტები, შექმნეს რუსული ეპოსის ისტორიული გეოგრაფია. ი. ს. გავლენა დიდხანს გაყვა როგორც რუს, ასევე უცხოელ მკვლევრებსაც (ჩეხი — ი. მახილი, გერმანელი რ. ტრაუტმანი, დანიელი კ. სტიფი და სხვ.). ი. ს. დადებით მხარეებთან ერთად ახასიათებს სერიოზულ შეცდომებს. ძირითად ნაკლთაგან აღსანიშნავია: 1. ისტორიზმის ზერელე გაგება; 2. ფოლკლორის, როგორც მხატვრული მოვლენის, დაუფასებლობა; 3. მხატვრულ ქმნილებათა გათანაბრება ისტორიულ დოკუმენტებთან; 4. მერყევი მეთოდი, 5. ეპოსის სოციალური ბუნების საკითხის მცდარი გადაწყვეტა. ვ. კელტუილამ ნაშრომში „რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსი“ (1911) წამოაყენა მიუღებელი დებულება ზეპირსიტყვიერების შექმნისა მხოლოდ მმართველ კლასებში და უარყო ხალხის შემოქმედებითი უნარი. ი. ს. მამამთავარმა ვს. მილერმა ბილინები მიიჩნია ადრინდელი ფეოდალიზმის არისტოკრატიულ წრეში შექმნილად („რუსული ზეპირსიტყვიერების ნარკვევები“, III, გვ. 27—28). ამგვარად ი. ს. რომანტიზმთან და კომპარატივიზმთან ბრძოლაში უხეში შეცდომა დაუშვა ფოლკლორის სოციალური ბუნების გაგებაში. ი. ს. დადებით მხარეთაგან აღსანიშნავია: ა) მდიდარი ფოლკლორული მასალების შეკრება და განზოგადება, ბ) ძიება ისტორიული ნიჟარებისა, რაზედაც აღმოცენდა და განვითარდა ფოლკლორი. ამ ჰკოლის თანმიმდევარი წარმოდგენილი საქართველოში არ ყოფილა, თუმცა ვს. მილერის შეხედულებათა გაზიარების შემთხვევებს ვპოულობთ მილერის უშუალო მოწაფის პროფ. ალ. ხახანაშვილის ნაშრომებში (6.).

ლ ი ტ .: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946. В. Миллер, Очерки русской народной словесности, I—III, 1897—1924; М. Н. Сперакский, Русс-

კაია უსტნა სლოვესნოსტ, 1917; А. П. Скафтимов, Поэтика и генезис былин, 1924; Ю. М. Соколов, Русский фольклор, 1941; Русское народное поэтическое творчество, 1956; Б. А. Рыбаков, Исторический взгляд на русские былины, История СССР, 1960, № 5-6; В. Я. Пропп, Об историзме русского эпоса (Ответ акад. Б. А. Рыбакову), «Русская литература», 1962, № 2, М. К. Азадовский, Историкография русской фольклористики, т. 2, 1963.

კ. ბარდაველიძე

კ

„კავკაზი“ — გაზეთი, ოფიციალური ორგანო, რომელიც 1846—1918 წლებში თბილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა. მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ქართული ფოლკლორული ნიმუშები, აგრეთვე კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული წერილები და ნარკვევები ხალხური სიტყვიერების თემაზე.

ლიტ.: ე. არჩევანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზი“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, თბ., 1965, გვ. 9—10.
გ. შეთქაური

კაი ყმა — ეპითეტი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვისაა დამახასიათებელი. კ. ყ. შეარქვა ხალხმა სამშობლოს ერთგულს, მამაცს, გულმართალსა და მაღალი ზნეობის მქონე ვაჟაკს. ხალხურ ლექსებში ჩამოყალიბებულია კ. ყ. იდეალი. ძირითადად ეს მცირე ზომის ლექსებია, რომელთაც დღემდე შემორჩენიან დიდი ქმედითი ძალა, შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება. ეს სიმღერები ყოველთვის უნერგავენ მკითხველს თუ მსმენელს ჭირში გაუტეხლობას, უკეთესი მომავლისადმი რწმენას. კ. ყ. ხალხური იდეალის შესახებ პირველი წერილი ვაჟა ფშაველას ეკუთვნის.

ლიტ.: მ. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა, 1961; ქს. სიხარულიძე, კაი ყმა, 1963.
ნ. შამანაძე

კალანდა — ლათინური წარმოშობის ტერმინი. სხვადასხვა ხალხებში, მათ შორის ქართველებში, აღნიშნავს ახალ წელს. კ. წარმართობის დროიდან მომდინარეობს და ქრისტიანულ კალენდარში გადაიზარდა. კ., 1-ლი იანვარი, მთელი წლის სიმბოლოდაა ქცეული. ძველი რწმენით, რაც ამ დღეს დაეხედება ადამიანს, 12 თვეს გაჰყვება. კ-თან მრავალი წესი და რიტუალია დაკავშირებული. ამ დღეს განსაზღვრულია ოჯახის თითოეული წევრის მოქმედება. კალანდობის ჩვეულებაში ჩაქსოვილია პიროვნ.

ნული, ოჯახური, ტომობრივი კეთილდღეობის იდეა. იგი: შეიცავს მაგიურ (ნ.) ელემენტებს: თოფის გასროლა განთიადისას (პროფილაქტიკური მაგია), მეკვლის მისვლა ოჯახში (პროდუქტიულობის მაგია), მწვანე ტოტებით, ჩრჩილაკით (ნ.) მორთვა, 31 დეკემბერს რცხილის მოჭრა და ცეცხლზე დადება (ბუნების განახლების იდეა) და ა. შ. ძველი საახალწლო ჩვეულებები ქრისტიანულ უქმეებს შეერწყო. საკალანდო რიტუალურ საპატიო ადგილი ეჭირა სიტყვიერ შემოქმედებას, განსაკუთრებით მეკვლის ლექსებს. კ. დღეს ოჯახში პირველად მეკვლე მივიდოდა და მასპინძელს შესძახებდა: „კარი გამიღე“. მასპინძლის კითხვაზე — თუ რა მოჰქონდა-მეფეზე ლექსად (ზოგჯერ პროზით) წარმოსთქვამდა დასალოც სიტყვებს, ჩამოთვლიდა სიუხვის, ბედნიერების, დოვლათიანობის აღმნიშვნელ სიმბოლოებსა და მოვლენებს. მეკვლის „ფეხზე“ იყო დამოკიდებული ოჯახის ბედნიერება. საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული მეკვლის ლექსი: „შემოვდგე ფეხი, გწყალობდეს ღმერთი“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, საწესჩვეულებო კალენდარული პოეზია, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 269; ქს. სიხარულიძე, საწესო კალენდარული პოეზია, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1961, გვ. 233; მისივე, ქართული ხალხური სიტყვიერება (ქრესტომათია) 1970, გვ. 40.

გ. ჭელიძე

კალევალა — კარელურ-ფინური ეპოსი. ფოლკლორის ეს უკუდავი ძეგლი მთლიანი ნაწარმოების სახით ჩვენამდე მოვიდა ელიას ლენროტის (1802—1884) მრავალი წლის დაუღალავი შრომის მეოხებით. უშუალოდ ხალხში შეკრებილი და კომპოზიციურად გამთლიანებული რუნებიდან ლენროტმა შეარჩია საუკეთესონი და გამოსცა „კალევალა, ანუ კარელიის ძველი რუნები ფინელი ხალხის გარდასულ დროზე“ (1835, 1849). კ. ეპოსში საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურის ანარეკლია წარმოდგენილი. ძირითადად ეს ხალხური ეპოსი პირველყოფილ-გვაროვნულ წყობას ასახავს.

ლიტ.: კალევალა, „საბჭოთა საქართველო“, 1969. Калевала, Карело-финский эпос. М., 1949; Евсеев В. Я., Исторические основы карело-финского эпоса. I—II, 1957—59;

ნ. შამანძე

„კალევიპოეგი“ — ესტონური ეროვნული ეპოსი. ესტონეთში უძველესი დროიდან გავრცელებული იყო თქმულებები გოლიათ კალევიპოეგზე. ფრ. რ. კრეიცივალდმა ისინი სიუჟეტურად გააერ-

თანა და შექმნა მთლიანი ეპიკური ნაწარმოები, რომელიც 1857—1861 წლებში გამოაქვეყნა. კალევიპოეგი ხალხის საყვარელი გმირია, იგი მამაცურად ებრძვის როგორც ზღაპრულ ბოროტ ძალებს, ისე რაინდ-ჯვაროსნებს.

ლიტ.: Калевипоэг, М., 1956.

ბ. შამანაძე

კალმასობა — ანუ ხუმარსწავლა. ი. ბაგრატიონის ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება. კ. უმათავრესად მემუარული ხასიათისაა. შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ზეპირსიტყვიერების შესახებ (მითოლოგია, მესტიერული პოეზია, აკვნის სიმღერები, მთქმელები, წესჩვეულებანი).

ლიტ.: ი. ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კველიძისა და ალ. ბარამიძის რედ., 1936.

მ. ჩაჩავა

კალოური — კალოზე მუშაობის დროს წარმოსატქმელი ლექს-სიმღერები. კახეთში კალოსპირული ეწოდება და სანიავებელ სიმღერებსაც მოიცავს. კალო თავთავიანთა გასალეწი ადგილია, რომელიც შეიძლება სახლთანაც მოეწყოს და ველზეც. ძნის ჩაშლას, გადაბრუნება-გალეწვას, ხვავის განიავებასა და მარცვლიან შენახვას თავთავისი სიტყვიერება სდევს: ზოგჯერ სალალობო ლექსი, ზოგჯერ ფორმულა-გადაძახილი, შეხალისება სიტყვებში მყოფი ხარისა და კაცისა. ძნის სწრაფად გაშლა და მზიანი დღე-ღეწვის წარმატების პირობად ითვლება; დრუბლიანში კალოობა შეუძლებელია. ამიტომ ამინდის შერჩევასაც დიდი ყურადღება ექცევა.

კალოზე ყანა გაეშალე, ოქროს თავთავიანიო;
კვერს ორი ხარი შეუბი, ოქროს რქა-ხალიანიო,

ქებით ამბობენ კვერზე მჯდომნი და თან ხარ-კამეჩს ახალისებენ. სწრაფ შემოსასვლელად. კალოურ ლექს-სიმღერებში ოროველის ხსენება ისმის; საერთოდ კი ოროველა (ნ.) სამიწათმთქმელო სიმღერების (ხვნა,-თესვა, მკა, ლეწვა, განიავება) ზოგად სახელწოდებად ჩანს და ღვთაების სახელიდან მომდინარეობს. კალოობის შეყვონება დაუშვებელია, პურეული ადებისთანავე უნდა გაილეწოს. ამის გამო მკა და ლეწვა ყველაზე ფიცხელ სამუშაოდ ითვლება. სიძნელის გამო მუშა-საქონელსაც, კი აფრთხილებდნ მელექსენი.

ხარი ხნავს, ფური იწველის, მოზვერი ლეწამს კალოსა;
მოდის, მოზვერო, კალონი, თვალ ფხით აგვესებაო.

მკასა და ლეწვას საქართველოში ათასეული წლების წარსული აქვს. ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კაქისპირიანი ნამგლები, კევრები და მარცვლეულის შესაჩაი თიხის ჭურჭლები.

ლიტ.: ჯ. ხ. სიტყვ. ისტ., 1956; თ. ოქროშიძე, ქართ. ხალხ. შრომის პოეზია, 1963; თ. მაშალაძე, შრომის სიმღერები კახეთში, 1963;.

მ. ჩიქოვანი

კამეჩის ლეგენდა — წარღენის ლეგენდების დანაშთი, რომელიც გვაცნობს როგორი დაგვიანებით მოხვდა ლაფში განცხრომით მწოლი კამეჩი ნოეს კიდობანში. პირველი ჩანაწერი შესულია „დავითიანში“ (ნ). იგი მხოლოდ წარღენის ეპიზოდს შეიცავს. ჩანაწერში ჯერ კამეჩის მოუქნელობაა ნაჩვენები, მერე წარღენის ამბავი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, დ. გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955. ქართული ხალხ. ნოველები, აღ. დლონტის რედ., 1956; ხალხ. სიბრძნე, III, 1969.

მ. ჩიქოვანი

კაპანაძე ანეტა გრიგოლის ასული (1880—1945) — ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, ჟურნალისტი. კრებდა ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებს. კ. შეგროვილი ზეპირსიტყვიერება (ქართლის მასალა) 12 კრებულის სახით დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტისა (H 1943, H 2448—2451) და ლიტ. მუზეუმის ფონდებში (ბ. № 25056).

კ. შემკრებლობითი მუშაობის პარალელურად რჩეულ ნიმუშებს აქვეყნებდა პრესაში („ნაკადული“, „ჯეჯილი“, „თეატრი და ცხოვრება“, „თემი“). საინტერესოა შეკრებილ მასალებზე დართული კ. შენიშვნები.

ლიტ.: ფ. ზანდუკელი, ანეტა კაპანაძის ფოლკლორისტული მოღვაწეობა, „ქართ. ფოლკ.“, I—II, 1964.

ფ. ზანდუკელი

კარაბადინი — სამკურნალო წიგნი. სხვა სასარგებლო ცნობებთან ერთად, კარაბადინში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ცრუმორწმუნოებრივ შელოცვებს (ნ.). კ. ასტროლოგიურ-საწინასწარმეტყველო დანიშნულებაზე ჰქონდა.

ვ. მაცაბერიძე

კარგარეთელი ია (ილია) (1867—1939) — კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე. დიდი ენთუზიაზმით კრებდა მუსიკალურ თუ სიტყვიერ ფოლკლორულ ნიმუშებს და აქვეყნებდა პრესაში. ამ მხრივ მის მოღვაწეობას გულთბილად ახასიათებდნენ აკაკი წერეთელი და ა. ხაზანაშვილი. მის ჩანაწერთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბალადა თავფარავნელი ჭაბუკის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ კარგარეთელისეულ ფოლკლორულ ჩანაწერებში ზოგ შემთხვევაში სტილიზაცია შეიმჩნევა. ამით იყო გამოწვეული თ. რაზიკაშვილის წერილი, რომელშიც მას ეჭვის შეაქვს კ. მიერ გამოქვეყნებულთ პოემის „ჭრული ბერას ომი ქისტებთან“ ხალხურობაში.

ლიტ.: ლ. გავაშელი, ია კარგარეთელი, 1959 წ.; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1952, გვ. 359—66.

გ. ბარნოვი

კართანა — ფშავის არაგვის ვიწრო ყელი, სადაც კლდეებს მდინარე შეუბოჭავთ და თითქოს გზაც გადაუღობავთ. ამ სახელს წარღვნის ადგილობრივი ლეგენდა უკავშირდება. ღვეებს ფშავ-ხევსურთა ამოწყვეტა განუზრახავთ და კართანასთან არაგვის შეგუბება დაუწყიათ. უბედურება ხალხს კოპალამ ააცილა. კოპალა ღვეებს ჯერ შავ მუშათ დაუდგა, მათ ბნელ საქმებს გაეცნო და მერე ყველა ამოწყვეტა. ასე იქნა აცილებული კართანასთან მდინარის შეგუბება.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., IX, 1964, გვ. 79; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

კარის მგოსანი — ძველ საქართველოში ტრადიციულ პოეტურ ნიმუშთა შემსრულებელი და გამავრცელებელი წარჩინებულთა სასახლეებში. მონაწილეობდნენ სახალხო დღესასწაულებსა და საწინააღმდეგოებში, სამუსიკო ინსტრუმენტებზე დაკვრით, სიმღერით, ცეკვით დიდძალ მაყურებელს იზიდავდნენ. მგოსნის როგორც ფოლკლორული ტრადიციის შემსრულებლის როლი შორეული წარსულის მქონეა. თამარის ისტორიკოსი ქორწილის აღწერის დროს ამბობს: „იყო ხმა მგოსანთაო“, მე-12 საუკუნის წყაროების მიხედვით „მგოსანი“, ერთი გაგებით, ორიგინალური ლირიკული ლექსების ავტორია, მეორე გაგებით კი მოშიარე-მომღერალი. რუს-

თაველის პოემაში ნათქვამია: ტარიელი და ავთანდილი „ორნივე ტურტად იმღერდეს ვით იაღონი, მგოსანი“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 43—45.

გ. შუთყაური

კაქანდია — ანუ კაქანდი-ქერქუ, კაქის დევი, მეგრული ზღაპრის პერსონაჟი, უძლიერესი და უსწრაფესი დევი, ქარ. დევ-კაქიანის მსგავსად იტაცებს ოქროსთმიან მზეთუნახავებსა და ებრძვის კეთილ გმირებს.

ლიტ.: Ал. Цагарели, Мингрельские эпюды, I, 1880, გვ. 10.

მ. ჩაჩავა

კაფია — მუნასიბად, წინასწარი მომზადების გარეშე ნათქვამი სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსი. არსებობს მისი ორი სახე: მონოლოგური (ცალფა) და დიალოგური (ორფა) კაფია. ცალფა კაფია მთელ საქართველოშია გავრცელებული, ხოლო ორფა კაფია, რასაც ფშავში მიღეჭებას ანუ შემღერებას, ხევსურეთში კი თავისპირის ლექსს უწოდებენ, ფშაური პოეზიის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს.

მონოლოგური კაფიის ნიმუშია:

ჩონქარაი ვარ ღვერათი,
დავდივარ როგორც კერატი,
წაწალს დავპირდი ჩუსტებსა
ვითომ თავადა ვკერავდი.

დიალოგური კაფიისა კი:

— ჩემთან გადმოხე ფრუშკაო,
ქალს მოგეშ, როგორც ეთერი,
— მე ეთერივით არ მინდა,
ბეჩავე მინდა ჩემ ფერი

და ა. შ.

კაფიის საუცხოო ოსტატები იყვნენ ფშაველი მოლეჭეები მერცხალა ფოთოლაშვილი (ფოთოლათ მერცხალა), ჯაბანი მინდილაური, კარატიელი წიწოშვილი (წიწოთ კარატიელი), ყრუვ გიორგი და სხვ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 35—36. ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 96—98; ვ. კოტეტიშვილი,

ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 387; ა. ცანავა, გალექსება-გაშიარება და ფშაური
კაფია, თბ., 1964; ყრუე გიორგი, კაფიები, ლევან ბოძაშვილის გ მოცემა, 1973.

გ. შეთქაური

კაფიე ოთქუმალუ — კაფიობა („კაფიის თქმა“). თვალსაჩინ-
ნოა კაფიობის ტრადიცია ლაზურ ფოლკლორში. ადრე თითქმის
ყოველ ლაზურ სოფელს ჰყავდა თავისი მოკაფიავე („კაფიე მთქ-
მალუ“, ან „შიარჯი“). მათი სახელები დღემდე არ არის დავი-
წყებული.

ზ. თანდილავა

კედელში ჩაშენებული მსხვერპლის სიუჟეტი — მოგვითხრობს
ციხე-სიმაგრის (ეკლესიის, ხიდის, ქალაქის) აგებისას კედელში
მსხვერპლის ჩატანების ჩვეულებაზე. საქართველოში ყველაზე
უძველესია სურამის ციხის ლეგენდის ის ვარიანტები, რომლე-
ბიც ბალადის ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. პირველ ფრაგ-
მენტში მოცემულია დედის საუბარი შვილთან. ბალადის მეორე
ნაწყვეტშიც დედისა და შვილის დიალოგია, მაგრამ შემოკლებუ-
ლი სახით. არსებობს სურამის ციხის ლეგენდის პროზაული ვა-
რიანტები. მშენებლობის მსხვერპლის სიუჟეტს პარალელები მოე-
პოვება რუმინულ, უნგრულ, სერბიულ, გერმანულ, ბერძნულ და
სხვა ხალხების ფოლკლორში. სიუჟეტს საფუძვლად უდევს უძ-
ველესი რელიგიური რწმენა, რომლის თანახმადაც შენობის აგე-
ზისას ადგილის დედისათვის მსხვერპლი უნდა შეეწირათ. რწმენა
წარმოშობით ძველთაძველია.

ქართველი ტომები ადგილის დედას და სახლის ანგელოზს
ჩინი თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ, ამაზე საიხ-
ტერესო ცნობას გვაწვდის ანტიოქიის საეკლესიო კრების ძეგლის-
წერის თარგმანში ჩართული ცნობები. განვითარების გარკვეულ
საფეხურზე ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჯერ ცხოველით შე-
იცვალა, ხოლო მერე სხვადასხვა სიმბოლიური საგნებით. ადგი-
ლის მფარველისადმი მსხვერპლის მირთმევა ისე ფესვგადგმული
ყოფილა, რომ მისი გადმონაშთები ჯერაც არაა გამქრალი. ზოგ-
ჯერ სახლს რომ აშენებენ, საძირკველში ნახშირს ან ფულს ჩაყ-
რიან. ეს ძველთაძველი რწმენა ისტორიის მსვლელობაში თანდა-
თან ლეგენდად იქცა და სხვადასხვა არქიტექტურულ ძეგლებს და-
უკავშირდა (მინდას ციხე, სურამის ციხე, ხონის ეკლესია, კელა-
ხურის კედელი, სიღნაღის გალავანი).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართულ-სერბულ-უნგრული ეპიკური შეხვედრანი, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVII, № 10, 1955; ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 65; ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, II, 1967, გვ. 338; ნ. შამანაძე, კედელში ჩაშენებული მსხვერპლის სიუჟეტი ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964.

6. შამანაძე

კეკელიძე კორნელი სამსონის ძე (18.IV, 1879—7.IV, 1961) — დიდი ქართველი მეცნიერი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი. კ. კ. თვალსაჩინო როლი მიუძღვის ქართული ფოლკლორისტიკის განვითარებაში. ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების მრავალმხრივი ურთიერთობის საკითხები გაშუქებულია მის „ძველ ქართული მწერლობის ისტორიის“ ორტომეულში. სხვადასხვა დროს შეეხო ამირანის თქმულებისა და „ამირან-დარეჯანიანის“, „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური ეპოსის, ფირდოუსის „შაჰნამესა“ და ქართული „როსტომიანის“ ურთიერთობათა საკითხებს. სპეციალური გამოკვლევები უძღვნა ზღაპრულ სიუჟეტებს, რომლებმაც ასახვა პაპოვეს ლიტერატურაში („ორი მოხეტიალე სიუჟეტისათვის ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში“, „ბარამგურიანის“ ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში“, „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელები“, „ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის“). კ. კ. დამახასიათებელია ხალხური შემოქმედების მონაცემთა გათვალისწინება ლიტერატურული პროცესის შესწავლის დროს.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, კორნელი კეკელიძე და ქართული ხალხური შემოქმედების საკითხები, ნაკვეთები, I, 1958; საიუბილეო კრებული კორნელი სამსონისძე კეკელიძეს, თბ., 1959. ალ. ბარამიძე, კორნელი კეკელიძე, თბ., 1961; დიდი ქართული მეცნიერა აკად. კორნელი კეკელიძე. 1965.

ქს. სიხარულიძე

კელენჯერიძე მელიტონ სპირიდონის ძე (1864—1942) — პედაგოგი, ხალხური შემოქმედების შემკრები და მკვლევარი. დიდ ყურადღებას აქცევდა ზღაპრების, შაირების, სიმღერების, ზმების, ანდაზა-გამოცანების შეგროვებასა და შესწავლას. კ.-ის ვრცელმა გამოკვლევამ „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიკო და საესთეტიკო მნიშვნელობა“ (1896) თავის დროზე თვალსაჩინო გამოხმაურება ჰპოვა. 1915 წ. კ.-მ „ტანკმელის“ ფსევდონიმით ცალკე წიგნად გამოსცა ორი ზღაპარი, აფორიზმები და გამოცანები. როგორც პედაგოგმა ხალხური სიბრძნის ნიმუშებს და მათ განხილ-

ვას ფართო ადგილი დაუთმო მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში: „სიტყვიერების თეორია“ და „ქართული ქრესტომათია ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა“ (1920).

ლიტ.: მ. კელენჯერიძე, სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიკო და საესთეტიკო მნიშვნელობა, 1896; სახალხო განათლების მოღვაწეები და მასწავლებლები, III, 1968.

თ. ზანდუკელი

კენოტაფი — სიმბოლიური სამარე, სადაც მიცვალებული ფაქტიურად არ ყოფილა დამარხული. 1961 წელს სოფ. ლაფანყურში ეპიტაფიების შეგროვებისას ერთი ასეთი კენოტაფი აღმოჩნდა; ძმები რუსულაშვილები სამამულო ომში დაღუპულან, მწუხარე დედას შინმოუსვენებელთა სიმბოლიური სამარხი გაუმართავს სასოფლო სასაფლაოზე და მემორიალური წარწერები გაუკეთებია. „დედამ გვისახსოვრა ცრემლიანი თვალით“, — არის ნათქვამი საფლავის ქვის წარწერაში. ჩანს, კენოტაფები, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია. ქ. ფოლკლორი, 1—11, გვ. 222; В. Блаватский, Антиничная полевая археология, 1967, გვ. 165.

მ. ჩიქოვანი

კერპზორგნეული — კერპისეული, კერპისგან აღტკინებული, კერპობის დამახასიათებელი, წარმართულ ღვთაებათა თაყვანისცემის გამომხატველი. გამოთქმა ნახმარია 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლების წერაში“ და წარმართობაათან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ასახავს. „ძეგლის წერის“ სიტყვით: „ესენი (ათორმეტნი მოწაფენი, მოციქულნი) ვითარცა შარავანდედნი მზისა მის სიმართლისანი განეფინეს რაი კიდეთა ქუეყანისათა, ყოველი ნივთი კერპზორგნეულისა უღმრთოებისაი მახვილითა სულისაითა მოჰკრეს და ცეცხლითა სარწმუნოებისაითა მოწუეს და ერქუნითა ჯუარისაითა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი“. აქ მიუკიბ-მოუკიბავად ნათქვამია, რომ ქრისტიანობის სახელით ყოველივე წარმართული, კერპისეული და კერპობისაგან შთაგონებული მოისპო. კ-ში წარმართობის დროის ფოლკლორიც არის ნაგულისხმევი. უღმობელ ჰიდელში ბევრი ძეგლი დაიღუპა, რაც გადარჩა — გადასხვაფერდა და მეცნიერებას საშუალება აღარ აქვს ზუსტად აღადგინოს მათი პირვანდელი სა-

ხე. ამ ისტორიულ იდეოლოგიურ ბრძოლაში ახალი სიტყვიერება წარმოიშვა. ეს იყო უმთავრესად ქრისტიანული კულტით შთაგონებული სიტყვიერება, პოეზია და პროზა, თეატრალიზებული მისტერიები.

ლიტ.: თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 75; ი. ჯავახიშვილი, ქართ. მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938; მ. ჩიქოვანი ქ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 81—93.

მ. ჩიქოვანი

კერპებთან ბრძოლა — წარმართულ ღვთაებათა გამოხატულებების, ქანდაკებების მოსპობა (არმაზი, ზადენი და სხვ.), სახელმწიფო მნიშვნელობის ბომონთა მსხვერვეა — განადგურება აღწერილია ნინოს ცხოვრებაში. უნდა ვიგულისხმოთ, იგივე ღონისძიება ჩატარდა პერიფერიებში და კერპობის ყოველგვარი გამოხატულებანი, ალბათ ზოგჯერ დიდი ხელოვნებით შესრულებული, აღიგავა პირისა დედამიწისაგან.

მ. ჩიქოვანი

კერპი — წარმართთა ცრუ ღმერთი ანუ მისი გამოხატულებათა, განმარტავს საბა-სულხან ორბელიანი. ღვთაებანი ძველ საქართველოში მრავალი იყო, მაშასადამე, თითოეულს თავისი გამოხატულება, სახე, ხატი ჰქონდა. საუკუნეების მანძილზე შექმნილი საკულტო ხელოვნება, ზეპირსიტყვიერება და მუსიკა, ქორეოგრაფიასთან ერთად, თვალსაჩინო კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა. ოფიციალური, სახელმწიფო მნიშვნელობის კერპების გარდა პერიფერიებში მცირე კერპები, ადგილობრივი სათემო-ტომობრივი ღვთაებანი არსებობდა, რომელთა კვალი თვალნათლივთა ასახული პოეზიასა და მითოლოგიაში. როცა 337 წელს მცხეთის დიდი კერპები დაამსხვრიეს, ამას ადგილობრივ ღვთაებათა გამოხატულებების გაჩანაგება მოჰყვა. ისტორიულ ანალებში ფიქსირებულია ფაქტი: როცა მთის ტომებმა მისიონერები გამოაძევეს, ხელისუფლებამ შეიარაღებულ ძალას მიმართა. „ერისთავმან ქართლისამან მცირედ წარმართა მახუილი მათ ზედა, ძლევით შემუსრნეს კერპნი მათნი“.

ლიტ.: ქ. ცხოვრება, 1942. მ. ჩიქოვანი, ქ. ხ. სიტ. ისტ., 1956, გვ. 86—93.
მ. ჩიქოვანი

კესარი — სვანურ ხალხურ ზღაპრებში გვევლინება ხელმწიფის სინონიმად, რაც ბიზანტიურ-რომაულ კულტურულ სამყა-

როსთან ურთიერთობას მიგვანიშნებს. არსებობდა აგრეთვე სა-
წესჩვეულებო თამაშობა „კესრობა“ (ნ. ლიმურყვამალი).

...
დ. წერდიანი

კეშელავა პლატონი გიორგის-ძე (1893—1963) — მწერალი.
1939 წელს გამოსცა „არსენას ლექსი და კაკო ყაჩაღი“ წინასი-
ტყვაობითა და შენიშვნებით. ფართოდ მიმოიხილავს „არსენას
ლექსს“. აღნიშნავს იმ დიდ ინტერესს, ქართველი მწერლები რომ
იჩენდნენ არსენასადმი. კერძოდ, ეხება ილიას „კაკო ყაჩაღს“ და
ასაბუთებს „არსენას ლექსის“ კეთილმყოფელ გავლენას ამ პოე-
მაზე.

ნ. შამანაძე

კვეთილიანი — კვეთილში ჩასმა, ერთგვარი ვეტოს დადება. ჩვეუ-
ლება, რომლის მიხედვით ქმარზე გულაყრილ ცოლს სადაც სურდა,
იქ შეეძლო ეცხოვრა, მაგრამ მეორე ქმარს ვერ გაყვებოდა. ეს ჩვე-
ულება ხშირადაა მოხსენებული ლექსებში.

მოგივიდოდი ცოლად, არ ვიყო კვეთილიანი.
თავს კი ნურას მაიწონებ, მამა მეცა მყავ ხმლიანი,
ერთი ნასროლით სამს მაპკლავს, შინ მოვა სახელიანი.

კვეთილიანობაზე ყოველთვის სინანულით ლაპარაკობენ მგო-
სანი ქალები; ლირიკულ გმირს გულის სატრფო სურს მოძებნოს,
მაგრამ კვეთილში ყოფნა უშლის ხელს.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., IX, 1964, გვ. 74.

მ. ჩიქოვანი

კვირია (კვირაე, კვირაჲ) — ქართული წარმართული ღვთაება,
ბილო დრომდე შემორჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელ-
თა რწმენაში. მორიგე ღმერთის თანამდგომი, მოკარვე და ხმელე-
თის გამგებელი. იგი ხუცობის ტექსტები ასე მოიხსენიება: „დი-
დება ღიღს კვირაესა, მადლის ღვთის მოკარვესა... კმელთ მაურაო,
კარავს კვირაეო“.

კვირია, როგორც პერსონაჟი, გვხვდება მითოლოგიურ ნა-
წარმოებებში (იაკსარი, კობალა და სხვ.). იგი ღვთის ქარზე მეთ-
ვალყურისა და სამართლის გამგებლის ფუნქციასაც ასრულებს.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 62;
თ. თაბიათი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში,
1967, გვ. 147; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ. გოგოჭური

კიქიაშვილი მესტირე — ქართული სახალხო მომღერალი:
ი. ბატონიშვილის ცნობით, „ესე იყო პირველი მესტირე და ნაქებბ
ქართლში“. შეუთხზავს ერეკლე მეფის ხოტბა და სტირზე ამღე-
რებდა ხშირად.

ლიტ.: ი. ბატონიშვილი, კალმასობა, 1936, გვ. 294; ა. ცანავა, ქართული
მესტირული პოეზია, 1953, გვ. 15.

ნ. შამანძე

კობზა — ხალხური სიმებიანი (ჩვეულებრივი 8 სიმი) საკრავი.
უმთავრესად გავრცელებულია უკრაინაში, აგრეთვე მოლდავეთში,
რუმინეთსა და უგრეთში.

გ. ბარნოვი

კობზარი — უკრაინელი სახალხო მომღერალი, კობზაზე დამკ-
ვრელი. კობზართა ხელოვნებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს
მე-16—17 სს. მიაღწია. კ. რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი
უჭირავს საგმირო-პატრიოტულ თემატიკას. კ. შემოქმედება ფარ-
თოდ გაიშალა და გაიფურჩქნა საბჭოთა უკრაინაში.

გ. ბარნოვი

„კოლექტივიზაცია“ — სასოფლო გაზეთი, დაარსდა 1930 წ.
მასში პერიოდულად იბეჭდებოდა ხალხური პოეზიის ნიმუშები.
1934 წლის ზაფხულიდან ამგვარი მასალების პუბლიკაცია გახშირ-
და შ. რუსთაველის სახ. კულტურულ ლაშქრობასთან დაკავშირე-
ბით. ლაშქრობა შედეგიანი აღმოჩნდა. რედაქცია ყოველდღიუ-
რად იღებდა ჩანაწერებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედრო-
ვე შინაარსისას. ამის საფუძველზე შეიქმნა სამტომიანი „საუნჯე
ხალხური შემოქმედებისა“. გაზეთმა 1935 წ. არსებობა შეწყვი-
ტა. კ. ხალხური პოეზიის მრავალი ნიმუში გადაარჩინა დავიწყე-
ბასა და გაქრობას.

ვ. მაცაბერიძე

კოლექტიური თანავტორობა — ფოლკლორისტიკაში დამკვიდ-
რებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მხატვრული ნაწარმოების
შექმნის პროცესს. ზეპირსიტყვიერების თავისებურების გამო,
ერთხელ ან ერთის მიერ შექმნილი ნაწარმოები მუდმივ ცვალება-
დობას განიცდის. თავდაპირველ ავტორს მრავალი უხილავი თანა-
ავტორი უჩნდება კოლექტივის სახით. ცვლილებანი განპირობე-

ბულია როგორც ეპოქის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობებით, ასევე მთქმელების ნიჭითა და გემოვნებით.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.
ჯ. ბარდაველიძე

კოლექტიური პოეტი — ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მრავალი ადამიანის თანავეტორობას. კოლ. პოეტი ზეპირსიტყვიერი შემოქმედების სპეციფიკის განმობხატველია, იგი უწყვეტი შემოქმედებითი პროცესის მაჩვენებელი არის.

ჯ. ბარდაველიძე

კომბლე — ზღაპრული პერსონაჟი. სახელწოდება წარმოდგარია კომბლისაგან, იგი აკეთებს კომბლებს, რომლებიც მისი თავდაცვისა და კეთილდღეობის საშუალებას წარმოადგენს. კომბლე მართალი, მოფიქრებული და მოხერხებული გლეხის ფოლკლორული სახეა.

ლიტ.: ქართ. ხალხ. ზღ., I, შერ. თ. რაზიკაშვილის მიერ, 1951.
მ. ჩაჩავა

კომპოზიცია — მხატვრული ნაწარმოების წყობა, აგებულება, მთლიანობა. მხატვრული ფორმის ერთი ძირითადი კომპონენტთაგანი.

მხატვრული შემოქმედების ყოველ გვარს თავისებური კომპოზიცია გააჩნია. განსაკუთრებით მკვეთრი განსხვავება არსებობს ლირიკულ, ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებთა კომპოზიციას შორის: ლირიკულ ნაწარმოებთა კომპოზიციის საფუძველს რიტმი წარმოადგენს, ხოლო ეპიკური და დრამატული ნაწარმოებისას კი — სიუჟეტი.

ხალხური ლირიკული ნაწარმოების კომპოზიცია მრავალფეროვანია: ზოგჯერ ერთ სალექსო და სასიმღერო რიტმზეა აგებული, ზოგჯერ კი ადგილი აქვს რიტმისა და მელოდის ცვალეზადობას, რაც კომპოზიციას მრავალწახნაგოვანს ხდის. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია სასიმღერო, განსაკუთრებით კი გუნდური სასიმღერო ლექსებისათვის.

ჯ. ბარდაველიძე

კონკაიულარუნა — გერ-დედინაცვლის ტიპის ზღაპრის პერსონაჟი, კონკებჩაცმული, ჩაგრული გერი. კ. კეთილი და მომ-

ხიბლავი გარეგნობისაა, მძიმე თავგადასავლების შემდეგ ბედნიერებას აღწევს.

ლიტ.: ხალხური ზღაპრები, შერკ. ვლ. აღნიაშვილის მიერ, I, 1890, გვ. 12
მ. ჩაჩავა

კობალა — მთის მითოლოგიაში მეტად პოპულარული ღვთისშვილი, ვის სახელზე ბევრი სალოცავი არსებობს არაგვის, ივრისა და ალაზნის ხეობებში, ზემო რაჭაში. ძველად ყოველწლიურად იკრიბებოდნენ კობალას ხატში კურატებითა და ცხვრით, სათემო დროშებითა და ხმიადებით, იმართებოდა ღამისთევა, ცეკვა-ფერხულები, საკულტმსახურო წესთა შესრულება. კობალას გმირობით მიმართავენ დიდების ტექსტში. „დიდება შენდა, გმირო კობალევ, შენ გეძახიან და გეხვეწებიან ეს სამსახურის პატრონები, ქუდოსან-მანდელოსანნი“-ო. ხალხურ პოეზიას კარგად დაუცავს ცნობები კობალას ღვთიურ ჩამომავლობაზე, მორიგე მბრძანებით მიმართა თანამოსაყდრეებს: „მჯარნ დაუსახენ არწივისანიო, სახელ კობალა დაეაქვიანათო“. მკარკვერიანი გმირი თვითონ მორიგე ღმერთმა შეამკო საკუთარი ხელით.

ჩაქმან ჩააცენა რკინისანიო,
ჯიგუნ მისცნა სინისანიო;
მარცხენაზე ჭოთან მისცა ნათიანიო,
შიგა მათრაჯი ფესვიანიო.

საგანგებოდ შეიარაღებულ გმირს საასპარეზო უზენაესმა ღმერთმა განუსაზღვრა, სადაც მას დევები უნდა მოესპო და ხორციელნი გაეთავისუფლებია.

ზღვის პირზე სასაგნავი
კობალას მისცა მორიგემა,
ას-ლიტრიანი საგმიროს სინისანიო
ცეცხლის ალით ანთებული.
ის მიულოცა მორიგემა,
მემრე გაღმაუშე ჭმელეთზედა.

აქ კობალას დევებისაგან შევიწროვებულ-გაჩანაგებული ქვეყანა დახვდა. დევების ფშავ-ხევსურეთიდან განდევნა კობალას დამსახურებად ითვლება. ამ ნიადაგზე ღვთისშვილის სახელზე ბევრი მითი და საგმირო ლექსი შექმნილა. მათი შეკრება კიდევ შესაძლებელია თუშ-ფშავ-ხევსურეთში.

ლიტ.: ვეფ-ფშაველა, თხზ., IX, 1964; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, 1931; ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, 1951; თ. ოჩიაური, მითოლოგიური ვაღ-

მოცემები, 1967; მ. ჩიქოვანი, ქართული მითოლოგია და ხალხ. პოეზია. ბერძნულ და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972, მ. ჩიქოვანი

კობალას ქვა — დევებთან მებრძოლ კობალას საჩილდაო ქვა, რომელიც კართანის (ნ) მცირე ველზე აგდია არაგვის მარჯვენა ნაპირას. ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს: გზადაკარგული კ. ციხე-გორს დევებთან მისულა და დამე გაუთევია. დილით დევებს სავარჯიშო ლოდების სროლა დაუწყიათ. კობალასაც მიუღია. მონაწილეობა და უზარმაზარი ლოდი შორს გაუტყორცნია. დევები შეშინებულან. კ. ისინი გაუუღეტია, მათი ციხე-დარბაზები და საცხოვრებელი დაუჭერია. საჩილდაო ქვაც დავლად დარჩენია. კართანაში უფრო გახვივებული დევები ცხოვრობდენ თურმე. ერთი ციხე-გორს წასულა და კ. ქ. მოუპარავს. გმირი კობალა დაწვეია, ისარი უსვრია, ქვა დაუგდებინებია და დევიც მოუკლავს. ხევსურეთსა და უკანა ფშავეში მიმავლებს ახლაც უჩვენებენ ერთ დიდ ქვას, კობალას ქვის სახელით.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, III, 1964; გვ. 190; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972; თ. თიაურის, მითოლ. გადმოცემები, 1967, გვ. 42; ვაჟა-ფშაველა, თხზ-IX, 1969, № გვ. 77—78.

მ. ჩიქოვანი

კობტონაშვილი ვასილ (1866—1956) — სახალხო მასწავლებელი, ჯავახური ფოლკლორის შემკრები. დაიბადა ს. კოთელიაში (ახალქალაქის რ.). ერთხანს მუშაობდა სოფ. ტოლათსოფელში, სადაც მის მისვლამდე ვაჟა-ფშაველა მასწავლებლობდა. „ივერიაში“ გამოაქვეყნა ხევსურული ლექსები. დაბეჭდა თქმულება შ. რუსთაველზე. კ. ეკუთვნის საყურადღებო ეთნოგრაფიული წერილები და არქეოლოგიური ნარკვევები.

ლიტ.: ვ. კობტონაშვილი: ჯავახეთი, „ივერია“, 1888, № 163; აობრებული-სოფელი სირგვი, „ივერია“, 1888, № 50; 1889; № 140; მესხური ლექსი, „ივერია“, 1894, № 30; ლეგენდა (შ. რუსთაველის ცხოვრებაზე), „ივერია“, № 21, 1894; ყვენობა ჯავახეთში.

ლიტ.: ი. მაისურაძე, ხალხის მოქირანახლე. წითელი დროშა, №28, 28. III. 1958.

ი. მაისურაძე

კორეცხალა (კოროცხალა) მგარინი — მოთვლით ანუ მოთქმით ტირილი. ტირილის ამ სახეობისთვის ძირითადია სიტყვიერი მასალა. მოტირალი საჯაროდ მოთქვამს (მოთვლის) მიცვალებუ-

ლისა და მისი ნათესავ-მახლობლების სააქაო ცხოვრების ამბებს. დავიწყებული არ არის აგრეთვე მიცვალებულის საიქიო „ცხოვრება“.

ზ. თანდილაყა

კორიფე — დამწყები, სოლისტი. განსაკუთრებულ როლს თამაშობდა უძველესი გუნდური ხელოვნების შესრულების პროცესში. კორიფეს წარმოთქმულ ფრაზას გუნდი გაიმეორებდა ან აკომპანემენტს შეუწყობდა. ხალხური შემოქმედების განვითარების შემდგომ საფეხურებზე კორიფეს მოვალეობა და შემოქმედებითი ფუნქცია თანდათან იზრდებოდა, რაც ბოლოს მისი გუნდიდან გამოყოფით და დამოუკიდებელ (ინდივიდუალურ) შემსრულებლად ქცევით დამთავრდა. გუნდური ხელოვნების დაშლა კორიფეს გააქტიურებამ განაპირობა. კორიფე — პროფესიული პოეტის ყველაზე უძველესი წინაპარია.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956; А. Н. Веселовский, Историческая поэтика, Л., 1940.

ჯ. ბარდაველიძე

კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე (1892—1938) — გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლიტერატურის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი და მოქანდაკე. ვ. კ. დაიბადა დიდ თონეთში (თეთრი წყაროს რაიონი). საშუალო განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1911 წელს. უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა. იქ ჩაირიცხა ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე. ვ. კ. სწავლობდა ცნობილ ლიტერატურათმცოდნე ს. ა. ვენგეროვთან, ფოლკლორისტ ე. ანიჩკოვთან, სოციოლოგ დე რობერტისთან. სტუდენტობისას მუშაობდა პროფ. ეაკოვის „მსოფლიო ზღაპრის წრეში“. ინსტიტუტში ოთხი წლის სწავლების შემდეგ გადავიდა ტარტუს (ყოფ. დორპატის) უნივერსიტეტში, რომელიც დაასრულა 1918 წელს. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1912 წლიდან. ბეჭდავდა წერილებს ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე. 1925—1927 წწ. გამოვიდა მისი ქართული ლიტერატურის ისტორიის სამი ტომი. 1927 წელს შეუდგა უნივერსიტეტში ფოლკლორის კურსის კითხვას. 1932 წ. საქართველოს მუ-

ზეუმთან შეიქმნა ფოლკლორის განყოფილება და ფოლკლორული არქივი. ეს განყოფილება დაედო საფუძვლად, შემდგომ, 1936 წელს უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული ლიტერატურის, ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას.

1934 წელს გამოვიდა ვ. კ. შედგენილი კრებული „ხალხური პოეზია“, რომელსაც ერთვის წინასიტყვაობა და ვრცელი შენიშვნები. აქ პირველად იქნა დასმული ქართული ფოლკლორის ისტორიის კარდინალური საკითხები, ძველ სამწერლობო ძეგლებში დატული უძველესი ცნობებისა ხალხური სიტყვიერების შესახებ. იქვე გათვალისწინებულია ქართული ფოლკლორის უძველესი მითური საფუძვლები და მოცემულია დამაჯერებელი ცდები ეროვნული პოეზიის ცალკეული შედევრების დათარიღებისა და სოციალ-ისტორიულ გარემოებასთან დაკავშირებისა. ვ. კ. ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა გეგმაზომიერი საექსპედიციო შემკრებლობით მუშაობას. ჩატარდა ექსპედიციები 1930 წელს, — მესხეთ-ჯავახეთში, 1933 წელს ატენის ხეობაში და 1934 წელს თქმისა და ალგეთის ხეობებში.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, I გამ. ქუთ., 1934; II გამ. ევრსალაძის წინასიტყვაობით და რედაქციით, 1961; ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, I—II, დ. გამუზარაშვილის ბოლოსიტყვაობითა და რედაქციით, 1966—1967; E. Вирсаладзе, В. Котетишвили, Народная поэзия, рецепция, «Сов. этнография». 1934 № 1—2.

ელ. ვირსალაძე

„კრებული“ — ქართული სალიტერატურო ჟურნალი, რომელიც 1871—1873 წლებში თბილისში გამოდიოდა. მის ფურცლებზე გვეყნდებოდა ხალხური პოეზიის ნიმუშები. კარძოდ, აქ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის ჩაწერილი ლექსები „გლეხური სიმღერების“ სახელწოდებით („ვერ გაიგეთა ქართველნო“. „ვაჟკაცსა გული რკინისა“, „ძმაო, რაი სჯობს ძმობასა“ და სხვ.). ლაკონიურობით, მაღალი პეროიკულ-პატრიოტული პათოსით ხასიათდება ი. ჭავჭავაძის მიერ ხევში, ს. სტეფანწმინდაში, ფიქსირებული ლექსი ბერ მინდიაზე („კრებული“, 1873, № 3):

გავვიძელ, ბერო მინდიავე.
მუხლრ მაიბი მგლისაო,
ვაყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქეს ცდისაო.

იქვე დაიბეჭდა პეტრიძის (პ. უმიკაშვილის) ვრცელი წერილი არსენა ოძელაშვილის შესახებ, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 121, 154.

გ. შეთქაური

კოჩხო — ხის დიდი კოვზი, რომლითაც მწყემსები კასრში რძეს ურევვენ შედედებისას. გვხვდება მწყემსთა სიტყვიერებაში.

კოჩხო, ხარ, ძმაო, ქამაში.
საქმეში მართლა ქიტი ხარ;
ქალებში დახვალ ქედილად,
კაცებში ყოჩად გვიჩიხარ!

ლიტ.: ნ. შამანაძე, მწყემსთა პოეზიის მხატვრული თავისებურებანი. ლიტ. ძიებანი, ტ. XV, 1963 წ., გვ. 270.

ნ. შამანაძე

კოჭუკუდმართი — მითოლოგიური პერსონაჟი, ფეხის ტერფ-შებრუნებული არსება, ეშმაკეული, ადამიანის სახის მქონე მაცდური სული. ავსულის გამოცნობა შეიძლება ფეხებით. მას კოჭები წინ აქვს და ტერფები უკან, რითაც კოპალას კვალს უბნევს და ემალება.

ლიტ.: წელიწადული, 1924, გვ. 155; ფ. არქ. კ-17, გვ. 26.

დ. გოგოჭური

კოხინჯლობა — ტრადიციული დღესასწაული ლეჩხუმში (ორხვი), იმართებოდა 7—8 მაისს. გვხვდება სხვა კუთხეებშიც (სამეგრელო). ამ დღეს მოსული წვიმა კეთილის მომასწავებლად ითვლებოდა.

მ. ჩიქოვანი

კრონი კარლ ლეოპოლდ (1863—1933) — ფინელი მეცნიერი, ფინური ფოლკლორისტული სკოლის მეთაური, ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდის წარმომადგენელი. იკვლევდა ზღაპრებსა და კალევალას რუნებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეპოსს. მისმა მრავალტომიანმა გამოკვლევამ „კალევალა“-ს (ნ.) შესახებ ეტაპი შექმნა ეპოსისმცოდნეობაში. მას ეკუთვნის ნაშრომი „ფოლკლორისტული მუშაობის მეთოდი“ (1926). კ. კ. ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ამირანის ბრობლემას. მისი „დატყვე-

ვებული ურჩხული“ (1907) ქართულ ეპოსის შესწავლის ერთ უშესანიშნავესი მაგალითია შედარებით ფოლკლორისტიკაში. კ. კ. აზრით პრომეთეს მითის, საერთოდ ევროპული დატყვევებული ბუმბერაზების სიუჟეტთა, სათავე აღმოსავლეთშია საძებარი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი. ფინელი მეცნიერი კ. კონი ამირანის შესახებ, ქართული ეპოსი, II, 1965.

მ. ჩიქოვანი

კუკი — მექანიკურად მოძრავი, მოცეკვავე დედოფალა (ნ.). სახელწოდება „კუკი“ ან „კუკა“ ბერძნულიდანაა ნასესხები. უკავშირდება ტერმინს „ $\alpha\iota\sigma\alpha\lambda\alpha$ “, რაც მოთამაშე და მომღერალ თოჯინას ნიშნავს. ქართული შესატყვისია „კუპრა“. უძველეს ხალხურ თეატრალურ სანახაობებში კუყების საშუალებით ადამიანისა და ცხოველების სახის მქონე ღვთაებრივ არსებებს გამოხატავდნენ.

ლიტ.: დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948.

ფ. ზანდუკელი

კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა: — საზოგადოების განვითარების კანონზომიერება მოითხოვს ხალხების მუდმივ კონტაქტს, ურთიერთობას. თვალსაჩინო კვალს ამჩნევს ასეთი ურთიერთობა სულიერ კულტურას, კერძოდ, ფოლკლორს. ყოველ ხალხთაგანს საკუთარი, ორიგინალური ზეპირსიტყვიერება გააჩნია, მაგრამ შეუძლებელია მოინახოს ისეთი ქვეყანა, სადაც არ შეჭრილიყოს სხვა ხალხთა ფოლკლორული სიუჟეტები და გარკვეული ზეგავლენა არ მოეხდინოს ადგილობრივ კულტურაზე. ქართველი ხალხი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში დაკავშირებული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან, ეროვნულ საუნჯეს ამდიდრებდა უცხო ხალხებთან ურთიერთობის გზითაც. ცხადია, თავის მხრივაც ზეგავლენას ახდენდა მოსაზღვრე ქვეყნების ზეპირსიტყვიერებაზე. კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ფოლკლორის განვითარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.

ჯ. ბარდაველიძე

კურთხევანი — 1. საეკლესიო რიტუალის (ნათვლა, ქორწინება და სხვ.) შესრულებისთვის განკუთვნილი წიგნი. ხშირ შემთხვევაში ასეთ წიგნებში, განსაკუთრებით ხელნაწერებში (XIV—XVIII საუკ.), შეტანილია სამეურნეო და სამკურნალო ხასიათის

მაგიური ტექსტები. ისინი ხალხურ შელოცვებს მოგვაგონებენ.
2. ხატობის დროს, უმეტესად ხევსურეთში, ხუცთა მიერ წარმოთ-
ქმული სასულიერო შინაარსის სიტყვიერება: ვედრება და დიდებ-
ბა, ლექსფორმულები.

ლიტ.: ჩიქოვანი, მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 289—291.

ვ. მაცაბერიძე

კუშული — დაუმარილებელი და გუდაში ჩაუდებელი სახარჯო
ხველი. გვხვდება მწყემსთა პოეზიაში:

წარმემღვრელი ილია
კოდის გარშემო დაღისა,
სათითესავეთ კოდი აქვს,
სამი კუშული ჩაღისა.

ლიტ.: ნ. შამანაძე, მწყემსთა პოეზიის მხატვრული თავისებურებანი, „ლი-
ტერატურული ძიებანი“, ტ. XV, 1963 წ., გვ. 270.

ნ. შამანაძე

„კუჭია“ — ხალხური ზღაპარი, დაბეჭდილია აკაკის „კრებულ-
ში“ (1897 წ., № 3). როგორც აკაკის ჩაწერილი ბევრი სხვა მასა-
ლა, ეს ზღაპარიც სტილიზებულია და ჩართული ლექსიც აკაკისა
უნდა იყოს. ზღაპარი დიდაქტიკური ხასიათისაა — კუჭს გადაყოლი-
ლი ადამიანი აღრე თუ გვიან მაინც იღუპება.

გ. ბარნოვი

ლ

ლაზარაშვილი იაკობ იოსების ძე (1863—1896) — ჯავახური
ფოლკლორის შემკრები. ლ. ჩაწერილი ხალხური ლექსები, რომელ-
თაგან ბევრი პრესაში იყო გამოქვეყნებული, შევიდა პ. უმიკაშვი-
ლის კრებულში. ზოგი ფოლკლორული მასალა დაცულია კ. კე-
კელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სათეატრო მუზე-
უმსა და ახალციხის მუზეუმში.

ლიტ.: ი. მაისურაძე, მესხეთ-ჯავახეთის საზოგადო მოღვაწენი, წითელი დრო-
შა, 9. 1. 1956; ე. ჭავთარაძე, ერთი ძველი პიესის შესახებ (ი. ლაზარაშვილის „მტარ-
ვალი“), საბჭოთა ხელოვნება, № 12, 1965.

ილ. მაისურაძე

ლაზარია||ლაზარიკო — გასართობ თამაშობად ქცეული ტა-
როსის ღვთაების რიტუალი. პირვანდელ ფუნქციის შესუსტებას-

თან ერთად სახელწოდებაც ეცვლება. ახლა მას უმეტესად ბავშვები ასრულებენ. ლაზარია უკვე დედოფალას ჰქვია, რითაც თამაშობენ. რეფრენის (მიმართვის) მეორე ნაწილი „ნაზოდაც“ ქცეულა. აქედან: „ნაზალიკო-ნაზო“. შესრულების წესებს ვაჩვენებთ ღორჯომის ხეობაში შეკრებილი მასალების მიხედვით. „ღვევავებთ კოლოფებს, კვერცხის აღისა და ერთიც — ყველისა. გავაკეთებთ ერთ ჩხირს და მეორეს გუუჭედებთ ზევიდან ფთიებზე. ჩამოვაცვამთ ყირმიზიან თავსახვევს ან ჯემპრს (წითელი ფერის უნდა იყოს აუცილებლად). ერთი მოდებს ცალ ხელს ამ ხეს და ლექსს დაიწყებს:

ნაზალიკო ნაზო,
აზანზალებ ცასო.
ჩვენ არ გვინდა წვიმა-წყალი,
ღმერთო, მოგვე ზისა თვალი,
ღმერთო, მოგვე ზისა თვალი,
ღმერთო, შენ გამოადრევიე, — ამინ!
ღმერთო, შენ გაგვიგონე, ამინ!

ან:

ჩვენ არ გვინდა ზისა თვალი,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
ღმერთო, შენ გაავიდრე,
ღმერთო, შენ გაგვიგონე! . . .

შესრულებაში. 9—10. ქალი მონაწილეობს.

ლიტ.: ჯ. ნოლაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან, 1935, გვ. 49; ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში. 1961.

6. ცქიტეშვილი

ლაზარობა — ტაროსის ღვთაების საკულტო კარნავალი, რომლის მიზანს ამინდის შეცვლა წარმოადგენდა. გვალვის დროს სოფლელი ქალიშვილები შეიკრიბებოდნენ და კარდაკარ ჩამოვლისას მღეროდნენ:

ახ ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა.
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა.
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,
ალარ გვინდა მზის თვალი.
ღმერთო, მოგვეც ტალახი,
ალარ გვინდა გორახი.

თუ წვიმები იყო და მოსავალი ფუჭდებოდა, იგივე გუნდი მხოლოდ სასიმღერო ტექსტს ცვლიდა:

... ცხავი აცხავებულა,
დარი აჩქარებულა!..
ალარ გვინდა ტალახი,
ღმერთო მოგვეც გორახი.

გვალვაში „დედოფალს“ წყლით ასველებდნენ და ამ სიმბა-
თიური მაგიით წვიმის მოყვანას ცდილობდნენ.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყ. ისტორია, 1956, გვ. 255—56; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

ლაზური ფოლკლორი — ლაზური (ქანური) ზეპირსიტყვიერება, რომლის გავრცელების ძირითად არეს თანამედროვე ეთნოგრაფიული ლაზეთი წარმოადგენს, ერთიანი ქართული ეროვნული ფოლკლორული საუნჯის ორგანული ნაწილია და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. პირველი წერილობითი ცნობა ლაზური ფოლკლორის შესახებ ძვ. წ. IV საუკუნეს განეკუთვნება. ქსენოფონტე გადმოგვცემს, რომ იმ დროს ქანურ ტომებში პოპულარული ყოფილა სალაშქრო სიმღერები და ცეკვები (ქსენოფონტე, „ანაბაზისი“). ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუში პირველად მე-17 საუკუნეშია ფიქსირებული (ეველია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“).

მომდევნო პერიოდის წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ლაზეთის ისტორიით, ეთნოგრაფიული ყოფით და ლაზური მეტყველებით დაინტერესებულ მკვლევართა შორის ლაზური ფოლკლორისადმი ინტერესიც ძლიერდება (ზ. ჰიჭინაძე). მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ლაზური ზეპირსიტყვიერი მასალების შეკრება შესწავლა მყარ ნიადაგზე დგება. 1910 წ. გამოქვეყნდა ნ. მარის „Из поездки в Турецкий Лазистан“ (ИИАН, № 7) და „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем“. 1911 წელს გამოიცა ი. ყიფშიძის „Дополнительные сведения о чванском языке“ ტექსტებითურთ. ი. ყიფშიძის მიერ 1917 წ. ლაზეთში შეკრებილი ფოლკლორული მასალები გამოსცა არნ. ჩიქობავამ 1939 წ. (ი. ყიფშიძე, ქანური ტექსტები).

ლაზური ფოლკლორის დიდი ყურადღება ეთმობა საქართველო-ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ენათმეცნიერებს. 1929 წ. გამოიცა არნ. ჩიქობავას „ჭანური ტექსტები“ (I ნაქ.), ხოლო 1936 წ. „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“. 1938 წ. გამოიცა ს. ჟღენტის „ჭანური ტექსტები“. 1937 წ. პარიზში დაისტამბა ფრანგი მკვლევრის ე. დიუმეზილის „ლაზური ტექსტები“ („Contes lazés“). 1967 წ. ე. დიუმეზილმა გამოსცა ლაზური ტექსტების მეორე კრებული (Dokuments anatoliens suz les langues et les tradisions du Caucase, IV, Recits lazés en dialected Arhavi, Paris, 1967).

ფოლკლორული ნიმუშები აქვს დართული მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას „ლაზეთს“ (1964). 1970 წელს გამოქვეყნდა „ლაზური ზღაპრები“, შედგენილი ზ. თანდილავას მიერ. დიდძალი ლაზური ფოლკლორული მასალა შეკრება და გამოსცა გ. კარტოზიამ: „მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის“ (ქართული ლიტერატურის საკითხები, 1968); „ლაზური ტექსტები“ (მაცნე, IV 1970); „ლაზური ტექსტები“ (1972). 1972 წელს გამოიცა, აგრეთვე, ი. ასათიანის „ზანური ენის ჭანური დიალექტის ტექსტები“.

ლაზური ზეპირსიტყვიერების შესახებ არსებობს მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც: ს. ჟღენტი, „ჭანური ფოლკლორი“ (ს. ჟღ. „ჭანური ტექსტები“, 1938); არნ. ჩიქობავა, „პროფ. ი. ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა“ (ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, 1939); ს. ჯიქია, „ველია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ“ (იბერ. კავკ. ენათმეცნიერება, VI, 1954); ზ. თანდილავა: „ლაზური ზეპირსიტყვიერების კვლევის ისტორიიდან“ (ბათ. სამეც. კვლ. ინსტიტუტის შრომები, II, 1962); „შრომის ლექსები და ზიმღერები ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში“ (ბათ. სამეც. კვლ. ინსტიტუტის შრომები, III, 1964); „მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“ (აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, 1965); „ლაზური ზღაპრებისათვის“ (კრებული „ლაზური ზღაპრები, 1970); „ლაზური ხალხური პოეზია“ (1972).

დიდი და ნაყოფიერია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს (თავმჯდომარე

პროფ. მ. ჩიქოვანი) როლი ქართველ ტომთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების კვლევის საქმეში.

დღემდე შეკრებილი და გამოქვეყნებული ლაზური ფოლკლორული შემოქმედების ნიმუშები წარმოდგენილია როგორც პროზის, ისე პოეზიის სახით. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ შრომის, საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და საისტორიო ლექსებს. გვაქვს აგრეთვე ანდაზები და გამოცანები. პოეზიის ისეთი ჟანრები, როგორცაა ხობტა, ელეგია, ბალადა, შეკრებილ მასალებში მეტიმეტად მკრთალად არის წარმოდგენილი. შელოცვა-მისნობისა და სასულიერო-რელიგიური ხასიათის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები კი არ შეინიშნება.

გარკვეული ადგილი უჭირავს ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში მუსიკალურ ფოლკლორს, რომლის ნიმუშები უმთავრესად შრომის პროცესებსა და საქორწილო წეს-ჩვეულებებთან არის დაკავშირებული.

თხრობითი ჟანრის ნაწარმოებთა შორის მთავარი ადგილი ზღაპრულ ეპოსს ეთმობა. გვაქვს ცხოველთა, ჯადოსნური და საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები, რომელთა პერსონაჟები, ძირითადად, ლაზეთის ყოფასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების, საკუთარი ეროვნული ხასიათის საფუძველზე მოქმედებენ.

სიუჟეტური და მხატვრულ-სტრუქტურული თვალსაზრისით ლაზური ზღაპრები დიდ სიახლოვესა და მსგავსებას იჩენენ სხვა ქართველ ტომთა ზღაპრულ სიუჟეტებთან და მოტივებთან, რაც მათ საერთო წყაროზე, საერთო წარმოშობაზე მეტყველებს. თავისი არქიტექტონიკით ლაზური ზღაპრები ყველაზე ახლოს დგას მეგრულ ზღაპრულ ეპოსთან. მართალია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ბედის შედეგად ლაზურმა ფოლკლორმა ზუთი საუკუნის მანძილზე გარკვეული უცხო გარემოს გავლენა განიცადა, მაგრამ დღემდე შეკრებილი თუ ხალხის მენსიერებაში დაცული და ჯერ კიდევ ჩაუწერელი დიდძალი ზეპირსიტყვიერი მასალა, ფოლკლორულ ნაწარმოებთა შექმნა-შესრულების საკუთარი წეს-ჩვეულებები, რაც ლაზეთში საკმაოდ კარგად არის შენახული, აშკარად მიუთითებენ, რომ ლაზური ზეპირსიტყვიერი შემოქმედების განვითარებას საფუძველად უდევს საერთო ქართული ეროვნული ტრადიციები.

ლაისტი არტურ (1852—1927) — გერმანელი მწერალი. 1882 წელს ლაიფციგში გამოაქვეყნა ქართული მწერლობისადმი მიძღვნილი წერილი „დავიწყებული ლიტერატურა“. ი. ჭავჭავაძის მოწვევით ჩამოვიდა საქართველოში და 1906 წლიდან თბილისში დასახლდა. 1886 წელს დრეზდენში გამოსცა წიგნი „ქართველი ხალხი“. ამავე წელს გამოაქვეყნა ქართველი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანები. 1889 წელს დაამთავრა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, რომელიც 1890 წელს დაიბეჭდა დრეზდენში. გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნაშრომი „საქართველოს გული“. ამ შრომაში ერთი ნარკვევი ქართულ ხალხურ პოეტურ ზეპირშემოქმედებას შეეხება. ავტორის აზრით, მდიდარი ქართული ხალხური პოეზიის საწყისები შორეულ წარსულში იკარგება. მიმოიხილავს ხალხურ სიმღერებს, მაღალ შეფასებას აძლევს „ურმულს“. განიხილავს აგრეთვე ხალხურ ზღაპრებსაც, რომელთა „ცენტრალურ ადგილად“ ჯაღოსნური მოტივები მიაჩნია.

ლიტ.: ა. ლაისტი, საქართველოს გული, თ. ფირალიშვილის რედ., 1963.
ნ. შამანაძე

ლამარიობა — წმ. მარიამისადმი მიძღვნილი დღეობა სვანეთში. მოდიოდა 28 აგვისტოს. საქონლის გამრავლებას ევედრებოდნენ.

ნ. შამანაძე

ლამბერტი არქანჯელო — იტალიელი მისიონერი, თეათინელი ზერი. საქართველოში ცხოვრობდა 1631—1649 წლებში. საქართველოსა და კერძოდ, სამეგრელოს ცხოვრება, ადათ-წესები დაწვრილებით გადმოსცა „სამეგრელოს აღწერაში“ (1654) და „წმინდა კოლხიდაში“ (1657), სადაც გარკვეული ადგილი დაუთმო ხალხურ რწმენებსა და შეხედულებებს. აღწერს სიმინდის თოხნის დროს შესრულებულ ნადურს.

ლიტ.: ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938.

მ. ჩაჩავა

ლაქარდი — ტკბილმოუბარი, საალერსო, ხატოვანი მეტყველება.

არცა რა მარგო ტირილმა,
არცა რა ცრემლის დენამა.
აჯობა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა. . .

ლოტი: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ელ-ერსალაძის რედ., 1961, გვ. 83, ქუთ. მუზ. 64118—34.

დ. გოგოჭური

ლაშარი — ხატი, მღებარეობს უკანა ფშავში, ფშავის არაგვის მარჯვნივ აღმართულ „ხმელგორზე“. მთის ქედის ლამაზი ვაკეაღვილი შემოზღუდულია ქვის ყორის გალავნით. გალავნის შიგნით, „წმინდა მიწაზე“, მოთავსებულია საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. ხატი დაფარულია საუკუნოვანი მუხებითა და იფნებით.

ლაშარი ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს ხატად ითვლება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ფშავლების გარდა მას თავიანთს სცემენ კახელები, თუშები, ხევსურები, მთიულ-გუდამაყრელები და სხვ. ლაშარობაზე სალოცავად მოდიოდნენ არაქართველი, მათ შორის მაჰმადიანი ქრისტიანებიც. ამიტომაც იგი მკვლევრებს უძველეს წარმართულ სალოცავად მიაჩნიათ. ლაშარი იყო მთელი ფშავის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი. აქ წყდებოდა ლაშქრობისა და ზავის საკითხი. აქ ინახებოდა ლაშარის დიდი დროშა, რომლითაც თავხევისბერი დაამწყალოებდა ფშაველთა ლაშქარს. ლაშარი მოლაშქრე ხატად მიაჩნიათ. კულტის მსახურთა წარმოდგენით, იგი განაგებს ლაშქრობის ბედს. მთიელთა ლაშქარს თეთრ ცხენზე ამხედრებული, უხილავი და ნათლის სვეტად ქცეული მიუძღვის წინ. იგი თავის „ყმათა“ (ფშავლების) მუდმივი ქომაგი და მფარველია. ლაშარში ყოველწლიურად იმართება რამდენიმე ხატობა. მათ შორის ზოგი ქრისტიანული კალენდარის მიხედვით, ზოგი კი არა. ტრადიციული დიდი ლაშარობა ივლისის მეორე ნახევარში ტარდება. ამ დროს სხვადასხვა თემისა და კუთხის აუარებელი მლოცავი იყრის თავს, რომელსაც მომსახურებას უწევენ ხევისბერი და სხვა კულტის მსახურნი. ლაშარს კახეთში (ახმეტის რ-ნი) ჰქონდა მეფეთაგან შემოწირული ზვრები, რომლიდან მიღებულ ღვინოს იყენებდნენ მლოცველი ხალხის გამამასპინძლებლად.

ლოტი: ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, გვ. 49; 199, 1961; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ. გოგოჭური

ლახი რობერტ (1874—1935) — ავსტრიელი მუსიკათმცოდნე. ეთნოგრაფ ა. ღირთან ერთად ვენაში გამოსცა „რუსი სამხედრო ტყვეების სიმღერები“. ამ კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ლექსებს, რომლებიც რ. ლ. 1916—1917 წლებში ეგერის ბანაკში ჩაუწერია იქ მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეებისგან.

ლიტ.: ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1968, გვ. 235.
ნ. შამანაძე

ლეგენდა — ფოლკლორის პროზაული ჟანრი, რომელიც რელიგიურ რწმენას ემყარება და ფანტასტიკურ-სასწაულებრივ ამბავს სინამდვილის სახით გადმოგვცემს. ლ. წარმოშობა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების უძველეს ეპოქას მიეკუთვნება. ცნობილია, რომ შუამდინარეთის ხალხებს ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მოეპოვებოდათ ასეთი ნაწარმოებები. როცა ლეგენდის წარმოშობას უძველეს დროს ვუკავშირებთ, მხედველობაში გვაქვს არა ტერმინი, არამედ ის ფოლკლორული ნიმუშები, რომლებსაც სიტყვა „ლეგენდა“ ერთ დამოუკიდებელ ჟანრად აერთიანებს. თვით ტერმინს გაცილებით მცირე ხნის ისტორია აქვს.

„ლეგენდა“ თავდაპირველად აღნიშნავდა წმინდანების „ცხოვრებისა“ და „ვნებების“ ნაწყვეტებს, რომლებიც ამ წმინდანებისადმი მიძღვნილ საეკლესიო მსახურებისა და მონასტრული ტრაპეზის დღეებში იკითხებოდა. შემდეგ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა. იგი გამოყენებულ იქნა არა მარტო რიტუალური პროზაული ნაწარმოებების, არამედ ყოველგვარი რელიგიურ-დიდაქტიკური სპოხობის აღსანიშნავად, რომლებშიც გადმოცემული იყო ფანტასტიკური ბიოგრაფიული ეპიზოდები ქრისტიანულ კულტადქცეული პიროვნების, ცხოველის, მცენარისა თუ საგნისა. ზოგჯერ „ლეგენდას“ კიდევ უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ არაქრისტიანულ რელიგიურ მოთხრობებს, რომლებიც ბუდას, მაჰმადის თუ სხვათა კულტურებისადმი იყო მიძღვნილი. გარდა სასულიერო მოღვაწეებისა, ლეგენდას ხშირად ერისკაცებსაც — მეფეებს, დიდ ფეოდალებს, ხალხის სახელოვან ადამიანებს უკავშირებდნენ და მათ ცხოვრებას რელიგიურ საბურველში ხვევდნენ.

უძველესი რწმენებისა და წარმოდგენების საფუძველზე აღმოცენებული ბევრი ლეგენდა ქრისტიანული რელიგიის გავლენით

თვისობრივად გადახალისდა. საღეთო წერილებში და აპოკრიფულ-მა ლიტერატურამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს მრავალი ახალი ხალხური ლეგენდის წარმოქმნასა და გავრცელებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შუასაუკუნეები, როცა მისტიციზმმა და დოგმატიზმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და ცრუ რწმენებს ფართო გზა მისცა.

ქართულ ფოლკლორში გვაქვს როგორც წმინდა ქრისტიანულ-რელიგიური, ისე წარმართული რწმენის ამსახველი ლეგენდები. ზოგიერთი ლეგენდა ამ ორივე რწმენის უქველ კვალს ატარებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946 გვ. 279; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 9; ნ. შამანაძე, ლეგენდის ეპნობრივი სპეციფიკისათვის „მაცნე“, № 3, 1968; მისივე, ქართული ხალხური ლეგენდები, 1973.

6. შამანაძე

ლევონიძე ვიორგი ნიკოლოზის ძე (1899—1966) — საქართველოს სახალხო პოეტი, ფოლკლორის მოტრფიალე და მოამბე. ლ-მ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის საქმეში. პირადად კრებდა ხალხურ ტექსტებს. მონაწილეობდა შ. რუსთაველის სახელობის კულტურულ ლაშქრობაში და 1935—1936 წწ. გაზეთ „კოლექტივიზაციას“ აწოდებდა და საკუთარ ჩანაწერებს. ლ. იყო ერთ-ერთი მოთავე დიდი ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობისა, რომელიც სამოციან წლებში ჩაატარა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ. დიდი სამამულო ომის წლებში დაწერილ ნარკვევებში ლ. ყურადღება დაამახვილა მივიწყებულ სახალხო გმირთა სახეებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. წერილები: „ზეზვა გაფრინდაული, სახალხო გმირი“ („კომუნისტი“, 1941 წ., № 225); „გმირი დედაბერი“ („კომუნისტი“, 1941 წ., № 310); „შალვა, შავლეგო“ („კომუნისტი“, 1941 წ. № 260). ლ. შემოქმედებითად მძლავრად დაუკავშირდა მშობლიურ ზეპირსიტყვიერებას. ხალხურ მოტივებზეა აგებული ლ. ბევრი ლირიკული შედევრი, აგრეთვე პოემები: „სამგორი“, „რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი“.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, 1958.

გ. ბარნოვი

ლექსად შესხმა — ვისიმე ან რისამე შექება ლექსად. განსაკუთრებით გავრცელებულია ქალის ან კაი ყმის ლექსად შესხმა:

- 1) ზეცას შენ შექურ-ვარსკვლავო,
მნათობო ხმელეთისაო,

ავაჲ შენ, ქალო ლამაზო.
შუქი გაქეს ნათელ მზისაო.
ტანადა ჰგავხარ ნამყენსა,
ამოსულს ალვის ხისაო,
თვალეზი გიგავს მაყვალსა,
ქალის პირს ამოსულსაო. . .

- 2) მთიულო, მთაში გაზრდილო.
ხმალს როდის მოგიშიგდება.
თმში შეხვალ და გამოხვალ.
გული არ შეგიშინდება.
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხი არ მოგიცურდება.
უკან დახევა არ იცო.
სისხლი რო შავიხურდება.

ჟ. ბარდაველიძე

ლექს-ბარათი — ლექსად დაწერილი ბარათი, ტრადიციული მოკითხვითა და საკუთარი ამბის თხრობით. დამკვიდრდა საბჭოთა პოეზიაში, რასაც ხელი შეუწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ. ლექს-ბარათები დამახასიათებელია არმიელთა, მწყემსთა და სხვ. პოეზიისთვის.

დ. გოგოჭური

ლექსობა — ხევის. ლექსის ფანდურზე ან გარმონზე სიმღერით შესრულება. სრულდება ინსტრუმენტის გარეშე. ლ-ის მოტივი და შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება საგმირო სიმღერისაგან. ლ-ის ტექსტად იყენებდნენ უმეტესად საყოფიერო ლირიკულ ნაწარმოებებს.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, 1931, გვ. 019.

დ. გოგოჭური

ლილე — სვანური საწესჩვეულებო გუნდური საგალობელი, ქართული მუსიკალური და სიტყვიერი ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში, ქრისტიანიზებული ტექსტი წარმოადგენს მთავარანგელოზისადმი ან დიდი ღმერთისადმი (ხოშა ღერბეთ) მიმართულ ხოტბას, მაგრამ ადრე მზის წარმართული სადიდებელი იყო, მასში დაცულია უძველესი რელიგიურ-მითოლოგიური სიმბოლიკა. სიტყვა „ლილე“ სიმღერის რეფრენია.

ლიტ.: სვანურ პოეზია, I, 1939; დ. არაყიშვილი, სვანური ხალხური სიმღერები, 1950; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, მითოლოგიური ლექსები, 1972.

დ. წერეთელი

ლიმურყევამალი („კოშკობა“) — ძველი წარმართული დღესასწაული ლაშხეთში (ქვემო სვანეთი), აღწერილი არსენ ონიანის მიერ. მისი ცნობის თანახმად, ზემო და ქვემო ლაშხელები შეიყრებოდნენ სოფ. ეახუნდერში, ააგებდნენ თოვლის კოშკს, დაარკობდნენ ზედ დროშას, შემდეგ აირჩევდნენ თითო მეთაურს — „კესარს“ — და ერთმანეთს დააჭიდებდნენ. რა მხარესაც დამარცხებული კესარი დაეცემოდა, კოშკსაც იმ მიმართულებით წაქცევდნენ და ამით მომავალი მოსავლის მოსალოდნელ სიუხვეს არკვევდნენ. ამას ეწოდებოდა „კესრობა“. შემდეგ იმართებოდა ჭიდაობა, ცეკვა-თამაშები. სრულდებოდა საწესჩვეულებო საფერხისო სიმღერები (ადრეკილაი, კვირია და სხვ.).

ლიტ.: არს. ონიანი, ლუშნუ ამბეარ, 1917; ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, I, 1960.

დ. წერეთელი

ლიტიტი — ლაზური საფერხულო ცეკვა. სახელწოდება „ლიტიტი“ ხმამაძვეითა, მუსიკალური მელოდიისადმი მიბაძვით მიღებული.

ზ. თანდილა

ლიფანალი — მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეობა. ზემო სვანეთში იწყება ნათლისღების წინაღღეს (18 იანვარს) და მომდევნო ორშაბათამდე გრძელდება; ქვემო სვანეთში კი ახალწლის (ძვ. სტილით) მომდევნო ხუთშაბათს და სწორამდე გრძელდება. ძველი რწმენით ამ დღესასწაულის დროს მიცვალებულთა სულელები ახლობლების ოჯახებს ესტუმრებიან. მზადდება სხვადასხვაგვარი საკურთხი და სრულდება მაგიური რიტუალები. „ხალხის აზრით ზღაპრები მოსწონთ სულებს და ვინც კი იცის, ამ დღეებში უსათუოდ ამბობს“ (ბ. ნიჟარაძე).

ლიტ.: ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, 1962; ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, 1939.

დ. წერეთელი

ლოკალური გმირი — ადგილობრივი, ტომობრივი, ლანდშაფტური გმირი. ფოლკლორში მრავალნაირი პერსონაჟი გვხვდება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო თავგადასავლით, სიუჟეტით, არამედ მოქმედების ასპარეზითა და მასშტაბით. ქვეყნისთვის თავდადებულთა ერთ წყებას შეიძლება ლოკალური ან ტომობრივი ვუწოდოთ, მეორეს — ეროვნული. ტომობრივია,

მაგალითად, მამუკა ქალუნდაური, ხირჩლა, შთხრეხელი, ყაფსუყ; გოშთელიანი, ვიციბილი და მაცბილი, გელანა ნათელაშვილი, სისონა დარჩია, გიგა და გიორგი; ეროვნული, საერთო ქართული კი — დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ზეზვა გაფრინდაული, პატარაკახი, არსენა ოძელაშვილი, უფრო შორეული ეპოქიდან — ამირანი, ცამცუმე, კოპალა, იახსარი, ხოგაის მინდია, აბესალომ და ეთერი, ტარიელი, თავფარავნელი ქაბუჯი...

ლოკალური გმირი თემიდან გამოდის და მას ემსახურება, ასეთი კაი ყმის მიზანი თავისი კუთხის, ტომის ნამუსთონ და თავისუფალი ცხოვრებაა; მტკიცედ იცავს ტომის ჩვევებს, გვარის ტრადიციას. ომში ფარია, შრომის დროს კი გუთანი და ნამგალი თავისი მხარისა. ლ. გ. იდეალი და წარმოდგენები მშობლიური კუთხის ზნეობრივი ნორმებიდან ამოდის. მწყემსმა გიორგიმ თავდამსხმელ მეკობრეებს მარტომ შეუქრა გზა და მოძმეთა სისხლი აზღვევინა.

შვიდი შესწირა გიგას: იყავთ იმის ყმანია,
იმ გრძელ სოფელსა გაჰყევით, ლიტრით იზიდეთ წყალი...
თითო შასწირა მწყემსესააც: უკან უბრუნეთ ცხვარია...
თითო შასწირა ფარეხსა: დახვეტეთ გომის კარია.
თ:თა ძალღუზსაც შასწირა: უკეთეთ სალაფეია,
შვიდი თითონაც იმძლოა: მეც მაშინდება ყმანია.

ლოკალური-ფშაური გმირის შესანიშნავი დახასიათება მოეპოვება ვაჟა-ფშაველას. „ფშაველი-გმირი იცავს თემსა ყველაზე უწინ, მერე საზოგადოდ ფშავის ხევს და შემდეგ საქართველოსაც. თემის დაცვა კი უპირველესი გრძნობაა მისი. თავის თემის გულისათვის არ ზოგავს გასაჟღეტად სხვა. ფშაურ თემს, თუკი იგი რაიმე თავხედობას მოიწადინებს იმ თემის წინააღმდეგ, რომელსაც ოვითონ ეკუთვნის. მაგრამ თუ გარეშე მტერი მოდის საქართველოზე. მაშინ გმირი საქართველოს მტერს ისე ებრძვის, როგორც თემის მტერს“. ეროვნული გმირის მასშტაბი და დიაბაზონი მჭეულარებლად დიდია. იგი მუდამ მთელი ხალხის დამცველად გამოდის და მისთვის სწირავს თავს.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ. IX, 1964, გვ. 53; მ. ჩიქოვანი, გმირის იდეალიტი. და ხელოვნება, № 1, 1945,; მისივე, ქართ. ეპოსი, I, 1959.

მ. ჩიქოვანი

ლომში — 1: ცხოველთა ეპოსის (6) ერთ-ერთი პესონაჟი: ქართულ. ისევე როგორც მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში, ლომი

ცხოველთა მეფედ არის განსახიერებული. მისი დამახასიათებელი თვისებებია: ძლევამოსილება, ამპარტავენება, დესპოტიზმი და ა. შ. 2. ლომი, როგორც მხატვრული სახე, ფართოდ არის გავრცელებული ხალხურ პოეზიაში. იგი შეუდარებელი ვაჟკაცობის სიმბოლოს წარმოადგენს. ლომი ქართულ ფოლკლორში უმთავრესად წარმოდგენილია როგორც ეპითეტი, შედარება და მეტაფორა.

ჟ. ბარდაველიძე

ლომისის ჯვარი — ხატი მთიულეთში, არაგვსა და ქსანს შორის მდებარე მთის მწვერვალზე. მთიულების გარდა მას ლოცულობდნენ ქსნელნი, მოხევენი, ფშავ-ხევსურნი და სხვა ქრისტიანი მთიელები. წარსულში წარმართული სალოცავი ყოფილა. ბოლოს მას ლომისის წმინდა გიორგის სახელზე ლოცულობდნენ. ლ. ჯ.-ის ნიში დაბლა „ბარში“ ჩამოუტანიათ და კალენდარულ რელიგიურ დღეობებს იქ იხდიდნენ, ლომისის მთაზე კი მხოლოდ „ლომისობას“ ატარებდნენ ივლისში.

ლომისის ჯვართან ბევრი ლეგენდა, მითიური გადმოცემა და სიმღერაა დაკავშირებული.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930; ე. ვირსალაძე ქართველ-მთიულთა ზეპირსიტყვიერება, გვ. 305, 1958.

დ. გოგოჭური

ლუხუმში — ლუის ლუხუმი, თუში სახალხო გმირი, რომელიც ლეკთა მოთარეშე მზირთან შეტაკების დროს კლდიდან გადაიჩეხა. მოთარეშეებს ლ. მკვდარი ეგონათ და ტრადიციული წესისამებრ მარჯვენა მოაქრეს. ლ-ს გველმა უმკურნალა, მაგრამ განკურნების შემდეგ გზად მიმავალი ლეკებმა კვლავ შეიპყრეს და თავისი მიცვალებულის საფლავზე დაკლეს. ლ-ის ხალხური სახე გამოიყენა ვაჟა-ფშაველამ პოემებში („ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა, და ხალხური პოეზია, 1956; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1951, გვ- 35; კრ. „ვაჟა-ფშაველა“, 1961.

დ. გოგოჭური

ГРУЗИНСКИЙ ФОЛЬКЛОР

IV

СЛОВАРЬ

Под редакцией М. Я. Чиковани

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ე. კოდუა
ტექნედაქტორი ნ. ოკუჯავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ნ. შენგელია

გადაეცა წარმოებას 9.IV.1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.VII.1974;
ქალაქის ზომა 60X90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 14,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,6;

ტირაჟი 1500; შეკვეთა № 1049;

ფასი 1 მან. 41 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19